

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო  
ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის  
კათედრის სტუდენტთა II ეროვნული სამეცნიერო  
კონფერენციის

## **მასალები**

**2024-II**

კრებულში შესულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის სტუდენტთა II ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებებიდან სარედაქციო კოლეგიის მიერ შერჩეული ნაშრომები.

**მთავარი რედაქტორი:** თეიმურაზ პაპასქირი

**ნომრის რედაქტორი:** მიხეილ ქართველიშვილი

**სარედაქციო კოლეგია:**

ლელია (ია) ხუბაშვილი

ფატიმა შეყლაშვილი

ზაალ გოგენია

კახაბერ ყალიჩავა

ირაკლი ალიმბარაშვილი

პავლიკა ჯაგუნავა

გიორგი არქანია

ლევან ჯანჯღავა

თამთა ჭუმბაძე

ალექსანდრე უბირია

© ავტორები

ISBN 978-9941-8-6932-7 (PDF)

## შინაარსი

### კონსტანტინე მეგრელიშვილი

გუსტავ II ადოლფი - ეპოქალური მხედართმთავარი ..... 5

### რატი ხოტივრიშვილი

საფრანგეთის 1759 წლის ბრიტანეთის დაპყრობის გეგმა ..... 24

### სერგი ადამია

ხანჯლების შეთქმულება – ნაპოლეონის მკვლელობის კონსპირაციული  
მცდელობა ..... 31

### მარიამ ხამიცაშვილი

არაპეტრონორმატიული იდენტობების აღქმისა და ინტეგრაციის შესწავლა  
ამერიკის ინდიელ ტომებს შორის ..... 40

### მიხეილ ლეჟავა

კუზნეების ომი ევროპაში (1914-1918) ..... 49

### მარიამ ცერცვაძე

საიქს-პიკოს შეთანხმება: მისი როლი და მნიშვნელობა თანამედროვეობაში ..... 62

### მარიამ ჭინჭარაული

ხევსურთა ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის  
(1921-1924 წლები) ..... 72

### გიორგი ბარნაბიშვილი

სტამბოლის ბერძენი კომისრის, ხარალამბროს სიმოპულოსის, მიერ  
1922 წლის ოქტომბერ-ნოემბერში საბერძნეთის მთავრობისადმი  
გაგზავნილი ტელეგრამები ..... 80

### დიმიტრი შუბლაძე

ქართული ფეხბურთი და ნაციონალიზმი ..... 92

### ზურა ჯავახიშვილი

ენობრივი მსაზღვრელის მნიშვნელობა საბჭოთა ეპოქაში ქართული  
იდენტობისთვის (1978 წლის 14 აპრილის მაგალითზე) ..... 100

**ნინო კარანაია, სალომე სულაკაური**

საშემსრულებლო ხელოვნება ცივი ომის ეპოქაში: აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის დაპირისპირების ერთ-ერთი ინსტრუმენტი ..... 122

**მარიამ ივანიაძე, გიორგი ტყაბლაძე**

„პანკი“, როგორც სუბკულტურა – „ხალხის ხმა“ 70-იანი წლების ბრიტანეთში და მისი ასახვა თანამედროვე ქართულ რეალობაში ..... 132

**ელგუჯა მაზმიშვილი, ელდარ მამისთვალისძვილი**

რასობრივი სეგრეგაცია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და როდეზიაში – შედარებითი ანალიზი ..... 142

**მარიამ ჰაპასეირი**

1992-1993 წლების აფხაზეთის ომი და საერთაშორისო მედია ..... 153

**ანანო არველაძე, მარიამ დოლიაშვილი**

შვედეთის პარტიული და საზოგადოებრივი ევროსკეპტიციზმი ..... 159

**მარიამ ხაზალია, თორნიკე ელაშვილი**

რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე დასრულებული „ფინლანდიზაცია“ და ფინეთის ნატოში გაწევრიანება ..... 185

## გუსტავ II ადოლფი - ეპოქალური მხედართმთავარი

გუსტავ II ადოლფი გამორჩეული ფიგურაა XVII საუკუნის სახელმწიფო მოღვაწეებსა და მხედართმთავრებს შორის. 30-წლიან ომში ჩართვამ, სულ რაღაც ორ წელიწადში მიღწეულმა წარმატებებმა და მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა გუსტავი ფაქტობრივად მითოლოგიურ გმირად აქციეს, რომლის აღსაწერად ავტორები (მათ შორის ფრიდრიხ შილერი, ლეოპოლდ ფონ რანკე, ფრანსუა გიზო) დადებით ეპითეტებს არ იშურებენ. მის მიმართ დამოკიდებულებას კარგად გამოხატავს მისი ზედმეტსახელებიც – Gustavus Adolphus Magnus (გუსტავ ადოლფ დიდი), The Lion of the North (ჩრდილოეთის ლომი) და Der Löwe aus Mitternacht (შუალამის ლომი).

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მის სამხედრო ნიჭს და მას ტრადიციულად XVII საუკუნის უდიდეს თუ არა, ერთ-ერთ უდიდეს მხედართმთავრად მიიჩნევენ. თეოდორ დოჯი მას თანამედროვე ომის ხელოვნების მამას უწოდებს და ფიქრობს, რომ გუსტავამდე ომს აკლდა ის სიღრმე და პირდაპირობა, რაც მას სწორედ შვედეთის დიდმა მეფემ შესძინა.<sup>1</sup> გუსტავის წარმატებებმა არმიის რეორგანიზაციის საქმეში გამოიწვია იცის, რომ შვედეთის მეფეს მორიგ ნასაუელთან ერთად ცენტრალური ადგილი უკავია მაიკლ რობერტსის „სამხედრო რევოლუციის“ კონცეფციაში.<sup>2</sup> ამის ფონზე მისი სიკვდილის შემდგომი პერიოდი საკმაოდ მუქ ფერებშია დახატული როგორც რობერტსის, ისე სხვა ისტორიკოსების მიერ და 30-წლიანი ომის ბოლო ეტაპის სამხედრო ხელოვნება არის წარმოჩენილი, როგორც შუა საუკუნეებისკენ უკან დაბრუნება.<sup>3</sup>

ჩვენი აზრით, დიდ სიფრთხილეს მოითხოვს გუსტავ II ადოლფის მოღვაწეობის უზომოდ განდიდება და მისი ეპოქის დანარჩენი მოღვაწეების დაკნინება. შვედეთის მეფეს

<sup>1</sup> Dodge, Theodore Ayrault. Great Captains: a Course of Six Lectures showing the Influence on the Art of War of the Campaigns of Alexander, Hannibal, Caesar, Gustavus Adolphus, Frederick and Napoleon, Pickle Partners Publishing, 2016, გვ. 124-128

<sup>2</sup> Sharman, J.C. „Myths of military revolution: European expansion and Eurocentrism.” European Journal of International Relations (2017), გვ. 6-7

<sup>3</sup> Croxton, Derek. „A Territorial Imperative? The Military Revolution, Strategy and Peacemaking in the Thirty Years War.” War In History vol. 5, issue 3 (July 1998), გვ. 253-254

მანცდამანც ომის სრულიად ახალი ხელოვნება არ შეუქმნია და მისი ტაქტიკა თუ სტრატეგია ხშირად გამომდინარეობდა ეპოქის უკვე არსებული მიღწევებიდან, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მან თეორიები და პრაქტიკა უფრო მაღალ დონეზე აიყვანა და რიგ საკითხებში თავის თანამედროვეებს გაუსწრო. ამ ნაშრომში ჩვენ შევეცდებით, რომ გამოვარკვიოთ გუსტავი რეფორმების რეალური მნიშვნელობა, გამოვკვეთოთ მისი ტაქტიკური წარმატებების მიზეზები და მოვხაზოთ მისი სტრატეგიის ძირითადი მანასიათებლები, რაც მას, ჩვენი აზრით, თავისი ეპოქის უდიდეს სარდლად აქცევს. ნაშრომის თავისებურებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძლებთ თითოეული ბრძოლის დეტალურ აღწერას. უფრო მეტად შევჩერდებით ბრაიტენფელდის ბრძოლაზე, რომელსაც ერთ-ერთი მონაწილის აღწერილობის მიხედვით განვიხილავთ.

გუსტავ II ადოლფი მეფობდა 1611-1632 წლებში და მისი მეფობის მხოლოდ 2 წელი მოდის გერმანიაზე, თუმცა, მიუხედავად ამისა, სწორედ ეს პერიოდი წარმოადგენს მისი მოღვაწეობის კულმინაციასა და საუკეთესო მაგალით იმისა, თუ როგორი მთავარსარდალი იყო შვედეთის მეფე. სანამ ტაქტიკაზე საუბარს დავიწყებთ, მოკლედ შევეხოთ შვედეთის 30-წლიან ომში ჩართვის გარემოებებს. ეს საკითხი კარგად აქვს განხილული ლარს ერიკსონ ვოლკეს, რომელიც ხუთ მიზეზს ასახელებს: 1. იმპერიიდან მომავალი საფრთხე, რაც ისედაც გამოიწვევდა ქვეყნის ჩათრევას საერთო-ევროპულ კონფლიქტში (თანაც ეს საფრთხე კიდევ უფრო ცხადი გახდა იმპერიის ჯარების მიერ ჟეჩ-პოსპოლიტის მხარდაჭერამ, როდესაც ის შვედეთს ეომებოდა); 2. პოლონეთის განეიტრალება ალტმარკის დაზავებით (1629), რაც მხოლოდ ექვსი წელი უნდა გაგრძელებულიყო. შესაბამისად, შვედეთს უნდა ესარგებლათ „ადმოსავლეთის ფრონტის“ სიმშვიდით და ყურადღება გერმანიაზე გადაეტანა; 3. რუსეთის განეიტრალება შტოლბოვას ზავით (1617), რასაც ემატებოდა ის ფაქტი, რომ შვედეთის ბრძოლა იმპერატორთან ასუსტებდა ჟეჩ-პოსპოლიტასაც, რუსეთის მთავარ მოწინააღმდეგეს, ამიტომ ახლად მოსული რომანოვები დადებითად უნდა შეხვედროდნენ გუსტავის შეჭრას გერმანიაში; 4. შვედეთის ისტორიული მეტოქის, დანიის განეიტრალება, რომელიც თან იმპერიასთან ბრძოლით იყო დასუსტებული და თან, მტრობის მიუხედავად, მაინც შეურიგდებოდა შვედეთის მიერ იმპერიის დასუსტებას; 5. კავშირი რიშელიესთან, რომელიც მართალია 1631 წლამდე არ გაფორმებულა, მაგრამ ამ მხრიდან უკვე იგრძნობოდა შესაძლო მხარდაჭერა.<sup>1</sup> დასახელებულია რელიგიური და ეკონომიკური ფაქტორებიც: მართალია XVII საუკუნეში

---

<sup>1</sup> Wolke, Lars Ericson. Gustavus Adolphus, Sweden and the Thirty Years War, 1630-1632, Pen & Sword Military, Yorkshire – Philadelphia, 2022, გვ. 24-25

რელიგია აღარ იყო გადამწყვეტი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმისას, გარკვეული როლი მაინც უნდა ეთამაშა პროტესტანტების დახმარების სურვილს; შვედეთის ეკონომიკური განვითარებისთვის კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბალტიის ზღვისა და გერმანიის მნიშვნელოვანი მდინარეების (პირველ რიგში ოდერის) კონტროლს.<sup>1</sup>

გუსტავ II ადოლფის დიპლომატიაზე საგანგებოდ არ შევჩერდებით, თუმცა აღვნიშნავთ, რომ ის ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცდილობდა კავშირების დამყარებას და გერმანიაში მის შეჭრასაც წინ უძღოდა არა მხოლოდ ზავები რუსეთთან და ჟეი-პოსპოლიტასთან, არამედ დიპლომატიური კონტაქტების დამყარების მცდელობები ინგლისთან, ნიდერლანდებთან, საფრანგეთთან და გერმანულ მთავრებთან. მართალია თავდაპირველად ეს მცდელობები არ იყო მაინცდამაინც წარმატებული, მაგრამ მისმა სამხედრო წარმატებებმა მალევე იქონიეს გავლენა და თავის სიცოცხლეში გუსტავ II ადოლფმა ჩამოაყალიბა მოკავშირეთა ფართო ქსელი.

ახლა კი გადავიდეთ უშუალოდ გუსტავის სამხედრო მოღვაწეობაზე. მისი წარმატებების გასაღები იმ რეფორმებში მდგომარეობს, რომლებიც მან ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში გაატარა საკუთარი ჯარის ნაკლოვანებების დანახვის შემდეგ, თუმცა აქ ხშირად იჩენს თავს მისთვის ისეთი ინოვაციების მიწერა, რომელთა ავტორიც თვითონ არ იყო. შვედეთის არმიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა იყო მისი სამხედრო დანაყოფების მცირე შემადგენლობა და მსუბუქი აღჭურვილობა, განსაკუთრებით ჯავშნის მხრივ, რაც განაპირობებდა მათ მაღალ მობილურობას.<sup>2</sup> შვედური კავალერიის ასეული შედგებოდა 125 ცხენისგან და დაახლოებით 100 ადამიანისგან, რომლებიც 1000 ცხენიან პოლკში ერთიანდებოდნენ.<sup>3</sup> ინფანტერიის ასეული შედგებოდა 150 კაცისგან, რომელთა დიდი ნაწილი მუშკეტერი იყო. ისინი 1200 კაციან პოლკებში ერთიანდებოდნენ.<sup>4</sup> ამ იდეას ჰოლანდიელებს, კერძოდ მორიც ნასაუელს მიაწერენ ხოლმე, თუმცა XVI საუკუნეში უკვე შეინიშნებოდა გადასვლა შედარებით მცირე ზომის დაჯგუფებებზე, რაც ესპანეთის მაგალითზეც ჩანს.

ჯერ კიდევ 1560-იან წლებში ესპანური ინფანტერია შედგებოდა 120 ან 150 ჯარისკაცისგან დაკომპლექტებული ასეულებისგან, რომლებიც ერთიანდებოდნენ 1200 ან 1500 კაციან „ტერციოებში“. კავალერიაც ძირითადად 60 ან 100 მსუბუქი ცხენოსნისგან

<sup>1</sup> იქვე, გვ. 48-49

<sup>2</sup> იქვე, გვ. 40; Brzezinski Richard, Hook Richard. The Army of Gustavus Adolphus (2): Cavalry. Osprey Publishing, 1999, გვ. 10-11

<sup>3</sup> Brzezinski Richard, Hook Richard. The Army of Gustavus Adolphus (2): Cavalry. Osprey Publishing, 1999, გვ. 7

<sup>4</sup> Brzezinski Richard, Hook Richard. The Army of Gustavus Adolphus (1): Infantry. Osprey Publishing, 2000, გვ. 10

შედგებოდა.<sup>1</sup> ზოგიერთი ისტორიკოსი მიუთითებს, რომ სწორედ მოუქნელი „ტერციოების“ გამო დამარცხდნენ იმპერიის ჯარები ბრაიტენფელდთან (1631) და ლიუტცენტან (1632)<sup>2</sup>, თუმცა ამ დროისთვის ეს სისტემა უკვე მოძველებული იყო და ამ ბრძოლებში მისი გამოყენება არ უნდა შეესაბამებოდეს რეალობას.<sup>3</sup> იმავე არგუმენტით შეგვიძლია ეჭვქვეშ დავაყენოთ „ტერციოების“ მონაწილეობა ნიორდლინგენის ბრძოლაში (1634).<sup>4</sup> ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსუბუქი კავალერია მძიმე კირასირებს ყოველთვის ვერ ჯობნიდა და ბრაიტენფელდის ბრძოლაშიც კი, სადაც გუსტავმა სასტიკად დაამარცხა იმპერიული ჯარები, მისი მსუბუქი ცხენოსნები ვერ უმკლავდებოდნენ მძიმედ შეჭურვილ მეტოქეებს.<sup>5</sup>

აქვე უნდა ითქვას, რომ მცირე ზომის შენაერთებზე გადასვლის აუცილებლობა იმპერიის ჯარების გამორჩეულმა სარდალმა, ალბრეხტ ფონ ვალენშტაინმაც შენიშნა, რომელიც მიუთითებდა, რომ 150 კაცი სრულიად საკმარისი იყო. ის ასევე უსვამდა ხაზს ოფიცრების რაოდენობის გაზრდის მნიშვნელობას, რაც შემდეგში გუსტავის არმიის ერთ-ერთ მახასიათებლად იქცა.<sup>6</sup>

გუსტავ II ადოლფის სამხედრო რეფორმებს შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მუშკეტერების ცეცხლის კონცენტრაცია და მსუბუქი არტილერიის აქტიური გამოყენება. შვედი მუშკეტერების მთელი რიგი ერთდროულად ხსნიდა ხოლმე ცეცხლს, რაც დიდ ზიანს აყენებდა მოწინააღმდეგის დანაყოფებს, ხოლო მსუბუქი არტილერია შვედური ჯარის შენაერთებს შორის იყო განლაგებული და ახლო მანძილიდან დიდ საფრთხეს უქმნიდა მოწინააღმდეგეს.<sup>7</sup> მიუხედავად ამისა, არც იმპერიული ჯარებისთვის იყო უცხო კონცენტრირებული ცეცხლი.

ისინი იყენებდნენ ე.წ. „კონტრმარშს“, როდესაც მუშკეტერების პირველი რიგი ერთდროულად ისროდა და შემდეგ უკან იხევდა გადასატენად, რა დროსაც მეორე რიგი ისროდა, შემდეგ მესამე და ასე, სანამ პირველი რიგი არ გადატენიდა მუშკეტებს და კვლავ

---

<sup>1</sup> Parker, Geoffrey. „The “Military Revolution,” 1560-1660—a Myth?” *The Journal of Modern History*, Vol. 48, No. 2 (Jun., 1976), გვ. 198-199

<sup>2</sup> Brnardic, Vladimir. *Imperial Armies of the Thirty Years’ War (1): Infantry and artillery*. Osprey Publishing, 2009, გვ. 21-22

<sup>3</sup> Brzezinski Richard, Hook Richard. *The Army of Gustavus Adolphus (2): Cavalry*. Osprey Publishing, 1999, გვ. 24

<sup>4</sup> Brnardic, Vladimir. *Imperial Armies of the Thirty Years’ War (1): Infantry and artillery*. Osprey Publishing, 2009, გვ. 22

<sup>5</sup> Brzezinski Richard, Hook Richard. *The Army of Gustavus Adolphus (2): Cavalry*. Osprey Publishing, 1999, გვ. 24-25

<sup>6</sup> Brzezinski Richard, Hook Richard. *The Army of Gustavus Adolphus (1): Infantry*. Osprey Publishing, 2000, გვ. 8

<sup>7</sup> Brzezinski Richard, Hook Richard. *The Army of Gustavus Adolphus (2): Cavalry*. Osprey Publishing, 1999, გვ. 22-23



ბრძოლაში არ ჩაებმებოდა.<sup>1</sup> ეს იდეა თავდაპირველად ჰოლანდიელებმა შეიმუშავეს,<sup>2</sup> თუმცა მას აქტიურად ახორციელებდნენ პრაქტიკაში იმპერიის ჯარებიც.

რაც შეეხება არტილერიას, ამ კუთხით შვედური არმია აშკარად აღემატებოდა თავის მეტოქეებს. გუსტავ II ადოლფმა სწორად შენიშნა, რომ არმიისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სტანდარტიზაციას, ამიტომ მან საარტილერიო ქვემეხების კალიბრების რაოდენობა სამამდე შეამცირა: ისინი ისვროდნენ 3-, 12- ან 24- გირვანქიან ჭურვებს. მან საერთოდ თქვა უარი უფრო მძიმე არტილერიაზე (48-გირვანქიანი), რადგან მას რაიმე პრინციპული უპირატესობა არ გააჩნდა და მხოლოდ ფასითა და წონით აღემატებოდა დანარჩენებს.<sup>3</sup> მიუხედავად ამისა, ესპანურ არმიაშიც იყო დაწყებული მსგავსი პროცესები. ჯერ კიდევ კარლ V-მ დაიწყო სტანდარტიზაციის პროცესი XVI საუკუნეში, ხოლო 1609 წლისთვის ესპანური არტილერია უკვე მხოლოდ 4 კალიბრის ჭურვებს ისროდა. მართალია იმპერიის არტილერია შვედების დონეზე ვერ ავიდა, მაგრამ ცხადია, რომ მათ ნიადაგი მოუმზადეს გუსტავის რეფორმებს, რომელმაც მხოლოდ არსებული რეალობა დაინახა და უფრო წარმატებით განახორციელა პრაქტიკაში ის, რასაც სხვებიც ხედავდნენ.

მოკლედ უნდა შევხვით ე.წ. „კარაკოლის“ საკითხსაც. ამ ტაქტიკის მიხედვით, ცხენოსნების რიგი პისტოლეტით ესროდა მტერს, რის შემდეგაც უკან იხევდა და მეორე რიგს აძლევდა იმავეს გამეორების შესაძლებლობას. ზოგიერთი მკვლევარი უთითებდა, რომ გუსტავმა სრულიად მოსპო კარაკოლი და მის ნაცვლად ცხენოსნებს, პოლონელი „ფრთიანი ჰუსარების“ მსგავსად, ხმლით შეტევა უბრძანა.<sup>4</sup> ეს არ უნდა შეესაბამებოდეს რეალობას, რაც დამაჯერებლად უჩვენეს ბრზეჟინსკიმ და ჰუკმა. მათ აღნიშნეს, რომ კავალერიით პირდაპირი შეტევების განხორციელება არც იმპერიული ჯარებისთვის იყო უცხო და ასეთ ტაქტიკას იყენებდნენ ტილის კირასირები ბრაიტენფელდთან და პიკოლომინის კირასირები ლიუტცენტან. ისინი ასევე უთითებდნენ, რომ გუსტავის არმიაში მყოფი დაქირავებული გერმანელები საკუთარი სიცოცხლის გარისკვას უფროთხილდებოდნენ და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ერჩივნათ ხმლით შეტევაზე გადასვლას.<sup>5</sup>

რეალურად შვედური არმიისთვის არ იყო უცხო პისტოლეტების გამოყენება, რაც

<sup>1</sup> Brnardic, Vladimir. *Imperial Armies of the Thirty Years' War (1): Infantry and artillery*. Osprey Publishing, 2009, გვ. 22

<sup>2</sup> Parker, Geoffrey. „The “Military Revolution,” 1560-1660—a Myth?” *The Journal of Modern History*, Vol. 48, No. 2 (Jun., 1976), გვ. 198

<sup>3</sup> Brzezinski Richard, Hook Richard. *The Army of Gustavus Adolphus (2): Cavalry*. Osprey Publishing, 1999, გვ. 19

<sup>4</sup> იქვე, გვ. 23

<sup>5</sup> იქვე, გვ. 23-24

კარგად ჩანს შოტლანდიელი რობერტ მონროს გადმოცემაში ბრაიტენფელდის ბრძოლის შესახებ. ის აღნიშნავს, რომ ცხენოსნები ჯერ პისტოლეტებით ისვროდნენ და შემდეგ გადადიოდნენ შეტევაზე ხმლით, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ამ შეტევისას მაინცდამაინც სასიკვდილოდ მიდიოდნენ. მხედრები მალევე ბრუნდებოდნენ უკან და შემდეგ ხელახლა ახორციელებდნენ იმავე მანევრს. ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ მტრის წინააღმდეგობას არ გატეხავდნენ. მთელი ამ პროცესის განმავლობაში კავალერიას მხარს უჭერდნენ მუშკეტერებიც.<sup>1</sup> გუსტავმა მართალია მეტი აქცენტი გააკეთა მტერთან ხმლით შეტაკებაზე, მაგრამ ეს არ იყო ისეთი რადიკალური ნაბიჯი, როგორც წარმოუდგენიათ ხოლმე.

საინტერესოა აღინიშნოს გუსტავ II ადოლფის ზოგიერთი რეფორმის „შემთხვევითობა“. ძალიან მარტივია ის დავინახოთ, როგორც დიდი რეფორმატორი და ნიჭიერი სამხედრო ლიდერი, რაც გადაჭარბებული ნამდვილად არ არის, და ყურადღების მიღმა დაგვრჩეს ის ფაქტი, რომ ზოგჯერ მის ნაბიჯს არსებული ვითარება და აუცილებლობა განაპირობებდა ხოლმე. თუნდაც პისტოლეტების ნაცვლად ხმალზე აქცენტის გაკეთება, შესაძლოა, მის კავალერიაში ცეცხლსასროლი იარაღის ნაკლებობასთან იყოს დაკავშირებული.<sup>2</sup> მძიმე კირასირების აღჭურვის შეუძლებლობამ განაპირობა არჩევანის შეჩერება მსუბუქ კავალერიაზე, ხოლო შვედური წარმოების მოუმზადებლობამ არკებუზებისა და პისტოლეტების წარმოების საქმეში აიძულა მეფე, რომ ცხენოსანი „არკებუზიერებზე“ უარი ეთქვა.<sup>3</sup> ეს, რა თქმა უნდა, ჩრდილს არ აყენებს გუსტავის წარმატებებს: მან სწორად გაანალიზა ის სირთულეები, რომელთა წინაშეც იდგა შვედური არმია და განახორციელა ისეთი რეფორმები, რომლებიც მათ მაქსიმალურ წარმატებას მოუტანდნენ.

გუსტავ II ადოლფის რეფორმებს შორის ისტორიკოსები სამართლიანად გამოყოფენ სავალდებულო სამხედრო სამსახურის დაწესებას. მართალია ეს პროცესი ჯერ კიდევ XVI საუკუნეში დაიწყო, მაგრამ სწორედ გუსტავმა მოახერხა მისი სისტემატიზაცია და ორგანიზაციული მოწყობა. 1620 წლის შემდეგ 15 წელს მიღწეული მამაკაცები ექვემდებარებოდნენ utskrivning-ს, ანუ სავალდებულო სამხედრო სამსახურს, სადაც მიჰყავდათ ყოველი მეათე მამაკაცი თითოეული ოლქიდან, რომლებიც იღებდნენ

<sup>1</sup> Helfferich, Tryntje. The Thirty Years War: A Documentary History. Hackett Publishing Company, Indianapolis/Cambridge, 2009, გვ. 115

<sup>2</sup> Brzezinski Richard, Hook Richard. The Army of Gustavus Adolphus (2): Cavalry. Osprey Publishing, 1999, გვ. 24

<sup>3</sup> იქვე, გვ. 4

ტანსაცმელსა და ხმალს.<sup>1</sup> ამით მან ფაქტობრივად გზა გაუხსნა ნაციონალური არმიების ჩამოყალიბებას, დაქირავებულ ჯარზე იმედის დამყარების საპირისპიროდ, რაც ზუსტად შეესაბამება მაკიაველის „საკუთარი ჯარის“ კონცეფციას.

თუმცა აქაც დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა გადაჭარბებულად არ შეფასდეს utskrivning-ი. მართალია გუსტავის არმიის ბირთვის შვედები წარმოადგენდნენ, მაგრამ 30-წლიანი ომში ჩართვის შემდეგ ისინი სულაც არ იყვნენ უმრავლესობაში და დაქირავებული გერმანელების, ინგლისელების, შოტლანდიელებისა და სხვათა გვერდით იბრძოდნენ. სიტუაციას ნათლად გვიხატავს 1631 წლის მდგომარეობა ბრაიტენფელდის ბრძოლამდე: კონტინენტზე გუსტავის 68 000-იან არმიაში მხოლოდ 20 500 შვედი იყო. უშუალოდ ბრაიტენფელდშიც „შვედური არმიის“ მხოლოდ 17-18%-ს შეადგენდნენ შვედები.<sup>2</sup> აქედან ცხადი ხდება, რომ ფართომასშტაბიანი საომარი ოპერაციების საწარმოებლად ეროვნულ ძალაზე დაყრდნობა არ იყო საკმარისი და არმიების დაქირავება „სამხედრო რეკოლუციის“ შემდეგაც არ ჰკარგავდა პოპულარობას, თუმცა გუსტავის რეფორმა სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა და ამისთვის გვერდის ავლა გაუმართლებელი იქნებოდა.

გუსტავ II ადოლფის რეფორმები რომ შევაჯამოთ, მან მოახერხა ევროპაში მიმდინარე პროცესებისთვის ალღოს აღება, სამხედრო საქმის შესახებ ჰოლანდიური თეორიების გაცნობა და მათი პრაქტიკული განხორციელება, თუმცა მისი „რეკოლუციური სიახლეები“ არც იმპერიული არმიისთვის იყო სრულიად უცხო. რეალურად ვიღებთ ასეთ სურათს, მაგრამ ის საკმარისი არ უნდა იყოს არც შვედების ბრწყინვალე გამარჯვებების მიზეზების გასარკვევად და არც გუსტავისადმი, როგორც მითოლოგიური გმირისადმი, დამოკიდებულების ბოლომდე ამოსახსნელად. ჩვენი აზრით, შვედური ეტაპის მიღწევებიც და დამარცხებებიც დაკავშირებული უნდა იყოს ერთ ძალზედ მნიშვნელოვან ფაქტორთან: დისციპლინასთან.

დისციპლინის მნიშვნელობას გუსტავ II ადოლფის წარმატებების ასახსნელად ისტორიკოსები დიდი ხანია აღიარებენ, თუმცა ზოგიერთი მიიჩნევს, რომ მისი არმიაც არ ერიდებოდა ძარცვას, შესაბამისად, სრულიადაც არ იყვნენ ისეთი დისციპლინირებული, როგორც ადრე მიაჩნდათ. ჩვენ შევეცდებით, რომ დავიცვათ ადრე არსებული მოსაზრება და მას დავუკავშირებთ ორ ძირითად ფაქტორს: რელიგიასა და გუსტავ II ადოლფის პიროვნებას.

<sup>1</sup> Brzezinski Richard, Hook Richard. The Army of Gustavus Adolphus (1): Infantry. Osprey Publishing, 2000, გვ. 8-9

<sup>2</sup> Wolke, Lars Ericson. Gustavus Adolphus, Sweden and the Thirty Years War, 1630-1632, Pen & Sword Military, Yorkshire – Philadelphia, 2022, გვ. 72

ამ საკითხის უფრო ახლოდან გასაშუქებლად კვლავ რობერტ მონროს ჩანაწერებს გამოვიყენებთ, რომელმაც კარგად გადმოგვცა საკუთარი თვალთ დანახული ბრაიტენფელდის ბრძოლა.<sup>1</sup> მისი მონაყოლიდან ვიგებთ, რომ მათ ბრძოლის დილას ილოცეს, ზეცისკენ ხელები ადაპყრეს და საკუთარი სული და სხეული ღმერთს მიანდეს, რის შემდეგაც ღვთის სახელით დაიძრნენ მტრისაკენ. გუსტავ II ადოლფის აღწერის დროსაც ფიგურირებს სარწმუნოება: ის ქრისტიანული რწმენით იბრძვის და საკუთარი ჯარის წარმატებას ღმერთს შესთხოვს.

მეორე ფაქტორია გუსტავის პიროვნება, რომელიც შემთხვევით არ გახვეულა მითოსურ საბურველში. ის სიცოცხლეშივე წარმოადგენდა განსაკუთრებულ შემთხვევას: პროტესტანტების თვალში ის იყო ზეკაცი, მათი განმათავისუფლებელი და გმირი. მართალია ამ მოსაზრებას კონტრარგუმენტებიც შეიძლება მოეძებნოს და მართლაც უნდა აღინიშნოს, რომ პროტესტანტებიც არ იყვნენ კმაყოფილნი მისი ზედმეტად გაძლიერებით და იოჰან გეორგ საქსონელი, თავად ლუთერანი, ხშირად იმპერიის მხარესაც გამოდიოდა ხოლმე, თუმცა უბრალო მებრძოლებსა და სამხედრო შენაერთების მეთაურებს შორის მაინც შეიმჩნევა ადფრთოვანება გუსტავის მიმართ. ეს უნდა არა მხოლოდ შვედებს, არამედ არმიაში მყოფ დაქირავებულებსაც, რაც კარგად ჩანს ამ წყაროშიც.

რობერტ მონრო გუსტავის დასახასიათებლად დადებით ეპითეტებს არ იშურებს. გუსტავი არის „დიდსულოვანი მეფე“, რომელიც ამქვეყნად არცერთ გენერალს არ ჩამოუვარდება თავისი სიბრძნით, სიმამაცითა და სიმარჯვით. ის არის „ბრწყინვალე“ და „უძლეველი“.

მონრო თავის მონათხრობში ხაზს უსვამს, რომ გუსტავი აქტიურად იყო ჩართული არმიის მოქმედებებში და პირადად განკარგავდა მათ. ის ეთათბირებოდა უმაღლეს სარდლებს, მათ თავის გეგმებს დეტალურად აცნობდა და მათ ფუნქციებსაც დაწვრილებით განიხილავდა. ის ასევე მიმართავდა ოფიცრებს და უხსნიდა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებისას. გუსტავი ბრძოლისას პირადად უძღვება კავალერიასაც და ინფანტერიის შენაერთებსაც. მას შემდეგ, რაც ბარონი ტიველი მოკლეს, გუსტავი პირადად მივიდა შოტლანდიელებთან, რათა ჰეპბერნისთვის ბრძანება გადაეცა. მტრის გაქცევის შემდეგ კი, გუსტავი კვლავ პირადად მივიდა მონროს ბრიგადასთან, რათა გამარჯვება საჯაროდ მიელოცა და ჯილდოს შეჰპირებოდა.

გუსტავის ამ ზომებს უკვალოდ არ ჩაუვლიათ. ბრაიტენფელდის ბრძოლაში მისმა

---

<sup>1</sup> Helfferich, Tryntje. The Thirty Years War: A Documentary History. Hackett Publishing Company, Indianapolis/Cambridge, 2009, გვ. 113-117

არმიამ შესანიშნავი დისციპლინა აჩვენა და წარმატებაც მოიპოვა. მონრო აღნიშნავს, რომ როდესაც იმპერიის ჯარებმა მათ ქვემეხები დაუშინეს, მათი ცხენოსნები და ქვეითები არ შედრკნენ. მაშინაც კი, როცა დანაკარგი დიდი იყო და მათ რიგებში გარღვევები შეინიშნებოდა, ოფიცრები უმაღლვე ავსებდნენ დანაკარგს და თავადაც არ ჰკარგავდნენ სიმტკიცეს. მძიმე ბრძოლების მიუხედავად, შოტლანდიელები მყარად იდგნენ და ერთი მუშკეტერიც არ დაეკარგათ. დისციპლინის ერთ-ერთი გამოხატულებაა ისიც, რომ გამარჯვების შემდგომ მხიარულებაში ჯარისკაცებს მაინც არ დაუღუვიათ სასმელი.

რობერტ მონროს მონათხრობიდან ჩანს, რომ შვედურ არმიამ გარკვეული როლი ეკავა რელიგიას, გუსტავის პიროვნება შვედებთან ერთად უცხოელ დაქირავებულებსაც ხიბლავდა, ის ხშირად პირადად ხელმძღვანელობდა ბრძოლის მიმდინარეობას და ამ ყველაფრიდან გამომდინარე მის არმიამ დისციპლინა საკმაოდ მაღალ დონეზე იყო.

გუსტავ II ადოლფი რომ დიდ ყურადღებას უთმობდა ზემოთ აღნიშნულ საკითხს, კარგად ჩანს 1632 წელს ინგლისურ ენაზე გამოსულ დოკუმენტში, სადაც აღმოსავლეთის ომის წესები შვედური არმიისთვის.<sup>1</sup> შესავალში გუსტავი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს წესები სავალდებულოა ყველასთვის, როგორც შვედებისთვის, ისე უცხოელებისთვის. შემდეგ კი მოცემულია წესები, სადაც ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ძალიან დიდი ადგილი ეთმობა რელიგიას და რელიგიური დისციპლინის ჩამოყალიბებას.

პირველივე წესი სარწმუნოებას ეხება და კრძალავს ნებისმიერი სახის კერპთაყვანისმცემლობასა და მაგიას. ასევე იკრძალება ღვთის გმობა, მკრეხელობა და მისი სახელით დაფიცება. რაც ყველაზე მთავარია, გუსტავი ავალდებულებდა ყველას, რომ დღეში ორჯერ, დილა-საღამოს დასწრებოდნენ ლოცვას, გაცდენის შემთხვევაში კი დასჯილიყვნენ. ლოცვები ინიშნებოდა საეკლესიო დღესასწაულების დროსაც. ეს ყველაფერი მეტყველებს, რომ, მიუხედავად გუსტავის არმიამ გარკვეული რაოდენობის კათოლიკეების ყოფნისა, რელიგია მაინც დიდ როლს თამაშობდა ჯარის ერთიანობის შენარჩუნებასა და მებრძოლთა დისციპლინის ამაღლებაში, რაც კარგად ესმოდა მეფეს.

ეს კანონები მკაცრად განსაზღვრავდა ჯარისკაცთა მოვალეობებსა და მათზე დაკისრებულ სასჯელსაც. მაგალითად, დასჯადი იყო ხმლის ამოღება გენერლის წინაშე ან სამართლის წარმოების ადგილას. აბსოლუტურად ყველა ჯარისკაცი ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო „შავ სამუშაოში“ (მაგალითად ფორტიფიკაციების აგებაში). სასჯელის ფორმებს შორის ძალიან ხშირია ხელის მოკვეთა და სიკვდილით დასჯა. მაგალითად, სიკვდილით ისჯებოდა ის, ვისაც საგუშაგოზე ჩაეძინებოდა ან დათვრებოდა.

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 125-137

მსგავსი ბედი ელოდათ იმათ, ვინც აჯანყდებოდნენ, ბრძოლის ველიდან გაიქცეოდნენ ან მტერთან დაიწყებდნენ არაოფიციალურ მოლაპარაკებებს.

საინტერესოა ისიც, რომ გუსტავი სიკვდილით დასჯით ემუქრებოდა ნებისმიერს, ვინც ქალს გააუპატიურებდა და ის ასევე კრძალავდა ბანაკში არათუ როსკიპების, არამედ დაუოჯახებელი ქალების ყოფნასაც, ასევე იკრძალებოდა თვითნებურად ცეცხლის გაჩენა და ძარცვა, რის აღმოჩენის შემთხვევაშიც ოფიცერს უფლება ჰქონდა ჯარისკაცი ადგილზევე მოეკლა.

აქედან ჩანს, რომ გუსტავი ყველაფერს აკეთებდა, რათა მისი მეომრები მორჩილებაში ჰყოლოდა და მათ ადგილობრივთა აწიოკება არ დაეწყოთ, თუმცა, ცხადია, მასაც კი არ შეეძლო ამის ბოლომდე აღმოფხვრა, რასაც მოწმობს ამ დოკუმენტის ინგლისური თარგმანის ავტორის მინაწერი.<sup>1</sup> ის აღნიშნავს, რომ 1631 წელს ბრანდენბურგის მარკაში გუსტავის ჯარისკაცები ძალიან თვითნებურად იქცეოდნენ, რამაც მეფე განარისხა და აიძულა, რომ ახალი წესები დაემატებინა, რათა კიდევ უფრო მკაცრად გასწორებოდა იმათ, ვინც ადგილობრივებს აწიოკებდა, ძარცვავდა და შენობებს, მათ შორის ეკლესიებსა და საავადმყოფოებს, ცეცხლს უკიდებდა. ამის მიუხედავად, სახეზეა გუსტავ II ადოლფის ავტორიტეტიც და მისი მცდელობებიც, რომ ამ ავტორიტეტის წყალობით ჯარი მაქსიმალურად მორჩილი ჰყოლოდა, რაც, ჩვენი აზრით, დიდ როლს თამაშობდა მის წარმატებებში 1630-1632 წლებში.

როცა დისციპლინაზე ვსაუბრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია ძარცვის საკითხისადმი ფრთხილი დამოკიდებულების შენარჩუნება, რადგან ღღევანდელი გადმოსახედიდან ვითარება შეიძლება სრულიად განსხვავებულად გამოიყურებოდეს, ვიდრე ამას თანამედროვენი ხედავდნენ. აქ ვგულისხმობთ ჰუგო გროციუსის კონცეფციას, რომელიც სამართლიანად მიიჩნევდა მოწინააღმდეგის გაძარცვას და მისი ტერიტორიის აოხრებას, თუ ამას სარგებელი მოაქვს ომის მსვლელობისას და ხელს უწყობს მის სწრაფად დამთავრებას.<sup>2</sup> ეს არ იყო მხოლოდ მისი იდეა. რეალურად იმ პერიოდის საზოგადოებისთვის ამგვარი საქციელი სრულიადაც არ იყო მიუღებელი და გუსტავის გულისწყრომას უფრო მეტად ჯარისკაცთა თვითნებობა და დაუმორჩილებლობა იწვევდა და არა მათ მიერ მტრის ტერიტორიისთვის მატერიალური ზარალის მიყენება.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ, გროციუსის აზრით, რასაც სამხედრო სარგებელი არ მოაქვს და განსაკუთრებით კი კულტურული თუ რელიგიური არტეფაქტები

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 135

<sup>2</sup> Grotius, Hugo. *The Rights of War and Peace*. Edited and with an Introduction by Richard Tuck, Liberty Fund, Indianapolis, 2005, თავი XII, სექცია I

ტყუილუბრალოდ არ უნდა გაანადგურო<sup>1</sup>, რასაც სავსებით ეხმიანება შვედური არმიის საქციელი. მათ დაიტაცეს დიდი რაოდენობით წიგნები, ნახატები და სხვა კულტურული ნიმუშები. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ისეთ ლიტერატურას, რომელსაც იდეოლოგიური დანიშნულება ჰქონდა. შესაბამისად, მათ საქციელს პრაქტიკული დანიშნულებაც ჰქონდათ: მათ იერიში მიჰქონდათ მტრების, კათოლიკეების, იდეოლოგიაზე. თანაც ეს არტეფაქტები არ გაუნადგურებიათ. მათი დიდი ნაწილი შვედეთში, უპსალას ბიბლიოთეკაში წაიღეს და შემოინახეს.<sup>2</sup> აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, დიდ სიფრთხილეს მოითხოვს ძარცვა-რბევის მაგალითებზე დაყრდნობით უდისციპლინობისთვის ხაზის გასმა, რადგან მართალია ეს ზოგჯერ თვითნებური საქციელი იყო, მაგრამ ხანდახან ეს თვით მეფის დავალებით ხორციელდება და პრაგმატული დანიშნულება ჰქონდა, რაც იმ პერიოდის საზოგადოებისთვის სავსებით ბუნებრივი იყო.

გუსტავის ერთ-ერთი ღირსება, რაც ზემოთ ერთხელ უკვე აღინიშნა, იყო მისი უშუალო ჩართულობა სამხედრო ოპერაციებში. ის ახალგაზრდობიდანვე თავად ედგა არმიას სათავეში და ხშირად თავს საფრთხეშიც იგდებდა ხოლმე, მაგალითად ის სარდლობდა ჯარს დანიისა (1611-1613) და რუსეთის (1610-1617) წინააღმდეგ წარმართულ ომებში, ასევე ჟეჩ-პოსპოლიტასთან ომში (1621-1629). პოლონეთში ყოფნისას ის ორჯერ დაიჭრა კიდეც: პირველად 1627 წლის ადრეულ ზაფხულში, დანციგის ალყის დროს დაიჭრა მუცელში, მეორედ 1627 წლის 7 აგვისტოს დირშაუს ბრძოლაში დაჭრეს მხარში.<sup>3</sup> მართალია სარდლობის ამგვარი მეთოდი ძალიან სარისკო იყო და საბოლოოდ გუსტავი სწორედ ამას შეეწირა ლიუტცენთან ბრძოლაში (1632), მაგრამ მისი აქტიურობა ბრძოლის ველზე და მუდმივად „ფრონტზე“ ყოფნა განაპირობებდა როგორც ჯარისკაცების ამადლებულ სულისკვეთებას, ისე მეფის მიერ გადაწყვეტილებების სწრაფად და ოპერატიულად მიღებას, რამაც, ჩვენი აზრით, დიდი როლი ითამაშა მის წარმატებაში.

გუსტავის რეფორმებისა და მისი ტაქტიკური უნარების ზენიტს წარმოადგენს ცნობილი ბრაიტენფელდის ბრძოლა 1631 წლის 7 სექტემბერს, ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მისი მოკლედ განხილვა. შეიძლება ითქვას, რომ ბრძოლა ორმა რამ გადაწყვიტა: შვედების დისციპლინამ და საარტილერიო ცეცხლმა. სწორედ მუშკეტერებისა და არტილერიის მხარდაჭერის მეშვეობით მოახერხეს მათ პაპენჰაიმის კირასირების დამარცხება მარჯვენა ფლანგზე. ამ დროს მარცხენა ფლანგზე საქსონიელები გაიქცნენ,

---

<sup>1</sup> იქვე, თავი XII, სექცია V-VII

<sup>2</sup> Wolke, Lars Ericson. Gustavus Adolphus, Sweden and the Thirty Years War, 1630-1632, Pen & Sword Military, Yorkshire – Philadelphia, 2022, გვ. 83-84

<sup>3</sup> იქვე, გვ. 44-45

თუმცა გუსტავ ჰორნის ბრწყინვალედ შესრულებულმა მანევრმა განაპირობა ის, რომ შვედები 90 გრადუსით შემობრუნდნენ და არ მისცეს ტილის საშუალება, რომ ფლანგებზე დასხმოდა თავს. საბოლოო შედეგი იყო ტილის დაჭრა და იმპერიის ჯარების სრული მარცხი.<sup>1</sup> ჩვენ ვეთანხმებით სვენ ლუნდკვისტის მოსაზრებას, რომ შვედების ტაქტიკა იყო თავდაცვითი და ისინი ძირითადად რეაგირებას ახდენდნენ ბრძოლის განვითარებაზე, რაც გამოიხატა კონტრშეტევის დაწყებით ჰაპენჰაიმის კავალერიის მარცხის შემდეგ და გუსტავ ჰორნის მანევრით.<sup>2</sup> ზემოთ მონროს ჩანაწერებზე საუბრისასაც კარგად გამოჩნდა როგორც შვედების ტაქტიკური უპირატესობა, ისე მათი დისციპლინა. აქედან გამომდინარე, რეფორმების შესახებ არსებული მითების მიუხედავად, მაინც სახეზეა მათი შედეგი და შვედური არმიის უპირატესობა ტაქტიკურ დონეზე.

ახლა კი უნდა შევეხოთ ომის სტრატეგიას, რაც, ჩვენი აზრით, ტაქტიკაზე უფრო დიდ როლს თამაშობდა ამ კონფლიქტის განმავლობაში. ამ პერიოდის სამხედრო ლიდერების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა ლოგისტიკა: არმიის მოსამარაგებლად და გამოსაკვებად საკმარისი რესურსების მოძიება და შემდეგ მათი მიწოდება თითოეული ჯარისკაცისთვის. მართალია ზოგიერთი ისტორიკოსი (მაგალითად დევიდ პაროტი) ზედმეტად მუქ ფერებში ხატავს სიტუაციას და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ არმიები უკიდურესად იყვნენ შეზღუდულნი თავიანთ სამოქმედო არეალში სწორედ ლოგისტიკური პრობლემების გამო,<sup>3</sup> მაგრამ მაინც ფაქტია, რომ ეს სერიოზულ წინაღობას უქმნიდა ნებისმიერ კამპანიას.

გუსტავის წარმატებების გასაღებიც სწორედ მის მოძრაობასა და ლაშქრობის მიმართულებაში უნდა ვეძებოთ, რაც განპირობებული იყო შვედეთის მზარდი არმიის მოთხოვნილებებით. გუსტავის მთავარი მიზანი ყოველთვის იყო სამი რამ: მტრის ჯარების განადგურება გენერალურ ბრძოლაში, მოკავშირეების შოვნა და მათი დახმარება და იმ პუნქტების (ქალაქების, მდინარეების) ხელში ჩაგდება, რომელიც მისი არმიის უზრუნველყოფისთვის აუცილებელი იყო. საგულისხმოა ისიც, რომ სხვა დიდ სარდლებთან შედარებით მას მაინცდამაინც ბევრი გენერალური ბრძოლა არ აქვს მოგებული: მის სახელს ძირითადად მხოლოდ ბრაიტენფელდთან მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვება უკავშირდება და ასევე ლიუტცენის ბრძოლა, სადაც შვედებმა, მეფის სიკვდილის მიუხედავად, მაინც გაიმარჯვეს. მას იმდენად ცოტა გენერალურ ბრძოლაში აქვს მიღებული

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 69-71

<sup>2</sup> სვენ ლუნდკვისტის მოსაზრება მოყვანილია იქვე.

<sup>3</sup> Croxton, Derek. „A Territorial Imperative? The Military Revolution, Strategy and Peacemaking in the Thirty Years War.” War In History vol. 5, issue 3 (July 1998), გვ. 255-257



მონაწილეობა, რომ ნაპოლეონს მისი რეპუტაცია გადაჭარბებულადაც კი ეჩვენება: „უბრალოდ შეხედეთ იმას, ვისაც გუსტავ დიდს უწოდებენ! 18 თვეში მან მოიგო ერთი ბრძოლა, წააგო მეორე და შეეწირა მესამეს! მან თავისი დიდება მართლაც რომ იაფად მოიხვეჭა...“<sup>1</sup>

რეალურად გუსტავის მთავარი მიღწევა არის 2 წლის განმავლობაში კამპანიის ორგანიზებულად წარმოება, არმიის არნახული ზრდა და მისი ეფექტური მომარაგება, რასაც ემატებოდა მეფის მხრიდან სიფრთხილისა და აგრესიული მოქმედების ოსტატური შეხამება. მისი კამპანია დაიწყო სტრატეგიული მდებარეობის მქონე ქალაქ შტრალზუნდის მხარდაჭერითა და მდინარე ოდერის ხელში ჩაგდების მცდელობით, რაც 1630 წლის 25 ივლისს ქალაქ შტეტინის მიმხრობით დასრულდა, რის შემდეგაც მათ უმაღლვე დაიწყეს გადასახადების აკრეფა მდინარეზე ვაჭრობიდან.<sup>2</sup>

მეკლენბურგისა და როსტოკის მიმართულებით წარუმატებელი შეტევების შემდეგ გუსტავმა აქცენტი იმპერიის ჯარების განადგურებაზე გადაიტანა, რაც მოახერხა კიდეც 27 დეკემბერს გარცის ბანაკის აღებით. აქ საგულისხმოა სურსათით და სხვა მარაგით დატვირთული 500 ვაგონის ხელში ჩაგდება.<sup>3</sup>

გამოზამთრებისა და ცოტაოდენი მანევრირების შემდეგ გუსტავმა გაილაშქრა ოდერის ფრანკფურტის წინააღმდეგ და აიღო კიდეც.<sup>4</sup> აშკარაა შვედების დაინტერესება მდინარეებით და შესაბამისად ჯარის მომარაგებით.

სწორედ ამას მოჰყვა ცნობილი ბრაიტენფელდის ბრძოლა 1631 წლის 7 სექტემბერს, რომელიც ზემოთ უკვე განვიხილეთ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბრძოლის მიზანი იყო იმპერიის ჯარის განადგურება და მოკავშირის, იოჰან გეორგ საქსონელის, შველა თუმცა აქაც ფიგურირებდა ლოგისტიკური ფაქტორი საქსონიის მიწა-წყლის სახით.<sup>5</sup>

გუსტავ II ადოლფი ბრაიტენფელდის შემდეგ დადგა არჩევანის წინაშე: მას ან უნდა გაეგრძელებინა წინსვლა ბავარიამი ან თავს დასხმოდა იმპერატორის მემკვიდრეობით მიწებს და განსაკუთრებით ვენას. ეს საკითხი განიხილეს ჰალეს საბჭოზე 15 სექტემბერს და გუსტავმა პირველი ვარიანტი აირჩია, ხოლო სილეზია და ვენა იოჰან გეორგ საქსონელს

---

<sup>1</sup> Talks of Napoleon at St. Helena with General Baron Gourgaud. Translated, and with Notes, by Elizabeth Wormeley Latimer, A.C. McClURG & CO, Chicago, 1903, გვ. 209

<sup>2</sup> Wolke, Lars Ericson. Gustavus Adolphus, Sweden and the Thirty Years War, 1630-1632, Pen & Sword Military, Yorkshire – Philadelphia, 2022, გვ. 60

<sup>3</sup> იქვე, გვ. 63

<sup>4</sup> იქვე, გვ. 65

<sup>5</sup> იქვე, გვ. 68

დაუთმო.<sup>1</sup> ისტორიკოსების ნაწილი ამას შეცდომად მიიჩნევდა და ომის მოგების გასაღებად ვენის აღება წარმოედგინა, თუმცა ჩვენ ამ მოსაზრების მიმართ სკეპტიკურად ვართ განწყობილი. პირველ რიგში, XVII საუკუნეში ვენა არ წარმოადგენდა ისეთ მნიშვნელოვან ცენტრს, როგორც მოგვიანო პერიოდებში (განსაკუთრებით XIX საუკუნეში). თან უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდის ომებში დედაქალაქის აღებას მაინცდამაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან თუ მტერს რჩებოდა ეფექტური ჯარი, სარდალი და ტერიტორია, რომელზეც მას მანევრირება შეეძლო, ის ომს აუცილებლად გააგრძელებდა. ამავე მოსაზრებას ავითარებს დერეკ კროქსტონი თავის ნაშრომში, სადაც ხაზს უსვამს, რომ დედაქალაქის აღებას 30-წლიან ომში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია, რაც გამოჩნდა კიდეც, როდესაც შვედებმა 1632 წელს მიუნხენი დაიკავეს. მისი აზრით, არც გენერალურ ბრძოლაში არმიის განადგურებას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რადგან მტერს მაინც რჩებოდა ციხე-სიმაგრეები და მას მაინც რჩებოდა ტერიტორია, სადაც შეეძლო ახალი ჯარის შეკრება. რეალურად ტერიტორიისა და, შესაბამისად, მომარაგების კონტროლი იყო გადამწყვეტი ფაქტორი ამ კონფლიქტში.<sup>2</sup>

ჩვენ მეტ-ნაკლებად ვიზიარებთ კროქსტონის კონცეფციას მხოლოდ იმ კორექტივით, რომ მოწინააღმდეგის არმიის განადგურებას მაინც ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან ასეთ ბრძოლებს ასევე გააჩნდათ დიდი პოლიტიკური გამომხმაურება და ერთ-ერთი საშუალება იყო მოკავშირეების მოსაზიდად, რაც კარგად გამოჩნდა ბრაიტენფელდის მაგალითზე. ასეთ ბრძოლას შეიძლებოდა დიდი რაოდენობით რესურსის ხელში ჩაგდებაც მოჰყოლოდა. თუმცა კროქსტონი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს რესურსების (სურსათ-სანოვავის, ფულისა და სამხედრო სამსახურისთვის შესაფერისი მამაკაცების) მნიშვნელობას: ისეთ ფართომასშტაბიან კონფლიქტში, როგორიც იყო 30-წლიანი ომი, სწორედ რესურსების ფლობა იყო გადამწყვეტი.

გუსტავ II ადოლფმა კარგად გააცნობიერა ეს და ზუსტად ამაშია მისი დამსახურება. სწორედ ამიტომ არ შეიძლება მისი შეფასება მხოლოდ ბრაიტენფელდითა და ლიუტცენით.

შვედების შემდგომი წინსვლაც ისევ მომარაგებაზე ზრუნვითაა აღსანიშნავი. მათ ხელში გადავიდა მდიდარი ჰამბურგი, აგრეთვე ერფურტი, სადაც მათ დიდი ლოგისტიკური ბაზა ჰქონდათ, ლაიფციგი და მაინის ფრანკფურტი. აღსანიშნავია, რომ გუსტავს ფრანკფურტის სავაჭრო საქონლის ხელში ჩაგდებაც სურდა, თუმცა ბიურგერების

<sup>1</sup> იქვე, გვ. 117-118

<sup>2</sup> Croxton, Derek. „A Territorial Imperative? The Military Revolution, Strategy and Peacemaking in the Thirty Years War.” War In History vol. 5, issue 3 (July 1998), გვ. 274

პროტესტის გამო იძულებული გახდა უკან დაეხია.<sup>1</sup>

გუსტავის სტრატეგიისთვის, როგორც უკვე ვახსენეთ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მდინარეების გაკონტროლებას. ამიტომ მისი შემდგომი ნაბიჯის – პფალცის, კერძოდ კი ჰაიდელბერგის მიმართულებით ლაშქრობის – ახსნა შეიძლება როგორც პოლიტიკური, ისე წმინდა სტრატეგიული კუთხით: მდინარე რაინის ხელში ჩაგდება დასავლეთ გერმანიის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო გზის კონტროლს ნიშნავდა. მისთვის იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ნაბიჯს, რომ ის არ მოერიდა ესპანეთთან კონფლიქტს და პოტენციურად საფრანგეთთან ურთიერთობის გაფუჭებასაც.<sup>2</sup> საინტერესოა, რომ ესპანეთსა და შვედეთს შორის ომის ოფიციალური გამოცხადება არასოდეს მომხდარა, რაც ნაწილობრივ სავაჭრო ინტერესებითაც იყო განპირობებული.<sup>3</sup>

გამოზამთრების შემდეგ გუსტავმა გააგრძელა სამხრეთ-დასავლეთით შეტევა, თუმცა ის ისევ და ისევ ზრუნავდა ზურგის გამაგრებასა და მომარაგების საქმის მოგვარებაზე.<sup>4</sup>

პარალელურად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეკლენბურგისა და პომერანიის პორტების დაკავება და მათი დაცვა, რაც საგანგებოდ გაუსვა ხაზი გუსტავმა, როცა თავის სარდალს, ოკე ტოტს დაავალა ამ ოპერაციების ხელმძღვანელობა.<sup>5</sup> განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ვისმარის პორტის ხელში ჩაგდებას, რაც მათ ლიუბეკის, მეკლენბურგისა და დანიის ზღვით გაკონტროლების საშუალებას მისცემდა.<sup>6</sup>

1632 წლის ზაფხულის კამპანიაც შვედური მომარაგების უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად და სწორედ ამიტომ დაიძრნენ შვედები აინბეკის, ჰილდესჰაიმისა და დუდერშტადტის წინააღმდეგ.<sup>7</sup> მეფე აქცენტს კვლავ მდინარე რაინის გასწვრივ საკუთარი ძალების კონსოლიდაციაზე აკეთებდა და ეს დავალება მან გუსტავ ჰორნს ჩააბარა.<sup>8</sup>

1632 წელსვე იმპერატორმა თავისი ჯარების სარდლად დააბრუნა თავისი ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სამხედრო მოღვაწე – ალბრეხტ ფონ ვალენშტაინი. ამ პერიოდის განხილვისას ის ხშირად გუსტავ II ადოლფის ჩრდილში ექცევა ხოლმე და არის იმის საფრთხე, რომ ვალენშტაინის ნიჭი მის ფონზე ვერ დავინახოთ. რეალურად ბოჰემიელი

---

<sup>1</sup> Wolke, Lars Ericson. Gustavus Adolphus, Sweden and the Thirty Years War, 1630-1632, Pen & Sword Military, Yorkshire – Philadelphia, 2022, გვ. 96-97

<sup>2</sup> იქვე, გვ. 125-126

<sup>3</sup> იქვე, გვ. 131

<sup>4</sup> იქვე, გვ. 120

<sup>5</sup> იქვე, გვ. 135

<sup>6</sup> იქვე, გვ. 96-97

<sup>7</sup> იქვე, გვ. 162

<sup>8</sup> იქვე, გვ. 163-164

სარდალიც კარგად ერკვეოდა საომარ სტრატეგიაში და დაინახა ის, რასაც გუსტავიც უდიდეს ყურადღებას უთმობდა: მომარაგებისა და კომუნიკაციის მნიშვნელობა.

სწორედ ამის გამო გადაწყვიტა ვალენშტაინმა მთავარსარდლის პოზიციაზე აღდგენის შემდეგ პირდაპირ საქსონიაზე შეტევა, რაც გამოიწვევდა გუსტავის არმიის მოწყვეტას მომარაგების ჯაჭვისგან. ბავარიის ჰერცოგთან შეერთების შემდეგ კი, ვალენშტაინმა გაამაგრა ალტე ვესტე, რითაც გუსტავი ფაქტობრივად ხაფანგში გამოიმწყვდია: მას იმპერიის ჯარები უნდა დაეძლია, რათა არმია შიმშილით არ ამოხოცილიყო.<sup>1</sup> ეს იყო ალბათ პირველი შემთხვევა, როდესაც იმპერიის ჯარებმა სერიოზული საფრთხე შეუქმნეს გუსტავის არმიის არსებობას და მართალია შვედეთის მეფემ მოახერხა წინააღმდეგობის დაძლევა, მაგრამ უკვე ცხადი ხდება ვალენშტაინის სამხედრო უნარების დონე ტილისთან და პაპენჰაიმთან შედარებით.

ვალენშტაინის სიფრთხილემ და დროის გაყვანის ტაქტიკამ შედეგი გამოიღო: გუსტავის არმია შიმშილისა და დეზერტირობის წყალობით იცლებოდა. მან სცადა მოლაპარაკება და იმპერიის ჯარების ბრძოლაში გამოწვევაც, მაგრამ ვალენშტაინმა თავი შეიკავა, ამიტომ გუსტავი იძულებული გახდა ნიურნბერგს გასცლოდა.<sup>2</sup>

მოვლენების შემდგომ განვითარებას მივყავართ 30-წლიანი ომის ერთ-ერთ გარდამტეხ მომენტამდე – ლიუტცენის ბრძოლამდე, რომლის წინაც კარგად გამოჩნდა ამ ორი გამორჩეული სარდლის სტრატეგიული აზროვნება. შეიძლება ითქვას, რომ ვალენშტაინსაც და გუსტავ II ადოლფსაც ერთდროულად ზუსტად ერთნაირი აზრი გაუჩნდათ, რამაც ფაქტობრივად გარდაუვალი გახდა მათ შორის გენერალური ბრძოლა. ორივე მათგანი გეგმავდა სტრატეგიულ ტერიტორიაზე შეჭრით მოწინააღმდეგე ეიძულებინა, რომ უკან მობრუნებულიყო: ვალენშტაინი საქსონიას უმიზნებდა, ხოლო გუსტავ II ადოლფი ავსტრიას (კერძოდ ვენას).<sup>3</sup> თუმცა აქ ვალენშტაინის გეგმა პირველად აღმოჩნდა უფრო წარმატებული: თუ გუსტავი იმპერიის ცენტრს უტევდა, რომლის დაკარგვაც მათთვის სერიოზული იდეოლოგიური მარცხი იქნებოდა, ბოჰემიელი სარდალი აქცენტს რესურსებსა და მომარაგებაზე აკეთებდა – თუ ის საქსონიას დაიკავებდა, გუსტავის არმია ფაქტობრივად სრულიად მოსწყდებოდა ჩრდილოეთ გერმანიას და იქ არსებულ შვედურ ბაზებს.

სწორედ ამ ნაბიჯმა განაპირობა ის, რომ გუსტავი იძულებული გახდა უკან მობრუნებულიყო და გენერალური ბრძოლა გაემართა, რომლის დეტალურ აღწერასაც აქ არ

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 150

<sup>2</sup> იქვე, გვ. 167

<sup>3</sup> იქვე, გვ. 167-169

შევუდგებით. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამ ბრძოლაში გამოჩნდა ვალენშტაინის ტაქტიკური უნარების შედარებითი სისუსტე, რაც გამოიხატა საკუთარი ძალების დაქსაქსვაში.<sup>1</sup> ბრძოლაში გადამწყვეტი როლი ითამაშა შვედურმა დისციპლინამ და გუსტავის მიერ სარდლობის საკუთარ თავზე აღება, რამაც მართალია მისი სიკვდილი გამოიწვია, მაგრამ ამავდროულად მარჯვენა ფლანგს არ მისცა საშუალება, რომ პაპენჰაიმის კავალერიის შეტევის გამო არეულიყო და გაქცევით მტრისთვის გზა გაეხსნა დანარჩენებისკენ.<sup>2</sup>

რეალურად ვინ გაიმარჯვა ბრძოლაში – შვედებმა, რომლებმაც მტერს უკან დახვეა აიძულეს თუ იმპერიამ, რომლის ყველაზე სახიფათო მტერი ბრძოლის ველზე დაეცა – მკითხველმა გადაწყვიტოს. ცხადია მხოლოდ ის, რომ 1632 წლის აგვისტო-ნოემბრის პერიოდმა კარგად გამოკვეთა, თუ რატომ იყო ალბრეხტ ფონ ვალენშტაინი იმპერიის ჯარების გამორჩეული სარდალი. მისმა სტრატეგიულმა უნარებმა და გადაწყვეტილებებმა არაერთხელ ჩააგდო გუსტავი საფრთხეში და საბოლოოდ მისი ირიბი დამსახურებაცაა „ჩრდილოეთის ლომის“ სიკვდილი, თუმცა აქვე კარგად გამოჩნდა, რომ ის მაინც უშვებდა რიგ ტაქტიკურ შეცდომებს და მას არ შეეძლო ინიციატივის ისე გამოყენება და ისეთი აგრესიული ნაბიჯების გადადგმა, როგორც გუსტავს ან თუნდაც პაპენჰაიმს.

საინტერესოა გუსტავ II ადოლფისა და შვედეთის ისტორიაში მეორე დიდი მხედართმთავარი მეფის, კარლ XII-ის შედარება. კარლ XII უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა XVIII საუკუნის დასაწყისში და რუსეთთან და პოლონეთთან თავისი ბრწყინვალე გამარჯვებებით მთელი ევროპის ყურადღება დაიმსახურა, მაგრამ, ჩვენი აზრით, მხედართმთავრული ნიჭით ის ჩამოუვარდებოდა თავის წინაპარს. კერძოდ მან არ გაითვალისწინა გუსტავის მთავარი შეგონება, რომ რუსეთი არის ის სახელმწიფო, რომელსაც არასოდეს არ უნდა ეომო. მან ასევე გამოიჩინა სერიოზული სტრატეგიული წინდაუხედაობა, როცა არ დაელოდა ჯარისა და სურსათის შევსებას და მათ გარეშე გადაუხვია სამხრეთით ივანე მაზეპასთან შესახვედრად. რეალურად მან სრულიად უგულებელყო მომარაგებისა და სტრატეგიის მნიშვნელობა და აქცენტი მხოლოდ ბრძოლაში მტრის განადგურებაზე გადაიტანა. ეს ყველაფერი კი არმიაში სურსათისა და ტანსაცმლის ნაკლებობითა და პოლტავასთან კატასტროფით დასრულდა. აქედან კარგად

---

<sup>1</sup> Dodge, Theodore Ayrault. Great Captains: a Course of Six Lectures showing the Influence on the Art of War of the Campaigns of Alexander, Hannibal, Caesar, Gustavus Adolphus, Frederick and Napoleon, Pickle Partners Publishing, 2016, გვ. 123

<sup>2</sup> Wolke, Lars Ericson. Gustavus Adolphus, Sweden and the Thirty Years War, 1630-1632, Pen & Sword Military, Yorkshire – Philadelphia, 2022, გვ. 176-177

ჩანს, რომ, მიუხედავად მისი ტაქტიკური ნიჭისა, კარლმა მაინც ვერ შეძლო ფართომასშტაბიანი კამპანიის წარმოება, რადგან მან არ გაითვალისწინა მისი უმთავრესი კომპონენტი და სწორედ განასხვავებს მას გუსტავისგან. საინტერესოა პარალელი ამ ორი მეფის აღსასრულს შორისაც. ორივე მათგანი ბუნდოვან ვითარებაში გარდაიცვალა მაშინ, როცა სერიოზული წარმატების მიღწევა შეეძლოთ თავიანთ ომებში, რაც არ გამორიცხავს გარეშე პირთა ხელს მათ სიკვდილში. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გუსტავ II ადოლფი და კარლ XII თავიანთ სიცოცხლეში მოწინააღმდეგეებისთვის განსაკუთრებით სახიფათო ძალას წარმოადგენდნენ.

გუსტავ II ადოლფი მართლაც რომ თავისი ეპოქის გამორჩეული მთავარსარდალია. მისი რეფორმების მნიშვნელობა და მათი წარმომავლობა ზოგჯერ კი არასწორადაა წარმოჩენილი მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული როგორც ტაქტიკა, ისე ომის სტრატეგიული მხარე, ამიტომ რთულია დავეთანხმოთ ნაპოლეონს, რომელიც აქცენტს გენერალური ბრძოლების რაოდენობაზე აკეთებს. რეალურად კონტინენტზე მცირე ჯარით გადასულმა შვედეთის მეფემ მოახერხა თავისი არმიის არნახულ ზომამდე გაზრდა, მისი ადმინისტრირებისა და მომარაგების შესანიშნავი სისტემის ჩამოყალიბება (რაშიც უდიდესი წვლილი მის კანცლერს, აქსელ ოქსენშერნას მიუძღვის) და ამ არმიით მთელი გერმანიის მასშტაბით ოპერაციების წარმოება. მას ვალენშტაინის სახით ნიჭიერი მეტოქე რომ არ გამოსჩენოდა, ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, მეტსაც მიაღწევდა და გერმანიის პროტესტანტებს თავისი ღროშის ქვეშ გააერთიანებდა, რა თქმა უნდა, თუ ამის ნებას რიშელიე დართავდა.

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ გუსტავ II ადოლფი სამხედრო ისტორიის მკვლევრებისთვის ფრიად საინტერესო პიროვნებაა, რომლის მოღვაწეობის ინტერპრეტირება სხვადასხვანაირად შეიძლება, რისთვისაც სასურველი იქნებოდა მისთვის მითოსური საბურველის მოხსნა და მისი სტრატეგიის თუ ტაქტიკის უფრო სიდრმისეულად შესწავლა.

## გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. Brnardic, Vladimir. Imperial Armies of the Thirty Years' War (1): Infantry and artillery. Osprey Publishing, 2009.
2. Brzezinski Richard, Hook Richard. The Army of Gustavus Adolphus (1): Infantry. Osprey Publishing, 2000.
3. Brzezinski Richard, Hook Richard. The Army of Gustavus Adolphus (2): Cavalry. Osprey Publishing, 1999.
4. Croxton, Derek. „A Territorial Imperative? The Military Revolution, Strategy and Peacemaking in the Thirty Years War.” *War In History* vol. 5, issue 3 (July 1998), გვ. 253-279 ბმული (დამოწმებულია 23.11.2023).
5. Dodge, Theodore Ayrault. Great Captains: a Course of Six Lectures showing the Influence on the Art of War of the Campaigns of Alexander, Hannibal, Caesar, Gustavus Adolphus, Frederick and Napoleon, Pickle Partners Publishing, 2016, გვ. 102-132.
6. Grotius, Hugo. The Rights of War and Peace. Edited and with an Introduction by Richard Tuck, Liberty Fund, Indianapolis, 2005.
7. Helfferich, Tryntje. The Thirty Years War: A Documentary History. Hackett Publishing Company, Indianapolis/Cambridge, 2009.
8. Parker, Geoffrey. „The “Military Revolution,” 1560-1660—a Myth?” *The Journal of Modern History*, Vol. 48, No. 2 (Jun., 1976), გვ. 195-214. ბმული (დამოწმებულია 23.11.2023).
9. Sharman, J.C. „Myths of military revolution: European expansion and Eurocentrism.” *European Journal of International Relations* (2017), გვ. 1-23. ბმული (დამოწმებულია 23.11.2023).
10. Talks of Napoleon at St. Helena with General Baron Gourgaud. Translated, and with Notes, by Elizabeth Wormeley Latimer, A.C. McClURG & CO, Chicago, 1903.
11. Wolke, Lars Ericson. Gustavus Adolphus, Sweden and the Thirty Years War, 1630-1632, Pen & Sword Military, Yorkshire – Philadelphia, 2022.

## საფრანგეთის 1759 წლის ბრიტანეთის დაპყრობის გეგმა

შვიდწლიანი ომი (1756-1763), ომი, რომელშიც ჩართული იყო მაშინდელი მსოფლიოს ყველა დიდი ძალა და რომელმაც მოიცვა სამი კონტინენტი (აზია, ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა). თავისი მამტაბებით იგი უპრეცედენტო ომი იყო, რომელმაც 800 000-დან 1 400 000-მდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და მთელ ევროპის კონტინენტზე სასურსათო და ეკონომიკური კრიზისი შექმნა,<sup>1234</sup> იგი თავის შიგნით მოიცავს ისეთ ომებს როგორებიცაა: ფრანგულ-ინდიური ომები, კარანტირული ომები, ანგლო-ესპანურ ომს, ე.წ ფანტასტიკურ ომს და პომერანიის ომს. იგი წინაპირობაა კაცობრიობის ისტორიაში ორი უდიდესი მოვლენის - ამერიკის დამოუკიდებლობისთვის ომის და საფრანგეთის დიდი რევოლუციის.

კონფლიქტი ისტორიოგრაფიაში ბევრი სახელითაა ცნობილი. ამერიკული ისტორიოგრაფია მას 9-წლიან ომს უწოდებს (ვინაიდან ამერიკის კონტინენტზე სამხედრო მოქმედებები 1754 წლიდან მიმდინარეობდა, ომის გამოცხადების გარეშე), ევროპული ისტორიოგრაფია მას 7-წლიან ომად მოიხსენიებს, სერ უინსტონ ჩერჩილი მას პირველ მსოფლიო ომს უწოდებდა<sup>5</sup> (იგივე აზრს ატარებს პაულ კენედი თავის წიგნში)<sup>6</sup>, ხოლო ზოგიერთი თანამედროვე ისტორიკოსი მას მოიხსენიებს როგორც “მსოფლიო ომი ნული”.

კონფლიქტი ნაწილია ე.წ “მეორე ასწლიანი ომის” რომელიც მიმდინარეობდა 1689 წლიდან (ზოგიერთი ისტორიკოსი ათვლას 1714 წლიდან იწყებს, თუმცა, ვფიქრობ უმჯობესია გამოყენებულ იქნას 1689 წელი, რადგან პერიოდიზაციის გარეთ არ დარჩეს ესპანური მემკვიდრეობისთვის ომი) 1815 წლამდე<sup>7</sup>. იგი მოიცავს ისეთ გარდამტეხ და

<sup>1</sup>Matthew White: “The great big book of horrible things”, გვ:112

<sup>2</sup>Dumas Samuel, K.O Vedel-Petersen: “Losses of life caused by war გვ:326-27

<sup>3</sup>Gaston Bodart: “Militar-historisches kreigs-lexikon(1618-1905) გვ: 40-42

<sup>4</sup>Smith Henry Williams: “The historians history of the world” გვ:225-227

<sup>5</sup>Winston S. Churchill: “The age of Revolution” გვ:148

<sup>6</sup>Kenedy Paul: The rise and fall of British Naval Mastery” გვ: 97-107

<sup>7</sup>Buffinton, Arthur, H.: “The second hundred years war” 1929, გვ:3



მნიშვნელოვან მომენტებს როგორებიცაა: ესპანური მემკვიდრეობის ომი, კოლონიური ომები, 7-წლიანი ომი, ამერიკის რევოლუციური ომი, საფრანგეთის რევოლუციური და ნაპოლეონის ომები. ტერმინი შემოიტანა ჯ.რ. სილიმ თავის ფუნდამენტურ ნაშრომში - “ინგლისის გაფართოება” და აღნიშნავს საფრანგეთ-ინგლისის დაპირისპირებას მსოფლიო ჰეგემონიისთვის<sup>1</sup>. იგი ინსპირირებულია საფრანგეთ-ინგლისის ადრეული დაპირისპირებით, რომელიც ცნობილია როგორც “ასწლიანი ომი”( 1337-1453).

“მეორე ასწლიანი ომის” გარდამტეხი მომენტი სწორედ 7 წლიანი ომია, ამ ომში გამარჯვების შემდეგ ინგლისი ზღვების უკონკურენტო ჰეგემონი გახდა, რამაც ხელი შეუწყო “ზღვის გადაღმა” ვაჭრობის მონოპოლიის ნელ-ნელა მის ხელეობში ჩავარდნას. ამ უკანასკნელმა კი თავის მხრივ ინგლისი ეკონომიკა მეთვრამეტე საუკუნის უძლერეს ეკონომიკად აქცია მსოფლიოში და მალევე აქცია “მსოფლიო სახელოსნოდ”. სწორედ აქედან იწყება მსოფლიოს მოქცევა დიდი ბრიტანეთის “კლანჭებში”.

ომის დაწყების მიზეზი წინა ევროპულ კონფლიქტში იმალება. როცა ფრიდრიხ დიდმა სილეზიის დაკავებით(1740 წლის 16 დეკემბერი) ავსტრიული მემკვიდრეობის ომი წამოიწყო(1740-1748)<sup>2</sup>. ალ-ლე შაპელის (აახენის) ზავმა (1748 წლის 24 აპრილი) ევროპაში ძალთა ბალანსი დაარღვია და ბიძგი მისცა ალიანსების გადასინჯვას, რაც ისტორიაში შევიდა როგორც “დიპლომატიური რევოლუცია”. ომმა ძველი მტრები მოკავშირეებად აქცია, საფრანგეთი, ავსტრია და რუსეთი ერთ ბლოკში აღმოჩნდნენ. არადა საფრანგეთ-ჰაბსბურგების დაპირისპირება საუკუნეებს ითვლიდა, ხოლო საფრანგეთს და რუსეთს რთული ურთიერთობები ჰქონდათ პოლონური მემკვიდრეობის ომის (1733-1735) შემდეგ. თუმცა, ბრიტანეთის და პრუსიის ძალის გამუდმებულმა და ჩქარმა ზრდამ ძველი მტრები შიშის ქვეშ გააერთიანა. საფრანგეთმა, რომელმაც ორი ახალი და ძალიან ძლიერი მოკავშირე შეიძინა დაინახა შესაძლებლობა მთავარი მეტოქის ბრიტანეთის დამარცხებისთვის, ავსტრიას ესმოდა რომ პრუსიის დამარცხება შეუძლებელი იყო მხოლოდ საკუთარი ძალებით, ხოლო რუსეთი დასავლეთით ზრდის და ბუნებრივი საზღვრების შექნას ცდილობდა. მთავარი დაპირისპირება მაინც საფრანგეთის და ბრიტანეთის ინტერესების კვეთა იყო. ეს ორი ქვეყანა ასრულებდა წამყვან როლს „ტრანსატლანტიკური“ ვაჭრობის საკითხში. ასევე, მზარდი კოლონიური იმპერიები ჰქონდათ და ხშირად მიწების გაყობასთან დაკავშირებით დავები ჰქონდათ. სწორედ ამ ორ ქვეყანას შორის დაპირისპირება გახდა ომის დაწყების მიზეზი.

<sup>1</sup> Seeley, J R: “The expansion of England Two courses of lecture” გვ:244

<sup>2</sup> Robert B. Asprey: “Frederick the Great; The Magnificent Enigma “2007, გვ:164

გარემოს დაძაბვა 1754 წლიდან დაიწყო, როცა ჩრ. ამერიკაში პრაქტიკულად სამხედრო შეტაკებები მიმდინარეობდა ბრიტანეთ-საფრანგეთს შორის, ყველა მხარემ ომისთვის დაიწყო მზადება. ყველას პრუსიის მეფემ ფრიდრიხმა დაასწრო, რომელიც 1756 წლის მაისში საქსონიაში შეიჭრა, ამას მოჰყვა საფრანგეთის მიერ ტულონში ჯარის შეგროვება, ამის საპასუხოდ კი 17 მაისს ბრიტანეთმა საფრანგეთს ომი გამოუცხადა. კაცობრიობის ისტორიაში პირველი გლობალური კონფლიქტი დაიწყო.

სანამ უშუალოდ გეგმაზე გადავალთ, უნდა განვიხილოთ თუ რამ მიიყვანა საფრანგეთის სამხედრო არისტოკრატია ასეთ ექსტრემალურ გადაწყვეტილებამდე. საქმე იმაშია, რომ ომის პირველ ეტაპზე საფრანგეთი იმარჯვებდა როგორც მიწაზე, ისე ზღვაზე. ფრანგულმა ფლოტმა შეძლო და დაამარცხა სამეფო ფლოტი ომის პირველ საზღვაო ბრძოლაში - მენორკასთან. თუმცა, საფრანგეთს კარგად ესმოდა, რომ საზღვაო გამარჯვებები დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ვინაიდან, ბრიტანეთს ჰყავდა ყველაზე ძლევამოსილი ფლოტი მსოფლიოში - 126 საბრძოლო ხომალდი, საფრანგეთის 78-ის წინააღმდეგ. ამიტომ, საფრანგეთმა აირჩია ევროპაში მოპოვებული გამარჯვებებით, რაც ბევრად მარტივი იყო ფრანგული ჯარისთვის, მოეყვანა ბრიტანეთი მოლაპარაკების მაგიდასთან, ხოლო, კოლონიებს მანამდე უნდა გაეძლოთ ინგლისელებისთვის.

სამაგიეროდ, ინგლისელებს ჰქონდათ სხვანაირი გეგმები. უნდა ითქვას, რომ ბრიტანეთი ომს შედარებით მოუმზადებელი შეხვდა, რადგანაც, პრემიერ მინისტრმა თომას ჰოლესმა - ნიუკასლის ჰერცოგმა ჩათვალა, რომ ახლად ჩამოყალიბებული ალიანსები ყველანაირ ომს ევროპაში დაასრულებდა<sup>1</sup>, მაგრამ შეცდა. ომი დაიწყო და საბოლოო მომენტში, რუსეთის იმპერატრიცამ ელიზაბედ პირველმა ბრიტანეთთან დადებული ხელშეკრულება დაარღვია და პრუსიასთან დაიწყო ომი. ამიტომ, სამხედრო კაბინეტმა გადაწყვიტა მიეღო უილიამ პიტ უფროსის სტრატეგია. თავიდან, ინგლისელები დაიკავებდნენ სტრატეგიულ ადგილებს საფრანგეთის კოლონიებში და მთელ თავის ძალებს იქ გადაისროდნენ, შემდეგ სამეფო ფლოტს უნდა დაეწყო საფრანგეთის პორტების ბლოკირება და მათი რეგულარული რეიდი. ამ ყველაფრის მიზანი იყო, დაეჩოქებინათ საფრანგეთის ეკონომიკა და ეიძულებინათ დანებებულიყო. რაც შეეხება კონტინენტს, პიტი თვლიდა რომ დიდი ჯარის შენახვა ძალიან ძვირი ჯდებოდა, ამიტომ ლონდონს უნდა გამოეყენებინა თავისი უზარმაზარი ფინანსური შესაძლებლობები და დაეფინანსებინა სხვა ქვეყანა, რომელთა ჯარის შენახვა ბევრად ნაკლები დაჯდებოდა. ამჯერად

<sup>1</sup>Anderson, Fred : „Crucible of War: The Seven Years' War and the Fate of Empire in British North America, 1754–1766“

ბრიტანეთმა არჩევანი შეაჩერა ყველაზე ნიჭიერ სარდალზე ევროპაში - ფრიდრიხ დიდზე.

1756 წელი აღინიშნა ფრიდრიხ დიდის გამარჯვებებით კონტინენტზე, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად ბრიტანეთი დამარცხებას დამარცხებაზე ღებულობდა ჩრდილოეთ ამერიკაში, სამეფო ფლოტს უჭირდა საფრანგეთის ფლოტის კონტროლი. იმავე დროს, ლონდონმა ვერ შეძლო ნიდერლანდების რესპუბლიკის მოთაფვლა.<sup>1</sup>

1757 წელს ფრიდრიხ დიდის მდგომარეობა დამძიმდა, ვინაიდან ომში ჩაება რუსეთი, თუმცა, საბოლოო გამარჯვებას პრუსიაზე მოკავშირეები ვერ აღწევნენ, მოკავშირეების ზარალი იზრდებოდა, მაგრამ, ბრიტანული ფული ფრიდრიხ დიდის მარაგებს ავსებდა. ამასთან ერთად, იმატა ინგლისის მიერ მოგებულმა ბრძოლების რაოდენობამ ზღვების გადაღმა.

1758 წელი საფრანგეთისთვის ნამდვილად იმედგამაცრუებელი წელი გამოდგა. უზარმაზარი დანაკარგები, რეალური შედეგების გარეშე. ინგლისის გაძლიერება ზღვებზე, ქვეყანას ფინანსურ გაკოტრებას უქადდა, ამიტომაც ლუი მეთხუთმეტემ გაათავისუფლა მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრე ფლერი და შეცვალა ეტიენ ფრანსუა შუაზელით, რომელიც გახდა ბრიტანეთის დაპყრობის გეგმის სულის ჩამდგმელი.

ახალ მინისტრს საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა ერგო, პრუსიაში საომარ მოქმედებებს ბოლო არ უჩანდა, ზღვებზე და კოლონიებში ფრანგთა პოზიციები უფრო და უფრო სუსტდებოდა, ხაზინას კი დიდხანს არ შეეძლო ომის მანქანის გამოკვება. ამიტომ, აუცილებელი იყო დარჩენილი რესურსების ყველაზე ოპტიმალურად გამოყენება. ყველასთვის კარგად ნაცნობი ფაქტი იყო, რომ პრუსიას ბრიტანეთის მხარდაჭერა აცოცხლებდა, შესაბამისად თუ მას მთავარ მოკავშირეს ჩამოაცილებდნენ, იძულებული გახდებოდა დანებებულიყო. რაც შეეხება მთავარ მოწინააღმდეგეს, ფრანგულ ფლოტს სამეფო ფლოტის დამარცხება არ შეეძლო, სამაგიეროდ, მიწაზე ფრანგთა გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა. ამიტომ მან გადაწყვიტა ინგლისი დაემარცხებინა არა კოლონიებში, არამედ თავისივე კუნძულზე. შუაზელის გეგმა მარტივი იყო. მას არ უნდოდა გაემეორებინა ესპანური არმადის და წინა გეგმის (1744) ბედი. ამიტომ, ჯარის გადასხმაში დიდ საბრძოლო გემებს მონაწილეობა არ უნდა მიეღოთ. მათი დავალება იქნებოდა ღია ზღვაში, ან ფრანგულ პორტებთან შებრძოლებოდნენ სამეფო ფლოტს, სანამ საფრანგეთი 100 000 კაცს გადასხამდა სამხრეთ ინგლისში და სწრაფ გამარჯვებას მოიპოვებდა. ეს შესაძლებელი გახდა, იმიტომ რომ ბრიტანეთის მთავარი ძალები კოლონიებში იბრძოდნენ, ხოლო კუნძულებზე დიდი ჯარი არ იმყოფებოდა. გარდა ამისა, ფრანგული

<sup>1</sup>Carter, Alice Clare. *"The Dutch Republic in Europe in the Seven Years'გვ:90-102*

ჯარი ბრიტანულთან შედარებით ძლიერი იყო. სიმარტივეს თან ახლდა საფრთხე, ვინაიდან დაუცველი გადამზიდი გემები მარტივი სამიზნე იქნებოდა ბრიტანული სამხედრო გემებისთვის, ამიტომ შუაზღვის გეგმა მთლიანად დამოკიდებული იყო სისწრაფეზე, ერთი შეცდომაც და გეგმა ჩავარდებოდა.

საფრანგეთმა დაიწყო გადამყვანი ფლოტის შენება, თითქმის ყველა მთავარ პორტში, რაც მთავრობას დაახლოებით 30 მილიონი ლივრი დაუჯდა.<sup>1</sup> შედეგად კი 325 გემი აიგო. 48 000 ჯარისკაცი მალევე მოიძებნა, საჭირო იყო მხოლოდ რიგების შევსება, პარალელურად დაიგეგმა ჰანოვერზე შეტევა, რათა არ მომხდარიყო ჰანოვერის დამცველი ჯარის კუნძულებზე გადასხმა. შუაზღვმა გადაწყვიტა მთავარი გადასხმა მომხდარიყო ლე-ავრიდან, მაშინ როცა დიუნკერკიდან მოხდებოდა მცირე არმიის გადაყვანის მცდელობა როგორც დივერსია.

ამასობაში არც ბრიტანელები ისხდნენ გულხელდაკრეფილნი. კარგად გამართული აგენტების ქსელის დახმარებით, მათ კარგად იცოდნენ ფრანგების განძრახვების შესახებ. სამხედრო კაბინეტი შეიკრიბა სავარაუდო შემოჭრის განსახილველად, მაგრამ მალევე უარყვეს რაიმე სერიოზული ნაბიჯების გადადგმა, ვინაიდან გეგმა არ ჩაითვალა სახიფათოდ, რადგან არსებული სტრატეგია ისედაც შეაჩერებდა გადმოსხმის ყველა მცდელობას. კოლონიებიდან ან ჰანოვერიდან ერთი ჯარისკაციც არ გადმოუსროლიათ. სამაგიეროდ, ყოველი შემთხვევისთვის, მიიღეს მილიციის აქტი, რითაც შეიქმნა საკმაოდ დიდი მილიცია, რომელსაც უნდა დაეცვა კუნძულები, ასევე, 10 000 რეგულარული სამხედრო მზად იყო ფრანგებს შეხვედროდა.

თუმცა, არცერთი მათგანი საჭირო არ გახდა, 1759 წლის დასაწყისში, სერ ედუარდ ჰაკმა მოულოდნელი რეიდი მოაწყო ლე-ავრზე, რამაც ფრანგთა სატრანსპორტო გემების რაოდენობა დიდად შეამცირა.<sup>2</sup> ამის შედეგად გეგმა გადაიღო შემოდგომისთვის. 15 ოქტომბერს ფრანგებს ხელსაყრელი მომენტი მიეცათ, ვინაიდან ბრიტენთის ფლოტმა ბლოკადა შეწყვიტა შტორმის გამო. მაგრამ შუაზღვმა ჩათვალა, რომ ფლოტი ჯერ მზად არ იყო. ისმის კითხვა რა სჭირდა ფლოტს? საქმე იმაშია, რომ ზაფხულში სამეფო ფლოტმა ფრანგულ ფლოტი დაამარცხა ლაგოსის ბრძოლაში (18-19 აგვისტო), 20 ოქტომბერს კი სამეფო ფლოტმა ბლოკადა განაახლა. საბოლოოდ, ფრანგების ყველა იმედი დასამარდა 20 ნოემბერს, როცა სამეფო ფლოტმა კიდევ ერთი მასიური დამარცხება აგემა საფრანგეთის ფლოტს კუიბერონის ყურეში. გეგმა უვადოდ გადაიღო.

<sup>1</sup>McLynn, Franck (2005). "1759: the Year Britain Became Master of the World." London: Pimlico გვ:231-232

<sup>2</sup>McLynn, Franck (2005). "1759: the Year Britain Became Master of the World." London: Pimlico გვ:238

ისმის კითხვა იყო კი გეგმის განხორციელება შესაძლებელი? თეორიულად კი, მაგრამ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ფრანგების მთავარი გათვლა იყო სწრაფ გამარჯვებაზე, რისი გარანტიაც პრაქტიკულად არ არსებობდა. ინგლისურ საზოგადოებაში უკვე მყარად იყო გამჯდარი, რომ კუნძული ეკუთნოდა ინგლისს და ყველა უცხოური ძალისთვის, რომელიც იქ შეჭრას გადაწყვეტდა, უნდა განედევნათ. ეს გამოიხატა მილიციის აქტივით, სადაც მრავალი მოხალისე შევიდა. მართალია, საფრანგეთის არმია უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ბრიტანეთის, მაგრამ გრძელ ომში გამართული ლოჯისტიკის გარეშე ის დამარცხდებოდა, ვინაიდან სამეფო ფლოტს თავისუფლად შეეძლო ლა-მანშის გადაკეტვა. საფრანგეთს მთელი თავისი ძალებიც რომ მიემართა ზღვისკენ მაინც დამარცხდებოდა. ბრიტანული გემთმშენებლობა უფრო განვითარებული იყო, ვიდრე ფრანგული. ამას გარდა, საფრანგეთს უკვე ამოწურული ჰქონდა ყველა თავისი რეზერვი, მაშინ როცა ლონდონში არსებულ საბანკო სისტემას ჯერ კიდევ შეეძლო ომის დაფინანსება. არ უნდა დავგავიწყდეს სხვა ფაქტორებიც, ფრანგებს თითქმის დაკარგული ჰქონდა კონტროლი კოლონიებზე, შესაბამისად მოწყვეტილი იყო აუცილებელი რესურსებისგან, მაშინ როცა ინგლისს პრაქტიკული კონტროლი ჰქონდა აღებული მთელს კანადაზე. 1759 წელი ისედაც აღინიშნა ბრიტანეთის გამარჯვებებით ყველა ფრონტზე, ამიტომაც უწოდა 1759 წელს ფრანკ მაილანმა, „წელი როცა ბრიტანეთი გახდა მსოფლიოს ბატონი“. ამას ემატება წმინდა სამხედრო ფაქტორებიც, თავად კუნძულებზე ბრიტანეთი უფრო სწრაფად მიიღებდა შევსებას, უფრო ახლოს იქნებოდა მომარაგებასთან და რაც მთავარია ჯარის მორალი ბევრად მაღალი იქნებოდა, რადგან ისინი უშუალოდ იბრძოდნენ საკუთარი სახლების დაცვისთვის. ბევრი ამ სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო გეგმა თავიდანვე იყო განწირული და მხოლოდ წარმოაჩინა რამდენად უჭირდა საფრანგეთს.

საბოლოო ჯამში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფრანგების გეგმა ნაკლებად რეალისტური იყო და რეალობაში მოყვანის შემთხვევაშიც ნაკლებად იმუშავებდა. დარწმუნებით ამის თქმა შეუძლებელია, მაგრამ ყველანაირი წინაპირობა ამისკენ მიგვითითებს. საფრანგეთში ეს გეგმა მხოლოდ იმიტომ ჩამოყალიბდა, რომ უკვე ცხადი გახდა რომ თუ არაფერი შეიცვლებოდა ინგლისი ომს მოიგებდა.

### გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. Anderson, Fred : „Crucible of War: The Seven Years' War and the Fate of Empire in British North America, 1754–1766“, 2007, Vintage Random House.
2. Buffinton, Arthur, H.: “The second hundred years war” 1929, HenryHolt and company, New York.
3. Carter, Alice Clare. “*The Dutch Republic in Europe in the Seven Years' War.*”1971, MacMillan, New York.
4. Dumas Samuel, K.O Vedel-Petersen: “Losses of life caused by war”, 1923, The Clarendon press, London.
5. Gaston Bodart: “Millitar-historisches kreigs-lexikon(1618-1905), 1908, C.W Stern, Vienna.
6. Kenedy Paul: “The rise and fall of British Naval Mastery” 2001, Penguin inlibrary, London.
7. McLynn, Franck (2005). “1759: the Year Britain Became Master of the World.” London: Pimlico
8. Matthew White: “The great big book of horrible things”, 2011, W.W. NORTON and company, New York.
9. Smith Henry Williams: “The historians history of the world” 1904, The encyclopedia britanica, London.
10. Robert B. Asprey: “Frederick the Great; The Magnificent Enigma “2007, Ticknors and Fields, Lincoln.
11. Seeley, J R: “The expantion of England Two courses of lecture” 1901, MACMILLAN AND CO, New York.
12. Winston S. Churchill: “The age of Revolution” 1956, McClelland and Stewart, Toronto.

## ხანჯლების შეთქმულება – ნაპოლეონის მკვლელობის კონსპირაციული მცდელობა

1799 წლის 18-19 ბრიუმერის (9-10 ნოემბრის) სახელმწიფო გადატრიალების შედეგად საფრანგეთის პირველ რესპუბლიკაში დამყარდა კონსულატი, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლება გადაეცა სამ კონსულს, რეალური ხელისუფლება კი გადავიდა პირველი კონსულის-ნაპოლეონ ბონაპარტის ხელში.

რევოლუციურ ომებში სახელგანთქმული გენერლის საფრანგეთის სათავეში მოსვლა ევროპის დიდი სახელმწიფოებისთვის ნამდვილი განგაშის სიგნალი აღმოჩნდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ნაპოლეონმა 1800 წლის მაის-ივნისის მარენგოს ბრწყინვალე კამპანიით ავსტრია მეორე ანტიფრანგულ კოალიციას ჩამოაცილა. ანტიბონაპარტისტული პოლიტიკით განსაკუთრებით გამოირჩეოდა დიდი ბრიტანეთი და მისი კონსერვატორი პრემიერ-მინისტრი უილიამ პიტ-უმცროსი. ტრაფალგარის ბრძოლის შემდეგ პიტის გამოსვლა პარლამენტში ანტიბონაპარტისტული პოლიტიკის აპოგეად იქცა. ამ გამოსვლით პიტმა მთლიან ევროპას მოუწოდა „ტირანი ბონაპარტის“ წინააღმდეგ გაერთიანებისკენ.<sup>1</sup> პიტი კარგად ხვდებოდა, რომ ევროპაში ჰეგემონობის დამყარების შემდგომ საფრანგეთი უზომოდ გაძლიერდებოდა და აუცილებლად შეეცდებოდა დიდ ბრიტანეთს კოლონიზაციაში. პიტს და ბრიტანეთის მთავრობას კი სურდა ეს მცდელობა დასაწყისშივე ჩაეკლა.

საზღვაო ოპერაციების, ფრანგული პორტების ბლოკადის და საფრანგეთის მტრების დაფინანსებასთან ერთად ბრიტანეთი ცდილობდა ნაპოლეონი ომის გარეშე და ბევრად უმტკივნეულოდ მოეშორებინა. ბრიტანეთში კარგად ხვდებოდნენ, რომ კონსულატის მმართველობის სისტემა მთლიანად ნაპოლეონზე იყო დამყარებული და მისი სიკვდილის შემთხვევაში მთლიან სისტემას და საფრანგეთის ძლიერებას ჩამოშლა ელოდა. ამიტომაც, ბრიტანეთი აქტიურად აფინანსებდა ფრანგ როიალისტებს და რადიკალ რესპუბლიკელებს (ნეოიაკობინელებს), რათა მათ მოეწყობა ნაპოლეონის მკვლელობის მცდელობები. ისტორიკოს ფილიპ დვაიერის ცნობით, მისი მმართველობის პერიოდში ნაპოლეონზე

<sup>1</sup> Hague William, 2004, William Pitt the Younger, London, Harper Collins/publishers, 565.

განხორციელდა 20-დან 30-მდე მკვლელობის მცდელობა.<sup>1</sup>

თვითონ ნაპოლეონის მტკიცებით, 19 ბრიუმერს ხუთასთა საბჭოს დეპუტატები ხანჯლით ცდილობდნენ მის მოკვლას,<sup>2</sup> თუმცა თანამედროვე ისტორიოგრაფია ეჭვქვეშ აყენებს ამ ვარაუდს და მას „ნაპოლეონის მითის“ ნაწილად თვლის.<sup>3</sup>

ნაპოლეონის მსახური კონსტანის ცნობით კი, მალმესონის სასახლეში სცადეს ნაპოლეონის მოწამვლა.<sup>4</sup> ჟოზეფ ფუშეს მემუარების თანახმად კი ნეოიაკობინელებმა, ჟუვენოს მეთაურობით სცადეს მალმესონის სასახლესთან ნაპოლეონის კარეტისთვის ამბუშის მოწყობა და მისი მკვლელობა, თუმცა უშედეგოდ.<sup>5</sup> დაპატიმრების მიუხედავად, ფუშემ მათგან დამკვეთის ვინაობის აღიარება მაინც ვერ მიიღო,<sup>6</sup> თუმცა სავარაუდოდ ისინი სწორედ ბრიტანული ფულით ფინანსდებოდნენ.

ამ კუთხით გამორჩეულად ნაყოფიერი აღმოჩნდა 1800 წლის სექტემბერ-დეკემბრის პერიოდი. განსაკუთრებით საინტერესოა 1800 წლის 10 ოქტომბერს (რევოლუციური კალენდრით IX წლის 18 ვანდემიერს) მომხდარი ე.წ. „ხანჯლების შეთქმულება“, რომელსაც მეორენაირად „ოპერის შეთქმულებასაც“ უწოდებენ. მისი ბევრი დეტალი დღემდე ბურუსითაა მოცული, რაც ისტორიოგრაფიაში მრავალი დავის და ინტერპრეტაციის წყარო გახდა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ხანჯლების შეთქმულება“ ერთ-ერთ ყველაზე კონსპირაციულ მკვლელობის მცდელობას წარმოადგენს ისტორიაში.

შემთხვევის შესახებ პირველწყაროს ძირითადად წარმოადგენს საფრანგეთის პოლიციის მინისტრის ჟოზეფ ფუშეს და ნაპოლეონის ბავშვობის მეგობრის და მდივანის ლუი-ანტუან ბურიენის მემუარები.

1800 წლის სექტემბრის შუა ხანებში, სამხედრო კომისიონერ ლეფევრის საშუალებით ლუი ბურიენს დაეკონტაქტა ნაპოლეონის წინააღმდეგ შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე ჰარელი, რომელმაც გადაწყვიტა ეღალატა თანამებრძოლებისთვის და საკუთარი უსაფრთხოების შენარჩუნების პირობით ბურიენს და პოლიციის მინისტრ ფუშეს

<sup>1</sup> Dwyer Philipp, 2013, Citizen Emperor: Napoleon in power, London, Yale University Press, 54.

<sup>2</sup> Gourgaud Gaspard, 1823, Memoirs of the History of France during the Reign of Napoleon, dictated by the Emperor at St. Helena, vol.1, London, Henry Colburn and Co, 103-104.

<sup>3</sup> Roberts Andrew, 2014, Napoleon: A life, New York, Penguin Group, 225.

<sup>4</sup> Wairy Louis Constant, 1896, Memoirs of Constant, the Emperor Napoleon's head valet, containing details of the private life of Napoleon, his family and his court, translated by Henry Pickerton, vol.I, London, 36-38.

<sup>5</sup> Fouche Joseph, 1825, The Memoirs of Joseph Fouche Duke of Otranto minister of the General Police of France, Boston, Wellis and Lilly, 128.

<sup>6</sup> Gaffarel Antoine, 1887, L'opposition republicaine sous le consulat, published in La Revolution francaise revue historique vol,7, No.6, 549.



დეტალური ინფორმაცია მიაწოდა შეთქმულების მიმდინარეობის, გეგმის და მონაწილეების შესახებ.

ისტორიოგრაფიაში არსებული ცნობებით შეთქმულების მონაწილეები იყვნენ<sup>1</sup>: ადიუტანტი ჟოზეფ-ანტუან არენა,<sup>2</sup> იაკობინელი პოლიტიკოსის ბერტრან ბარერის ყოფილი მდივანი „საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტში“ დომინიკ დემერვილი, დამერვილის მზარეული და ჭორების თანახმად მისი საყვარელი მადამ ფუმეი (შემდგომში გათავისუფლებული), იტალიელი რესპუბლიკელი ჯუზეპე დიანა (შემდგომში გათავისუფლებული), 67 წლის მოქანდაკე არმან დაიტეგი (შემდგომში გათავისუფლებული), 66 წლის ვაჭარი დენის ლავინი (შემდგომში გათავისუფლებული), იტალიელი მოქანდაკე და აქტიური რესპუბლიკელი ჯუზეპე ჩერაკი (1798-99 წლებში არსებული რომის რესპუბლიკის ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი), ცნობილი მხატვარი და რევოლუციური ტრიბუნალის ყოფილი წევრი ფრანსუა ტოპინო-ლებრუნი (მხატვარ ჟაკ-ლუი დავიდის ყოფილი მოსწავლე). ლებრუნს და ჩერაკს ეკუთვნით 1800 წლის აპრილში ალპების გადალახვის დროს ცხენზე ამხედრებული ნაპოლეონის ლეგენდარული და პოპულარული პორტრეტის ვერსიები.<sup>3</sup> შეთქმულთა ჩამონათვალთან კარგად ჩანს, რომ პოლიტიკური მრწამსით ისინი იყვნენ რადიკალი რესპუბლიკელები-ნეოიაკობინელები, (მათ ნაწილი სულაც იაკობინელთა ჯგუფის ყოფილი წევრები), რომლებიც ნაპოლეონს რესპუბლიკის დალატში და ძალაუფლების უზურპაციაში სდებდნენ ბრალს.

შეთქმულებით ცხადია დაინტერესდა მისი ერთადერთი სამიზნე-პირველი კონსული ნაპოლეონი. ის აქტიურად მონაწილეობდა ფუმესთან ერთად შეთქმულების ლიკვიდაციის დაგეგმვაში. მათი გეგმით დიდი ფულის მიღების სანაცვლოდ ჰარელს დაევალა შეთქმულებთან თანამშრომლობის გაგრძელება, რათა პოლიციას შესძლებოდა მათთვის მანის დაგება და მთლიანი შეთქმულების ქსელის გამოაშკარავება და უკლებლივ ყველა მათგანის დაპატიმრება. ჰარელის გაკონტროლება დაევალათ პარიზის პოლიციის

---

<sup>1</sup>Saint Hilaire Emile Marco de, 1849, *Historie des conspirations et des executions politiques*, vol. III, Paris, Gustave Havard, 228-235; Pujol Jules-Edouard alboize de, Maquet Auguste, 1845, *Les prisons de l'Europe*, vol. III, Paris Administration de la librairie, 143-146, 217; Capefigue Jean Baptiste Honore Raymond, 1842, *L'Europe pendant le Consulat et l'Empire de Napoleon*, vol.III, Bruxelles, Wouters, Raspoet et Cie, 33-37.

<sup>2</sup>წარმოშობით კორსიკელი, რომლის ძმაც ბართელემი არენა იყო „ხუთასთა საბჭოს“ დეპუტატი და აქტიურად უპირისპირდებოდა ნაპოლეონს 19 ბრიუმერს სახელმწიფო გადატრიალების დროს. ის და მისი ძმა იყვნენ კორსიკაზე ნაპოლეონის მოწინააღმდეგეების პასკუალე პაოლის და კარლო-ანდრეა პოცო დი ბორგოს ერთგული მომხრეები.

<sup>3</sup>Dwyer Philipp, 2013, *Citizen Emperor: Napoleon in power*, London, Yale University Press, 39-40

პრეფექტს ღუბუას და უშიშროების სამსახურის გენერალს ჟან ლანს.<sup>1</sup>

შეთქმულები ნაპოლეონის მკვლელობას აპირებდნენ 10 ოქტომბრის საღამოს, მაშინ როდესაც პარიზის ოპერის თეატრში უნდა დაედგათ ანტონიო სალიერის ტრაგედია „ჰორაციები“. შეთქმულებმა მთლიანი საფრანგეთის მსგავსად მშვენივრად იცოდნენ ნაპოლეონის სიყვარული ოპერებისადმი. ის პარიზის ოპერის თეატრის ხშირი სტუმარი გახლდათ და შესაბამისად არც ამ მნიშვნელოვან სპექტაკლს არ გამოაკლდებოდა. ერთ-ერთ მათგანს სპექტაკლის შემდგომ ნაპოლეონი ხანჯლით უნდა მოეკლა.

ოპერაში მიმდინარე მოვლენები კი მოგვითხრო ლუი ბურიენმა საკუთარ მემუარებში: „10 ოქტომბრის დილას მეორე და მესამე კონსულები (ჟან-ჟაკ რეჯის დე კამბასერესი და შარლ-ფრანსუა ლებრუნი) შეიკრიბნენ მათი კოლეგის (ნაპოლეონის) კაბინეტში. ბონაპარტმა მათ ჩემი თანდასწრებით ჰკითხა, ღირდა თუ არა ოპერის თეატრში წასვლა. მათ შენიშნეს, რომ რადგან უსაფრთხოების ყველა ზომა მიღებული იყო, არანაირი საშიშროება არ არსებობდა და სასურველი იყო ყველასთვის ეჩვენებინათ პირველი კონსულის მკვლელობის მცდელობის კრახი. სადილის შემდგომ ბონაპარტმა დიდებული პალტო მოისხა მწვანე უნიფორმაზე და ჩემთან და დიუროკთან (ნაპოლეონის ადიუტანტი და ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი) ერთად კარეტაში ჩაჯდა. თეატრში ის დაჯდა თავისი ლოჟის წინა მხარეს, ლოჟა კი იმ დროს მდებარეობდა თეატრის მარცხენა მხარეს, ორ სვეტს შორის, რომელიც ყოფდა წინა და უკანა ლოჟებს. საათ-ნახევრის მანძილზე თეატრში ყოფნის შემდეგ, პირველმა კონსულმა მიბრძანა წავსულიყავი და მენახა რა ხდებოდა ვესტიბიულში. მე მომიწია ლოჟიდან გამოსვლა, შემდგომ კი გავიგონე ძლიერი ხმაური და აღმოვაჩინე, რომ რამდენიმე ადამიანი, რომელთა სახელების გაგებაც ვერ შევძელი, დაეპატიმრებინათ. ეს ინფორმაცია შევატყობინე პირველ კონსულს და ჩვენ დაუყოვნებლივ დავბრუნდით ტიულრის სასახლეში“. <sup>2</sup> ბურიენი დარწმუნებული იყო, რომ ეს დაპატიმრებული ადამიანები, სწორედ ჰარელის მიერ წაქეზებული შეთქმულები იყვნენ და მისი ვარაუდი აბსოლიტურად სწორი აღმოჩნდა.

შეთქმულები ოპერის თეატრის შესასვლელთან დააპატიმრეს.<sup>3</sup> დაპატიმრებულთა შორის იყვნენ ჯუზეპე დიანა, ჯუზეპე ჩერაკი, ფრანსუა ლებრუნი და დომინიკ დამერვილი.

<sup>1</sup> Boshier J.F. 1973, French Government and society 1500-1850, London, the Athlone press, 301.

<sup>2</sup> Bourienne Louis Antoine Fauvelet de, 1905, Memoirs of Napoleon Bonaparte, New York, Charles Scribner's sons, 42

<sup>3</sup> Gershoy Leo, 1962, Bertrand Barere: a reluctant terrorist, Princeton, Princeton University Press, 312; Dwyer Philipp, 2013, Citizen Emperor: Napoleon in power, London, Yale University Press, 55; Boshier J.F. 1973, French Government and society 1500-1850, London, the Athlone press, 301-302

ისინი სწორედ ჰარელის მიერ დაქირავებულმა მათმა „თანამშრომლებმა“ დააპატიმრეს. ფუშეს მემუარების თანახმად დაპატიმრებულები სწორედ, რომ ნეოიაკობინელ ექსტრემისტ რადიკალთა ჯგუფს წარმოადგენდნენ.<sup>1</sup> თვითონ დაკავებულები კი ყველაფერში ჰარელს და პოლიციის შემოგზავნილ აგენტ-პროვოკატორებს აღანაშაულებდნენ. პარიზის პოლიციის მიერ ჰარელის დაქირავებას მემუარებში ფუშეც ადასტურებს, <sup>2</sup>თუმცა შეთქმულთა რიგებში სხვა პოლიციის აგენტის არსებობაზე მემუარებში არაფერია ნახსენები. უნდა ვივარაუდოთ, რომ შეთქმულთა დამპატიმრებელი 4 ადამიანი არა თვითონ პოლიციის, არამედ პოლიციის ფინანსებით ჰარელის მიერ დაქირავებულ პირებს წარმოადგენდნენ. თუმცა არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ დამერვილის მეგობარი და ყოფილი იაკობინელი ბერტრან ბარერი იყო ფუშეს და ნაპოლეონის ინფორმატორი, მას შემდეგ, რაც ბრიუმერის გადატრიალების შემდგომ მან ნაპოლეონისგან ამნისტია და საფრანგეთში დაბრუნების უფლება მიიღო. <sup>3</sup>

ფუშეს პოლიციამ საკმაოდ ოპერატიულად იმუშავა და 11 ოქტომბრის საღამოსთვის შეთქმულთა მთლიანი ქსელი დაპატიმრებული აღმოჩნდა. ფუშეს დავალებით პოლიციელებმა შეძლეს მათი საკუთარ სახლებში დაპატიმრება. <sup>4</sup> დაპატიმრებულები სასწრაფოდ გადაიყვანეს ტამპლის ციხეში. მათი სასამართლო პროცესი დროებით გადაიდო, თუმცა ცხადი იყო, რომ ნაპოლეონი მათ ჩადენილ დანაშაულს არ და ვერ აპატიებდა, რადგან საკუთარი მკვლელების დანდობით ის კიდევ უფრო მეტად წაახალისებდა მასზე მკვლელობის მცდელობებს და გააჩენდა დაუსჯელობის სინდრომს, მითუმეტეს რომ, შეთქმულთა დანდობის სურვილი თვითონ ნაპოლეონსაც არ ექნებოდა.

იმდროინდელმა ფრანგულმა საზოგადოებამ ვერასდროს გაიგო თუ რა მასშტაბებით აკონტროლებდა პოლიცია შეთქმულების მიმდინარეობას, ნაპოლეონის პროპაგანდისტულმა მანქანამ ყველაფერი ისე დახატა თითქოს ბონაპარტი სასწაულებრივად გადაურჩა ტერორისტი ნეოიაკობინელების შეთქმულებას. შეთქმულებს შორის იტალიელთა სიმრავლის გამო კი ბონაპარტმა საფრანგეთიდან გააძევა ის

---

<sup>1</sup> Fouche Joseph, 1825, The Memoirs of Joseph Fouche, Duke of Otranto, Minister of the General Police of France, Boston, Wells and Lilly, 139.

<sup>2</sup> Fouche Joseph, 1825, The Memoirs of Joseph Fouche, Duke of Otranto, Minister of the General Police of France, Boston, Wells and Lilly, 139.

<sup>3</sup> Gershoy Leo, 1962, Bertrand Barere: a reluctant terrorist, Princeton, Princeton University Press, 113.

<sup>4</sup> Capefigue Jean Baptiste Honore Raymond, 1842, L'Europe pendant le Consulat et l'Empire de Napoleon, vol.III, Bruxelles, Wouters, Raspoet et Cie, 33.

იტალიელი რესპუბლიკელები, რომელთა რადიკალიზმიც ნაპოლეონს არ ეპიტნავენოდა.<sup>1</sup>

1800 წლის ნოემბერში კი შეთქმულთა ჯგუფმა ნაპოლეონის კარეტისთვის ბომბის სროლა სცადა, თუმცა უშედეგოდ.<sup>2</sup> შეთქმულები სიკვდილით დასაჯეს. ამას მოჰყვა პარიზში ანტიბონაპარტისტული პამფლეტების გავრცელებაც.<sup>3</sup> „ხანჯლების შეთქმულების“ შეთქმულთა გასამართლების საკითხი აქტუალური ნაპოლეონის მორიგი მკვლელობის მცდელობის შემდგომ გახდა. შეთქმულება ფრანგი როიალისტის და ვანდელეელ შუანთა ლიდერის ჟორჟ კალუდალის მიერ იყო დაგეგმილი, რისი ორგანიზებაც დაევალა ფრანგ როიალისტს ფრანსუა-ჟან კარბონას. 1800 წლის 24 დეკემბერს (3 ნივოზას) პარიზის ოპერის თეატრისკენ მიმავალმა ნაპოლეონის კარეტამ მხოლოდ რამდენიმე წამით გაასწრო სენ-ნიკეზის ქუჩაზე ბომბიანი საზიდრის აფეთქებას. ისტორიაში ეს მკვლელობის მცდელობა „ჯოჯოხეთური მანქანის შეთქმულების“ სახელწოდებით შევიდა.<sup>4</sup> ლუი ბურიენი აქტიურად ადარებდა 1800 წლის მიწურულის ორივე შეთქმულებას და მათ შორის მხოლოდ ერთადერთ განსხვავებას ხედავდა: პირველი მათგანი მოაწყვეს რესპუბლიკელებმა, მეორე კი როიალისტებმა.<sup>5</sup>

ამ შეთქმულების მონაწილეთა დაპატიმრება-გასამართლების პროცესთან ერთად დაიწყო „ხანჯლების შეთქმულების“ მონაწილეთა გასამართლება სენის სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ.

1801 წლის 9 იანვარს ( 19 ნივოზას) სენის სასამართლომ 3 დღიანი განხილვის შემდგომ ღამის 11 საათზე ოპერის თეატრში დაპატიმრებულ 4 ადამიანს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, დანარჩენი შეთქმულები კი გაათავისუფლა.<sup>6</sup> განაჩენი აღესრულა 30 იანვარს (10 პლუვოზას) რევოლუციის მოედანზე (place de greve) აპელაციის უარყოფის შემდგომ.<sup>7</sup>

<sup>1</sup>Dwyer Philipp, 2013, Citizen Emperor: Napoleon in power, London, Yale University Press, 55; Aulard Francois-Alphonse, 1906, Paris sous le consulat, Vol. II, Paris, Maison Quantin, 696, 700-701

<sup>2</sup>Dwyer Philipp, 2013, Citizen Emperor: Napoleon in power, London, Yale University Press, 56

<sup>3</sup>Dwyer Philipp, 2013, Citizen Emperor: Napoleon in power, London, Yale University Press, 57

<sup>4</sup>Roberts Andrew, 2014, Napoleon: A life, New York, Penguin Group, 362

<sup>5</sup>Bourienne Louis Antoine Fauvelet de, 1905, Memoirs of Napoleon Bonaparte, New York, Charles Scribner's sons, 43

<sup>6</sup>Goldsmith Lewis, 1816, Cours politique de Napoleon Bonaparte, vol. II., Londres, chez J. Booth, 123-125; Judgement rendu par le tribunal criminel du department de la seine, seant au palais de Justice, a paris, qui,... condamne Dominique Damerville,... Joseph Ceracchi,.. Joseph Arena,... et Francois Jean-Baptiste Topino Lebrun,.. a le peine de mort, qu'ils subirent aujourd'hui 19 pluiose an neuf, 1-30

<sup>7</sup>Judgement rendu par le tribunal criminel du department de la seine, seant au palais de Justice, a paris, qui,... condamne Dominique Damerville,... Joseph Ceracchi,.. Joseph Arena,... et Francois Jean-Baptiste Topino Lebrun,.. a le peine de mort, qu'ils subirent aujourd'hui 19 pluiose an neuf, 1-30

„ხანჯლების შეთქმულებაზე“ კონსპირაციულ მოსაზრებებს ჯერ კიდევ XIX საუკუნის ისტორიოგრაფიაში დაედო სათავე. დაიწყო საუბრები იმის შესახებ, რომ 1800 წლის 10 ოქტომბერს მოხდა არა რესპუბლიკელების შეთქმულება, არამედ ნაპოლეონის და პოლიციის სამინისტროს მიერ კარგად დაგეგმილი ოპერაცია, რომელიც პირველმა კონსულმა საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად გამოიყენა. ამ საკითხს აქტიურად პირველად შეეხო ფრანგი ისტორიკოსი და პოლიტიკოსი ადოლფ ტიერი 1847 წელს საკუთარ ფუნდამენტურ ნაშრომში: „შეთქმულებს ცხადია სურდათ პირველი კონსულის სიკვდილი, თუმცა მათ არ შეეძლოთ მისთვის საკუთარი ხელებით შეეტიათ... შეთქმულების განსახორციელებლად საჭირო გამბედაობა და მიზანდასახულობა არცერთს ჰქონდა. მათ რიგებში ჯამუშებად შეგზავნილმა პოლიციის აგენტებმა კი გადასცეს მათ ხანჯლები და უბიძგეს მათ იმ დანაშაულისკენ, რომლის განხორციელებასაც ისინი ვერასდროს შეძლებდნენ. შეთქმულები არ გამოჩენილან იმ ადგილზე, სადაც უნდა განხორციელებულიყო შეთქმულება (ნაპოლეონის ლოჟასთან), ასევე ჩერაკი, ერთადერთი პიროვნება, რომელმაც ოპერის თეატრში შემოაღწია, არ იყო შეიარაღებული იმ ხანჯლით, რომელიც მას პოლიციის აგენტებმა გადასცეს.“<sup>1</sup> ტიერი მყარად იყო დარწმუნებული, რომ „ხანჯლების შეთქმულება“ სწორედ ნაპოლეონის მიერ იყო დაგეგმილი საკუთარი მიზნებისთვის და ჰარული არა მოღალატე, არამედ თავიდანვე პარიზის პოლიციის აგენტი იყო. ამ მოსაზრებას იზიარებდა XIX-XX საუკუნეთა მიჯნის ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ალფონს ოლარიც.<sup>2</sup> ასეთივე მიდგომას ვხვდებით თანამედროვე ინგლისურ ისტორიოგრაფიაშიც.<sup>3</sup> ამ მოსაზრების მომხრეებს ვხვდებით ბონაპარტისტულ წრეებშიც, კერძოდ, ნაპოლეონოლოგიის ისეთ კორიფეებში, როგორებიც არიან ჟან ტიულარი და ტიერი ლენცი.<sup>4</sup> მათი არგუმენტები საკმაოდ საფუძვლიანი და ლოგიკურია.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ „ხანჯლების შეთქმულებისას“ შეთქმულები დააპატიმრეს საკმაოდ სწრაფად და უმტკივნეულოდ, პირველ კონსულს კი მცირე საფრთხეც არ დამუქრებია, რაც ცხადია ეჭვებს აჩენს. იგივეს ვერ ვიტყვით „ჯოჯოხეთური მანქანის შეთქმულებაზე“ ვინაიდან, ნაპოლეონის გადარჩენა სენტ-ნიკეზის ქუჩაზე მხოლოდ წამებმა გადაწყვიტა. 1800 წლის 10 ოქტომბერს კი ნაპოლეონს არანაირი რისკი არ გაუწევია.

<sup>1</sup> Thiers Adolphe, 1847, *Historie du Consulat et de l'Empire*, vol.II, Paris, Paulin, 333-334

<sup>2</sup> Aulard Francois-Alphonse, 1906, *Paris sous le consulat*, Vol. II, Paris, Maison Quantin, 722

<sup>3</sup> Dwyer Philipp, 2013, *Citizen Emperor: Napoleon in power*, London, Yale University Press, 55-56; North Jonathan, 2018, *Killing Napoleon: the plot to blow up Bonaparte*, London, Amberley Publishing, 155-156

<sup>4</sup> Tulard Jean, 1987, *Napoleon: ou le mythe du sauveur*, Paris, Fayard, 136; Lentz Thierry, 1999, *Le grand Consulat: 1799-1804*, Paris, Fayard, 255

ამას ემატება ის ფაქტიც, რომ შეთქმულების საჯაროდ აყვანით სარგებელი ისევ და ისევ ნაპოლეონმა ნახა.

მის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულებები ნაპოლეონმა გამოიყენა რესპუბლიკელების და როიალისტების წინააღმდეგ რეპრესიების გასამკაცრებლად, რამაც მისი ავტორიტარიზმის გაძლიერებას შეუწყო ხელი.<sup>1</sup> მკვლელობების, მკვლელობის მცდელობების და სხვადასხვა ინციდენტების საკუთარი ავტორიტარიზმის გაძლიერების მაგალითები ისტორიაში უამრავია: იმავე მიზნით გამოიყენა იოსებ სტალინმა 1934 წლის 1 დეკემბერს სერგეი კიროვის მკვლელობა და ადოლფ ჰიტლერმა 1933 წლის 27 თებერვლის რაიხსტაგის შენობის ხანძარი.

მის წინააღმდეგ წარუმატებელი შეთქმულებები კი ბონაპარტისტულმა პროპაგანდის მანქანამ სათავისოდ გამოიყენა და პირველი კონსულის პოპულარობამ საფრანგეთში თავის პიკს მიაღწია. საზოგადოება გმობდა რადიკალ ტერორისტებს და მთლიანად მხარს უჭერდა ბონაპარტს.<sup>2</sup> როგორც ჟოზეფ ფუშე შენიშნავდა: „ამ ყველაფერმა გამოიწვია დიდი რეზონანსი, რაც ასე ძალიან გვსურდა.“<sup>3</sup> წარუმატებელი მკვლელობის მცდელობის შემდგომ, როგორც წესი მმართველთა რეიტინგი იზრდება და საზოგადოება მათ წინაშე ერთ მუშტად იკვრება. ალბათ იმიტომ, რომ ქვეყნის მმართველის მკვლელობის მცდელობას საზოგადოება მათ წინააღმდეგ მომდინარე საფრთხედაც აღიქვამს. ასე მოხდა 1944 წელს გერმანიაშიც, როდესაც 20 ივლისს ადოლფ ჰიტლერის აფეთქების წარუმატებელი მცდელობის შემდგომ მისი პოპულარობა გერმანიაში საგრძნობლად გაიზარდა მიუხედავად იმისა, რომ გერმანია ომში დამარცხების ზღვარზე იდგა.<sup>4</sup>

საბოლოო ჯამში, პირველად და მეორეულ წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „ხანჯლების შეთქმულება“ მთლიანად პირველი კონსულის და პოლიციის სამინისტროს მიერ იყო დაგეგმილ-დაორგანიზებული მოწინააღმდეგეთა მიმართ რეპრესიების გასამკაცრებლად და მოსახლეობაში ნაპოლეონისადმი და არსებული რეჟიმისადმი მხარდაჭერის გასაზრდელად.

<sup>1</sup> Dwyer Philipp, 2013, Citizen Emperor: Napoleon in power, London, Yale University Press, 57; Lentz Thierry, 1999, Le grand Consulat: 1799-1804, Paris, Fayard, 256

<sup>2</sup> Dwyer Philipp, 2013, Citizen Emperor: Napoleon in power, London, Yale University Press, 56; Lentz Thierry, 1999, Le grand Consulat: 1799-1804, Paris, Fayard, 256

<sup>3</sup> Boshier J.F. 1973, French Government and society 1500-1850, London, the Athlone press, 302; Fouche Joseph, 1825, The Memoirs of Joseph Fouche Duke of Otranto minister of the General Police of France, Boston, Wellis and Lilly, 123-124.

<sup>4</sup> Shier William L., 1960, The rise and fall of the Third Reich: A history of Nazi Germany, New York, Simon and Schuster, 1069-1070

### გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. Aulard Francois-Alphonse, 1906, Paris sous le consulat, Vol. II, Paris, Maison Quantin,
2. Boshier J.F. 1973, French Government and society 1500-1850, London, the Athlone press,
3. Bourienne Louis Antoine Fauvelet de, 1905, Memoirs of Napoleon Bonaparte, New York, Charles Scribner's sons,
4. Capefigue Jean Baptiste Honore Raymond, 1842, L'Europe pendant le Consulat et l'Empire de Napoleon, vol.III, Bruxelles, Wouters, Raspoet et Cie,
5. Dwyer Philipp, 2013, Citizen Emperor: Napoleon in power, London, Yale University Press,
6. Fouche Joseph, 1825, The Memoirs of Joseph Fouche Duke of Otranto minister of the General Police of France, Boston, Wellis and Lilly,
7. Gaffarel Antoine, 1887, L'opposition republicaine sous le consulat, published in La Revolution francaise revue historique vol,7, No.6,
8. Gershoy Leo, 1962, Bertrand Barere: a reluctant terrorist, Princeton, Princeton University Press
9. Goldsmith Lewis, 1816, Cours politique de Napoleon Bonaparte, vol. II., Londres, chez J. Booth
10. Gourgaud Gaspard, 1823, Memoirs of the History of France during the Reign of Napoleon, dictated by the Emperor at St. Helena, vol.1, London, Henry Colburn and Co,
11. Hague William, 2004, William Pitt the Younger, London, Harper Collins/publishers,
12. Lentz Thierry, 1999, Le grand Consulat: 1799-1804, Paris, Fayard
13. Jugement rendu par le tribunal criminel du departement de la seine, seant au palais de Justice, a paris, qui,... condamne Dominique Damerville,... Joseph Ceracchi,.. Joseph Arena,... et Francois Jean-Baptiste Topino Lebrun,.. a le peine de mort, qu'ils subirent aujourd'hui 19 pluiose an neuf,
14. North Jonathan, 2018, Killing Napoleon: the plot to blow up Bonaparte, London, Amberley Publishing
15. Pujol Jules-Edouard alboize de, Maquet Auguste, 1845, Les prisons de l'Europe, vol. III, Paris Administration de la librairie
16. Roberts Andrew, 2014, Napoleon: A life, New York, Penguin Group
17. Saint Hilaire Emile Marco de, 1849, Historie des conspirations et des executions politiques, vol. III, Paris, Gustave Havard,
18. Shier William L., 1960, The rise and fall of the Third Reich: A history of Nazi Germany, New York, Simon and Schuster
19. Thiers Adolphe, 1847, Historie du Consulat et de l'Empire, vol.II, Paris, Paulin,
20. Tulard Jean, 1987, Napoleon: ou le mythe du sauveur, Paris, Fayard,
21. Wairy Louis Constant, 1896, Memoirs of Constant, the Emperor Napoleon's head valet, containing details of the private life of Napoleon, his family and his court, translated by Henry Pickerton, vol.I, London.

**არაჰეტერონორმატიული იდენტობების აღქმისა და ინტეგრაციის  
შესწავლა ამერიკის ინდიელ ტომებს შორის**

ადამიანის სექსუალური ორიენტაციის მრავალფეროვნება არის ადამიანის არსებობის რთული და მრავალმხრივი ასპექტი, რომელიც მჭიდროდ არის გადაჯაჭვული კულტურასთან, ისტორიასთან და სოციალურ ნორმებთან. წინამდებარე სტატიაში შევეცდებით გამოვიკვლიოთ ადგილობრივი ინდიელების შეხედულებები და ნათელი მოვფინოთ ისტორიულ და კულტურულ პერსპექტივებს იმ ინდიელების ირგვლივ, რომლებიც იდენტიფიცირდებიან, როგორც ჰომოსექსუალები. არაჰეტერონორმატიული იდენტობების ნიუანსების გააზრება ინდიელ საზოგადოებებში გადამწყვეტია ადამიანის სექსუალობის რთული კვანძის გასახსნელად და ამავე დროს კულტურული კონტექსტის მნიშვნელობის აღიარებისთვის.

ადგილობრივი ამერიკული კულტურები ტრადიციების, ენებისა და რწმენის სისტემების მდიდარი გობელენით გამოირჩევა, თითოეული მათგანი ხელს უწყობს ადგილობრივი იდენტობების თავისუფალ გამოხატვას მთელს ამერიკაში. ამ მრავალფეროვან იდენტობებს შორის, ინდივიდების არსებობა, რომლებსაც ვიცნობთ როგორც ჰომოსექსუალებს, არა მხოლოდ აღიარებული იყო, არამედ ხშირად იყო ჩართული კულტურულ ქსოვილში. ევრო-ამერიკული საზოგადოებებისგან განსხვავებით, ბევრი ადგილობრივი ინდიელი საზოგადოება ისტორიულად აღიარებდა და აფასებდა გენდერისა და სექსუალობის მრავალფეროვან გამოხატვას.

მოცემული სტატია მიზნად ისახავს გადალახოს დასავლური შეხედულებები და გამოიკვლიოს, თუ როგორ ჩამოაყალიბეს ადგილობრივმა ინდიელმა საზოგადოებებმა ჰომოსექსუალობის კონცეფცია და მოახდინეს მისი ინტეგრირება. ძალიან მნიშვნელოვანი ტერმინი იყო „ორი სული“ (Two Spirit), რომელიც განასახიერებს როგორც მამაკაცურ, ასევე ქალურ თვისებებს ადგილობრივ ამერიკულ კულტურებში, რაც ასახავს გენდერული და სექსუალური იდენტობების სპექტრის მიღებას.

ამ თემის განხილვისას, ვფიქრობთ, აუცილებელია იმის აღიარება, რომ ადგილობრივი ინდიელი ტომების ისტორიული გამოცდილება ჩამოყალიბდა შიდა კულტურული დინამიკისა და გარე ძალების რთული ურთიერთქმედებით, როგორც კოლონიზაცია იყო. ევრო-ამერიკული ფასეულობების დაწესებამ, რომელსაც ხშირად თან ახლავდა რელიგიური დოქტრინები, რომლებიც მკაცრად განსაზღვრავდნენ გენდერულ როლებსა და სექსუალურ ნორმებს, ღრმა გავლენა იქონია ადგილობრივ ტომთა პერსპექტივებზეც.

არაჰეტერონორმატიულ იდენტობებთან დაკავშირებული კულტურული მნიშვნელობის,



სოციალური როლებისა და სულიერი განზომილებების შესწავლით, შევცდებით წვლილი შევიტანოთ ადამიანის სექსუალობის უფრო ნიუანსურ გაგებაში ადგილობრივი კულტურების უფრო ფართო კონტექსტის გათვალისწინებით და პასუხი გავცეთ მთავარ კითხვას – თუ როგორ აღიქვამდნენ და აერთიანებდნენ ადგილობრივი ინდიელები არაჰეტერონორმატიულ იდენტობებს, განსაკუთრებით კი ორი სულის ტრადიციებზე ფოკუსირებით, კულტურული და რელიგიური ასპექტების გათვალისწინებით?

სტატია არა მხოლოდ ხელს უწყობს ადამიანური გამოცდილების მრავალფეროვნების შეფასებას, არამედ შეწინააღმდეგება გაბატონებულ ნარატივებს, რომლებიც შეიძლება უგულბელყოფდეს ჰომოსექსუალიზმის შესახებ ინდიელ ტომთა პერსპექტივების სიმდიდრეს.

ვინაიდან ქართული სამეცნიერო სივრცე არაა განებივრებული ინდიელთა თემატიკის შესწავლით, ამ თემასაც არ აქვს ფართო გამოხმაურება, ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ქართველი მკითხველისთვის მეტად საინტერესო იქნება წარსულში დაბრუნება და ისეთი თემის განხილვა, რომელსაც დღესაც კი კრიტიკით უყურებენ.

ქრისტიანულმა ტრადიციებმა იმდენად სერიოზული სახე მიიღო და თითქოს სტიგმად გადააქცია, რომ არსებობდა მხოლოდ ორი გენდერი – ქალის და კაცის, რომ საზოგადოება არც კი განიხილავდა სხვა რომელიმე გენდერის არსებობას. სწორედ ამიტომ იყო, რომ სხვა ყველაფერი განსხვავებული არანორმალურად აღიქმებოდა. გამონაკლისი არ ყოფილა ინდიელთა კულტურაში მნიშვნელოვანი როლის მქონე ადამიანი, რომელსაც ფრანგები ბერდაჩის სახელით მოიხსენიებდნენ. თავად ტერმინი, თუ კი ვებსტერის ლექსიკონს დავუჯერებთ, მომდინარეობს ფრანგული სიტყვიდან „berdash“, რომელიც მომდინარეობს იტალიური სიტყვიდან „berdascia“, იტალიელებს კი გადმოღებული აქვთ არაბული სიტყვიდან „berdaj“, რომელიც მომდინარეობს სპარსული სიტყვიდან „barah“. რაც შეეხება მის მნიშვნელობას, იგი არ შეცვლილა და ნიშნავდა მეძავ მამაკაცს. მოუხედავად იმისა, რომ ბერდაჩი გულისხმობს საპირისპირო სქესის ტანისამოსის მორგებასაც, არ შეიძლება ეს სიტყვა გავაიგივოთ ტრანსვესტიზმთან, რადგან ბერდაჩი გულისხმობს არა მხოლოდ ტანისამოსის შეცვლას, არამედ როლისა და სტატუსის ინსტიტუციონალიზებულ ცვლილებასაც (Forgey 1975: 2).

განსხვავებული აზრები არსებობს თავად ამ ტერმინთან დაკავშირებითაც. გერი ბოუენი საინტერესოდ აღწერს იმ შეხედულებებს, რაც ამ ტერმინს უკავშირდება. იგი წერს, რომ „მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი ბერდაჩი გავრცელებულია თეთრკანიან გეებს შორის, ადგილობრივი ინდიელები მიიჩნევენ, რომ ტერმინი შეურაცხმყოფელია, რადგან ის საბოლოოდ მოდის არაბული სიტყვიდან, სადაც უხეშად ნიშნავს მეძავ მამაკაცს. ჩვენ არ ვაფასებთ ჩვენი წმინდა ხალხის ასე მოხსენიებას. ვფიქრობთ, რომ ტერმინი ბერდაჩი არ უნდა იქნას გამოყენებული, არამედ ტომის სახელი, თუკი იგი ცნობილია. ზოგად ტერმინზე არ არსებობს რაიმე კონსენსუსი, ყველაზე უსაფრთხოა გამოვიყენოთ ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი მკვიდრი ამერიკელები. თუმცა, ზოგიერთი იყენებს ტერმინს GAI (გეი ამერიკელი ინდიელი) ან ორი სული“ (Bowen 2010).

მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერმინის გამოყენებას ეწინააღმდეგებიან თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ზოგიერთი და მათ შორის ისტორიის დოქტორი და აქტივისტი უილ როსკო არ ეთანხმება მათ და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ტერმინის ირგვლივ მრავალი მცდარი წარმოდგენებია და ამ ეტიმოლოგიაზე ინფორმაციის ნაკლებობაა (Roscoe 1998: 7-8). ამერიკელი ყოფილი პროფესორი ანთროპოლოგიის დარგში უოლტერ უილიამსი, სიანტერესო ვერსიას გვთავაზობს ბერდაჩის განსაზღვრებად. იგი წერს, რომ ბერდაჩი არის მამაკაცი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ე.წ. Morphological male, რომელიც არ ასრულებს საზოგადოების სტანდარტული მამაკაცის როლს და ამიტომაც ასეთ მამაკაცს ქალებად აღიქვამენ, უფრო ზუსტად კი ანდროგინებად (Williams 1996: 73). ევროპული და საერთაშორისო კვლევების დასავლეთ ევროპის კვლევების ცენტრის დირექტორი საბინ ლენი არ იყენებს ტერმინს ბერდაჩი. ის იყენებს ტერმინებს „ქალები-კაცები (მამაკაცები ადგილობრივ ამერიკელებში. კულტურები, რომლებმაც ნაწილობრივ ან მთლიანად მიიღეს სოციალურად განსაზღვრული ქალის როლი) და კაცები-ქალები (ქალი მამაკაცის როლში). ბოლო წლებში იყო მოსაზრება, რომ ეს როლები, ქალები-კაცები და კაცები-ქალები არიან სოციალურად და კულტურულად კონსტრუირებული და არ არის თანდაყოლილი“. რაც შეეხება ფემინისტებსა და მათ მიდგომებს, მათ მოახერხეს სქესის განხილვა საზოგადოებაში სხვადასხვანირად, ამ შეხედულებამ კი შესაძლებელი გახდა ქალი-მამაკაცისა და მამაკაცი-ქალის როლებისა და სტატუსების ხელახალი ინტერპრეტაცია გენდერული და არა სექსუალური თვალსაზრისით (Lang 1998: 203).

ამ ადამიანების ბერდაჩის ტერმინით მოხსენიება 1990 წლამდე გაგრძელდა, თუმცა 1994 წელს ეს ტერმინი ჩანაცვლდა ტერმინით „ორი სული“ (two-spirit), მას შემდეგ, რაც ანთროპოლოგიის ამერიკულმა ასოციაციამ მოითხოვა ცვლილება, რადგან 1990 წელს ვინიპეგში გამართულ კონფერენციაზე შეთანხმდნენ, რომ ეს დამამცირებელი ტერმინი იყო (Hemmilä 2005: 12). ვთვლით, რომ ინდიელთა ეს ხალხები, ჩვენც, როგორც ორი სულის მქონე ადამიანები ისე უნდა მოვიხსენიოთ, რადგან მათთვის ეს ტერმინი მეტად მისაღებია.

ორი სულის მქონე ხალხი, შეიძლება ითქვას, რომ მართლაც დიდი ხანია ცხოვრობს და ამას ინდიელთა ხალხში გაჩენილი მითებიც მოწმობს, სადაც მნიშვნელოვანი როლი უკავია ქალღმერთ ვორჰარმს (Warharmi), რომელიც ნახევრად ქალი, ნახევრად კი კაცია (Roscoe 2017: 9). აქედან გამომდინარე, ზოგიერთ ტომს სჯეროდა, რომ „ორსულიან“ ინდივიდებს განსაკუთრებული კავშირი ჰქონდათ სულიერ სფეროსთან. ისინი შეიძლება ყოფილიყვნენ ჩართულნი საზეიმო აქტივობებში, მოქმედებდნენ როგორც შუამავლები ფიზიკურ და სულიერ სამყაროებს შორის.

ორი სულის მქონე ინდივიდების მიღება და აღიარება განსხვავებული იყო სხვადასხვა ტომებში. რადგან ინდიელთა ენა საკმაოდ მრავალფეროვანია, უნდა ვთქვათ ისიც, რომ თავად მათ ენაში არსებობდა სიტყვები, რომელიც ამ ხალხის ადმინიშნელი იყო, ანუ მამაკაცები, რომლებიც ქალის როლს ასრულებდნენ, ლაკოტას ტომი მოიხსენიებდა ტერმინით – Lakǰótiyapi, ჩეროკები – Tsalagi, შაიენები – heemaneh, ნავაჰო – nádleeh, ოჯიბვე – agokwa, ხოლო იუკის ტომი – i-wa-musp, რაც აღნიშნავდა ნახევრად კაცს და ნახევარდ ქალს (Lang 1998: 98). ორი სულის მქონე ადამიანების

როლები და მოლოდინები კულტურულად სპეციფიკური იყო.

ვფიქრობთ, საინტერესო იქნება „ორსულიანი“ ადამიანები განვიხილოთ ადგილობრივი რელიგიური ასპექტიდან და ვნახოთ, რამდენად იყვნენ ისინი ამ ჭრილიდანაც რეალიზებულნი. ძირძველი რწმენის სისტემები, რომელიც დრმად არის ფესვგადგმული სულიერებაში, გვთავაზობენ უნიკალურ კონტექსტს, რომელშიც ორი სულის მქონე ინდივიდები რეალიზებას უწევენ თავიანთ იდენტობებს, ხელს უწყობენ საკუთარი თავის ჰოლისტურ გაგებას უფრო ფართო კულტურულ და რელიგიურ გობელენში. ორი სულის მქონე ხალხების როლი ადგილობრივ ინდიელთა სულიერ ტრადიციებში განსხვავებული იყო, გამომდინარე იქიდან, რომ თითოეულ ინდიელთა კულტურას აქვს განსხვავებული რელიგიური რწმენა და ტრადიციები, რაც განპირობებული იყო გეოგრაფიული არეალიდან, მათი აღქმიდან და ა.შ. მათი შეხედულებები კი მუდამივად იცვლებოდა. შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ არსებობდა ერთი ყოვლისმომცველი ადგილობრივ ინდიელთა ტრადიცია, რომელიც შეიძლება ყველასთვის მისაღები ყოფილიყო. ისევე, როგორც ქალი და კაცი, მესამე გენდერის ადამიანებიც ღმერთის მიერ იყო „გამოგზავნილი“ და ამიტომაც ამ ადამიანებს პატივისცემით ეპყრობოდნენ (Gilley 2006: 10). უილიამსი წერს, რომ „ლაკოტას მსგავს რელიგიაში „ბერდაჩები“ (winkte) განიხილება, როგორც უნიკალური რიტუალური ძალების მაგიური მფლობელები. ვინაიდან ისინი ხელმძღვანელობენ სულით, ისინი არ არიან შებოჭილი ნორმალური ქცევის წესებით. ეს უჩვეულობა მათი სიწმინდის მანიშნებელია“ (Williams 1986: 32).

ორი სულის მქონე ადამიანებს მრავალი დანიშნულება და საპასუხისმგებლო ფუნქციაც ჰქონდათ, რომელთა შორისაც ერთ-ერთი არის ის, რომ მათ ან უნდა ეხელმძღვანელათ, ან თავად მიეღოთ მონაწილეობა კონკრეტულ რიტუალებში, „რადგან მათ გენდერულ ამბივალენტურობას აკლდა მამაკაცის ვირულენტობის პოტენციურად საშიში ექსტრემალურობა და ქალის რეპროდუქციული უნარი“ (Gilley 2006: 11). მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ ამ ადამიანებს ჰიდაცას (Hidatsa) ტომში, რადგან როდესაც ატარებდნენ მზის ცეკვის ცერემონიალს, ორი სულის მქონე ადამიანის მოვალეობა იყო მორი მოეთავსებინა ცენტრალურ ადგილზე. ამ ცერემონიისთვის ეს ადამიანი იცვამდა ისე, როგორც წმინდა ქალთა საზოგადოების სხვა წევრები და მრავალ საჩუქარს იღებდა, როგორც ქალთა თანასწორი წევრი (Bowers 1965: 167). იყვნენ ისეთი ადამიანებიც, ვინც ორი სულის მქონე ხალხს არ უყურებდნენ სერიოზულად, მათ შორის ამერიკელი მხატვარი და იურისტი ჯორჯ კეტლინი, რომელიც ბერდაჩის ცეკვას სასაცილოს და სახალისო სცენას უწოდებდა, რომელსაც ინდიელები წელიწადში ერთხელ ან მეტჯერაც მართავდნენ. ფიქრობდა, რომ ის მამაკაცია, რომელიც ქალის ტანისამოსშია გამოწყობილი, მას სამარცხვინო და დამამცირებელ მოვალეობად აღიქვამდა. ორი სულის მქონე ხალხს, როგორც დეგრადირებულს ისე უყურებდა. თამამად აცხადებდა, რომ „ეს არის ერთ-ერთი ყველაზე უღიმდამო და ამაზრზენი ჩვეულება, რომელიც მე ოდესმე შემხვედრია ინდიელთა ქვეყანაში და რამდენადაც შევძელი შესწავლა, ისინი არიან სიუს, საქსისა და ფოქსების ტომებში<sup>1</sup>, შესაძლოა სხვა ტომებშიც იყვნენ, თუმცა მე მათ

<sup>1</sup> ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა ტომები. the Sioux and Sacs and Foxes.

არასდროს შევხვდრივარ“ (Catlin 1857: 718).

კეტლინის დამოკიდებულების ახსნა რთული არ იქნება. ის ამერიკელი თეთრკანიანი ადამიანი იყო, რომლისთვისაც, როგორც დასაწყისშიც აღვნიშნეთ, ყველაფერი განსხვავებული არანორმალურად აღიქმებოდა. ვფიქრობთ, მისი შეხედულება განპირობებული იყო ამასთანავე რელიგიური რწმენით. რელიგიურ რწმენას შეუძლია ჩამოაყალიბოს ჩვენი შეხედულებები სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის, თუ როგორ ვუყურებთ სხვადასხვა იდენტობას. მიუხედავად მისი რადიკალური პოზიციისა, ვფიქრობთ, ორი სულის მქონე ხალხი უნდა შევაფასოთ მათივე გადმოსახედიდან, თუ რამხელა მნიშვნელობას ანიჭებდნენ ასეთ ადამიანებს, სწორედ ამიტომაც, ვერ დავეთანხმებით მის პოზიციას და ვფიქრობთ, რომ ისინი მართლაც გამორჩეული ხალხი იყო თავისი მსოფლმხედველობითა და არჩევანის უფლებით.

ამერიკელი ანთლოპოლოგი ქეროლინ ეპლი გაცნო ნავაპოელების შეხედულებებს, და გვეუბნება, ნავაპოელების მსოფლმხედველობა ყველა ნივთსა და პიროვნებას ერთმანეთთან დაკავშირებულად თვლიან, რომელიც ქალსა და კაცს განასახიერებს. ის ფიქრობს, რომ „მესამე სქესის“ კატეგორია მხოლოდ გარედან მიღებული ნიშან-თვისებებით, როგორც არის, მაგალითად, მათი ტანსაცმელი, არ უნდა ჩამოყალიბდეს. ვესლი თომასი სექსუალობაზე დამყარებულ განმარტებებსაც გვაწვდის. იგი აღწერს ნავაპოს ტომების ოთხ გენდერს, ესენია: მამაკაცები მამაკაცის სხეულით, ქალები ქალის სხეულით, მამაკაცის ტანის ორი სულის მქონე ადამიანები და ქალების ტანის ორი სულის მქონე ადამიანები. თავად ორი სულის მქონე ადამიანები ნავაპოს ტომებში მოიხსენიებიან ტერმინით nadleehi (Epple 1998: 6).

არანაკლებ საინტერესოა ზუნის ტომის „ორსულიანი“ მოსახლეობა, რომელთაც თავად ტომში მოიხსენიებდნენ La'lamana-ის სახელით. ამ ტომის გამორჩეული „ორსულიანი“ ადამიანი კი ვივაა (We'wha), რომელმაც გააცნო თეთრკანიან მოსახლეობას თავი და, შეიძლება ითქვას, კულტურული ელჩის როლი შესრულა ზუნის და ამერიკელ ხალხთან ურთიერთობისას. 1886 წელს იგი ეწვია ვაშინგტონს, როგორც დელეგაციის წევრი. ამ პერიოდის განმავლობაში ვივა ურთიერთობდა სხვადასხვა გავლენიან ფიგურებთან, მათ შორის ხელისუფლების წარმომადგენლებთან, იგი შეხვდა კიდევ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ გროვერ კლივლენდს, ანთროპოლოგებთან და ჟურნალისტებთან კი ხშირი კონტაქტი ჰქონდა. ვივას, როგორც ზუნის საზოგადოების პატივსაცემი წევრის არსებობამ და მიღებამ დაუპირისპირა დასავლური წინასწარგანწყობები გენდერისა და სექსუალობის აღქმის შესახებ (Roscoe 1988: 130-131).

მართალია ორი სულის მქონე ხალხთან კაცები უფრო მეტად ასოცირდებიან, თუმცა, ვფიქრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ასევე ორი სულის მქონე ქალები. გარდა შაიენების ტომისა, სხვა ტომებში მათი არსებობა არ დასტურდება. თუმცა, მათი მონაწილეობაზე ომებსა თუ უბრალოდ ნადირობაში, ამის ფაქტები არსებობს და ნათელი მაგალითია ფლატჰედების ქალის ბრძოლა იეზუიტების წინააღმდეგ. „ფლატჰედების ქალებიც კი ერთვებოდნენ ბრძოლაში. ერთმა, შვიდი შვილის დედამ, საკუთარი ვაჟები ბრძოლის ველზე გაიყვანა. როდესაც მიხვდა, რომ მისი უფროსი

ვაჟის ცხენი ქროუს ტომებთან ბრძოლაში მარცხდებოდა, ჩადგა მებრძოლებს შორის და დანის დახმარებით განდევდა ქროუ“ (Roscoe 1998: 76). ერთ-ერთი ტომის, ფენდ დორაილსის<sup>1</sup> ხალხებს ახსოვთ მათი გამორჩეული და აღიარებული ლიდერი ქალი, რომლის სახელი ქუილიქსი (იგივე „The red one“) იყო. იგი თეთრკანიანებისთვის ცნობილი იყო მერი ქუილის სახელით, რომელიც პირველი ადამიანი იყო, ვინც 1842 წელს ბლექფუტებთან დაპირისპირებას ჩაუდგა სათავეში და მათ წინააღმდეგ გაილაშქრა. მისი მეომრული ხასიათით ყველა გააოცა. თანატომელები აღფრთოვანებული, ბლექფუტები კი დამწუხრებული და აღშფოთებულები იყვნენ მისით. ის იყო ორი სულის მქონე ქალი, რომელმაც მოახერხა მტრების დახოცვა (Roscoe 1998: 76). რაც შეეხება მათ ჩაცმულობას, არ იყო აუცილებელი მამაკაცის სამოსი ჩაეცვათ, მაგალითად ქროუს ტომების ორი სულის მქონე ქალები მართალია იარაღით დადიოდნენ, თუმცა არ ეცვათ მამაკაცის ტანსაცმელი (Denig 1961: 195-200).

არსებობს ტომები, სადაც არ იყო სავალდებულო ორი სულის მქონე ხალხს საპირისპირო სქესის ტანსაცმელი ჩაეცვათ, ზოგიერთმა საზოგადოებამ ინდივიდუალური არჩევანის უფლება მისცა. როდესაც ინტერსექს ნავაჰოელებს უნდა ჩაეცვათ ქალებივით, დაუქორწინებელ ორი სულის ადამიანებს, რომელი სქესისაც არ უნდა ყოფილიყვნენ, ისე იცვამდნენ, როგორც მათ სურდათ (Gayton 1948: 174).

რაც შეეხება ქორწინებას, მამაკაცთან დაქორწინება „მესამე სქესისთვის“ ნებადართული იყო ბევრ ტომში, თუმცა ეს არ ეხებოდა ყველას. იყო აკრძალვები და შეზღუდვები, რასაც ტომის წევრები ემორჩილებოდნენ. შეზღუდვებს თავის ბიოლოგიურ ახსნას უძებნიდნენ, რადგან ორ მამაკაცს შვილი ვერ ეყოლებოდა, ბავშვი კი საზოგადოების სიმტკიცისთვის მნიშვნელოვანი იყო. ხშირად ორი სულის ადამიანს, მოიხსენიებენ, როგორც დამხმარე ცოლს, თუმცა ჩვენთვის უცნობია რაოდენობა პარტნიორების შესახებ. თუმცადა, ვინც აღიარებდა ორი სულის ადამიანებს, ნორმალურად აღიქვამდნენ ასეთი ადამიანების დაქორწინებას „ნორმალურ“ მამაკაცებზე (Williams 1986: 110-112).

ევროპელი კოლონისტების ჩამოსვლამ ამერიკაში მე-15 და მე-16 საუკუნეებში დრმა და ამავე დროს, ხანგრძლივი დროით მოახდინა გავლენა ამ მიწებზე მცხოვრებ მკვიდრ მოსახლეობაზე. ადგილობრივი კულტურის მრავალ ასპექტს შორის კოლონიზაციამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პიროვნებების როლებსა და იდენტობებზე, ორი სულის თვისებების მქონე ხალხზე. თუ წარსულში ამ ადამიანებს პატივს სცემდნენ და სხვადასხვა როლი ჰქონდათ გათავისებულები, ახლა მათთვის ეს კულტურა უცხოვდებოდა. ევროპელი კოლონიზატორებისა და ადგილობრივი ინდიელების შეხვედრა ამერიკაში ხასიათდებოდა კულტურული ნორმების, რელიგიური შეხედულებებისა და სოციალური სტრუქტურების შეჯახებით. ადგილობრივ ინდიელ საზოგადოებებს შორის „ორსულიანი“ ინდივიდების არსებობა, რომლებსაც უკვე ვიცნობთ, როგორც

---

<sup>1</sup> Pend d'Oreilles – ჩრდილო-დასავლეთი პლატოს მკვიდრი ხალხები. დღეს ბევრი მათგანი ცხოვრობს მონტანასა და შვერთებული შტატების აღმოსავლეთ ვაშინგტონში.

მამაკაცური, ისე ქალური თვისებების მქონე ადამიანებს, უნიკალურ გამოწვევას წარმოადგენდა კოლონიზატორთა მიერ მოტანილი ევროცენტრული მსოფლმხედველობისთვის.

ევროპელ კოლონიზატორებს, რომლებიც ჩავიდნენ ღრმად ფესვადგმული ქრისტიანული რწმენით და გენდერის ორობითი შეხედულებით, რთული აღმოჩნდა გენდერული მრავალფეროვნების გაგება და მიღება ადგილობრივ საზოგადოებებში. ბევრ ადრეულ ევროპულ აღწერებში დაბნეულობა იყო, დაფიქსირდა არასწორი ინტერპრეტაციები და დასავლეთის გენდერული ნორმების დაწესების მცდელობაც კი იმ ადგილობრივ მოსახლეობაზე, რომლებსაც ისინი შეხვდნენ.

ევროპელები „ორსულიან“ ხალხს როგორც გარყვნილებს ისე აღიქვამდნენ, რადგან მათთვის ინდიელთა კულტურა და გენდერული მრავალფეროვნება ახალი და ახალთან ერთად, ქრისტიანობის გათვალისწინებით, მიუღებელიც იყო. ესპანელი დამპყრობლები განსაკუთრებით აღშფოთებულნი იყვნენ ამ ადამიანების ხილვით და ერთსქესიანთა ურთიერთობების მიღებით. მათ როგორც სოდომიტებს ისე განიხილავდნენ და აღიქმებოდნენ ბოროტ და არაწმინდა მოსახლეობად. ევროპელი კოლონიზატორები შეეცადნენ ინდიელთა მოსახლეობაში ქალის როლი და დომინანტობა დაეჩაგრათ და ისე როგორც ევროპაში, ჩაენერგათ ჰეტეროპატრიარქალური იდეალები (O'Higgins 2015: 3). ჩრდილოეთ ამერიკის დასაპყრობად ეს ერთ-ერთ მიზეზად სახელდებოდა, თითქოს ევროპოლებს აქ ცივილიზაცია უნდა შემოეტანათ და მათში ქრისტიანული ნორმები დაემკვიდრებინათ. რადგან ევროპელთა დაავადებები ინდიელებში მარტივად ვრცელდებოდა, ისინი ფიქრობდნენ, ღმერთი ინდიელ მოსახლეობას ამ ცოდვისთვის სჯიდა და არც კი განიხილავდნენ იმას, რომ ეს შესაძლებელია იმუნიტეტის არ ქონის გამო მომხდარიყო (Gilley 2006: 13).

მონროში, ლუიზიანას უნივერსიტეტის ისტორიის ასოცირებული პროფესორი როჯერ მ. კარპენტერი აცხადებს, რომ „მეოცე საუკუნის დასაწყისისთვის ქრისტიანმა მისიონერებმა და სამთავრობო განმანათლებლებმა მიაღწიეს დიდ წარმატებას გენდერის ევროპული ცნებების დამკვიდრებაში ადგილობრივ საზოგადოებებზე“ და „ბიჭები, რომლებიც ქალის ფორმაში იყვნენ ჩაცმული, ისჯებოდნენ, და ზოგიერთ შემთხვევაში პანსიონებიდან გაქცეულ ბიჭებს სასჯელის სახით აიძულებდნენ გოგოების მსგავსად ჩაეცვათ“ (Carpenter 2011: 161). ევროპელები ამით ცდილობდნენ ზიზღი დაენერგათ თავად ინდიელთა ცნობიერებაში ამ ადამიანებისადმი და მათთვის კაბის ჩაცმა და ზოგადად ორი სულის იდენტობა, დამამცირებელ კონტექსტში განიხილეს.

პატრიარქალური გავლენა უკვე იმდენად დიდი იყო თავად ადგილობრივ ინდიელებში, რომ დაიწყეს თავიანთი შექმნის ისტორიების გადაწერა, სადაც „ორსულიანი“ ადამიანი სირცხვილად აღიქმებოდა და მისნაირად ყოფნა არავის სურდა. შექმნის ისტორიები, როგორცაა „ჰერმეფროდიტი“, ასახავს „ორსულიან“ ინდივიდებს, როგორც ავადმყოფობს. ახალგაზრდა პაუნის ტომის ინდიელი ბიჭი იღვიძებს, რომელსაც ქალი ობობა ესიზმრა და სიზმარში აცნობებს მას, რომ ის ქალი უნდა გახდეს. გაღვიძებისას ბიჭი შეშინებულია და ეძებს მკურნალ კაცს, რათა „განკურნოს“ ის, „ნაკადულებთან, წყაროებთან, ან წყლის ნებისმიერ ნაკადულთან მისვლით და ნაკადულის

ფსკერიდან მწვანე ხავსის მოპოვებით“. ბიჭმა ვერ შეძლო რაიმე მწვანე ხავსის მოპოვება და ჩაითვალა განუკურნებელად. ბიჭს „ისე რცხვენოდა, რომ თავის მოკვლა ამჯობინა, ვიდრე ნახევრად ქალი და ნახევრად კაცი ყოფილიყო“ (Dorsey 1906: 138). დასავლური გავლენა იმდენად დიდი იყო ინდიელთა ისტორიასა და კულტურაზე, რომ მითებშიც კი შეაღწია. დასავლურმა კულტურამ მიაღწია თავის მიზანს და თავად ინდიელებშიც კი დანერგა სიძულვილი ორი სულის მქონეების მიმართ, მაშინ, როდესაც ეს ხალხი ყველაზე საპატივცემულო ადამიანები იყვნენ წარსულში. ევროპულმა ძალებმა ჩარჩოებში მოაქცია ინდიელი მოსახლეობა, რომელიც ძირს უთხრიდა მრავალფეროვანი გენდერული იდენტობების მიღებას. ამ ადამიანების ისე წარმოჩენა, თითქოს ისინი ცოდვილები იყვნენ, გამოიწვია თავად ინდიელებშიც კი მათი განსახიერების სტიგმატიზაცია. მათი გაქრობის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით, ამასთანავე, მისიონრებს, რომელთაც დააწესეს მორალური და გენდერული წესრიგი, რომელიც შეესაბამებოდა დასავლურ ქრისტიანულ ღირებულებებს.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ორსულიანი“ ხალხის ტრადიციები ინდიელებს შორის წარმოადგენს მათი საზოგადოების უნიკალურ და განუყოფელ ასპექტს, რომლის მეშვეობითაც შეისწავლება გენდერული როლების მრავალფეროვნება. ადგილობრივ კულტურებში „ორსულიანი“ ადამიანების მიღება და მათი აღიარება რადიკალურად განსხვავდება დასავლური ჰეტერონორმატიულობის ხისტი საზღვრებისგან, რაც იწვევს გენდერისა და სექსუალობის შესახებ წინასწარ გააზრებული წარმოდგენების გადახედვას.

კულტურული და რელიგიური განზომილებები გადამწყვეტ როლს თამაშობს ინდიელთა ადგილობრივ თემებში არაჰეტერონორმატიული იდენტობების აღქმისა და ინტეგრაციის ფორმირებაში. სულიერების, იდენტობისა და საზოგადოების ურთიერთდაკავშირება ამკარაა „ორსულიანი“ ხალხისთვის მინიჭებული პატივისცემით, რომლებიც ხშირად ასრულებენ წმინდა როლებს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს თავიანთი საზოგადოების სულიერ სტრუქტურაში. სამწუხაროდ, დღესაც კი დასავლური გავლენა იმდენად არის ინდიელი ხალხის ქვეცნობიერში ფესვებგადგმული, რომ მათი მიღება საზოგადოებას უჭირს. მიუხედავად იმისა, რომ ინდიელები ცდილობენ შეინარჩუნონ საკუთარი იდენტობა და არ დაივიწყონ თავიანთი ისტორია და კულტურა, ამ ხალხის მიმღებლობა არ აქვთ. თუმცა, როგორც თავად „ორსულიანი“ ხალხი ამბობს: „მორეულ მხარეში, როგორც ამერიკაა, არაფერია იმაზე ტრადიციული, ვიდრე „ორსულიანი“ ადამიანები“ (Two Spirits in American Indian Culture 2015).

### გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. **Bowen 2010:** Gary Bowen, "What's the problem with "Berdache"?", 2010. <https://reconciliation.tripod.com/berdache2.htm> ბოლოს დამოწმებულია 15.12.2023.
2. **Bowers 1965:** Alfred W. Bowers, Hidasta Social And Ceremonial organization, U.S. Government Printing Office Washington, 1965.
3. **Carpenter 2011:** Roger M. Carpenter, "Womanish Men and Manlike Women: The Native American Two-Spirit as Warrior." In Gender and Sexuality in Indigenous North America, 1400-1850, edited by Sandra Slater and Fay A. Yarbrough, 146-64. University of South Carolina Press, 2011. <https://doi.org/10.2307/j.ctv6wgdvd.11>.
4. **Catlin 1857:** George Catlin, Letters And Notes Manners, Customs, And Condition North American Indians, vol II, Philadelphia: Willis P. Hazard, 190 chestnut street, 1857.
5. **Denig 1961:** Edwin Thompson Denig, Five Indian Tribes Of The Upper Missoiru Sioux, Arickaras, Assinboines, Crees, Crows, The Civilization of the American Indian Series Norman: University of Oklahoma Press, 1961.
6. **Dorsey 1906:** George A. Dorsey, The Pawnee Mythology (Part I), Washington, D. C. Published by the Carnegie Institution of Washington 1906.
7. **Eppe 1998:** Carolyn Apple, Coming to Terms with Navajo "nádleehí": A Critique of "berdache," "Gay," "Alternate Gender," and "Two-Spirit", American Ethnologist, ტ. 25, ნ. 2 გვ. 267-290, 1998.
8. **Forgey 1975:** Donald G. Forgey, The institution of berdache among the North American plains Indians, The Journal of Sex Research, ტ. 11. ნ. 1 . გვ. 1-15, 1975. ონლაინ გამოქვეყნდა 2010. <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/00224497509550872>
9. **Gayton 1948:** Anna H. Gayton, Yokuts And Western Mono Ethnography, University of California Anthropological Records 10(1-2), 1948.
10. **Gilley 2006:** Brian Joseph Gilley, Becoming Two-Spirit Gay Identity and Social Acceptance in Indian Country, University of Nebraska Press Lincoln and London, 2006.
11. **Hemmilä 2005:** Anita Hemmilä, Ancestors of Two-Spirits: Representations of Native American Third-Gender Males in Historical Documentation: A Critical Discourse Analysis in Anthropology, Department of Languages, 2005.
12. **Lang 1998:** sabine lang, Men as Women, Women as Men Changing Gender in Native American Cultures, University of Texas Press, 1998. ონლაინ გამოქვეყნდა 2010.
13. **O'Higgins 2015:** Casey S. O'Higgins, Two-Spirit Indigenous Americans: Fact not Fiction, Student Publications, 2015.
14. **Roscoe 1988:** Will Roscoe, We'wha and Klah the American Indian Berdache as Artist and Priest, American Indian Quarterly, ტ. 12, ნ. 2, გვ.127-150, 1988.
15. **Roscoe 1998:** Will Roscoe, Changing Ones Third and Fourth Genders in Native North America, St. Martin's Griffin New York, 1998.
16. **Roscoe 2017:** Will Roscoe, Califia and her Two-Spirit Sisters Stories Behind the Myth of California, San Francisco, 2017.
17. **Two Spirits in American Indian Culture 2015.** ხელმისაწვდომია <https://www.youtube.com/watch?v=4ZO8DfF70r8>. ბოლოს დამოწმებულია 20. 12. 2023.
18. **Williams 1986:** Walter L. Williams, The Spirit and the Flesh: Sexual Diversity in American Indian Culture. New York: Beacon Press, 1986.
19. **Willams 1996:** Walter L. Willams, The Meaning of Difference: American Constructions of Race, Sex and Gender, Social Class, Sexual Orientation, and Disability, The McGraw-Hill companies, Inc, 1996.



### კუზნეების ომი ევროპაში (1914-1918)

ჩვენი საკვლევი თემა მიზნად ეხება დიდი ბრიტანეთის მონარქის დედოფალ ვიქტორიას და პრინც ალბერტის<sup>1</sup> შთამომავლობის დაპირისპირებას, რომელმაც გამოიწვია ჯერ არნახული ბრძოლების სერია მსოფლიოში, რასაც ჩვენ "პირველ მსოფლიო ომს" ვუწოდებთ. იმ დროინდელი ევროპის სამი ყველაზე დიდი და გავლენიანი სახელმწიფოს ტახტზე იმყოფებოდა სამი ბიძაშვილი: გერმანიის იმპერატორი კაიზერი ვილჰელმ II<sup>2</sup>, რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II<sup>3</sup> და ინგლისის მეფე ჯორჯ V<sup>4</sup>. მიუხედავად იმისა რომ სამივენი "ერთი სისხლისა" იყვნენ და თანაც სამივე სამეფო ოჯახი გერმანულ სახლს წარმოადგენდა, მათ ვერ შეძლეს დაეცვათ მსოფლიოში მშვიდობის წესრიგი.

ჩვენს საკვლევ თემაში უფრო მეტი ყურადღება ეთმობა გერმანია-რუსეთის ურთიერთობის დინამიკას 1914-1918 წლებში. რაც შეეხება დიდი ბრიტანეთის მონარქს, იგი აქ უკანა პლანზეა გადაწეული.<sup>5</sup> ასევე სტატიაში ნათარგმნი და წარმოდგენილია ვილისა და ნიკის<sup>6</sup> სატელეგრაფო მიმოწერები ომის დაწყების წინ,<sup>7</sup> რომლებიც გამოქვეყნდა 1920 წლიდან. სტატია ძირითადად სწორედ მათ ეყრდნობა.

ჩვენთვის მეტად საინტერესოა დავსვათ კითხვა: შეუძლო თუ არა ბიძაშვილ იმპერატორებს ვილჰელმსა და ნიკოლოზს ომის აცილება?

გერმანელმა მკვლევარმა ელიზაბეთ ჰერემმა გამოაქვეყნა წიგნი სახელწოდებით "რომანოვები" სადაც ნათლად აღწერს თუ რამ შეუძალა ხელი ორ ბიძაშვილ მონარქს

<sup>1</sup> დედოფალი ვიქტორია - გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის მონარქი 1837-1901 წწ. პრინცი ალბერტი - საქსონიის, კობურგისა და გოთის ჰერცოგის მემკვიდრე. პრინც კონსორტი 1840-1861 წწ.

<sup>2</sup> გერმანიის იმპერატორი და პრუსიის მეფე 1888-1918 წწ.

<sup>3</sup> რუსეთის იმპერატორი, პოლონეთის მეფე და ფინეთის დიდი ჰერცოგი 1894-1917წწ.

<sup>4</sup> გაერთიანებული სამეფოსა და ბრიტანეთის დომინიონების მეფე, ინდოეთის იმპერატორი 1910-1936წწ.

<sup>5</sup> ჩვენთვის ნიშანდობლივია, რომ მეფე ჯორჯი არ ფლობდა აბსოლუტურ ძალაუფლებას და იგი შებოჭილი იყო ინგლისის პარლამენტის მხრიდან.

<sup>6</sup> სწორედ ვილისა და ნიკის სახელით მიმართავდნენ ერთმანეთს ბიძაშვილები კაიზერი ვილჰელმი და იმპერატორი ნიკოლოზი.

<sup>7</sup> არცერთი ეს წერილი, რომელიც მოიცავს ოცი წლის პერიოდს, 1894-1914, არ გამოქვეყნებულა 1920 წლამდე.

კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტაში. მე ვიზიარებ მის შეხედულებას კაიზერ ვილჰელმის შესახებ.

მას შემდეგ რაც ავსტრია-უნგრეთის სამეფომ შეუტია სერბეთს, კაიზერი ვილჰელმ II იძულებულია ჩაერთოს დაპირისპირებაში.<sup>1</sup> 1914 წლის 1 აგვისტოს ის ომს უცხადებს რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზს, ხოლო უკვე 4 აგვისტოს თავად ინგლისმა გამოუცხადა ომი გერმანიას<sup>2</sup>. იქამდე სანამ ომი ოფიციალურად დაიწყებოდა ევროპის სახელმწიფოთა მონარქებს შორის არსებობდა მთელი რიგი მიმოწერები, სადაც ისინი გამოხატავდნენ რა მშვიდობის სურვილს, ასევე დასძენდნენ იმასაც, რომ სამართალი უნდა აღსრულებულიყო. ეს პერიოდი ხასიათდება არამხოლოდ ღია საუბრებითა და ხელშეკრულებების გაფორმებით, არამედ მიმდინარეობდა საიდუმლო მოლაპარაკებები, რაც საკითხს თანდათან უფრო და უფრო ამწვავებდა.

უნდა აღინიშნოს რომ ნიკოლოზ მეორე არ იყო მოხიბლული ომის წინადადებით. იგი არ გამოირჩეოდა ძლიერი გუნებით, რაც მმართველის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. იგი ადვილად დამყოლი პიროვნება იყო, რაც თავის მხრივ ქმნიდა ერთგვარ საფრთხეს რუსეთის მაღალი საზოგადოებისთვის.

*დეპეშა 1 - მეფისგან კაიზერს*

*29 ივლისი 1914, ღამის პირველი საათი*

*ჰეტერბურგის სასახლე, 29 ივლისი 1914*

*მის უდიდებულესობა იმპერატორს*

*ახალი სასახლე*

*მოხარული ვარ რომ დაბრუნდი. ამ რთულ დროს, მე მოგმართავ დახმარებისთვის. გულცივი ომი გამოაცხადა სუსტმა ქვეყნებმა. აღშფოთება რუსეთში, რომელსაც მთლიანად ვიზიარებ უზარმაზარია. ვგონებ, რომ ძალიან მალე ჩემზე იძულებითი წეძოლა იმოქმედებს და იძულებული ვიქნები მივიღო უკიდურესი ზომები, რაც გამოიწვევს ომს. ვეცდები რომ ავირიდო ისეთი უბედურება, როგორც არის ევროპული ომი. ჩვენი ძველი მეგობრობის სახელით გვედრები, გააკეთე რაც შეგიძლია, რათა შეაჩერო შენი მოკავშირეები ძალიან შორს წასვლისაგან.*

სრულიად შესაძლებელია წარმოვიდგინოთ ომის აცილების ერთადერთი

<sup>1</sup> ერთი შეხედვით კაიზერი ვილჰელმ II იძულებულია მაშტაბური ომი წამოიწყოს მოკავშირე ავსტრია-უნგრეთის სამეფოს გამო, თუმცა ომის წარმოება პირდაპირპროპორციულად უკავშირდებოდა მის ოცნებასა და იდეას გერმანიის გაფართოებისა მთელ მსოფლიოში.

<sup>2</sup> ომის გამოცხადების მთავარი მიზეზი გერმანელების მხრიდან ბელგიის სახელმწიფოს ნეიტრალიტეტის დარღვევა იყო.

გარემოება. ამ შემთხვევაში ეს იქნებოდა კაიზერისა და მეფის კავშირი მშვიდობის დასაცავად. კაიზერმა სრულად უარყო ნიკოლოზის შემოთავაზებები კონფლიქტის გადაწყვეტის გზის შესახებ.

მათი ურთიერთმიმოწერებიდან ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ კაიზერის ჭეშმარიტი გუნება. ის თავს წარმოაჩენს, როგორც ბიძაშვილის კეთილ მრჩევლად, თუმცა მისი მიზნები სრულიად ნათელია. ის ცდილობს გადმოიბიროს რუსეთის იმპერატორი, რასაც ვერ შეძლებდა მისი მეორე გავლენიანი ბიძაშვილის ჯორჯის შემთხვევაში. ინგლისის მეფე და ინდოეთის იმპერატორი შედარებით მყარი ხასიათით გამოირჩეოდა, თუმცა კაიზერისთვის ხელის შემშლელ ფაქტორად არა ჯორჯის გუნება, არამედ უფრო სავარაუდოა ინგლისის პარლამენტის წინააღმდეგობა.

*დეპეშა 2 - კაიზერისგან მეფეს*

*29 ივლისი 1914, ღამის 1:45 საათი.*

*29 ივლისი 1914*

*ეს არის ყველაზე დიდი შეშფოთება, რომლის შთაბეჭდილებიდანაც მესმის, რასაც ავსტრიის მოქმედება სერბების მიმართ ქმნის თქვენს ქვეყანაში.*

*არაკეთილსინდისიერმა აგიტაციამ, რომელიც სერბეთში წლების განმავლობაში მიმდინარეობდა გამოიწვია აღმაშფოთებელი დანაშაული, რომლის მსხვერპლი გახდა დიდი ჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი. სულიკვეთება, რომელმაც სერბებს მათივე მეფისა და მისი მუდლის მკვლელობისკენ უბიძგა, კვლავ დომინირებს ქვეყანაში.*

*თქვენ უდავოდ დამეთანხმებით, რომ ჩვენ ორივეს, მე და თქვენ, გვაქვს საერთო ინტერესი, ისევე როგორც ყოველი ხელმწიფის გონი, რომ ყველა პირმა, ვინც მორალურად პასუხისმგებელია ამ საძაგელ მკვლელობაზე, უნდა მიიღოს დამსახურებული სასჯელი.*

*მეორე მხრივ, მე მთლიანად მესმის რამდენად მძიმეა ეს შენთვის და შენი მთავრობისთვის, რათა დაუპირისპირდეს საზოგადოების აზრს. ამიტომ, რაც შეეხება გულთბილ და ნაზ მეგობრობას, რომელიც ორივეს დიდი ხნის წინათ მტკიცე კავშირებით გვაკავშირებს, მე შენთან ერთად მივყვები. მე იმედი მაქვს, რომ შენ დამეხმარები იმ სირთულეების მოგვარებაში, რომლებიც შეიძლება კვლავ წარმოიშვას.*

რუსეთის "გერმანელი" იმპერატორი ნიკოლოზ მეორე ტელეგრამის წერილების მეშვეობით წარმოგვიდგება, როგორც გულუბრყვილო, იდეალისტი მმართველი. ის არც კი განიხილავდა ომის დაწყებას და მეტიც დაახლოებულ წრეებში, ელჩებთან თუ სხვა მაღალ

საზოგადოების წევრებთან იგი პირადად აცხადებდა რომ "მას არც კი წარმოედგინა ომის დაწყება".

მიუხედავად იმისა რომ რუსეთის იმპერიას სამხედრო ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული სერბეთთან, რაც თავის მხრივ ითვალისწინებდა ნებისმიერი საომარი კონფლიქტის დროს სამხედრო ძალის გამოყვანას, იმპერატორი სულაც არ იყო აღფრთოვანებული ომში ჩაბმისა სერბეთის მხარეს. ნიკოლოზ მეორე დედას დაგმარ დანიელს<sup>1</sup>, შემდეგში ცნობილ იმპერატრიცა მარია ფიოდოროვნას წერდა, რომ იგი ძლიერ იყო შეშფოთებული სერბეთის მხრიდან პეტროგრადში მოწყობილი დემონსტრაციისა. დედოფალი მარია ფიოდოროვნა თავის მხრივ გამოთქვამდა მწუხარებას მომავლის გამო, რადგან მის ვაჟს მოუხდებოდა ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ ბრძოლა. ამასობაში, როგორც ზემოთ ვახსენეთ ნიკოლოზი ომს არც კი განიხილავდა და ბოლომდე მშვიდობიანობის იმედი ჰქონდა.

რუსეთის საზოგადოების მაღალი წრეები ომის პერსპექტივიდან გამომდინარე ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ერთი მხარე ომისკენ მიისწრაფვოდა, ხოლო მეორე სასტიკი წინააღმდეგი იყო. მეორე მხარეს ზურგს აქტიურად უმაგრებდა სამეფო კართან დაახლოებული და მეტად ნდობით აღჭურვილი გრიგორი რასპუტინი. იგი აცხადებდა რომ რუსეთი პირველ ხანებში არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაბმულიყო ომში.

როგორც ავსტრია-უნგრეთში, ისე გერმანიასა და რუსეთში დიდ როლს თამაშობდნენ სამხედრო წრეები, რომლებიც აქტიურად უჭერდნენ მხარს ომის წამოწყებას ევროპაში. კაიზერს მრავალი გადაჭარბებული შინაარსის წერილი მისდიოდა, რაც კიდევ უფრო არწმუნებდა მას ომის დაწყების საჭიროებაში. რაც შეეხება რუსეთის მდგომარეობას მიუხედავად ნიკოლოზის განცხადებებისა, თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრები დაუყოვნებლივ ითხოვდნენ საჯარისო შენაერთების მობილიზაციას. რუსეთში მობილიზაცია ორჯერ დაიწყო. პირველად იგი შეაჩერა კაიზერმა თავისივე დეპეშით, რომელიც გაუგზავნა ბიძაშვილ ნიკოლოზს. ამასთანავე 30 ივლისის დამეს, როდესაც ვილჰელმმა შეიტყო რუსული ჯარების ფორმირების შესახებ, გააკეთა ჩანაწერი: *"ეჭვი აღარ მქარება, რომ ინგლისი, რუსეთი და საფრანგეთი ერთმანეთს შეუთანხმდა, რადგან (მათ) იცოდნენ, რომ ჩვენი ხელშეკრულების ვალდებულებები გვაიძულებს მხარი დაუჭიროთ ავსტრიას - (მათ სურთ) გამოიყენონ ავსტრია-სერბეთის კონფლიქტი, როგორც საბაბი ჩვენს წინააღმდეგ გამანადგურებელი ომის საწარმოებლად."*<sup>2</sup>

<sup>1</sup> მარია სოფია ფრედერიკა დაგმარ დანიელი. გლუქსბურგთა დინასტიის წარმომადგენელი. დანიის მეფის კრისტიან IX-ის ასული. 1847-1928წწ.

<sup>2</sup> Balfour, Michael (1964), *The Kaiser and his Times*, Houghton Mifflin.

ჩვენ უკვე ავღნიშნულ რომ ნიკოლოზი ძალზედ მმორჩილი პიროვნება იყო და მასზე გავლენა ბევრს გააჩნდა. შესაბამისად ნიკოლოზი წინ აღუდგა არმიის შეკრებას, თუმცა მასზე გავლენა მოიპოვა სამხედრო მინისტრმა და მობილიზაცია კვლავ განახლდა.<sup>1</sup>

დეპეშა 3 - კაიზერი მეფეს

ივლისი 29, 6:30 p.m

მე მივიღე თქვენი დეპეშა და ვიზიარებ თქვენს სურვილს, რომ მშვიდობა შენარჩუნდეს. მაგრამ, როგორც ჩემს პირველ დეპეშაში გითხარით, ავსტრიის ქმედება სერბეთის წინააღმდეგ მე არ შემიძლია მივიჩნიო „უბრალო“ ომად. ავსტრიამ გამოცდილებით იცის, რომ სერბული დაპირებები ქაღალდზე სრულიად არასანდოა. მე მესმის, რომ მისი ქმედება უნდა შეფასდეს, როგორც ტენდენციური, რათა მივიღოთ სრული გარანტია იმისა, რომ სერბული დაპირებები რეალური ფაქტები გახდება. ამ ჩემს მსჯელობას ადასტურებს ავსტრიის კაბინეტის განცხადება, რომ ავსტრიას არ სურს რაიმე ტერიტორიული დაპყრობა სერბეთის ხარჯზე. ამიტომ, მე ვარაუდობ, სავსებით შესაძლებელია, რომ რუსეთი დარჩეს ავსტრიულ-სერბული კონფლიქტის მაყურებელი ევროპის ყველაზე საშინელ ომში ჩარევის გარეშე, რაც კი ოდესმე ყოფილა. მე ვფიქრობ, რომ თქვენს მთავრობასა და ვენას შორის პირდაპირი ურთიერთგაგება შესაძლებელია და სასურველია, და როგორც მე უკვე მოგახსენეთ, ჩემი მთავრობა აგრძელებს მათ ხელშეწყობას. რა თქმა უნდა, რუსეთის მხრიდან სამხედრო ზომებს ავსტრია განიხილავს, როგორც უბედურებას, ჩვენ ორივეს გვსურს თავიდან ავიცილოთ (ის, რაც) საფრთხის ქვეშ დააყენებს ჩემს, როგორც შუამავლის პოზიციებს, რომელიც მე ადვილად მივიღე თქვენი თხოვნით, ჩემს მეგობრობისა და დახმარებაზე.

ვილლი.

სამხედრო მაღალჩინოსნების აზრით რუსეთის მტრები ომში იქნებოდნენ: ავსტრია-უნგრეთის სამეფო, გერმანიის იმპერია და ჯერ კიდევ მოქმედი ოსმალეთის იმპერია. თანადროულად ნიკოლოზი კაიზერ ვილჰელმს დეპეშით ატყობინებდა მისდამი ერთგულების შესახებ.

დეპეშა 4 - მეფისაგან კაიზერს.

29 ივლისი 8:20 pm

პეტერბურგის სასახლე, 29 ივლისი 1914

მადლობთ თქვენი შემრიგებლური და მეგობრული ტელეგრამისთვის. მაშინ როცა

---

<sup>1</sup> რუსეთის მხრიდან სამხედრო მობილიზაცია დაიწყო 1 აგვისტოს. მათი შეხედულებით არმია სრულყოფილი უნდა ყოფილიყო არა უგვიანეს 15 დღისა, რის შემდეგაც შეძლებდნენ გერმანიაზე შეტევას.

დღეს თქვენი ელჩის მიერ ჩემს მინისტრთან წარდგენილი ოფიციალური გზავნილი სულ სხვა ტონით იყო გადმოცემული. გთხოვ, ახსნათ ეს განსხვავება! სწორი იქნებოდა ავსტრიულ-სერბული პრობლემა ჰააგის კონფერენციას გადავცეთ. ენდეთ თქვენს სიბრძნეს და მეგობრობას.

*შენი საყვარელი ნიკი.*

მიუხედავად იმისა რომ თვალშისაცემია სამხედრო წრეების მომზადება ომში ჩასართავად, ნიკოლოზი კვლავ სხვა განწყობაზე იდგა. აქვე დავძენთ რომ კაიზერმა დეპეშას დაუყოვნებლივ არათუ არ უპასუხა, არამედ გააქრო. ოფიციალური გერმანიის "თეთრ წიგნში", სადაც მოცემულია დოკუმენტები ომის შესახებ, მეფის ეს უკანასკნელი წერილი გაქრა.<sup>1</sup> ძალზედ საინტერესო და ყურადღების ღირსია მეფის წინადადება, რომელიც შეეხება ავსტრიულ-სერბული დანაშაულებრივი საქმის გადაცემას ჰააგასათვის. რა თქმა უნდა ეს მეტად გამაღიზიანებელი იქნებოდა კაიზერ ვილჰელმისთვის, რადგან მის გეგმებში არანაირი მოლაპარაკება არ შედიოდა. პირიქით ის მხოლოდ საომარ ინტერესებზე იყო მიმართული. შესაბამისად წერილის გაქრობის ფაქტი, რა თქმა უნდა ნიშანდობლივია.

*დეპეშა 5 - კაიზერი მეფეს*

*ივლისი 30 1:20 A.M*

*ბერლინი, 30. ივლისი 1914*

მადლობა დეპეშისთვის. სრულიად გამორიცხულია, რომ ჩემი ელჩის ენა ეწინააღმდეგებოდეს ჩემი დეპეშას. გრაფ ჰურტალესს დაევალა თქვენი მთავრობისთვის ყურადღების მიქცევა მობილიზაციის საშიშროებასა და მძიმე შედეგებზე; იგივე გითხარი ჩემს დეპეშაში. ავსტრია მობილიზებულია მხოლოდ სერბეთის წინააღმდეგ და (ისიც) მხოლოდ მისი ჯარის ნაწილი. თუ, როგორც ეს ახლა ხდება, თქვენი და თქვენი მთავრობის კომუნიკაციის თანახმად, რუსეთი მობილიზდება ავსტრიის წინააღმდეგ, ჩემი, როგორც შუამავლის როლი, რომელიც თქვენ კეთილგანწყობით მომანდეთ და რომელიც მე მივიღე თქვენი მყისიერი ლოცვისას, (არამხოლოდ) საფრთხეში აღმოჩნდება, (არამედ) განადგურდება. გადაწყვეტილების მთელი წონა ახლა მხოლოდ თქვენს მხრებზეა, რომელმაც პასუხისმგებლობა უნდა აიღოს მშვიდობისა თუ ომისთვის.

*ვილლი*

იმ დროისთვის საფრანგეთის ელჩი ბერლინში ჯულს-მარტინ ქამბონი, საგარეო

---

<sup>1</sup> შემდგომ ხანებში გერმანელმა მადალიჩინოსნებმა ახსნეს ამის მიზეზი. მათი გადმოცემით წერილის არ შეტანა ე.წ. თეთრ წიგნში გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ წერილის არამამტაბურობითა და უსაინტერესო შინაარსით.

საქმეთა მინისტრს სტივენ პიშონს სწერდა:

"გერმანიის იმპერატორი მის თვალში აღარ არის მშვიდობის დამცველი, ზოგიერთი გერმანული მხარის საბრძოლო ტენდენციების წინააღმდეგ. ვილჰელმ II-ს მიაჩნია, რომ საფრანგეთთან ომი გარდაუვალია და მას მოუწევს ამ დღემდე მისვლა. იმპერატორს, ძნელად უნდა ითქვას, რომ სჯერა გერმანული არმიის გამანადგურებელი უპირატესობისა და მისი გარანტირებული წარმატების."<sup>1</sup>

კაიზერის აზროვნების შესაფასებლად ყველაზე უკეთ წარმოგვიდგება კრისტიან გაუსის მიერ თქმული სტყვები: "იმედი მაქვს, მთავრებისა და ხალხების, მისი ჯარისა და მისი მოქალაქეების ჰარმონიული თანამშრომლობით, (გერმანია მიაღწევს) მომავალში გახდეს ისეთივე მჭიდროდ გაერთიანებული, ისეთივე ძლიერი და სახელოვანი, როგორც იყო რომის მსოფლიო იმპერია. როგორც ძველ დროში იტყოდნენ „Civis romanus sum“<sup>2</sup>, შემდგომ მომავალში (კი) ისინი იტყვიან: "მე ვარ გერმანიის მოქალაქე".<sup>3</sup> კაიზერს იმედი ჰქონდა ერთიანი ძლიერი გერმანიის შექმნისა, თუმცა მისი ქმედებები ვერ აკმაყოფილებდა მისსავე ოცნებას.

ნიკოლოზი და ვილჰელმი მკვეთად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. თანამედროვეთა აღწერით ისინი ხასიათებით წარმოადგენდნენ სხვადასხვა პოლუსებს. ნიკოლოზი მეტად ჩაფიქრებული, მშვიდი, კეთილსინდისიერი, თუმცა ზედმეტად დამყოლი ადამიანი იყო. მას არც ფუფუნება უყვარდა და არც საკუთარი ბრწყინვალეების წარმოჩენა.

დეპეშა 6 - მეფე კაიზერს

ივლისი 30. 1:20 a.m

ჰეტერბურგის სასახლე 30 ივლისი 1914

დიდი მადლობა თქვენი სწრაფი პასუხისთვის. მე ვაგზავნი ტატიშევს ამ საღამოს ინსტრუქციებით. სამხედრო ზომები, რომლებიც ძალაში შევიდა, ხუთი დღის წინ გადაწყდა თავდაცვის მიზნით ავსტრიის მზადების გამო. მთელი გულით ვიმედოვნებ, რომ ეს ზომები არანაირად არ შეგიშლით ხელს თქვენ, როგორც შუამავალს, რასაც მე დიდად ვაფასებ. ჩვენ გვჭირდება თქვენი ძლიერი ზეწოლა ავსტრიაზე, რათა ჩვენთან ურთიერთგაგებად მოვიდეს.

ნიკი

რაც შეეხება ვილჰელმს ის იყო პატივმოყვარე, იმპულსური და ცოტაოდენ

<sup>1</sup> The Frech yellow book. How Germany forced the war. N6. გვ 18.

<sup>2</sup> თარგმ. მე რომის მოქალაქე ვარ.

<sup>3</sup> Christian Gauss. The German Emperor as Shown in his Public Utterances. გვ. 169

თეატრალურობისკენ მიდრეკილი პიროვნება. მას ძალზედ უყვარდა თავისი სილიადის, მეფურობის დემონსტრაცია. მან 19 აგვისტოს განაცხადა "მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ღმერთის დახმარებით, გერმანიის არმიისა და საზღვაო ძალების სიმამაცით და გერმანელი ხალხის დაუოკებელი ერთსულოვნებით ამ საფრთხის დროს, გამარჯვება დააგვირგვინებს ჩვენს საქმეს".<sup>1</sup>

დეპეშა 7 - კაიზერი მეფეს

ივლისი 31

ბერლინი, 31. ივლისი 1914

ჩემი მეგობრობისადმი თქვენი მოწოდებით და თქვენი დახმარების მოწოდებით დაიწყო შუამავლობა თქვენსა და ავსტრო-უნგრეთის მთავრობას შორის. სანამ ეს ქმედება მიმდინარეობდა, თქვენი ჯარები მობილიზებული იყო ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ, ჩემს მოკავშირეზე. ამით, როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩემი შუამავლობა თითქმის მოჩვენებითი გახდა.

მე მაინც გავაგრძელე ჩემი მოქმედება. ახლა ვიღებ ნამდვილ ამბებს ომისთვის სერიოზული მზადების შესახებ ჩემს აღმოსავლეთ საზღვარზე. ჩემი იმპერიის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა თავდაცვის პრევენციულ ზომების (მიღებას) მაიძულებს. ჩემს მცდელობებში, რომ შევინარჩუნო მსოფლიოში მშვიდობა, მე მივედი მაქსიმალურ ზღვრამდე. პასუხისმგებლობა სტიქიაზე, რომელიც ახლა მთელ ცივილიზებულ სამყაროს ემუქრება, ჩემს კართან არ დადგება. ამ მომენტში ჯერ კიდევ თქვენს შეგწევთ მისი თავიდან აცილება. არავინ ემუქრება რუსეთის პატივს და ძალას, რომელსაც შეუძლია დაელოდოს ჩემი შუამავლობის შედეგს. ჩემი მეგობრობა თქვენთან და თქვენს იმპერიასთან, რომელიც ბაბუამ სიკვდილისპირას გადმომცა, ჩემთვის ყოველთვის წმინდა იყო და გულწრფელად ხშირად ვუჭერდი მხარს რუსეთს, როდესაც ის სერიოზულ უბედურებაში იყო, განსაკუთრებით ბოლო ომში.

ევროპის სიმშვიდე შესაძლოა თქვენ მაინც შეინარჩუნოთ, თუ რუსეთი დათანხმდება სამხედროების შეჩერებას. ზომები, რომლებიც საფრთხეს უქმნის გერმანიას და ავსტრო-უნგრეთს.

ვილლი

დეპეშა 8 - მეფე კაიზერს

31 ივლისი

პეტერბურგის სასახლე. 31 ივლისი 1914

---

<sup>1</sup> [The New York Times. 19 August 1914. ISSN 0362-4331.](#)



მისი უდიდებულესობა იმპერატორს,

ახალი სასახლე

გულწრფელად მადლობას გიხდით თქვენი შუამავლობისთვის, რომელიც გვაძლევს იმედს, რომ ყველაფერი შეიძლება მშვიდობიანად დასრულდეს. ტექნიკურად შეუძლებელია ჩვენი სამხედრო მზადების შეჩერება, რომელიც სავალდებულო იყო ავსტრიის მობილიზაციის გამო. ჩვენ შორს ვართ ომის სურვილისგან. სანამ სერბეთის მხარეზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები ავსტრიასთან, ჩემი ჯარები არ განახორციელებენ რაიმე პროვოკაციულ მოქმედებას. მე გაძლევთ ჩემს საზეიმო სიტყვას ამის შესახებ. მთელი ჩემი ნდობა (მიპყრობილი) მაქვს ღვთის წყალობასა და თქვენი წარმატებული შუამავლობისკენ ვენაში, ჩვენი ქვეყნების კეთილდღეობისა და ევროპის მშვიდობისთვის.

შენი მოსიყვარულე ნიკი

დეკემბერი 9 - მეფე კაიზერს

პეტერბურგის სასახლე. 1 აგვისტო 1914

მისი უმაღლესობა იმპერატორს

ბერლინი

მივიღე შენი დეკემბერი. მესმის, რომ ვალდებული ხართ მობილიზირების, მაგრამ მსურს მქონდეს თქვენგანაც იგივე გარანტია, რაც მე მოგეცით, რომ ეს ზომები არ ნიშნავს ომს და ჩვენ გავაგრძელებთ მოლაპარაკებებს ჩვენი ქვეყნების საკეთილდღეოდ და საყოველთაო სამშვიდობო შეთანხმების გულისთვის. ჩვენმა დიდი ხნის დადასტურებულმა მეგობრობამ, ღვთის დახმარებით, უნდა აგვარიდოს თავი სისხლისღვრას. მოუთმენლად, თავდაჯერებულობით ველი თქვენს პასუხს.

ნიკი

როგორც ზემოთ ავღნიშნულ "ვილიისა და ნიკის" წერილები 1920 წლამდე არ გამოქვეყნებულა. მოგვიანებით გაჩნდა მრავალი ეჭვი წერილების ავთენტურობასთან დაკავშირებით. მათ შორის დღესაც კი არსებობს კრიტიკა წერილების გაყალბებაზე. აქვე უნდა ითქვას, რომ თავად ექსკაიზერმა ვილჰელმმა დაადასტურა წერილების სინამდვილე. თუმცა სიხარულით არ შეხვედრია მათ გამოქვეყნებას. 1920 წლის იანვარში პრინც ფიურსტენბერგისთვის დაწერილ წერილში<sup>1</sup> ამერონგენიდან, ჰოლანდიიდან, იგი ბიძაშვილის წერილების შესახებ შემდეგს წერდა: „რას ფიქრობთ ნიკოლასთან მიმოწერის უკანონო გამოქვეყნებაზე? ამ აღამიანებს სულაც არ აქვთ თანაგრძნობა და მოხარული

<sup>1</sup> ხსენებული წერილი იმავა წლის 28 იანვარს ლონდონის თაიმსში დაიბეჭდა

ვიქნები, თუ ყველაფერი უცვლელად გამოქვეყნდება. მე მივეცი ბრძანება ლოვენფელდს, გაეპროტესტებინა ამ პირადი წერილების გამოქვეყნება, მაგრამ რადგან ეს კეთდება მტრულად (განწყობილ) ქვეყნებში, მას ნაკლები წარმატება ექნება, ვიდრე ბისმარკის შემთხვევაში. იმ ქმედების შემდეგ, რაც მე მივიღე და ახლაც მაქვს გერმანელი ხალხისგან, არ მიკვირს, რომ გერმანული გაზეთები მონაწილეობენ ამ ბინძურ პრაქტიკაში“.<sup>1</sup>

კაიზერმა ვილჰელმა რუსეთთან ომის გამოცხადებით არა მარტო გზა გაუხსნა ევროპაში ჯერ არნახულ სამხედრო ვითარებას, არამედ ხელი შეუწყო გერმანიაში, ავსტრიაში და რუსეთში მონარქიის დამხობას.

დეკემბერი 10 - კაიზერი მეფეს

1 აგვისტო

ბერლინი. 1 აგვისტო 1914

მადლობა დეკემბრისთვის. მე გუშინ თქვენს მთავრობას მივუთითე, თუ როგორ შეიძლება თავიდან იქნას აცილებული მხოლოდ ომი. მიუხედავად იმისა, რომ დღეს შუადღისთვის პასუხი მოვითხოვე, ჩემი ელჩის დეკემბერი, რომელიც თქვენი მთავრობისგან პასუხს გადმოსცემდა, ჯერ არ მიმივიდა. ამიტომ მე ვალდებული ვარ ჩემი ჯარის მობილიზირებისა.

დაუყოვნებლივ დადასტურებული მკაფიო და უტყუარი პასუხი თქვენი მთავრობისგან არის ერთადერთი გზა გაუთავებელი უბედურების თავიდან ასაცილებლად. სანამ ამ პასუხს არ მივიღებ, სამწუხაროდ, ვერ ვისაუბრებ თქვენი დეკემბრის თემაზე. ფაქტობრივად, მე უნდა გთხოვოთ, რომ დაუყოვნებლივ უბრძანოთ თქვენს ჯარებს არ დაარღვიონ ჩვენი საზღვრები ოდნავადაც კი.

ვილლი

ნიკოლოზის ჩამოგდებისა და ბოლშევიკური რევოლუციის საქმეში, ვილჰელმა თავისი წვლილი შეიტანა. გერმანული მაღალი საზოგადოება სამხედროებთან ერთად კარგად ხედავს თუ რა საფრთხე იქმნებოდა ფრონტის აღმოსავლეთის მხარეს. ამასთანავე გერმანიამ დაკარგა სამხედრო მოკავშირე იტალიის სახით<sup>2</sup>, რაც გამარჯვების ბალანს ანტანტასკენ სწევდა. თავდაპირველად რუსეთის მოსახლეობა მეტად გულანთებით უჭერდა მხარს ომს ავსტრია-უნგრეთთან და გერმანიასთან. ეს როგორმე უნდა

<sup>1</sup> Letters from the Kaiser to the Czar, copied from government archives in Moscow unpublished before 1920; private letters from the Kaiser to the Czar found in a chest after the Czar's execution and now in possession of the Soviet government - by Levine, Isaac Don.

<sup>2</sup> იტალია ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ შეუერთდა ანტანტას. მათ მოკავშირეებისგან მოითხოვეს: ტრიესტი, ტრენტინო, ვალონა. ასევე კ. სასენო, დალმაციის სანაპირო და სხვა.

მოგვარებულიყო, რათა გერმანიას თავისი საქმე გაეგრძელებინა ევროპაში. რუსეთის ჩამოშორება გარედან ფაქტობრივად შეუძლებელი ჩანდა, თუმცა შიგნიდან შესაძლებელი. თუ ხალხი თვითონ გამოვიდოდა ომისა და თვით იმპერატორის წინააღმდეგ გერმანიას დარჩებოდა შანსები ომის მოგებისა და ბალანსის აღდგენისა.

მეფის ჩამოგდების შემდეგ აღმოსავლეთის ფრონტის წარმატებისდა მიუხედავად ვილჰელმმა არარად ჩააგდო მისი საყვარელი ბიძაშვილი ნიკოლოზი და მისი ოჯახი. მას არც კი გამოუთქვამს მზაობა მათი ემიგრაციაში გაშვების შესახებ და მთლიანად შეატოვა სადისტ რევოლუციონერ რუსებს, რომლებმაც სასტიკად ამოხოცეს მეფის ოჯახი და მისი ნათესავები.

ამ მოვლენიდან თითქმის ერთი წლის თავზე 1918 წლის ნოემბერში ამჯერად კაიზერ ვილჰელმს მოუწია ტახტიდან გადადგომა და შემდგომ ემიგრაციაში გამგზავრება<sup>1</sup>. სამი ძღვევამოსილი ბიძაშვილიდან ერთადერთი გამაჯვებული მეფე ჯორჯ მეხუთე გამოდგა.

შესაბამისად უნდა ითქვას, რომ ჩვენი აზრით ევროპაში იმპერიების მთავრობების ჩამოშლის საქმე მთლიანად უკავშირდება კაიზერ ვილჰელმ მეორის არამიზნობრივ, გაუთვალისწინებელ პოლიტიკას, რამაც როგორც სხვა მონარქები, აგრეთვე მისი ძალაუფლებაც შეიწირა. სწორედ მისგან იწყება ახალი ფორმირებები ევროპაში, რომელიც მთელი გასული საუკუნე გაგრძელდა და შეიძლება ითქვას რომ ახლაც კი გრძელდება.

---

<sup>1</sup> 1918 წლის 10 ნოემბერს ექსკაიზერი ვილჰელმი მატარებლით გაემგზავრა ნეიტრალურ ნიდერლანდების სამეფოში.

## გამოყენებული ლიტერატურის სია:

- 1) 1) პაპასქირი თეიმურაზ. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია. 1914-1945. ნაკვ. I. თბილისი. მერიდიანი. 2009
- 2) 2) Carter, Miranda. George, Nicholas and Wilhelm: Tree Royal Cousins and the Road to Word War I. NEw York, Alfred A. Knopf, 2010.
- 3) 3) Catrine Clay. King, Kaiser, Tsar: Three Royal Cousins Who Led the World to War. 2007 by John Murray. ISBN- 9780719565373
- 4) 4) Cecil, Lamar (1989), *Wilhelm II: Prince and Emperor, 1859–1900*, Chapel Hill: University of North Carolina Press, ISBN 978-0-8078-1828
- 5) 5) Christian Gauss. The German Emperor as Shown in his Public Utterances. September 11, 2013 [EBook #43666] <https://www.gutenberg.org/files/43666/43666-h/43666-h.htm>
- 6) 6) Ellery Cory. The diplomacy of the war of 1914. 1916. Boston and New York, Houghton Mifflin company. library of congress; americana.
- 7) <https://archive.org/details/diplomacyofwarof01stow/page/n5/mode/2up>
- 8) 7) Heresch, Elisabeth. Die Romanows: Russlands Zarenfamilie 1613 - 2013. Nicolai Publishing. 2013. ISBN-10 : 3894797967
- 9) 8) Levine, Isaac Don. Letters from the Kaiser to the Czar, copied from government archives in Moscow unpublished before 1920; private letters from the Kaiser to the Czar found in a chest after the Czar's execution and now in possession of the Soviet government. New York, Frederick A. Stokes company [c1920]. კონგრესის ბიბლიოთეკა <https://www.loc.gov/item/20015556/>
10. 9) *Ludwig, Emil (1927), Wilhelm Hohenzollern: The Last of the Kaisers, New York: GP Putnam's Sons, ISBN 978-0-404-04067-3.*
11. 9) *Willmott, H. P. (2003). First World War. Dorling Kindersley. ISBN 978-1-4053-0029-2.*
12. 10) Z. A. B. Zeman. A Diplomatic History of the First World War (1971)
13. 11) The Frech yellow book. How Germany forced the war. PUBLISHED ON THE AUTHORITY OF THE FRENCH GOVERNMENT BY "THE TIMES," PRINTING HOUSE SQUARE, LONDON, B.C. Copyright in the United States of America by the Times Publishing Company, Ltd. <https://cudl.colorado.edu/MediaManager/srvr?mediafile=MISC/UCBOULDERCB1-58-NA/1511/i73753014.pdf>
14. 12) Биргит Гёрц, Инга Ваннер. Могли ли Вильгельм II и Николай II предотвратить войну? 01.08.2014
15. <https://www.dw.com/ru/могли-ли-вильгельм-ii-и-николай-ii-предотвратить-войну/a-17807625> (25/11/23)
16. 13) [https://wwi.lib.byu.edu/index.php/The\\_Willy-Nicky\\_Telegrams](https://wwi.lib.byu.edu/index.php/The_Willy-Nicky_Telegrams) - Brigham Young University Library (11/11/23)

## საიქს-პიკოს შეთანხმება: მისი როლი და მნიშვნელობა თანამედროვეობაში

საიქს-პიკოს შეთანხმება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია პირველი მსოფლიო ომისა, რომელსაც ერთ-ერთმა იმდროინდელმა პოლიტიკოსმა „ყველა ომის დამამთავრებელი ომი“ უწოდა, მიზანი კი წამყვან სახელმწიფოებს შორის მსოფლიოს განაწილება იყო, რომელიც თავისი შედეგებით, რასაკვირველია, პოლიტიკურ რუკაზე ძირეულ ცვლილებებს შეიტანდა. ზესახელმწიფოთა ინტერესის ერთ-ერთი მთავარი ობიექტი კი ახლო აღმოსავლეთი გახლდათ. აქედან გამომდინარე, შეთანხმება, თავისი პირობებითა და შედეგებით, ერთმნიშვნელოვნად ახლო აღმოსავლეთის გეოგრაფიულ არეალს მოიცავდა. ნაშრომში არა მხოლოდ ფაქტოლოგიურ მასალებს, არამედ მათ კანონზომიერებას, მიზეზ-შედეგობრივ კავშირებსა და მნიშვნელოვან შედეგებს („ბალფურის დეკლარაცია“; სან-რემოს კონფერენცია; ისრაელის სახელმწიფოს შექმნა; ებრაელ და არაბ ხალხს შორის ურთიერთობის გამწვავება; ქურთების საკითხი) შევხებით, რომლებიც ასი წლის შემდეგაც არ კარგავს აქტუალობას. უშუალოდ ანტანტის წევრ ქვეყნებს შორის ზემოთ აღნიშნული შეთანხმების განხილვამდე, საზგასასმელია, რა კონკრეტული ინტერესები ამოძრავებდა ახლო აღმოსავლეთში ზესახელმწიფოებს I მსოფლიო ომის პერიოდში, აგრეთვე არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანი წინაპირობაა მაკმაჰონ-ჰუსაინის კორესპონდენცია.

პირველ რიგში, ანტანტის წევრი ქვეყნებისა (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი) და ოსმალეთის იმპერიის რეალური მიზნები უნდა ჩამოვაცალიბოთ. რა სურდა დიდ ბრიტანეთს, რა კონკრეტული ტერიტორიები შედიოდა მისი ინტერესის სფეროში? კუნძულოვანი სახელმწიფო უკვე ბატონობდა თავისივე პროტექტორატების სისტემით ეგვიპტეში, სპარსეთისა და ადენის ყურეების სანაპიროების ყველაზე ხელსაყრელ ადგილებში, მის მოტივაციას ეგვიპტეში პოზიციების განმტკიცება, ოსმალეთში გერმანიის მზარდი გავლენის მოსპობა წარმოადგენდა. საფრანგეთს ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კი ლიბანში კოლონიური ინტერესები ამოძრავებდა. მეტად საინტერესოა რუსეთის მიზნები და ხედვები პირველი მსოფლიო ომის პერიოდში: მოკავშირეები პეტროგრადს მთავარი ოცნების აღსრულებას დაჰპირდნენ, ოცნებისა, რომელიც ევრაზიაში

გეოპოლიტიკურ ვითარებას გარდაქმნიდა და მას სრულიად განსხვავებულ ელფერს მისცემდა, კერძოდ, 1915 წლის 12 მარტის ნოტიო ინგლისი იღებდა რა ვალდებულებას, რომ ომის შემდგომ რუსეთისთვის კონსტანტინოპოლი და სრუტეები მიმდებარე ტერიტორიებითურთ გადაეცა, ეს კი ფუნდამენტურად არღვევდა ოსმალეთის სასაზღვრო სისტემასა და მის ინტერესებს. რა კონკრეტულმა გარემოებამ განსაზღვრა ამ უკანასკნელის პირველ მსოფლიო ომში ჩაბმა? ამ იდეით „ახალგაზრდა თურქთა“ ლიდერები, განსაკუთრებით კი, სამხედრო მინისტრი, ენვერ ფაშა იყო აღტკინებული. ქვეყანა ომისთვის რეალურად სულაც არ იყო მზად, თუმცაღა ქვეყნის სათავეში მდგომ ლიდერებს მაინც ღრმად სწამდათ, რომ გერმანია ანტანტას დაამარცხებდა, ეს ყოველივე ოსმალეთის პროგერმანულ და ანტი-ანტანტურ განწყობილებას უსვამს ხაზს.

ზესახელმწიფოების ინტერესთა სფეროების სისრულეში მოყვანა და განხორციელება მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო წარმატებას როდი ეფუძნებოდა, მისი წარმატებულობის ერთ-ერთი გარანტი სწორად წარმართული დიპლომატიაც უნდა ყოფილიყო. სანამ უშუალოდ საიქს-პიკოს შეთანხმებაზე ვისაუბრებდეთ, ამ თემას წინ უნდა წავუძღვაროთ დიდი ბრიტანეთის დიპლომატიური კავშირი შარიფ<sup>1</sup> ჰუსაინთან, რათა უკეთ გავიაზროთ რა პირობები დაარღვია ბრიტანეთმა საფრანგეთთან კავშირით. კუნძულოვანი სახელმწიფოს რეალური მიზნები სულაც არ ითვალისწინებდა ანტანტის არაბი მოკავშირეების სურვილებს, თუმცაღა იმ დროს მოჩვენებითი მხარდაჭერა ბრიტანეთის ერთი მნიშვნელოვანი სურვილითაა განპირობებული, კერძოდ, მას ოსმალეთის იმპერიაში ადგილობრივი მოკავშირე სჭირდებოდა, ასეთ საყრდენად კი მექა მიიჩნია, რომელიც ისლამური სამყაროსთვის მთავარ საყრდენს წარმოადგენდა და მის მიმართ ინტერესი შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. მექის მმართველმა, შარიფმა ჰუსაინ იბნ-ალი ალჰაშიმიმ და დიდი ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა ეგვიპტეში - სერ ჰენრი მაკმაჰონმა ჯამში ათი წერილი გაუგზავნეს ერთმანეთს. პირობები შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი: ჰუსაინს არაბები ოსმალეების წინააღმდეგ უნდა აეჯანყებინა, სანაცვლოდ კი დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერას ითხოვდა აზიის არაბული მიწების ხარჯზე არაბული სახალიფოს აღდგენის, მისი დამოუკიდებლობის ცნობისა და გარანტირებისთვის. „მაკმაჰონ-ჰუსაინის მიწერ-მოწერა“ არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება გეოგრაფიული არეალის დაუზუსტებლობამ თითქმის მთელი მსოფლიო ხანგძლივ საერთაშორისო გართულებამდე მიიყვანოს, ამის ნათელი გამოვლინება კი საიქს-პიკოს

---

<sup>1</sup> შარიფი (არაბულად „კეთილშობილს“, „დიდებულს“ ნიშნავს) იყო ტიტული წინასწარმეტყველ მუჰამადის შთამომავლებისა. დინასტიურად კი ჰაშიმიანებს ეკუთვნიან. შარიფები მექას X საუკუნიდან 1924 წლამდე განაგებდნენ.

შეთანხმება. ჯერ კიდევ 1915 წლის 24 ოქტომბრის წერილში მაკმაჰონი აღნიშნავდა, რომ სირიის ის ნაწილები, რომლებიც დამასკოს, ჰომსის, ჰამასა და ალეპოს რაიონების დასავლეთით მდებარეობდა, აგრეთვე მერსინისა და ალექსანდრეტას<sup>1</sup> ორი რაიონი არ შეიძლება წმინდა არაბულად ჩათვლილიყო. ამიტომ, როგორც წერილებიდან ირკვევა, უმაღლესი კომისარი გამორიცხულ ადგილებად დღევანდელ ლიბანს, დასავლეთ სირიასა და სამხრეთ თურქეთს უნდა გულისხმობდეს, სადაც არსებობდა თუნდაც არადომინანტი ქრისტიანული მოსახლეობა, აგრეთვე სუნიტი თურქები. რაც შეეხება პალესტინასა და იერუსალიმს, რომელთა გარშემოც ბევრი კითხვის ნიშანი გაჩნდა, უფრო მეტად კი საიქს-პიკოს შეთანხმების შემდგომ, მაკმაჰონს შეეძლო პირდაპირ ეხსენებინა პალესტინაც და იერუსალიმის რაიონიც, თუკი მის გამორიცხვას აპირებდა, მაგრამ ტექსტის ეს ნაწილი გეოგრაფიულად დაუზუსტებელი და ბუნდოვანია. მოგვიანებით სწორედ ამ მიზეზთა გამო არაბები ამტკიცებდნენ, რომ წერილის ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე „ტერიტორიაში, რომელსაც მაკმაჰონი დაჰპირდა ჰუსაინს, პალესტინაც იყო ჩართული და ამდენად, „საიქს-პიკოს შეთანხმება“ და განსაკუთრებით „ბალფურის დეკლარაცია“ წარმოადგენს ბრიტანული მზაკვრობისა და მუხანათობის მაგალითს“. [გაჩეჩილაძე,რ.2008:266] ეს მოჩვენებითი მოკავშირეობა კი რეალურად კარგად გათამაშებული, წინასწარ გაწერილი სცენარი უნდა ყოფილიყო.<sup>2</sup>

და მაინც, რას გულისხმობს ჩვენ მიერ უკვე ხშირად ნახსენები საიქს-პიკოს შეთანხმება? რატომ დარჩა ისტორიაში ამ სახელწოდებით? არის თუ არა დღემდე მისი შინაარსი, შეთანხმების წინაპირობა და შედეგი აქტუალური? ომის განმავლობაში ანტანტის წევრმა სახელმწიფოებმა არაერთ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიის მომავალი დანაწილების შესახებ. მთელი რიგი შეთანხმებები, რომლებიც ახლო აღმოსავლეთის გარშემო მუდამ დღის წესრიგში იდგა, არანაირად არ ითვალისწინებდა ანტანტის არაბი მოკავშირეების სურვილებს, მათი შინაარსი მიმართული გახლდათ ალიანსის ევროპელი წევრების ინტერესთა დაკმაყოფილებისაკენ. ერთმა მკვლევარმა ამ კონკრეტულ პოლიტიკას „მოვლენათა წინმსწრები ექსპანსიონისტური რეზერვირება“ უწოდა [Monroe, 1981: 26]. სავარაუდოდ მსგავსი შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების მთავარ მიზანს ანტანტაში შემავალ სახელმწიფოებს შორის ომის შემდგომ რაიმე პოტენციური უთანხმოების მიზეზთა აღმოფხვრა და მოსპობა წარმოადგენდა. თუმცაღა გაუგებრობა და შემდგომი კონფლიქტის

<sup>1</sup> ორივე მათგანი სამხ. თურქეთში მდებარეობს

<sup>2</sup> მიიჩნევენ, რომ 1915 წლის 24 ოქტომბრის წერილით მაკმაჰონი ბრიტანეთის მოკავშირე საფრანგეთისათვის ლევანტის სანაპირო მხარის რეზერვირებას ახდენდა.

კერათა ჩასახვა მაინც ვერ აირიდეს თავიდან. საფრანგეთი აქტიურად ითხოვდა ოსმალეთის სირიას, რადგანაც საფრანგეთის მხარემ დასავლეთის ფრონტზე ბრძოლის არნახული სიმძიმე თავის თავზე აიღო, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები ყურადღების მიღმა დარჩა, ყურადღების მიღმა დარჩა ბრიტანული დიპლომატიის გააქტიურებაც, რომელიც ამ რეგიონში თავის სამხედრო, პოლიტიკურ ინტერესებს დიდი წარმატებით ახორციელებდა. საბოლოოდ, ორივე მხარემ შეთანხმებას მიაღწია და ხელი მოეწერა საიდუმლო ხელშეკრულებას (1916 წლის მაისი), რომლითაც ისინი ერთმანეთში იყოფდნენ ძირითად ნაწილს არაბული ახლო აღმოსავლეთისა. მოლაპარაკებებს მაღალი რანგის ბრიტანელი დიპლომატი - სერ მარკ საიქსი და ბეირუთში საფრანგეთის ყოფილი კონსული - ჟორჟ პიკო აწარმოებდნენ, ამიტომაც აღნიშნული შეთანხმება საიქს-პიკოს სახელითაა ცნობილი, რომელსაც ხშირად საიქს-პიკო-საზანოვის შეთანხმების სახელითაც მოიხსენიებენ.<sup>1</sup> დისკუსიათა პირველი ნაწილი ლონდონში, საფრანგეთის მთავრობასთან ერთად 1915 წლის 23 ნოემბერს გაიმართა. ომის ყველაზე წინააღმდეგობრივი დოკუმენტი, ტერიტორიათა დანაწილების იმ პირობებს არღვევდა, რომლებიც შარიფ ჰუსაინს ინგლისელებმა მისცეს. რაში გამოიხატებოდა პირობათა დარღვევა? პირველ რიგში იმით, რომ ევროპის სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით, საფრანგეთის უფლებები დიდ სირიაზე ბრიტანეთმა აღიარა. საფრანგეთი პირდაპირ კონტროლს უწევდა ლიბანს, ანატოლიის სამხრეთ ნაწილს, არაპირდაპირი გავლენის უფლება კი მიენიჭა დანარჩენ სირიაზე. რაც შეეხება ბრიტანეთს, მას პირდაპირი კონტროლი მესოპოტამიის სამხრეთ ნაწილზე უნდა დაემყარებინა (ცენტრალური და სამხრეთი ერაყი და ქუვეითი), გავლენის ზონად კი ითვლებოდა ტერიტორია ღაზადან ქირქუკამდე (ჩრდილოეთ ერაყი). რა ბედი ხვდა წილად პალესტინას? ხელშეკრულების ძირითადი ტექსტის მიხედვით, პალესტინა (რომლის ორ მესამედს შეადგენდა იერუსალიმის სანჯაყი) სამართავად საერთაშორისო ადმინისტრაციას უნდა გადასცემოდა, რადგანაც რუსეთი დაჟინებით მოითხოვდა, რომ წმინდა მიწის მმართველობაში მათაც მიეღოთ მონაწილეობა.<sup>2</sup> სწორედ ამის გამო, პოლიტიკურ რუკაზე პალესტინა ე.წ. „ყავისფერ“ ზონად განისაზღვრა.<sup>3</sup>

როგორ განვითარდა მოვლენები 1916 წლის საიქს-პიკოს შეთანხმების შემდეგ? მისი შინაარსი საჯაროდ ცნობილი ორი წლის შემდეგ გახდა, როდესაც ბოლშევიკმა ლიდერებმა

<sup>1</sup> ვინაიდან და რადგანაც, შეთანხმებაში რუსეთის ინტერესებიც იყო გათვალისწინებული.

<sup>2</sup> ნ. ლომოური, პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი და სამშვიდობო პროცესი XX საუკუნის ბოლოს, გვ. 15, 2005.

<sup>3</sup> საიქსმა და პიკომ თავიანთი მთავრობებისათვის სხვადასხვა ხალხით დასახლებული ფართობი ფერადი ფანქრებით შემოხაზეს. „ლურჯი“ ზონა - ფრანგული გავლენის ზონად ცხადდებოდა; „წითელი“ ზონა კი - ბრიტანეთის



ის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში აღმოაჩინეს და მასზე უარის თქმა გადაწყვიტეს, ისევე როგორც მეფის ხელისუფლების სხვა ომისდროინდელ მოთხოვნებსა და პირობებზე. ბოლშევიკთა დიპლომატია შემდეგნაირად წარმართა: მათ დაუყოვნებლივ აცნობეს ოსმალეთს დოკუმენტის არსებობის შესახებ. ჯემალ ფაშამ<sup>1</sup> ეს ყოველივე დეტალურად გააცნო არაბებს, მიზანი კი ქრისტიანული სახელმწიფოების რეალური სახის წარმოჩენა გახლდათ, რომელიც წარმოადგენდა დასტურს ოსმალეთის იმპერიის მუსლიმი ხალხისადმი დალატისა. ჰუსაინი, რომელმაც აქამდე არაფერი იცოდა შესახებ, შეთანხმების შესახებ, ახსნა-განმარტება სერ რეჯინალდ უინგეიტისგან მოითხოვა, სწორედ მან შეცვალა მაკმაჰონი კაიროში. უინგეიტმა კი ბრიტანული დიპლომატიის ჩვეული ხრიკებით გასაჯაროებული დოკუმენტის იმგვარი ინტერპრეტაცია მოახდინა, თითქოსდა ეს უბრალოდ მოსაზრებათა გაცვლა იყო ბრიტანულ, ფრანგულ და რუსულ მთავრობებს შორის და არა რაიმე სახის მყარი, მტკიცე შეთანხმება. ფაქტი ერთია, ომის დასასრულისთვის ოსმალეთის იმპერიის უდიდესი ნაწილი ანტანტის წევრ სახელმწიფოებს წინასწარ ჰქონდათ გადანაწილებული. პირველმა მსოფლიო ომმა პოლიტიკური რუკა ერთმნიშვნელოვნად გარდაქმნა, ერთ-ერთი მთავარი და ხაზგასასმელი შედეგი ოსმალეთის დაცემა იყო, რომლის არაბული მიწებიც ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის დამთავრებამდე შესახებ წარმოდგენილებმა ერთმანეთს შორის გაინაწილეს. ეს დაყოფა კი ოფიციალურად 1920 წლის 20 აპრილს, სან-რემოს კონფერენციაზე გაფორმდა. შედეგად ფრანგებმა მიიღეს თანამედროვე სირიისა და ლიბანის ტერიტორიები, ბრიტანეთს კი წილად ხვდა პალესტინა თავისი ტრანსიორდანიით და ერაყი, რომლის შემადგენლობაშიც მოსულის ვილაიეთი ჩართეს, დოკუმენტის თანახმად, ეს რეგიონი საფრანგეთს ჰქონდა აღთქმული, თუმცადა სან-რემოს კონფერენციაზე ოფიციალურად გაფორმებულ საბოლოო გადანაწილებას წინაპირობად ერთვოდა ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის წინააღმდეგობა მოსულის ნავთობის შესახებ. ბრიტანეთი დიდ ზეწოლას ახორციელებდა საფრანგეთზე, რათა ეს ტერიტორია მის მიერ კონტროლირებად ერაყს მიერთებოდა. ბოლოს კი მაინც თავისი გაიტანა - 1920 წლის თებერვალში შეთანხმდნენ, რომ საფრანგეთს ჰქონდა უფლება ერაყის ნედლი ნავთობის 25%-ის შექენისა. მოსულის რეგიონის გარდა, საფრანგეთმა უარი თქვა პალესტინაზეც, დანარჩენი სირიის სანაცვლოდ - სწორედ ამიტომ გადადის სან-რემოს კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით სირია და ლიბანი საფრანგეთის

---

<sup>1</sup> აჰმედ ჯემალ-ფაშა (1872-1922 წწ) ოსმალეთის იმპერიის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. „ახალგაზრდა თურქების“ მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

შემადგენლობაში. ამკარაა, რომ ბრიტანული დიპლომატია იმარჯვებს, თუმცადა მაკმაჰონ-ჰუსაინის მიწერ-მოწერიდან დაწყებული, საიქს-პიკოს შეთანხმებით გაგრძელებული (რომელიც სან-რემოს კონფერენციაზე დამტკიცდა) და „ბალფურის დეკლარაციით“ დამთავრებული, ის ძალიან დიდ კონფლიქტსა და გაუგებრობას უყრის საფუძველს, რომელიც გეოგრაფიული არეალის დაუზუსტებლობით იყო გამოწვეული. აი, რა იგულისხმება ამ ყოველივეში, ბრიტანეთისა და საფრანგეთის კაბინეტებმა საიქს-პიკოს შეთანხმება 1916 წლის დეკემბერში მოიწონეს, თუმცადა მასში არაფერი იყო ნათქვამი ებრაელებზე მოუხედავად მათი საკითხის აქტუალურობისა, რომელიც უკვე 20-30 წლის განმავლობაში პალესტინაში აქტიური ჩასახლებით გამოიხატებოდა. თუმცადა ჯერ კიდევ 1915 წლისთვის ბრიტანეთი საფრანგეთთან ალიანსის შენარჩუნებისთვის უფრო მეტად ზრუნავდა, ვიდრე პალესტინის ებრაელებისთვის რეზერვირებისათვის - ამ საკითხმა აქტუალურობა მოგვიანებით შეიძინა, სწორედ მაშინ, როდესაც დღის წესრიგში დადგა პალესტინის ერთპიროვნულად დაუფლებისა და მასზე კონტროლის დამყარების თემატიკა. ებრაელთა რეპატრიაციის იურიდიული საფუძველი „ბალფურის დეკლარაცია“ გახდა, სადაც ბრიტანეთი სიონისტური<sup>1</sup> მიზნისადმი დიდ მხარდაჭერას აცხადებდა. ეს პირველ რიგში, თავისივე ინტერესებისთვის სჭირდებოდა, რადგან თავიდან სულაც ვერ იაზრებდა პალესტინაში არსებულ მთელ რიგ პრობლემებს. საიქს-პიკოს შეთანხმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგად 1917 წლის 2 ნოემბრის მოვლენა იქცა, როდესაც დიდი ბრიტანეთის მთავრობის სახელით საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანმა, ლორდმა ბალფურმა ბრიტანეთის ებრაული თემის წარმომადგენელს, ბრიტანულ სიონისტს, ლორდ როტშილდს საბოლოოდ შეთანხმებული ტექსტი გაუგზავნა, რომლის მიხედვითაც, ბრიტანეთი თავის კეთილგანწყობას გამოხატავდა პალესტინაში ებრაელი ხალხისთვის ეროვნული კერის დაფუძნების შესახებ:

*„2 ნოემბერი 1917 წ.*

*ძვირფასო ლორდო როტშილდ,*

*ჩემთვის დიდი სიამოვნებაა, მისი უდიდებულესობის მთავრობის*

*სახელით გადმოგცეთ ებრაელთა სიონისტური მისწრაფებისადმი*

*თანაგრძნობის შემდეგი დეკლარაცია, რომელიც წარედგინა და*

*დამტკიცდა კაბინეტის მიერ: „მისი უდიდებულესობის მთავრობა*

---

<sup>1</sup> სიონიზმი ჯერ კიდევ მე-19 ს-ის 90-იან წლებში გახდა აქტუალური, მაშინ, როცა 1897 წელს ავტრიელი ჟურნალისტის, თეოდორ ჰერცლის ინიციატივით ქ. ბაზელში პირველი სიონისტური კონგრესი მოიწვიეს, სადაც სიონიზმი, როგორც ებრაელთა მოძრაობა დაფუძნდა. ჰერცლმა განაცხადა: „სიონიზმის მიზანია პალესტინაში ეროვნული კერის შექმნა ებრაელთათვის, რომელთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფს კანონი“.

კეთილგანწყობით უყურებს პალესტინაში ებრაელი ხალხისათვის ეროვნული კერის დაფუძნებას და გამოიყენებს მთელ თავის ძალისხმევას, რათა გაადვილოს ამ მიზნის მიღწევა, იმის ნათელი გაგებით, რომ არაფერი გაკეთდება ისეთი, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს პალესტინაში არსებული არაებრაული თემების სამოქალაქო და რელიგიურ უფლებებს, ანდა იმ უფლებებსა და პოლიტიკურ სტატუსს, რომლითაც ებრაელები სარგებლობენ რომელიმე სხვა ქვეყანაში”.

მადლობელი დაგრჩებით, თუკი გააცნობთ ამ დეკლარაციას სიონისტურ ფედერაციას.”  
ართურ ბალფური  
[სანიკიძე, გ. 2011:459].

და მაინც, რა კონკრეტულ პრობლემათა საწყისად ითვლება ომის ეს მნიშვნელოვანი ხაზი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის, რომელთა შორისაც კონფლიქტი დღემდე არ წყდება? თითქოს ყველაფერს ისევ საწყის წერტილთან მივყავართ (მაკმაჰონ-ჰუსაინის მიმოწერა). არც „ბალფურის დეკლარაციაში” გახლდათ მითითებული ზუსტი ტერიტორია, სადაც ებრაელები უნდა დაესახლებინათ. დეკლარაციაში ლაპარაკია პალესტინაში ებრაელი ხალხისათვის ეროვნული კერის დაფუძნებაზე და არა მთელი პალესტინის გადაქცევაზე ასეთ კერად... ამ ყოველივეს მოჰყვა მე-20 საუკუნის 40-იან წლებისთვის პალესტინაში ორი ნაციონალისტური მოძრაობა: სიონიზმი, რომლის მიზანსაც ებრაელებისთვის ეროვნული კერის შექმნა წარმოადგენდა და პალესტინურ-არაბული ნაციონალიზმი, რომელსაც ბრიტანული მმართველობის გაუქმება სურდა.

საბოლოოდ, ალბათ სულაც არ არის გასაკვირი, რატომ მიიჩნევენ თანამედროვეები საიქს-პიკოს შეთანხმებას ომის ყველაზე წინააღმდეგობრივ ნაწილად, რომელმაც ერთი მხრივ, კუნძულოვანი სახელმწიფოს ხელითვე დაარდვია მის მიერ მიცემული პირობა შარიფ ჰუსაინისათვის და მეორე მხრივ წარმოშვა უფრო დიდი პრობლემა ხელოვნური საზღვრების შექმნის საფუძველზე, რომელმაც ახლო აღმოსავლეთში ყველაფერი თავდაყირა დააყენა. პირველ რიგში, განსაკუთრებით საიქს-პიკოს შეთანხმების გაგრძელებამ, „ბალფურის დეკლარაციაში”, კითხვის ნიშნის ქვეშ დატოვა პალესტინაში ებრაელთა საკითხი, რომელიც დაუზუსტებელი გეოგრაფიული არეალის გამო კიდევ უფრო მეტად ბურუსით მოცული და პრობლემატური გახდა. 1947 წლის 29 ნოემბერს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მიიღეს რეზოლუცია პალესტინის დაყოფის შესახებ ებრაულ და არაბულ სახელმწიფოებად. 1948 წლის 14 მაისს კი ჩამოყალიბდა ისრაელის სახელმწიფო,

რომელსაც ჯაჭვური პრინციპის მსგავსად მოჰყვა მეზობელ არაბულ ქვეყნებთან დაპირისპირება და ომები. რადგანაც ამ უკანასკნელებმა უარი განაცხადეს ისრაელის ცნობაზე, ეს დაპირისპირება დღემდე გრძელდება (ვის ეკუთვნის აღთქმული მიწა?) და ბევრი ანალიტიკოსის აზრით, მის აქტიურ ფაზაში გადასვლა სწორედ საიქს-პიკოს დამსახურებაა. ეს საკითხი რომ დღემდე აქტუალურობას არ კარგავს ისიც ადასტურებს, რომ მასზე მსჯელობა 100 წლის შემდეგაც არ წყდება, 2016 წლის 16 მაისს უამრავი სტატია, ინტერვიუ თუ ახალი ხედვა გამოქვეყნდა კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით, რომელთა ერთ ნაწილს, უფრო კონკრეტულად, დღევანდელ ბრიტანულ მედიასა და ინტერნეტ წყაროს ღრმად სწამს, რომ საიქს-პიკოს შეთანხმება გლობალიზაციისკენ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა, რეალურად კი, დღეისთვის უკვე მიღებულია აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ 1916 წლის მაისის ისტორიული ფაქტი უამრავი პრობლემის სათავეა<sup>1</sup> არამხოლოდ ებრაელ ხალხსა და პალესტინაში მცხოვრებ არაბებს შორის, არამედ ქურთების საკითხთან მიმართებაშიც. აღსანიშნავია, რომ საიქს-პიკოს ხელშეკრულებაში, რომელიც სან-რემოს კონფერენციაზე დამტკიცდა, არაფერი იყო ნათქვამი ქურთებზე, რომლებიც არა მხოლოდ ირანსა და თურქეთში ცხოვრობდნენ, არამედ ბრიტანეთის სამანდატო ერაყის ტერიტორიაზეც. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ქურთებმა ბრიტანეთს ოსმალეთთან ბრძოლაშიც კი აღმოუჩინეს დახმარება და დამოუკიდებლობის მიღებასაც იმედოვნებდნენ. კუნძულოვანმა სახელმწიფომ კი ოსმალეთს ქურთებით დასახლებული ტერიტორიის ნაწილი, ერაყის სასარგებლოდ ჩამოაჭრა (მოსულის რაიონი). რადგანაც საიქს-პიკოს შეთანხმებაში უშუალოდ ქურთების შესახებ არაფერი იყო ნათქვამი, გამოდის, რომ ეს ხალხიც ევროპის ხელით გავლელულ ხელოვნურ საზღვრების შეეწირა. ამის ნათელი მაგალითია ერვან საიდის<sup>2</sup> „Fikra Forum“-ში გამოქვეყნებული სტატია, რომელშიც აღნიშნავს, რომ მისთვის, საიქს-პიკოდან მომდინარე ისტორიულ გადაწყვეტილებებს სერიოზული პირადი შედეგები მოჰყვა. ქურთების უმეტესობის მსგავსად, ისიც განიცდიდა საიქს-პიკოს შეთანხმების შედეგებს. 11 წლის ასაკში სამჯერ იყო ლტოლვილი. ერაყის ყოფილმა მთავრობამ ქალაქი ჰალაბჯა (მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთ ერაყში) გაზით გაანადგურა, რომლის დროსაც ოჯახის მრავალი წევრი დაკარგა. ჰალაბჯაზე თავდასხმის გარდა, დაახლოებით 180 000 სხვა ქურთი ცოცხლად დამარხეს ერაყის უდაბნოებში, 8000 ქურთი ბარზანის რაიონიდან მოკლეს და

<sup>1</sup> T. Valérie, 2016, LES JEUX D'INGÉRENCE ET D'INTERACTION EXISTENT EN SYRIE DEPUIS DEUX CENTS ANS

<sup>2</sup> ერვან საიდი არის მკვლევარი ახლო აღმოსავლეთის საკითხებისა, რომლებიც ორიენტირებულია ქურთების, სირიის, ერაყისა და თურქეთის მახასიათებლების გამოკვლევაზე. მან ამ საქმეში დოქტორის ხარისხიც კი მიიღო

დაახლოებით 4000 ქურთული სოფელი გაანადგურეს 1980-იან წლებში.<sup>1</sup>

აქედან გამომდინარე, ის, რაც საუკუნის წინ მოხდა სულაც არ დარჩენილა წარსულში, დღემდე ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მძიმე ვითარება გარკვეულწილად ნაყოფია 1916 წლის საიქს-პიკოს შეთანხმებისა და ამას თითოეული მაგალითი მოწმობს: ანტანტის წევრი ქვეყნების საიდუმლო შეთანხმებით მაკმაჰონ-ჰუსაინის წერილებში ზემოთ აღნიშნული პირობების დარღვევა, ამ უკანასკნელში თავიდანვე თვალნათელი იყო გეოგრაფიული არეალის დაუზუსტებლობა (არ იყო ნახსენები პალესტინა, მასში შემავალი იერუსალიმის სანჯაყი), რომელმაც თავი 1916 წლის 16 მაისის მოვლენებში იჩინა. მასალების ძიებისა და კითხვის პროცესში, მეტად საინტერესო გახლდათ ის დიპლომატიური მანევრები, რომლებიც ერთი მხრივ, ბოლშევიკურმა პარტიამ, მეორე მხრივ კი კუნძულოვანი სახელმწიფოს დიპლომატიამ განახორციელა მაშინ, როცა საიქს-პიკოს ხელშეკრულებამ დღის სინათლე იხილა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგის სახით 1917 წლის 2 ნოემბრის „ბალფურის დეკლარაცია“ უნდა აღინიშნოს, ბრიტანეთის მხრიდან ებრაელთა სიონისტური მოძრაობის მხარდაჭერა - ეროვნული კერის შექმნა პალესტინაში. ხაზგასასმელია 1920 წლის სან-რემოს კონფერენცია, როგორც საიქს-პიკოს შეთანხმების პირობებისთვის ოფიციალური და დასრულებული სახის მიცემა. უფრო მოგვიანო პერიოდში კი ისრაელის სახელმწიფოს შექმნა (1948 წ. 14 მაისი), ლოგიკურად არაბი მოსახლეობის მხრიდან მისი არსებობის უარყოფა და მათ (არაბ და ებრაელ ხალხს) შორის კონფლიქტის კიდევ უფრო მეტად გაღვივება, რომელიც დღემდე აქტუალურია. აგრეთვე დიდი ყურადღება ექცევა ქურთების საკითხს, რომლებიც შეთანხმების შედეგად მიღებულ ხელოვნურ საზღვრებს ემსხვერპლნენ (მაგალითისთვის ზემოთ მოცემული ერვან საიდის სტატია), რადგან შეთანხმების პირობებში მათ შესახებ არაფერი იყო ნათქვამი არც ერთი დიპლომატის მხრიდან. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, სწორედ საკითხის ამგვარი განვითარების, მისი გამომწვევი მიზეზების, მრავალმხრივი და მრავალწახნაგოვანი შედეგების დამსახურებით იქცა საიქს-პიკოს შეთანხმება ჩემი ინტერესის ობიექტად, მით უფრო იმის გამო, რომ მის გარშემო მრავალი განსხვავებული აზრი გვხვდება, რომლებიც საიქს-პიკოს შეთანხმების შედეგად მიღებული სურათის მასშტაბურობის წარმოჩენას ემსახურება.

---

<sup>1</sup> Fikra Forum, 2016, *Who to Blame for the Absence of a Kurdish State after Sykes Picot?*

## გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. გაჩეჩილაძე, რ. ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბილისი, 2008.
2. სანიკიძე, გ. & ალასანია, გ. & გელოვანი, ნ. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIXს.-XXIს.-ის დასაწყისი), თბილისი, 2011.
3. ლომოური, ნ. პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი და სამშვიდობო პროცესი XX საუკუნის ბოლოს, თბილისი, 2005.
4. Monroe, Elizabeth. Britain's Moment in the Middle East, 1914-1971. 2nd ed. Baltimor: Johns Hopkins University Press, 1981.
5. <https://www.thecairoreview.com/essays/a-century-after-sykes-picot/>  
(ბოლო ნახვა: 25/11/2023)
6. [https://www.rudaw.net/english/kurdistan/160520162?fbclid=IwAR0UzJUVi\\_Om7cu0\\_fK\\_bOgB0tF\\_jup6llZigove-9ntal31NHAP1Nzww\\_g](https://www.rudaw.net/english/kurdistan/160520162?fbclid=IwAR0UzJUVi_Om7cu0_fK_bOgB0tF_jup6llZigove-9ntal31NHAP1Nzww_g)  
(ბოლო ნახვა: 25/11/2023)
7. <https://www.britannica.com/event/Sykes-Picot-Agreement>  
(ბოლო ნახვა: 25/11/2023)
8. [https://reliefweb.int/report/world/century-sykes-picot-agreement-current-challenges?gad\\_source=1&gclid=EAiaIQobChMI\\_MvKi5HcggMVWcHtCh04rQsuEAMYASAAEgI3ofD\\_BwE](https://reliefweb.int/report/world/century-sykes-picot-agreement-current-challenges?gad_source=1&gclid=EAiaIQobChMI_MvKi5HcggMVWcHtCh04rQsuEAMYASAAEgI3ofD_BwE)  
(ბოლო ნახვა: 25/11/2023)
9. [https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/who-blame-absence-kurdish-state-after-sykes-picot?fbclid=IwAR1Xn11b8cpqs-Fv1\\_vaqY9PDrijxcO5eXYMtbL-qrSWR0y2YiUAq\\_8eb3I](https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/who-blame-absence-kurdish-state-after-sykes-picot?fbclid=IwAR1Xn11b8cpqs-Fv1_vaqY9PDrijxcO5eXYMtbL-qrSWR0y2YiUAq_8eb3I)  
(ბოლო ნახვა: 25/11/2023)
10. [https://www.jewishvirtuallibrary.org/the-sykes-picot-agreement-1916#google\\_vignette](https://www.jewishvirtuallibrary.org/the-sykes-picot-agreement-1916#google_vignette)  
(ბოლო ნახვა: 25/11/2023)
11. <https://www.karamanow.org/Sykes-Picot%20Agreement.pdf>  
(ბოლო ნახვა: 25/11/2023)
12. <https://www.revuedesdeuxmondes.fr/wp-content/uploads/2017/04/Henry-Laurens.pdf?fbclid=IwAR0jYSusU1KBVQzsRO6VDjDYNxlgcO5moNH76CanXze788DtONDseobkXqo>  
(ბოლო ნახვა: 25/11/2023).

**ხევსურთა ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის  
(1921-1924 წლები)**

XX საუკუნის ოციანი წლების დასაწყისი - ერთ-ერთი ყველაზე რთული და ტრაგიკული პერიოდია საქართველოს უახლეს ისტორიაში. 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციამ ჩვენს ქვეყანას დააკარგვინა სამწლიანი დამოუკიდებლობა და დასავლური სამყაროსთან დაახლოების რეალური შანსი. მიუხედავად ამ მძიმე მოვლენისა, ქართველი ხალხი არ შერიგებია უცხო ძალის შემოჭრას ქვეყანაში და წითელი არმიის პირველი შემოტევისთანავე მას შეურიგებელი ბრძოლა გაუმართა. ქართულმა არმიამ თითქმის ერთი თვის განმავლობაში მოახერხა მტრისთვის წინააღმდეგობის გაწევა. სამწუხაროდ, მოვლენები ჩვენს საუბედუროდ წარიმართა და წითელმა არმიამ მაინც მოახერხა საქართველოს იძულებითი გასაბჭოება. თუმცა ქართველთა შეურიგებელი ბრძოლა არ დამთავრებულა. ქვეყნის იძულებითი გასაბჭოებისთანავე საქართველოს ტერიტორიაზე გაჩაღდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, რომლის მთავარ და საბოლოო მიზანსაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა წარმოადგენდა. საქართველოს უახლესი ისტორიის აღნიშნულ მონაკვეთში არსებული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისა და სახალხო აჯანყებათა მიმდინარეობის კვლევა დღეს უადრესად აქტუალურია. საკოფერენციო მოხსენებაში ამ თემის ამოწურვა შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ კონფერენციაზე წარმოგვედგინა საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხის - ხევსურეთის მკვიდრთა მონაწილეობა ზემოხსენებულ პროცესებში. ცნობილია, რომ ქართველი მთიელები ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სამშობლოს დაცვაში და მაშინაც ასე მოხდა. თავისუფლებისმოყვარული მთიელები ვერ ეგუებოდნენ უცხო ძალის ბატონობას, რასაც მოჰყვა მათი ბრძოლა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ. საკონფერენციო მოხსენებაში ვსაუბრობთ ხევსურთა ბრძოლაზე საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ და საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად.

რევოლუციური მოძრაობის დასაწყისიდანვე ხევსურები აქტიურად ჩაებნენ ეროვნული და სოციალური თავისუფლებისთვის ბრძოლაში. როგორც ჩანს, მაღალი თანამდებობის

ქართველ სამხედრო პირებს ჰქონდათ ინფორმაცია ქართველ მთიელთა მამაცობის შესახებ. სწორედ ამიტომ ხევსურებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ქართული საჯარისო ნაწილების ჩამოყალიბების პროცესში. აი, რას იგონებს გიორგი მაზნიაშვილი „...მეტი ჯანი არ იყო, მივმართეთ ისევ საზოგადო მოღვაწეებს. ჩემი თხოვნით გაიგზავნა ხევსურეთში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან შალვა ქარუმიძე და ქაქუცა ჩოლოყაშვილი. მათ დიდი გავლენა ჰქონდათ ხევსურეთში. მოკლე ხანში ჩამოიყვანეს ტფილისში ოთხსამდე ხევსური. ისინი მაშინვე დავაბინავეთ სამხედრო სკოლის შენობაში. დავანაწილეთ გუნდებათ, დავუნიშნეთ საკმაო რიცხვი ოფიცრებისა, შევმოსეთ, შევაიარაღეთ და რამდენიმე დღის შემდეგ უკვე შეძლება მოგვეცა გამოგვეყენებინა ისინი სამხედრო ქონების საწყობის სადარაჯოდ“.<sup>1</sup> ხევსურების გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს თურქეთის ფრონტიდან მომავალი 16 ეშელონისგან შემდგარი რუსული ჯარისგან თბილისის დასაცავად გამართულ ბრძოლაშიც. ამაზე საუბარი თავად გიორგი მაზნიაშვილის მოგონებებშიც არის მოცემული. ხევსურების მოგონებებში დიდხანს ცოცხლობდა დედაქალაქის დაცვისთვის გადახდილი ბრძოლები. ამ პროცესების ერთ-ერთი მონაწილის, ჩაჩაურ ლიქოკელის, მოგონება თავის წიგნში, „ხევსურები და ქაქუცა“, მოყვანილი აქვს ივანე ლიქოკელს: „ჩვენ კოჯორზე ვიყვებით გამაგრებულები რუსის ლაშქარი რომ დაგვეც, ისე მაგრად ვიდექით, რომ იქეთ ჩვენ დამძრავ ძალა არა იყვ... მეორე დღეს მაგვებრუნეს რაადამ რუსების ჭაჭანება ქვე აღარცა იყვ, გამოგვავლიეს მთელ ქალაქი, მარტო აი დიდმის ძირ მაგვებრუნნ შალვამ“.<sup>2</sup> მოგონებაში იმაზეც არის საუბარი, როგორ დატოვეს თბილისი და როგორ გაემართნენ მცხეთის მიმართულებით. ამ მოგონებაში მოხსენიებული შალვა, შალვა ქარუმიძე უნდა იყოს. როგორც ჩანს ხევსურებსა და ქარუმიძეს შორის ახლო ურთიერთობა ჩამოყალიბდა, რისთვისაც ხელშემწყობი ფაქტორი გიორგი მაზნიაშვილის მიერ მისი ხევსურეთში გაგზავნა უნდა ყოფილიყო. ასე რომ, გიორგი მაზნიაშვილისა და ბრძოლებში მონაწილე ხევსურების მოგონებები და მათში ასახული პროცესები საშუალებას გვაძლევს, სინამდვილედ მივიჩნიოთ ხევსურთა მონაწილეობა 1917-1918 წწ. საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებში. ამას კიდევ ერთი პატარა ფაქტი მოწმობს. გადავხედოთ გიორგი კვინიტაძის მოგონებას: „დიდმის მინდვრიდან გამოჩნდა ჯერ კიდევ დილით 24 თებერვალს მანგლსიდან ჩამოსული მტერი. მოხვევების პატარა რაზმი შალვა ქარუმიძის მეთაურობით იძულებული იყო უკან დაეხია“.<sup>3</sup> ივანე ლიქოკელს მიაჩნია, რომ გენერალი მთიელთა ეთნოგენეზში ცდება და ხევსურებს

<sup>1</sup> გიორგი მაზნიაშვილი; „მოგონებანი“; ტფილისი; 1927 წ; გვ. 16.

<sup>2</sup> ივანე ლიქოკელი; „ხევსურები და ქაქუცა“; თბილისი; 2006; გვ. 14.

<sup>3</sup> გიორგი კვინიტაძე; „ჩემი პასუხი“ თბილისი; 1990; გვ. 9



მოხევეებს უწოდებს, რაც სარწმომო ჩანს, რადგან დღესაც მსგავსი შეცდომა, თუნდაც სამცნიერო წრეში ბევრს მოსდის.

ბოლშევიკების წინააღმდეგ ხევსურთა ბრძოლაზე უმეტესად მაინც მათი ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ურთიერთობა და ხევსურეთის ამბოხება გვახსენდება. მართლაც, ხევსურებსა და ქაქუცას შორის იმთავითვე განსაკუთრებული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. მეტიც, ხევსურეთში არსებობდა ლეგენდა, რომ ჩოლოყაშვილთა გვარი ხევსურეთის სოფ. მუცოდან მოდიოდა. რა თქმა უნდა, ამ ფაქტის სარწმუნოებაზე საუბარი შეუძლებელია, რადგან მსგავსი სახის ამბები გვარების წარმოშობის შესახებ დღესაც მრავლად არსებობს ხევსურეთში, ამიტომაც ვუწოდებთ ქაქუცას გვარის წარმოშობას ლეგენდას. ხევსურებისა და ქაქუცას ურთიერთობის შესახებ საინტერესოა კიდევ ერთი მოგონება: “მეფის არმიამ რომ გამიწვიეს 1900 წელს სხვა ხევსურებთან ერთად თაინეთში წავედი კენჭის ამოსაღებად. მე ჯარში წასვლა არ მერგო, იღბალმა გამიჭრა, სულ ბოლო კენჭი ამოვიღე. სხვა ჩვენებურები კი თითქმის ყველანი წაიყვანეს მაშინ. ჩვენთან ერთად კენჭი ამოიღო კახელმა თავადიშვილმა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა, რომელიც სულ ჩვენთან ხევსურებთან ტრილებდა-ესენი ჩემები არიან ძალიან მიყვარანო”<sup>1</sup>-იგონებდა ხევსური თათარ ლიქოკელი.

რაც შეეხება ქაქუცა ჩოლოყაშვილის პარტიზანულ რაზმსა და ხევსურეთის აჯანყებას.

1921 წლის თებერვალ-მარტის ომში დამარცხებისა და საქართველოს გასაბჭოებისთანავე დაიწყო ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა და გეგმის დასახვა სახელმწიფოებრიობის აღსადგენად. 1921 წლის დასაწყისშივე ქაქუცა ჩოლოყაშვილმა და ალექსანდრე სულხანიშვილიმა კახეთში საბრძოლო ორგანიზაციების შექმნა დაიწყეს. შემუშავდა აჯანყების თავდაპირველი გეგმა, რომლის მიხედვითაც ალექსანდრე სულხანიშვილი ცხენოსანთა ასეულით ტყეში უკვე გახიზნულ ქაქუცასა და მის რაზმს უნდა შეერთებოდა. გარკვეული მიზეზების გამო ეს ვერ მოხერხდა და სულხანიშვილი თიანეთის გავლით მხოლოდ თორმეტი კაციტ დაიძრა კახეთის მიმართულებით ქაქუცას მოსაძებნად. ალექსანდრე სულხანიშვილი თავის მოგონებებში მიუთითებს, რომ რთული პირობების გამო მას თანამებრძოლები შემოეცალნენ და მასთან მხოლოდ ერთი ხევსური დარჩა, რომლის სახელს და გვარს ის არ ასახელებს. ივანე ლიქოკელს მიაჩნია, რომ ეს უცნობი ხევსური თომა ბალიაური იყო, რისი თქმის საშუალებასაც მოგვიანებით აღმოჩენილი მისი წერილი აძლევს: „ვიღებდი მონაწილეობას არალეგალურ მუშაობაში. გამიგეს. დაპატიმრებამდე რვა კაციტ შეიარაღებული 1921 წ. ბზობა ღამეს, გამოვედით თბილისიდან ერწოს მიმართულებით, ერწოში დავყავით ერთი

<sup>1</sup> ივანე ლიქოკელი; „ხევსურები და ქაქუცა“; თბილისი; 2006; გვ. 39.

თვე. ამხანაგებს გული გაუტყდა და რაზმი დაიშალა. გადმოვედით მე და სულხანიშვილი აწყურში. გავიგეთ ჩოლოყაშვილის გასვლა. შევერთდით აღვნის თავში“.<sup>1</sup> ამ ვერსიის შესაძლო სისწორეზე მიუთითებს ისიც, რომ სულხანიშვილი და უცნობი ხევსური ღამის გასათენებლად ამ უკანასკნელის ნათესავთან მივიდნენ. მას ქაქუცას თანამებრძოლი აბა ბალიაურს უწოდებს

ნელ-ნელა ქაქუცას თავდაპირველი შვიდკაციანი რაზმი გაიზარდა და მასში ხევსურებიც გაერთიანდნენ. ეს კი აბსოლიტურად გასაგებია, რადგან ქაქუცას მაშინდელ ადგილსამყოფელთან მრავლად იყო სოფლები, რომლებშიც დიდი რაოდენობით ხევსურები ცხოვრობდნენ. ისინი იმ მიდამოებში 900-იან წლებში მიგრაციის შედეგად მოხვდნენ. ქაქუცასა და კახეთში მცხოვრებ ხევსურებს შორის თავიდანვე მჭიდრო კონტაქტი დამყარდა, რამაც თავისთავად დიდი როლი ითამაშა მთის ხევსურებსა და ქაქუცას შორის ურთიერთობის დალაგებაში, უშუალოდ ხევსურეთის აჯანყების მზადების პერიოდში. ეს გასაგებიცაა, რადგან მაშინ, ისევე როგორც დღეს მთისა და ბარის ხევსურებს შორის საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა იყო.

ხევსურებისა და ქაქუცას რაზმის ურთიერთობაზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ალექსანდრე სულხანიშვილი ქაქუცასა და მისი თანამებრძოლების გაერთიანებისთვის „შეფიცულთა რაზმის“ სახელის მინიჭებას, ხევსურ ლიმიტრი ჭინჭარაულს მიაწერს. ალექსანდრე სულხანიშვილი იგონებს, როგორ მივიდა მათთან აღდგომა დღეს ხევსურთა ჭინჭარაული და შემდეგი სიტყვებით მიმართა რაზმელებს: „თქვენ რაზმელები-მოგვმართა ახლა ჩვენ-ალბათ გახსოვთ ალექსანდრე ბატონიშვილს შეფიცულები ჰყავდა შემოკრებილი თავის ირგვლივ. თქვენც უნდა შეიფიცოთ და გერქვათ შეფიცულთა რაზმი“.<sup>2</sup> ამ სიტყვების შემდგომ ხესისბერმა რაზმელები ხევსურილი წესით ერთმანეთს შეჰფიცა.

ქაქუცა თავისი რაზმით 1922 წლის ივლისში ხევსურეთისკენ გაემართა, სადაც ალექსანდრე სულხანიშვილის თქმით, აგვისტოში უკვე იგეგმებოდა ამბოხება და მოკავშირეების დახმარებით მთის ხევსურებმა უკვე იცოდნენ ქაქუცას შესაძლო ვიზიტის შესახებ. ხევსურეთისკენ მიმავალ გზაზე რაზმელებს პირველი დიდი ბრძოლა ფშავში. სოფ. მაღაროსკართან გადახდათ, სადაც მათ რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, მოახერხეს მომხდურის დამარცხება. სულხანიშვილი მოგონებებში წერს, რომ ამ ბრძოლის შემდეგ მათ რაზმს სამი ხევსური შეემეტა და მათგან მხოლოდ ერთს, აბიკა ჭინჭარაულს

<sup>1</sup> თინათინ ოჩიაური; „იყავ ძლიერი ქართველო ერო“; გაზ. „ლიტერატურული საქართველო“; N21; 1991; გვ. 9.

<sup>2</sup> ალექსანდრე სულხანიშვილი; „მოგონებები შეფიცულთა რაზმზე“; თბილისი; 2007; გვ. 93

ასახელებს. თუმცა ივანე ლიქოკელი თავის წიგნში, რომლის დიდი ნაწილი მოგონებებსა და გადმოცემებზეა აგებული, იმ ორი ხევსურის სახელ-გვარებსაც აზუსტებს. ესენი იყვნენ: დათვია ლიქოკელი და შიშია ქერაული. ივანე ლიქოკელს თავის წიგნში მაღაროსკარის ბრძოლის მონაწილე, კახეთში მცხოვრები და ქაქუცას რაზმის მუდმივი წევრებიც ჰყავს დასახელებული: თომა ბალიაური, დიმიტრი ცისკარაული, გიგია არაბული, მამუკა ქეთელაური და ა.შ.

მაღაროსკარის ბრძოლის მერე ქაქუცა ხევსურეთის სოფ. ბარისახოსკენ გაემართა სადაც ალექსანდრე სულხანიშვილის ცნობით დაბანაკდა გოგოთურ და აპარეკა ჭინჭაულების კარ-მიდამოში. ეს ორი პიროვნება, განსაკუთრებით გოგოთური, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ხევსურეთში, ამიტომ მათი როლი ქაქუცასა და მთის ხევსურების დაკავშირებაში დიდი უნდა ყოფილიყო. ალექსანდრე სულხანიშვილი ძალიან საინტერესოდ გადგმოგვცემს იმ მოვლენებს, როცა ქაქუცა ჩოლოყაშვილი პირადად შეხვდა პირაქეთ ხევსურეთის მაცხოვრებლებს. ეს მოხდა ხანმატის ჯვრის დღეობაზე, რომელიც რელიგიურ ხასიათს ატარებს. სხვათაშორის სულხანიშვილი ხატობის მიმდინარეობას საკმაო სიზუსტით აღწერს, რაც იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ მისი მოგონებები სიმართლეს შეესება მება და მისი მეშვეობით შესაძლებელია ქაქუცას ბრძოლების სარწმუნო სურათის აღდგენა. ის მაღალ შეფასებას აძლევს ხევსურებს და მათ ზვიადი მთების ლად თემს უწოდებს, რომლებიც რუსების სიძულვილში არ ჩამოუვარდებიან თავისუფლებისმოყვარე სხვა ქართველებს. დღესასწაულმა კარგად ჩაიარა და პირაქეთ ხევსურეთის ხეობა შემდეგი დიდი ბრძოლისათვის მოემზადა. ეს ბრძოლა ორწყალში გაიმართა.

ორწყალი ფშავსა და ხევსურეთს შორის ბუნებრივ საზღვარს წარმოადგენს და მისი დაკავება სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესია, რადგან ვინც ფლობს ორწყალს, ის აკონტროლებს ხევსურეთში შემავალ ძირითად პუნქტს. მთელი ხეობა ბრძოლისათვის მზად იყო. საკონფერენციო მოხსენების რეგლამენტიდან გამომდინარე ჩვენ აღარ ვისაუბრებთ ბრძოლის მიმდინარეობის დეტალებზე. მხოლოდ ერთ ამბავს წარმოგიდგენთ, რომელმაც სულხანიშვილი მეტად აღარფრთოვანა და შემდეგ თავის მოგონებებშიც ჩაწერა. ეს არის ერთი ხანშიშესული კოჭლი ხევსურის მამაცობა, რომელმაც ხუთ კაცს აჰყარა იარაღი და შემდეგ ასეთი სიყვებით მიმართა - „თუ მეტი შნოი არა გაქვის, რაიდ მოჰდინხართ საბრძოლველად?“<sup>1</sup> სულხანიშვილი ამ ხევსურის სახელს და გვარს არ ასახელებს, რადგან როგორც თვითონ ამბობს, არ ახსოვს. ივანე ლიქოკელის წიგნში კი,

<sup>1</sup> ალექსანდრე სულხანიშვილი; „მოგონებები შეფიცულთა რაზმზე“; თბილისი; 2007; გვ. 130

რომლის ნაწილი, როგორც უკვე ზევით აღვნიშნეთ, გადმოცემებსა და მოგონებებზეა აგებული დასახელებულია ამ კაცის ვინაობა. იგი იყო ცნობილი ხევსური დასტაქარის მგელიკა ლიქოკელის ძმა ბაბო ლიქოკელი მეტსახელად, კოჭლა. ორწყლის ბრძოლის მერე ალექსანდრე სულხანიშვილი ასეთ მასშტაბურ ბრძოლებზე აღარ საუბრობს, სამაგიეროდ, ივანე ლიქოკელი კიდევ ერთი მძიმე შეტაკების, ფხიტუს ბრძოლის, შესახებ გვაწვდის ინფორმაციას, რომელიც არათუ სულხანიშვილის მოგონებაში არ ფიქსირდება, არამედ ქართულ ისტორიოგრაფიაშიც ნაკლებადაა ცნობილი. ჩვენ გვესმის, რომ დოკუმენტური და დაზუსტებული წყაროების გარეშე რთულია ისტორიულ მოვლენებზე საუბარი, ამიტომაც არ ვცდილობთ ხელაღებით რაიმეს მტკიცებას, მხოლოდ ხევსურეთის ამბოხების ასეთ ვერსიასაც გთავაზობთ. ის, თუ რატომ არ აღწერს ამ ბრძოლას სულხანიშვილი, პასუხი მარტივია. ის ორწყლის ბრძოლის მერე ქაქუცას დავალებით, სოფ. შატილის გავლით ჩეჩნეთში გადავიდა დამხმარე ძალის საძიებლად. ალექსანდრე სულხანიშვილი ამ პროცესს თავის მოგონებებში დეტალურად აღწერს.

ფხიტუს მთა და უღელტეხილი წარმოადგენს ხევსურეთისა და გუდამაყრის მთავარ წყალგამყოფს. სწორედ აქ უნდა გამართულიყო სავარაუდო ბრძოლა, რომელსაც დოკუმენტური მასალების ნაკლებობის გამო მონაწილეების ნაამბობი ავსებს ინფორმაციით. ივანე ლიქოკელის წიგნში მოტანილია ბერდიხა წიკალაურის მოგონება, თუ როგორ მოიტანა ივანე ჭინჭარაულმა რომკაში ამბავი მტრის ფხიტუს მთაზე მოსვლის შესახებ და როგორ მოიყარეს თავი ქაქუცასთან ერთად თავი ბრძოლის ადგილზე. ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ ბუნებრივია ახლაც ვერ ვისაუბრებთ, მხოლოდ გეტვით, რომ სამწუხაროდ ეს ბრძოლა მტრის გამარჯვებით დასრულდა. ივანე ლიქოკელის აზრით, სწორედ ამ ბრძოლის მერე შეიჭრნენ საბჭოთა ჯარები ხევსურეთში და სოფლების გადაწვა დაიწყო. ხევსურეთის ფრონტი მოიშალა და მეზობლებმა არაორგანიზებულად დატოვეს ბრძოლის ველი. ქაქუცას მიერ ხევსურეთის დატოვების შესახებ ასევე არ მოგვეპოვება რაიმე დოკუმენტური მასალა. მხოლოდ ის ვიცით, რომ სულხანიშვილის ჩეჩნეთიდან დაბუნების შემდეგ ის თავისი რაზმით იქ აღარ იყო და ეს მის მოგონებებშიც არის ასახული.

გვინდა ვახსენოთ ლიქოკის ხეობაში გამართული ბრძოლა, რომელიც ასევე ნაკლებად არის ცნობილი ქართულ ისტორიოგრაფიაში და რომლის ძირითადი ნაწილის აღდგენის საშუალებას ისევ ზეპირი გადმოცემები გვაძლევს. ლიქოკის ხეობაში გამართული ბრძოლა თავისი შინაარსითა და ხასიათით არანაკლებ მძიმე აღმოჩნდა. მომხდური, რომელიც სოფლებში შედრწევას ვერ ახერხებდა საბრძოლო ტექნიკით მათ დაბომბვასა და სახლების გადაწვას შეუდგა. ხევსურეთის ამბოხების შემდეგ მტერმა პირაქეთა ხევსურეთის დაკავება მოახერხა და ხელი მიჰყო ძარცვა-გლეჯვას, სახლების გადაწვას და ა.შ, რაც

წარმოუდგენლად დიდი ზიანი იყო ისედაც ხელმომჭირნედ მცხოვრები ხევსურებისთვის.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ხევსურეთის ანტიბოლშევიკურ აჯანყებას გამოეხმაურა ფრანგული გაზეთი „LE PEUPLE“, რომელიც იტყობინება, რომ საფრანგეთში საქართველოს საელჩოს ინფორმაციულმა განყოფილებამ მიიღო შეტყობინება კონსტანტინოპოლიდან. ეს შეტყობინება შეიცავდა ინფორმაციას, საქართველოში მიმდინარე ანტიბოლშევიკური მოძრაობების შესახებ. „LE PEUPLE“-ს ინფორმაციით, წითელმა არმიამ დაიკავა დუშეთი, თუმცა ხევსურები მაინც მტკიცედ ახერხებდნენ თავის დაცვას, მეტიც, მათ ბოლშევიკთა პირველი კოლონა გაანადგურეს, რის გამოც მთავრობა იძულებული გახდა იქ დამხმარე ძალა გაეგზავნა<sup>1</sup>.

ხევსურეთის აჯანყებაზე საუბრის ბოლოს გვინდა კიდევ ერთხელ ვახსენოთ ქაქუცას რაზმის მუდმივი წევრი და მისი ერთგული თანამებრძოლი ხევსური თომა ბალიაური, რომელმაც 1924 წლის აჯანყების შემდეგ თავი შეაფარა ხევსურეთის ერთ-ერთ ხეობას, არხოტს. 90-იან წლებში მისი სახლის კედელში წერილი იპოვეს, რომლის ნაწყვეტსაც შემოგთავაზებთ: „... ვიღებდი გულმხურვალე მონაწილებას ხევსურეთის ააჯანყებაში. 1924 წ. ვხელმძღვანელობდი მოხევეებს. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ხევსურეთმა მოსთხოვა ჩემთვის პატიება. გზა აღარსაით იყო, ან თვითმკვლელობა ან შერიგება... მღევნიდნენ ყოველმხრივ. ვერ ჩამიგდეს ხელად. ბოლო რითი დამთავრდება არ ვიცი. ვსწერ 1930 წლის მასის 30... მაღლობელი ვარ არხოტის და განსაკუთრებით ლელასი, რომელმაც შემინახა როგორც შვილი. თუ მოვკვდი, ვერ ვეღირსე საქართველოს განთავისუფლებას ამის შემხვედრმა მომიგონოს, რომ იყო ვიღაც დევნილი და სამშობლოს კეთილდღეობას შესწირა თავი. ჩემი სალამი ჩოლოყავეშილს, რომლის როგორც ბელადის სახელისათვის არ შემირცხვენია და არ ამიყრია იარაღი და არ დავყრი იარაღს სიკვდილამდის. იყავ ძლიერი ქართველო ერო, მომავალი შენია. სამუდამო ხსოვნა ქართველ მებრძოლთ“

საბოლოო ჯამში გვინდა ვთქვათ, რომ 1922 წლის ხევსურეთის ამბოხება იყო თავისუფლებისმოყვარე ხალხის გულწრფელი პროტესტი უცხო ძალის ბატონობის წინააღმდეგ. მათმა გამოსვლამ აჩვენა, რომ მიუხედავად მძიმე მარცხისა, ქართველს ხალხს ფარ-ხმალი არ დაუყრია და მომენტალურად დაიწყო ბრძოლა ქვეყნის გათავისუფლებისთვის. ხევსურეთის აჯანყების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება მეტად არასანდოდ უყურებდა საქართველოს იმ კუთხეს, რომელიც ნაკლებად კონტროლდებოდა და რეჟიმისთვის საშიშ ძალასაც წარმოადგენდა. სწორედ ხევსურების სამაგალითოდ დასჯასა და ამ კუთხის რამენაირად კონტროლს დაქვემდებარებას ემსახურებოდა უკვე

<sup>1</sup> „LE PEUPLE“; N 637; 4 octobre; 1922; p.3

მოგვიანებით იქ გაგზავნილი ჩეკას აგენტი, რომელიც ხევსურებს ამერიკელ ჟურნალისტად გაეცნო. აგენტი ხევსურებს ამერიკის შესახებ უყვებოდა და დაარწმუნა ისინი, რომ პრეზიდენტისთვის წერილი მიეწერათ, რომელიც მათ აუცილებლად დაეხმარებოდა და მეტიც, იარაღსაც გამოუგზავნიდა. გულუბრყვილო ხევსურებმა მართლაც დაწერეს წერილი ამერიკის პრეზიდენტის სახელზე: „ ამერიკის დიდს მთავრობას ხევსურეთის წარმომადგენლობის თხოვა. ჩვენი ხევსურეთის ხალხი შეწუხებულ არს ბოლშევიკებით. გვიკრძალავენ რჯულს. უნდათ კოლხოზების გაკეთება და ბევრის ნალოგების გამორთმევა და მოდიან ხშირად გვეუბნებიან, მაგრამ ჩვენ თანახმა არა ვართ. მანამ სრუა დავიხოცებით მთელი ხევსურეთი თანახმად არ ვიქნებით. მართალია იარაღი კი არა გვაქვ, მაგრამ ხმლითა და ხანჯრით უნდა ვიომოთ, მაგრა ამერიკას გთხოვთ დიდის თხოვნით ძრიელი სახელმწიფო ხართ და მოგვეშველენით და დახმარება გაგვიწივეთ თორე ცოდო ვართ. იმედი გვაქვს რო მოგვეშველებით თუ გვიშველით თქვენ თუ არა ჩვენი მეშველ ადარა არი. აბა ძმებო უკანასკნელს დღეში ვართ ჩვენ მთელი ხევსურეთის წარმომადგენლები“<sup>1</sup>. ბუნებრივია, წერილმა აღრესატამდე ვერ მიაღწია და ის ჩეკას შენობაში დარჩა. საბჭოთა ხელისუფლებამ იმ პირთა დაპატიმრება დაიწყო, ვინც პირდაპირ თუ ირიბად ამ ამბავთან იყო დაკავშირებული. დღეს ეს მასალები ინახება შშს-ს არქივში „ხევსურთა საქმის სახელით“. რაც შეეხება ხევსურების წერილს, მისი ასლი 70 წლის დაგვიანებით 2006 წელს საქართველოში ჩამუსულ ჯორჯ ბუმს სიმბოლურად გადასცეს.

---

<sup>1</sup> <https://www.radiotavisupleba.ge/a/თავისუფლებისთვის-დათვია-ლიქოკელის-ამბავი/31274245.html>

### გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. კვინიტაძე გ; „ჩემი პასუხი“; თბილისი; 1990 წ.
2. ლიქოკელი ი; „ხევსურები და ქაქუცა“; თბილისი; 2006 წ.
3. მაზნიაშვილი გ; „მოგონებანი“; ტფილისი; 1927 წ.
4. სულხანიშვილი ა; „მოგონებანი შეფიცულთა რაზმზე“; თბილისი; 2007 წ.
5. ოჩიაური თ; „იყავ ძლიერი ქართველო ერო“; გაზ. „ლიტერატურული საქართველო“; N21; 1991 წ.
6. LE PEUPLE; N 637, 4 OCTOBRE; 1922; P. 3
7. <https://www.radiotavisupleba.ge/a/თავისუფლებისთვის-დათვია-ლიქოკელის-ამბავი/31274245.html>

**სტამბოლის ბერძენი კომისრის, ხარალამბროს სიმოპულოსის, მიერ  
1922 წლის ოქტომბერ-ნოემბერში საბერძნეთის მთავრობისადმი  
გაგზავნილი ტელეგრამები**

პირველ მსოფლიო ომში დამარცხებისა და 1918 წლის 30 ოქტომბერს გამოცხადებული კაპიტულაციის შემდეგ<sup>1</sup> ოსმალეთის იმპერია რთულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ მრავალი სახის კრიზისში ჩავარდა, რომლის მიზეზიც ადამიანური თუ მატერიალური რესურსის დაკარგვასთან ერთად ფაქტობრივად სახელმწიფოებრიობის დაკარგვა იყო. მას შემდეგ რაც, 1920 წლის 10 აგვისტოს ოსმალეთის სულთნის მთავრობამ ხელი მოაწერა საფრანგეთში სევრის ხელშეკრულებას, ოსმალეთის ტერიტორიები ანტანტის წევრმა ქვეყნებმა და მათმა მოკავშირეებმა გაიყვეს. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ სევრის ხელშეკრულების დადებამდე, 1916 წლის 16 მაისს, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა დადეს საიდუმლო შეთანხმება, რომელშიც გადანაწილებული იყო მათი გავლენის სფეროები ოსმალეთის იმპერიაში შემავალი მახლობელი აღმოსავლეთის ტერიტორიებისა,<sup>2</sup> რომელნიც შეთანხმების დადების მომენტში ჯერ კიდევ ოსმალეთის მმართველობის ქვეშ იყო. ეს შეთანხმება საიქს-პიკოს სახელით არის ცნობილი. შესაძლოა ითქვას, რომ ძირითადად სწორედ საიქს-პიკოს შეთანხმების გავრცობილ სახეს წარმოადგენდა სევრის ხელშეკრულებაც, რომლის მძიმე ხასიათის მიუხედავად<sup>3</sup> ოსმალეთს მოუწია მისი რატიფიცირება. ჯერ კიდევ 1918 წელს, ვიდრე ოფიციალურად გაფორმდებოდა დამარცხებულ ოსმალეთის იმპერიასთან სევრის ხელშეკრულება, პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა და მათმა მოკავშირეებმა ოსმალეთის

<sup>1</sup> იგულისხმება მუდროსის ზავი, რომელიც კუნძულ ლემნოსზე, ბრიტანულ ხომალდ „აგამემნონზე“ გაფორმდა.

<sup>2</sup> საიქს-პიკოს შეთანხმებით გადანაწილებული ოსმალეთში შემავალი მახლობელი აღმოსავლეთის ტერიტორიები ბრიტანეთმა და საფრანგეთმა ოფიციალურად 1920 წლის 20 აპრილის სან-რემოს კონფერენციის გადაწყვეტილებით გაიფორმეს (გიორგი სანიკიძე, გიული ალასანია, ნანი გელოვანი 2011 : 228).

<sup>3</sup> ვგულისხმობ ოსმალეთის მხარისთვის.



იმპერია ასე გადაინაწილეს: საფრანგეთს ერგო სამხრეთ აღმოსავლეთ ანატოლია, გაზიანტეფე, ურფა, მარდინი, კილიკია, ადანა, დიარბექირი და რაც მთავარია სირია, რომელზეც კონტროლი საფრანგეთმა 1930 იანი წლების ბოლომდე შეინარჩუნა. ბრიტანეთმა მანდატი მიიღო მესოპოტამიასა და პალესტინაზე, იტალიის მართველობის ქვეშ აღმოჩნდა სამხრეთი და სამხრეთ დასავლეთი მცირე აზიისა,<sup>1</sup> ტრაბზონიდან ვანამდე ტერიტორია სომხეთის ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოს მიაკუთვნეს, ხოლო თრაკიაში, ანუ თურქეთის ევროპულ ნაწილში და სმირნაში (იონიის რეგიონი) ელინური, ბერძნული, მმართველობა დამყარდა (Κωνσταντινούπολη 1922 : Unknown).

რაც შეეხება სტამბოლს და იმ ტერიტორიებს, რომელიც ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს აკონტროლებდა, იქ მოკავშირეთა საერთო მმართველობა დამყარდა და დემილიტარიზებულ ზონებად გამოცხადდა.<sup>2</sup> რაც შეეხება ცენტრალურ ანატოლიასა და სამხრეთ შავი ზღვისპირეთს, სწორედ ეს ტერიტორია წარმოადგენდა ქემალისტური, განმათავისუფლებელი მოძრაობის, სამოქმედო არეალს, სწორედ ცენტრალურ ანატოლიაში, ქ. ანკარაში, 1920 წლის 22 აპრილს, მოიწვია ქემალ ათათურქმა თურქეთის დიდი ეროვნული კრება.

საკვლევს საკითხს კი წარმოადგენს სტამბოლში მოკავშირეთა მიერ დამყარებული მმართველობის პერიოდში ბერძენი კომისრების მიერ ელადის მთავრობისადმი გაგზავნილი ტელეგრაფები, რომელნიც მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავენ სტამბოლსა და ზოგადად ოსმალეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

ტელეგრამების განხილვამდე აუცილებელია აღინიშნოს თუ როგორ გაიყვეს მოკავშირეებმა უშუალოდ სტამბოლი და ვინ იყვნენ ფრანგი, ბრიტანელი თუ ბერძენი კომისრები, რომლებიც სულთან მეჰმედ VI ვაჰიდედინისა (1918-1922 წწ.) და მისი მთავრობის დედაქალაქში ყოფნის მიუხედავად, აკონტროლებდნენ კონსტანტინოპოლს.

1919 წლის 10 თებერვალს საფრანგეთმა, ბრიტანეთმა და იტალიამ შემდეგნაირად გაიყვეს სტამბოლი: ძველი ქალაქი ერგო საფრანგეთს, პერა-გალათა, ანუ ბეიოდლუ-ქარაქოი ერგო ბრიტანეთს, ხოლო აზიური ნაწილი, ქადიქოი და უსქუდარი იტალიას (1918 - 1923. In Turchia: da Costantinopoli all'Anatolia: 2008). თითოეულ გამარჯვებულს ჰყავდა საკუთარი უმაღლესი კომისარი სტამბოლში, ასე მაგალითად ბრიტანეთიდან : ადმირალი

<sup>1</sup> იტალიას არც კი უცდია თავისი პოლიტიკა ეწარმოებინა მისთვის გადაცემულ ტერიტორიაზე.

<sup>2</sup> საერთო მმართველობის დამყარების მიზეზი კი ძალზედ მარტივია, გამარჯვებული ქვეყნები, იმის მიუხედავად, რომ მოკავშირენი იყვნენ, არ დაუშვებდნენ ერთი კონკრეტული ქვეყნის მმართველობის დამყარებას გოსტრატეგიულად მნიშვნელოვან ქალაქსა (სტამბოლზე) და სრუტეებზე, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე.

სომერსეტი, საფრანგეთიდან გენერალი დესპრე<sup>1</sup> და ა.შ. (Criss 1999 :60-63 ). საბერძნეთს 5 წლიანი ოკუპაციის განმავლობაში ორი კომისარი ჰყავდა სტამბოლში: 1918-21 წლებში ევთიმოს კანელოპულოსი და 1921-23 წლებში ხარალამბროს სიმოპულოსი.<sup>2</sup>

რა თქმა უნდა ბერძენი კომისრების დაკვირვებანი და დასკვნები, რომელიც ელადაში იგზავნება 1918 წლიდან მოყოლებული ვიდრე 1923 წლამდე, ძალზედ მნიშვნელოვანია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გართულებული და ყველაზე მძაფრი სიტუაცია თურქეთში და თუნდაც საბერძნეთში 1922 წელს იქმნება. იგულისხმება თურქეთში ქემალისტური მმართველობის მიერ სულთანის გადაყენება საერო თანამდებობიდან და მხოლოდ ხალიფას, სასულიერო მმართველობის, დატოვება, ასევე ამ დროს ანატოლიაში შეჭრილი ბერძნული არმია მარცხს განიცდის ათათურქის სამხედრო ნაწილებთან. სწორედ ამ ყველაფრიდან გამომდინარე 1922 წელს იწყება მოლაპარაკებები, რომელიც საბოლოოდ 1923 წლის 24 ივლისს ლოზანის ხელშეკრულებით სრულდება. სტატიის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება 1922 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ხარალამბროს სიმოპულოსის მიერ გაგზავნილი წერილები ელადასა და ევროპაში. თითქმის ყველა წერილს ბოლოში უძღვის წარწერა, გავრცელდეს ათენში, ლონდონსა და პარიზში არსებულ საბერძნეთის საელჩოებში, რათა ბერძნულ მისიებს შესაბამისი ინფორმაცია ჰქონოდათ იმდროინდელი მსოფლიო პოლიტიკის განმსაზღვრელ ორ სახელმწიფოსთან ურთიერთობის დროს. ეს წმინდა წყლის პრაგმატული პოლიტიკით იყო გამოწვეული. მათში აღწერილია ის ქაოტური სიტუაცია, რომელიც მიმდინარეობს ლოზანის ხელშეკრულების დადებამდე, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა თანამედროვე თურქეთის საზღვრების დადგენა და ასევე მოსახლეობის გაცვლა ბერძნულ და თურქულ მხარეებს შორის.<sup>3</sup> რადგანაც ყველა ეს

<sup>1</sup> რა თქმა უნდა, ისინი დროებით იყვნენ და ოკუპაციის პერიოდის განმავლობაში თავიანთი მთავრობები სხვა კომისრებით ანაცვლებდნენ.

<sup>2</sup> ორივე კომისარი საკმაოდ გამოცდილი დიპლომატი იყო, ამაზე მეტყველებს მათი სამუშაო გამოცდილებაც, მაგალითად: ევთიმოს კანელოპულოსი სხვადასხვა დროს საქმიანობდა: თესალონიკში, ვენაში, ბუქარესტში, ალექსანდრიაში, ხოლო სტამბოლის უმაღლესი კომისარის პოსტის დატოვების შემდეგ იგი სიცოცხლის ბოლომდე დიპლომატიურ მისიაში მსახურობდა გერმანიაში, ჯერ ბერლინში ხოლო შემდეგ ბერნში (Ευθίμου Κανελλόπουλος :2020). რაც შეეხება ხარალამბროს სიმოპულოსს, იგი თავისი კარიერის განმავლობაში მსახურობდა რომსა და პარიზში, უმაღლეს კომისარად დანიშნვამდე იგი 1920-21 წლებში იყო საბერძნეთის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში (Πρέσβεις της Ελλάδας στην Τσεχία/Τσεχοσλοβακία: unknown), ხოლო საბერძნეთის მარცხისა და მოკავშირეთა თურქეთის ტერიტორიიდან გასვლის შემდეგ იგი 1924-35 წლებში იყო საბერძნეთს ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ხოლო, შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე, გაერთიანებულ სამეფოში (Taylor 1935 : 896 ).

<sup>3</sup> ბერძნული მხარე ამ პროცესს ასე უწოდებს, Ελληνοτουρκική ανταλλαγή πληθυσμών του 1923, მოსახლეობის

ტელეგრაფი შეთანხმებების დაწყებამდეა გაგზავნილი და ჩანს მხოლოდ სურვილები, აზრები და არა შედეგები, ამიტომ სტატიის ფარგლებში მოყვანილი იქნება 1923 წლის ოქტომბერში გაზეთ, ELEFTHERON VIMA-ში<sup>1</sup> გამოსული პატარა სტატიები, რომელშიც ზუსტად არის აღწერილი თუ როგორი როტაცია უნდა მოხდეს თურქულ და ბერძნულ მხარეებს შორის მოსახლეობისა გაცვლისა და ტერიტორიების დატოვების თვალსაზრისით.

ტელეგრამა პირველი:

### **„კონსტანტინოპოლი 11 ოქტომბერი 1922 წელი**

გიგზავნით შეუცვლელ, ინგლისის საელჩოს მიერ ხელმოწერილი პროტოკოლის ტექსტს, გაცნობთ ძირითად პუნქტებს. ქარაღაჩი<sup>2</sup> კვლავ მოკავშირეთა ქვეშევრდომობაში დარჩება. Κουλελί Βουργάς (კულელი ბურგასი)-ის<sup>3</sup> შესახებ<sup>4</sup> გადაწყდება 15 დღის განმავლობაში მუსტაფა ფაშას, მოკავშირეთა კომისიისა და ბერძენთა და თურქთა თრაკიის ევაკუაციის ორგანიზაციის წარმომადგენლების შეთანხმებით. ამ პერიოდის მანძილზე<sup>5</sup> თურქები არ გაივლიან/არ შეეხებიან ამ ადგილს. სამხედრო ევაკუაციის შემდეგ 30 დღის ვადაში მოხდება პოლიტიკური ადმინისტრაციის ეტაპობრივი ცვლილებები. თურქთა გარნიზონის/ჯარის რაოდენობა განისაზღვრა 8000მდე.... როგორც წინა ტელეგრამაში განვიმარტეთ,<sup>6</sup> სხვა წარმომადგენლებმა ხელი არ მოაწერეს პროტოკოლს. შეთანხმებული პირობებით მოქმედებები დაიწყება შაბათს შუადამისას, იმ ვარაუდით რომ

---

გაცვლა საბერძნეთსა და თურქეთს შორის 1923 წელს.

<sup>1</sup> გაზეთი რომელიც საბერძნეთში 1922 წლიდან გამოდის, მან მხოლოდ 1944 წელს შეწყვიტა გამოსვლა. ერთი წლის შემდეგ კი 1945 წელს მან Το Vima- ს სახელით დაიწყო ხელახლა გამოსვლა. იგი დღესდღეობით ყველაზე პოპულარული გაზეთია საბერძნეთში.

<sup>2</sup> ქალაქი დასავლეთ თრაკიაში, თანამედროვე თურქეთში. კერძოდ თურქეთისა და საბერძნეთის საზღვარზე. იგი 1920-23 წლებში საბერძნეთს ჰქონდა დაკავებული. როგორც ირკვევა, მისი დაკავება სურდა ქემალისტურ მხარეს 1922 წლის ოქტომბერში, მაგრამ ვერ შეძლეს.

<sup>3</sup> დასავლეთ თრაკიაში არსებული ბულგარული საგუშაგო პოსტი, იგი ლოზანის ხელშეკრულების 107-ე მუხლია მოხსენიებული (1920 Kuleli-bourgas to Andrinople: 2010).

<sup>4</sup> თუ როგორ განვითარდებოდა სიტუაცია ნახსენებ გეოგრაფიულ ერთეულში, დარჩებოდა იგი მოკავშირეთა მმართველობის ქვეშ თუ აღმოჩნდებოდა ქემალისტური გავლენის სფეროში.

<sup>5</sup> იგულისხმება აღნიშნული 15 დღე.

<sup>6</sup> ერთადერთი ტელეგრამა, რომელსაც ამავე პერიოდში აგზავნის სიმოპულოსი, არის მის მიერ 1922 წლის 11 ოქტომბერს ბრიტანეთში საბერძნეთის საელჩოში გაგზავნილი ტელეგრამა, რომელიც იმავე შინაარსისაა, მაგრამ არ აკონკრეტებს თუ რა განმარტა წინა ტელეგრამაში.

მანამდე ყველა დაეთანხმება წამოყენებულ პირობებს. სასწრაფო საჭიროებას წარმოადგენს სხვა წარმომადგენლების<sup>1</sup> „შენჯღრევა“/გამოფხიზლება, რათა მიიღონ და დაეთანხმონ ყველა იმ პირობას, რაც წამოყენებულია შეთანხმების საფუძველზე, და ყოველივე ეს მოხერხდეს განსაზღვრული ვადების ფარგლებში წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას ახალი სირთულეები/დაბრკოლებები და საფრთხეები, რადგან მოლაპარაკებები ისედაც ურთულეს პირობებში მიმდინარეობდა თურქების წარმოდგენილი სიმკაცრის გამო, თუ რამე გართულდა ისევ ჩვენ დავზარალდებით. რადგან მთავრობის მიერ მოწვეული სხდომის დასრულების გამო შეუძლებელია ხელმოწერებზე საუბარი, ამიტომ მე გავაკეთებ ოფიციალურ განცხადებას კომისიასთან,<sup>2</sup> რომ საბერძნეთის მთავრობა თანახმაა შეთანხმების პირობებზე. ამისდამიუხედავად კომისიამ შიში გამოთქვა რომ საბერძნეთში შექმნილი ვითარების გამო, ჯარმა შეიძლება თვითნებურად უარი თქვას იქიდან<sup>3</sup> ევაკუაციაზე, რაც ავტომატურად ჩაითვლება სრულ კატასტროფად და ჩვენდამი ყოველგვარი სიმპათიის გაქრობად. მე ვუპასუხე, რომ მსგავსი საფრთხე წარმოდგენილია, რადგან აჯანყებულთა წარმომადგენლები დაემორჩილებიან ბატონი ვენიზელოსის<sup>4</sup> რეკომენდაციებს და რადგან აჯანყებულთა მიზანს წარმოადგენს საბერძნეთის ახლად/ხელმეორედ შესვლა მოკავშირეთა ბანაკში<sup>5</sup> არ წავლენ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

გამოქვეყნდეს ათენში, პარიზსა და ლონდონში.

ტელეგრამა მეორე:

<sup>1</sup> რომელნიც არ ეთანხმებიან შეთავაზებულ პირობებს.

<sup>2</sup> იგულისხმება მოკავშირეთა, ბერძენთა და თურქთა კომისია.

<sup>3</sup> იგულისხმება Κοιμητήριο-დან ევაკუაცია.

<sup>4</sup> ელფთერის ვენიზელოსი, ბერძენი პოლიტიკოსი. იგი 1910-1933 წლებს შორის შუალედში შვიდჯერ იკავებდა პრემიერ-მინისტრის პოსტს. იგი 1922 წლისათვის არ იკავებდა პრემიერ-მინისტრის პოსტს, მაგრამ ბერძნული პოლიტიკის რუხ კარდინალად რჩებოდა. 1924 წელს კი ისევ აირჩიეს პრემიერად.

<sup>5</sup> როგორც ტელეგრამიდან ჩანს, საბერძნეთის მთავრობასა და მოკავშირეებს სწორედ ევაკუაციისა და ბერძნების მიერ თურქული ტერიტორიების დატოვების საკითხზე ჰქონდათ უთანხმოება, რომლის აღმოფხვრასაც ასე ცდილობს ხარალამბროს სიმოპულოსი, რიგ შემთხვევებში ტყუილით, რომლითაც შესაძლებელი იქნება დროის მოგება. ეს მიანიშნებს საბერძნეთის მთავრობის მიერ მისთვის მინიჭებულ, რაღაც მხრივ განუსაზღვრელ უფლებებზე და თავად კომისრის დიპლომატიურ და პოლიტიკურ შესაძლებლობებზე.

### **„კონსტანტინოპოლი 11/14 ოქტომბერი 1922 წელი**

პატივი მაქვს გთხოვოთ, რომ გააგზავნოთ წინამდებარე ტელეგრამა ვენიზუელოსთან მსოფლიო პატრიარქის<sup>1</sup> სახელით:

„თქვენი 18 ოქტომბრის ტელეგრამის საპასუხოდ საპატრიარქოს ადგილსამყოფელის გადატანასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ არსებულ ვითარებას და ამის ამოსავალი წერტილი არის ის, რომ ქემალი ანკარაში უკვე აარსებს თურქეთის მართმადიდებლურ საპატრიარქოს, და მას შემდეგ, რაც ის<sup>2</sup> კონსტანტინოპოლში ჩავა, ჩაანაცვლებს რომის მართმადიდებლურ საპატრიარქოს.<sup>3</sup> მსოფლიო საპატრიარქო, რომელიც კატეგორიულად არ ეთანხმება სტატუსის შეცვლას, რაც სულიერი სიკვდილის ტოლფასია, ვალდებულია იფიქროს ადგილსამყოფელის შეცვლაზე.<sup>4</sup> ეს მოსაზრება ჯერ არ იქნება გამოცხადებული საბჭოს წინაშე.

ყველას სურს თქვენი ოფიციალური მოსაზრების გაგება“.<sup>5</sup>

ტელეგრამა მესამე:

### **„კონსტანტინოპოლი 15 ოქტომბერი 1922 წელი. ბატონ ვენიზულოსს**

პატივი მაქვს გამოგიგზავნოთ ბატონი პალისის<sup>6</sup> შემდეგი ტელეგრამა:

---

<sup>1</sup> 1921-1923 წლებში კონსტანტინოპოლის პატრიარქის პოსტს იკავებდა მელეტიოს მესამე (1871-1935 წწ.) რომელიც სხვადასხვა დროს იყო ელადისა თუ კვიპროსის ეკლესიების მეთაური, ასევე ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პატრიარქი (1926-1935 წწ.).

<sup>2</sup> იგულისხმება ქემალ ფაშა.

<sup>3</sup> წერილიდან კარგად ჩანს, რომ ქემალ ათათურქი ცდილობს მასზე დამოკიდებული მართმადიდებლური საპატრიარქოს შექმნას, საპირწონედ კონსტანტინოპოლში არსებული მსოფლიო საპატრიარქოსი, ამ ნაბიჯით ათათურქი ცდილობდა ქრისტიანთა გულის მოგებას და მათი სახით დასაყრდენის გაჩენას, რადგან სწორედ ქრისტიანული მოსახლეობა წარმოადგენდა კონსტანტინოპოლის რეგიონისა და დასავლეთ მცირე აზიაში მოსახლე ძირითად ნაწილს.

<sup>4</sup> სამწუხაროდ ტელეგრამაში არ არის მითითებული თუ სად შეიძლება გადასულიყო მსოფლიო საპატრიარქო კონსტანტინოპოლიდან.

<sup>5</sup> ამას მოჰყვება ვრცელი მემორანდუმი, რომელიც არ არის ცნობილი.

<sup>6</sup> ალექსანდროს ანასტასიოს პალისი (1883-1975 წწ.) - ბერძენი პოლიტიკოსი, ცნობილი ბერძენი მწერლისა და მთარგმნელის ალექსანდროს პალისის ვაჟი. იგი ჩართული იყო ლოზანის ხელშეკრულების იმ კომიტეტში, რომელიც საბერძნეთისა და თურქეთის მიერ ეროვნული მოსახლეობის გაცვლას შეეხებოდა (Αλέξανδρος Αναστάσιος Παλλίης; 2023).

„პატივისცემით გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ თრაკიის რწმუნებულებმა და ჩინოვნიკებმა უნდა განუმარტონ მოსახლეობას შესაძლო საფრთხეები და დაარწმუნონ იმაში, რომ დარჩნენ იმ ადგილას, სადაც გარანტირებული აქვთ თავშესაფარიც და საკვებიც, საბერძნეთში კი როგორც უკვე კარგად მოგეხსენებათ ლტოლვილთა მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. ამ მოსახლეობის ახლა წასვლა, როგორც ეს შეთანხმებული იქნა მოსახლეობის გაცვლის შესახებ მოლაპარაკებისას, გართულება,<sup>1</sup> რადგან ქონების მიტოვება და შემდგომ თურქების მიერ ამ ტერიტორიის ოკუპირება, შეუძლებელს გახდის მოსახლეობისათვის [დაიბრუნოს თავისი ქონება] როგორც ეს იყო განმარტებული შეთანხმებაში. ახალ შეთანხმებას კი არც დადებს [თურქეთი]“.<sup>2</sup>

ტელეგრამა მეოთხე:

**„კონსტანტინოპოლი 17/30 ოქტომბერი 1922 წელი**

კონფიდენციალურად ინფორმირებული ვარ, რომ დიდი ალბათობით მოლაპარაკებები არ გაიმართება ლოზანაში, არამედ სავარაუდოდ იტალიის ქალაქში, და სავარაუდოდ არა 13 ნოემბერს არამედ უფრო გვიან.<sup>3</sup>

გავრცელდეს, ათენში, ლონდონსა და პარიზში“.<sup>4</sup>

ტელეგრამა მეხუთე

<sup>1</sup> მოლაპარაკებამ დაადგინა რომ მოსახლეობას შეეძლო თან წაეღო თავისი ქონება, მაგრამ ამ მომენტში იგი ვერ ხერხდებოდა. სწორედ ამიტომ ამბობს პალისი, რომ ახლა მოსახლეობამ არ უნდა დატოვოს თავისი მიწა-წყალი, არამედ თუ დატოვებს მოუწევს, რომ ქონებაც დატოვონ და თურქების მიერ მათი სახლების ოკუპაციის შემდეგ კი სრულიად შეუძლებელი გახდება ქონების დაბრუნება. თანაც ამას გარდა თავად საბერძნეთშიც არ არის კარგი მდგომარეობა: შიდა პოლიტიკური დაპირისპირებები, რომელიც მოგვიანებით უფრო მკვეთრად იჩენს თავს, ამას ემატება მოსახლეობის გადასახლებით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი.

<sup>2</sup> რა თქმა უნდა ახლა არ სურს ქემალს დადოს ხელახალი ხელშეკრულება რომლის ძალითაც შეძლებს ბერძნული მოსახლეობა თავისი ქონებაც წაიღოს, არამედ მას ურჩევნია ხალხი წავიდეს ხოლო ქონება, პირუტყვი თუ ა.შ. იქ ჩასახლებულ თურქულ მოსახლეობას დარჩეს.

<sup>3</sup> ადგილმდებარეობის შესახებ ნამდვილად შეცდა ხარალამბროს სიმოპულოსი რადგან მოლაპარაკებები ნამდვილად ლოზანაში დაიწყო, რაც შეეხება თარიღს იგი სწორად იყო ინფორმირებული, რომ მოლაპარაკებები ვერ დაიწყებოდა 13 ნოემბერს, არამედ უფრო გვიან. ნამდვილად ლოზანაში მოლაპარაკებები 1922 წლის 20 ნოემბერს დაიწყო.

<sup>4</sup> იგულისხმება საბერძნეთის მთავრობა და ლონდონსა და პარიზში არსებული საბერძნეთის საელჩოები.

**„კონსტანტინოპოლი 19 ოქტომბერი/ 1 ნოემბერი 1922 წელი.**

აუცილებლად აუწყეთ შემდეგი ტელეგრამა ბატონ ვენიზელოს. საჩქაროდ დაავალე კალიპოლეოსის პრეფექტს<sup>1</sup> პატრიარქისთვის<sup>2</sup> [ინფორმაციის] გადაცემის შესახებ, რომელიც მითითებებს მისცემდა მრევლს“.<sup>3</sup>

ტელეგრამა მეექვსე:

**„კონსტანტინოპოლი 19 ოქტომბერი/ 1 ნოემბერი 1922 წელი.**

ამავე ტელეგრამაზე მითითებით (ანუ საპასუხოდ) გაცნობებთ, გუშინ ანკარას წარმომადგენლის განცხადებების შესახებ, რომ ანკარას მთავრობამ გამოთქვა სურვილი აეღო ხელთ კონსტანტინოპოლის ადმინისტრაციის სადავები და მოკავშირეებს შეეწყვიტათ კონტროლი. მოკავშირეების პასუხი კი იყო, რომ ადმინისტრაციის ცვლილებებთან დაკავშირებით საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, თუმცა ისინი როგორც ადრე, ისევე დარჩებიან საქმის კურში.<sup>4</sup>

გამოქვეყნდეს ათენში, პარიზსა და ლონდონში.“

ტელეგრამა მეშვიდე:

**„კონსტანტინოპოლი 22 ოქტომბერი/ 4 ნოემბერი 1922 წელი.**

ქვემოთ გაგაცნობთ ჩემს მიერ საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი გაგზავნილ ტელეგრამას: გთხოვთ შეატყობინოთ ბატონ ვენიზელოსს. კიდევ ერთი ტელეგრამა გავეგზავნე ბატონ ნანსენს.<sup>5</sup> გუშინ მან ეს საკითხი იმის მერე წამოაყენა, როდესაც სამი

<sup>1</sup> კალიპოლეოსის ანუ კალიპოლის ნახევარკუნძული, იგი სევრის ხელშეკრულების მიხედვით ბერძნული არმიისა და ბერძენი პრეფექტის მმართველობის ქვეშ აღმოჩნდა. 1924 წლის ლოზანის შეთანხმებით კი თურქეთის რესპუბლიკას დარჩა (Νομότ Καλλιστόλεω: unknown).

<sup>2</sup> იგულისხმება მელეტიოს მესამე.

<sup>3</sup> მითითებებში ალბათ უნდა იგულისხმებოდეს თუ როდის, ანდა რა მარშრუტით უნდა წასულიყო ბერძნული მოსახლეობა საბერძნეთში.

<sup>4</sup> როგორც სჩვეოდათ მოკავშირეთა ძალებს, მათი პასუხი ორაზროვანია და ამას ნადვილად ადასტურებს ბოლო ფრაზაც. მაგრამ ალბათ ეს ფრაზა უნდა მიანიშნებდეს იმას, რომ არ აქვს მნიშვნელობა თუ ვინ იქნებოდა კონსტანტინოპოლის მართვის სათავეში, მოკავშირეთა ძალები მაინც გაუწევდნენ კონტროლს ქალაქსა და სრუტეებს.

<sup>5</sup> ფრიტიოფ ნანსენი (1861-1930) ცნობილი ნორვეგიელი აღმომჩენი, რომელმაც 1888 წელს გადაკვეთა გრენლანდია. იგი სიცოცხლის უკანასკნელ ჟამს დაკავებული იყო დიპლომატიით, იგი იყო ერთა ლიგის

კომისარის თანხმობა მიიღო,<sup>1</sup> რომ კონსტანტინოპოლში საკრებულო<sup>2</sup> არ უნდა იყოს. როგორც უკვე ბატონმა ნანსემ აღნიშნა, რომელიც ხვალ ათენში გაემგზავრება, თურქთა უნდობლობა აშკარაა. დამახასიათებელია შემდეგიც, თანაც თვით ქემალის წარმომადგენელმა განუცხადა ნანსენს, რომ მაკედონიის თურქთა კომიტეტმა სთხოვეს მას, რომ სურთ საბერძნეთში დარჩენა და თუ არ მოხდა ყველა თურქის სავალდებულო ევაკუაცია, ისინი არ დატოვებენ საბერძნეთს. ნანსენი შეატყობინეს ათენს, რომ ქემალმა ერთი თვის ვადა გამოჰყო მცირე აზიის სრული დაცლისთვის ქრისტიანთაგან და ათასობით სომეხთაგან. სავარაუდოა, რომ ისინი სანაპიროებს მიაწყდებიან რაც კიდევ დიდ უბედურებას შექმნის“.<sup>3</sup>

ტელეგრამა მერვე:

**„კონსტანტინოპოლი 23 ოქტომბერი/ 5 ნოემბერი 1922 წელი.**

მივიღე ინფორმაცია, რომ ანკარის წარმომადგენელმა გაგზავნა შეტყობინება მოკავშირეთა სამი კომისრისადმი,<sup>4</sup> რომ მოკავშირეთა ჯარების ევაკუაცია მოხდეს კონსტანტინოპოლიდან. ცნობა/ ინფორმაციის გადამოწმება ვერ მოხერხდა დროის არ ქონის გამო.<sup>5</sup>

გამოქვეყნდეს ათენში, პარიზსა და ლონდონში.“

ტელეგრამებში წარმოდგენილი ინფორმაცია ნათლად ცხადყოფს, რომ 1922 წლის ოქტომბერ/ნოემბერში სიტუაცია ძალზედ გართულებულია, სწორედ ეს იწვევს თურქულ და

---

ლტოლვილთა საკითხების კომისარი, სწორედ ის იყო ჩართული საბერძნეთსა და თურქეთს შორის მოსახლეობის გაცვლის საკითხებში. იგი 1922 წელს გახდა ლაურეატია ნობელის პრემიისა მშვიდობის დარგში (The Nobel Peace Prize 1922 : unknown).

<sup>1</sup> ბრიტანელი, ფრანგი და იტალიელი კომისრების.

<sup>2</sup> ამ შემთხვევაში საკრებულოში იგულისხმება მოკავშირეთა კომისრების კრება, ანუ კონსტანტინოპოლში რეალური ძალაუფლების მქონე საბჭო.

<sup>3</sup> წერილიდან გამომდინარე შესაძლებელია დასკვნის გამოტანა, რომ საბერძნეთში მოსახლე თურქებს არ სურთ ელადის დატოვება და ათათურქიც თანახმაა მათ დარჩენაზე, (ყოველ შემთხვევაში, წერილიდან შესაძლოა ეს ვივარაუდოთ, თანაც რატომაც არა, ისინი ე.წ. „მეხუთე კოლონა“ იქნებოდნენ) მაგრამ მიიჩნევა რომ ქრისტიანულმა მოსახლეობამ და სომეხებმა უნდა დატოვონ თურქული მიწა.

<sup>4</sup> იგულისხმება ბრიტანეთი, საფრანგეთი და იტალია.

<sup>5</sup> როგორც ირკვევა, სიტუაცია ძალზე დაძაბული და გართულებულია, რაც იწვევს უამრავი ინფორმაციის შემოდინებას და მამასადაამე მათ გადაუმოწმებლობას.



ბერძნულ ასევე თურქულ და მოკავშირეთა მხარეებს შორის ლოზანის ხელშეკრულების დადებამდე სიტყვიერო მოლაპარაკებების გამართვას და სიტუაციის დარეგულირებას. თანაც შეთანხმების დადებას ამძაფრებს თურქეთის უპირატესობა და ქემალისტური მოძრაობის წარმატება. სწორედ ამიტომ 1922 წლის 20 ნოემბერს ლოზანაში დაწყებულმა მოლაპარაკებებმა ხელი შეუწყო სიტუაციის დასტაბილურებას. ჯერ 1923 წლის 30 იანვრის შეთანხმებით, ხოლო 1923 წლის 24 ივლისს ხელმოწერილი ლოზანის ხელშეკრულების თანახმად განისაზღვრა თანამედროვე თურქეთისა<sup>1</sup> და საბერძნეთის გეოგრაფიული რუკა.<sup>2</sup>

ლოზანის შეთანხმების პირობები კი, როგორც აღინიშნა ბერძნულ საზოგადოებას იმ დროინდელი პერიოდიკის მეშვეობით ეცნობა.<sup>3</sup> როგორც 1923 წლის 2 ოქტომბერს გამოცემულ ნომერით ირკვევა, მოსახლეობის გაცვლა თურქულ და ბერძნულ მხარეებს შორის თურქული მოსახლეობის მიერ კრეტისა და ეგეოსის ზღვის კუნძულების დატოვებით იწყება.

ასევე აღსანიშნავია, რომ ლოზანის ხელშეკრულებამ დაამტკიცა, რომ კონსტანტინოპოლელ ბერძნებსა და დასავლეთ თრაკიელ მუსლიმებს უნდა დაეტოვებინათ თავიანთი საცხოვრებლები, მაგრამ აქვე ბერძნულ მოსახლეობასთან მიმართებაში ასეთი შენიშვნა ჩაიწერა, რომ „კონსტანტინოპოლელი ბერძნები“ არიან ისინი, რომელნიც 1918 წლის შემდეგ დასახლდნენ იქ. ანუ მოკავშირეთა ოკუპაციის შემდეგ. ასეთი კი არც ისე ბევრი იყო, ანუ ძირძველ ბერძნულ მოსახლეობას, რომელიც კონსტანტინოპოლში ცხოვრობდა შეეძლო დარჩენა იქვე (Συσθήκη της Λαζάνης: 2023), მეორე საკითხია სურდათ თუ არა.

ასევე საინტერესოა 1923 წლის 15 და 23 ოქტომბერს გამოსული გაზეთები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ ქ. მიტილენედან, კ. ლესბოსი, მუსლიმები მიდიან 2800 გემით. მოსახლეთა რაოდენა 7100 კაცს შეადგენს, მათ ასევე თან აქვთ მათი უძრავი ქონება, 1627 პირუტყვის სახით და ა.შ. 6 დეკემბრის გამოცემა კი იტყობინება, რომ თესალონიკიდან 1500 მუსლიმი, ძირითადად ალბანური წარმოშობის, წავიდა თურქეთში, ხოლო მათ ადგილას 2000 ქრისტიანი ჩასახლდა (Συσθήκη της Λαζάνης: 2023).

საბოლოო ჯამში 400 000 მუსლიმი გადასახლდა თურქეთში, ხოლო მათ ადგილას 1 300 000 ბერძენი დასახლდა ელადაში. თანაც გასათვალისწინებელია, რომ ბერძნულმა მთავრობამ მუსლიმებს საშუალება მისცათ უძრავი ქონება თან წაეღოთ, ხოლო ქემალისტურმა თურქეთმა ბერძნულ მოსახლეობას ყველა გზა გადაუკეტა და ძირითადად

<sup>1</sup> ჰათაის ოლქის გამოკლებით, რომელიც თურქეთის რესპუბლიკას 1939 წელს მიუერთდა.

<sup>2</sup> დოდეკანესის არქიპელაგის გამოკლებით, რომელიც 1947 წელს იტალიამ გადასცა საბერძნეთს.

<sup>3</sup> გაზეთი Eleftheron Vima.

მათ მხოლოდ იმ ტანისამოსით შეძლეს წამოსვლა, რომელიც ზედ ეცვათ.

დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ 1922 წლის ბოლოს, ოქტომბერ/ნოემბერში ბერძენი კომისრის, ხალამბროს სიმოპულოსის მიერ ელადასა თუ დასავლეთ ევროპაში გაგზავნილი ტელეგრაფები, მართლაც ზედმიწევნით ასახავდა იმ დროინდელ რთულ სიტუაციას მოკავშირეთა და ბერძნების პოზიციებისა მათ მიერ 1918 წლიდან ოკუპირებულ ოსმალეთის იმპერიის მიწაზე. ასევე სწორედ ეს ტელეგრამები შეიცავენ წინასწარ ინფორმაციას თუ როგორ და რა პირობებით, ასევე სად და რა დროს შეიძლება შემდგარიყო მოლაპარაკებები ბერძნული და თურქული მოსახლეობის მიერ საბერძნეთისა და თურქეთის დატოვების თაობაზე, ასევე ამ ორი სახელმწიფოს გეოგრაფიული კონტურების საბოლოო მოხაზვას. სწორედ ამ რთულმა სიტუაციამ გამოიწვია, საწყის პერიოდში არადიარებულ ქემალის, ე.წ. ანკარის, ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების დაწყება და 1923 წლის 24 ივლისს მასთანვე გაფორმებული ლოზანის შეთანხმება.

## გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. გიორგი სანიკიძე, გიული ალასანია, ნანი გელოვანი 2011 : ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.-XXI ს.-ის დასაწყისი), თბილისი, 2011 წელი.
2. 1918 - 1923. In Turchia: da Costantinopoli all'Anatolia: 2008) - Arma dei Carabinieri - Home - L'Arma - Oggi - Missioni all'estero - 1855 - 1935 - 1918 - 1923 (archive.org)
3. 1920 Kuleli-bourgas to Andrinople : 2010 1920 Kuleli-bourgas to Andrinople | Mavi Boncuk
4. Criss 1999 : Criss N. Istanbul Under Allied Occupation (1918-1923), Leiden; Boston; Koln; 1999
5. ISTANBUL DURING THE MÜTAREKE ERA (1918-1923) : 2019 - [ISTANBUL DURING THE MÜTAREKE ERA \(1918-1923\) | History of Istanbul \(istanbultarihi.ist\)](#)
6. Taylor 1935 : Stephen Taylor, Who's who in Central and East Europe, Central European Times Publishing Company, 1935,
7. The Nobel Peace Prize 1922 : unknown - The Nobel Peace Prize 1922 (nobelprize.org)
8. Αλέξανδρο-Αναστάσιο Παλλης : 2023 Αλέξανδρος Α. Πάλλης - Βικιπαίδεια (wikipedia.org)
9. Ευθύμιος Κανελλόπουλος :2020 Ευθύμιος Κανελλόπουλος: Ο γόνος του Κιάτου με τη λαμπρή διπλωματική καριέρα – ΓΝΩΜΗ ΠΟΛΙΤΩΝ (gnomipoliton.com)
10. Κωνσταντινούπολη 1922 : Unknown - Κωνσταντινούπολη: Το σχέδιο κατάληψής της από τον Ελληνικό Στρατό το 1922 και γιατί δεν υλοποιήθηκε (protothema.gr)
11. Νομός Καλλιπόλεως : 2023 Νομός Καλλιπόλεως - Υνιονπαίδεια (unioikipedia.org)
12. Πρέσβεις της Ελλάδας στην Τσεχία/Τσεχοσλοβακία: unknown - Πρέσβεις της Ελλάδας στην Τσεχία/Τσεχοσλοβακία | Η Πρεσβεία της Τσεχικής Δημοκρατίας στην Αθήνα (mzv.cz)
13. Συνθήκη της Λωζάνης: 2023 - Συνθήκη της Λωζάνης: Η ανταλλαγή των πληθυσμών μέσα από τον Τύπο της εποχής | in.gr
14. Τηλεγραφήματα/ ტელეგრამები - Εθνικό Ίδρυμα «Ελευθέριος Κ. Βενιζέλος» (venizelosarchives.gr) ; SearchCulture.gr | Καλώς ήρθατε στον Εθνικό Συσσωρευτή Πολιτιστικού Περιεχομένου SearchCulture.gr

## **ქართული ფეხბურთი და ნაციონალიზმი**

სტატიის მიზანია ერთის მხრივ წარმოაჩინოს ფეხბურთის როლი ქართული ნაციონალიზმის გაღვივებაში, ხოლო მეორეს მხრივ დაგვანახოს ნაციონალიზმის, როგორც მეცნიერთა კვლევის ობიექტის გამოვლინება ფეხბურთში. ნათლად გამოჩნდება ქართული საბჭოთა ფეხბურთის დაბადებისა და განვითარების ისტორიული ხაზი. აქცენტი გაკეთდება მარქსისტულ-კომუნისტური იდეოლოგიის ქვეშ აღმოცენებულ ანომალიაზე, რომელიც თავს იჩენს საბჭოთა ფეხბურთში ნაციონალიზმის სახით.

დასახული ამოცანის შესასრულებლად მოძიებულ იქნა სხვადასხვა მასალა, როგორც ქართულ ისე ინგლისურენოვანი წყაროებიდან. ამავე საკითხზე შექმნილია სამეცნიერო სტატიებიც, რომელთაგან აღსანიშნავია ნინო სამხარაძის სამაგისტრო ნაშრომი. განსაკუთრებით საინტერესოა ბრიტანელი ისტორიკოსის ერიკ რ. სკოტის კვლევა, ცივი ომის დროინდელ სპორტზე, საბჭოთა კავშირისა და კონკრეტულად ქართულ ფეხბურთზე.

სტატიაში წარმოჩნდება ქართული ფეხბურთის განვითარების ადრე საბჭოური ეტაპი და „დინამო“ თბილისის ეროვნული ტრანსფორმაცია სტალინის გარდაცვალების შემდგომ. დასასრულს კი შევხები პოსტ-საბჭოურ პერიოდსა და ქართული ფეხბურთის დეკადანსს. გამოჩნდება ის თუ რატომ დაიწყო დაღმასვლა დამოუკიდებელ საქართველოში მემკვიდრეობით მიღებულმა, ნაციონალურ ნიადაგზე აღმოცენებულმა ფეხბურთმა.

ფეხბურთი საბჭოთა კავშირში ძალიან პოპულარული სპორტი იყო. მისი ჩამოყალიბება ამ სახელმწიფოს თავდაპირველი ფორმირების კვალდაკვალ მიმდინარეობდა. ფეხბურთს სახელმწიფო ფინანსურად მხარს უჭერდა და ახალისებდა ყველა მოქალაქის დონეზე, მაგრამ მიუხედავად მსგავსი „თანასწორული“ დამოკიდებულებისა, საბჭოთა მოქალაქეები თავიანთ სიმბოლოებით, გმირებით, მითებითა და უკმაყოფილებებით წარმოსახვით საზოგადოებებად დაიშალნენ. დაიწყო მეტოქეობა ერთი ქალაქის დონეზეც. მაგალითად, მოსკოვში ყველაზე დაპირისპირებულ ძალებს მოსკოვის „დინამო“ და მოსკოვის „სპარტაკი“ წარმოადგენდა, საიდანაც პირველს საიდუმლო პოლიცია და სახელმწიფო თანამდებობის პირები, ხოლო მეორეს სავაჭრო კავშირები და მოსკოვის მუშათა კლასი უჭერდა მხარს. მათ არა მხოლოდ ერთი ქვეყანა არამედ საერთო ქალაქი აკავშირებდათ, მაგრამ დაპირისპირება მაინც ცალსახა იყო. ამ

ფონზე გასაკვირი არ არის, ორი არარუსული მოძმე რესპუბლიკის წარმატებული გუნდების კიევის „დინამოსა“ და თბილისის „დინამოს“ აღზევება, რომლებიც ეროვნული მუხტის მატარებელ კლუბებად მოგვევლინენ.

ერთი მხრივ პარადოქსია, რადგან საბჭოთა ხელისუფლება თავად აფინანსებდა იმ სპორტის სახეობას, რომელიც საკუთარ დამორჩილებულ რესპუბლიკებს ეროვნულ მუხტს უმაღლებდა. რატომ ხდებოდა ასე? რა სარგებელს ხედავდა მოსკოვის ცენტრალური ხელისუფლება?

საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა დაფუძნებული იყო იდეაზე, რომლის მიხედვით საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ თითოეულ ხალხს უნდა ჰქონოდა საკუთარი დიდი წარსული, ტრადიციები და კულტურა. ამისთვის პარტია მუდმივად ზრუნავდა ადგილობრივი კულტურების წინ წამოწევაზე, შესაბამისი საგანმანათლებლო, სამეცნიერო თუ სოციალური პოლიტიკის გატარებაზე. საბჭოთა მიდგომის მიხედვით სხვადასხვა ხალხების „დიდი ტრადიციები“ მუდმივად უნდა ყოფილიყო წახალისებული, ვინაიდან ისინი მუდმივად საჭიროებდნენ დაცვას, გაუმჯობესებას და, საჭიროების შემთხვევაში, გამოგონებას (ციტირებულია კვლევაში: სამხარაძე 2017, 48).

კომუნისტური პარტიის მისწრაფება იყო ისეთი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელიც მრავალეთნიკური საზოგადოების მშვიდობიან თანაცხოვრებას წარმოგვიჩენდა, ეს ყველაფერი კი, თავის მხრივ, მარქსისტული იდეოლოგიის ქვეშ უნდა მომხდარიყო. ამიტომ საბჭოთა საქართველოში დაიწყო კულტურის წინ წამოწევა, რაც გამოიხატა არამხოლოდ სპორტის არამედ, მწერალთა კავშირის, თეატრის, ოპერის, კინოინდუსტრიისა და რაც მთავარია ფოლკლორული დასების ჩამოყალიბებაში, რომლებიც სხვადასხვა კუთხის ცეკვებს აერთიანებდა.

მოსკოვი ხედავდა ქართველების განსხვავებულობას ფსიქო-მენტალურ დონეზეც კი. განსაკუთრებული ყურადღება კეთდებოდა ტრადიციულ ცეკვასა და მის კავშირზე ქართველების ფეხბურთის თამაშის სტილთან. ამ მხრივ აღსადინიშნავია 1960 წელს თბილისის „დინამოს“ გულშემატკივართათვის განკუთვნილ ოფიციალურ გზამკვლევაში გამოქვეყნებული მოწინავე ვარსკვლავების სტილიზებული ჩანახატები, რომლებშიც ისინი ქართულ ფეხბურთს შეგნებულად აკავშირებდნენ ერთი მეხედვით, ფიცხ, მაგრამ საოცრად ლაღი მოძრაობებით აღსავსე ტრადიციულ ცეკვასთან (იხ. დანართი N.1)

საბჭოთა საქართველოში ფეხბურთი არ იყო ჩრდილოური ექსპორტი.

ბურთის გაგორების ხელოვნება აქ ზღვიდან შემოვიდა, ფოთში ჩამომდგარი ბრიტანული სავაჭრო გემებიდან. შესაბამისად, ქართულ იდენტობაშიც ადვილად გაიდგა ფესვები განსხვავებულმა და ეგზოტიკურმა, საკუთრივ ქართულმა სათამაშო მიდგომამ, რომელიც ხალხის ხასიათიდან გამომდინარე, ბევრად უფრო იმპროვიზებული, არტისტული და მოქნილი იყო. საბჭოთა პერიოდში ამგვარი სტილი განსხვავებულად სანახაობრივი იყო დისციპლინაში გამოყვანილ საბჭოთა საფეხბურთო სტრატეგიებს შორის. ქომაგისტვის ქართველების ლამაზი თამაშის მთავარი სიამოვნება ის იყო, რომ მას შედეგად წარმატებებიც მოჰქონდა დანარჩენ რესპუბლიკებთან ბრძოლაში. და ეს სრულყოფილი კომბინაცია ქართველი ხალხისთვის მნიშვნელოვანი ნაციონალური სიამაყის საგანი იყო.(სამხარაძე, 2021)

ზოგადად, ცნობილი ამბავია, რომ პლიაჟზე განვითარებული ფეხბურთი განსხვავებული სათამაშო სტილით გამოირჩევა. ქვიშაზე თამაში თავისებურ ტექნიკას მოითხოვს, ბურთთან განსხვავებულ მიდგომას, რაც უფრო მეტად საცეკვაო ელემენტებითაა დაკომპლექტებული. სწორედ, ქვიშის პლიაჟზე შემოვიდა საქართველოში ფეხბურთიც.

ამრიგად, ქართულ ფეხბურთი საბჭოთა ხელისუფლებისთვის იდეოლოგიური ფრთაშეხმის პერსპექტივა იყო. ქართველების ინდივიდუალიზმი, სამხრეთული ქარიზმა და საცეკვაო ელემენტები, სლავურ დისციპლინას, რაციონალიზმსა და ფიზიკურ მომზადებას იდეალურად შეავსებდა. საბჭოთა კავშირის ნაკრები ეთნიკური მრავალფეროვნებისა და სიძლიერის კორელაციური გამოხატულება უნდა ყოფილიყო.

თავდაპირველად ყველაფერი საბჭოთა გეგმის მიხედვით მიდიოდა. თბილისის „დინამო“ საიდუმლო პოლიციასთან იყო ასოცირებული, რომელიც მოსკოვიდან იმართებოდა. ერთის მხრივ ეს ავითარებდა ადგილობრივ ფეხბურთს, ხოლო მეორე მხრივ სახელმწიფო დამატებით ინსტიტუტს აჩენდა მოსახლეობის გასაკონტროლებლად.

„დინამო თბილისი“, რომელიც, ზოგადად, ქართულ ფეხბურთს წარმოადგენდა, სტალინის პერიოდში „ხელახლა გამოიწრთო“ და დამლად დაესვა სტალინის თანამემამულისა და მეორე გავლენიანი ქართველის, ლავრენტი ბერიას სახელი. ეს შემთხვევით არ მომხდარა. „დინამო“ დაკავშირებული იყო სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან და საიდუმლო პოლიციის აპარატთან, შსს-სთან (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი)

მას შემდეგ, რაც ფელიქს ძერჟინკის ინიციატივით ეს ორგანო დაარსდა. საქართველოს მოწინავე „ჩეკისტი“ (საბჭოთა საიდუმლო პოლიციის ოფიცერი), ბერიაც, დიდ როლს თამაშობდა კლუბის განვითარებაში. ქართული გუნდი, რომელმაც პირველი მატჩები 1936 წელს ითამაშა, ბერიას „პირველ საპატიო წევრად“ მიიჩნევდა. „დინამოს“ სტადიონს თბილისში სახელწოდება მის პატივსაცემად ეწოდა. (რედ. მანია, 2016)

სიტუაცია მკვეთრად იცვლება სტალინის გარდაცვალების (1953) შემდგომ. დინამოს ტრანსფორმაცია ქართველი ბელადისა სიკვდილისა და ბერიას გასამართლების შემდგომ მოულოდნელად ვითარდება. გუნდი სტალინისტური სისტემიდან გამოსვლას იწყებს. „ქართველები მოწინავე პოლიტიკური პოზიციებიდან გაუჩინარდნენ, „დინამო თბილისის“ მოთამაშეები კი ახალი თაობის ახალ გმირებად იქცნენ. ეთნიკურ კომპონენტებზე დამყარებული გუნდის სიმყარემ ცენტრს მოლოდინი გაუცრუა“. (რედ. მანია, 2016)

დაიწყო თბილისის „დინამოს“ შევიწროება მოსკოვური ელიტისგან, რადგან ხვდებოდნენ საშიშროებას პროვინციალური ქალაქის აღმავლობისა, რომელსაც შეიძლებოდა მოსკოვის სიდიადე და პირველობა შეერყია. გულშემატკივარი ამას კარგად ხედავდა, უსამართლობის განცდამ ისინი გააძლიერა, გავრცელდა გულშემატკივართა ლიტერატურა, ქართული ფეხბურთი პოპულარული ფილმების მთავარ საგნად იქცა. ქართველი გულშემატკივარი რიგითი საბჭოელი გულშემატკივრისგან უნდა გამოყოფილიყო.

სწორედ აქ, ბუნებრივად ჩნდება მისწრაფება ეროვნული იდენტობის გარშემო გაერთიანებისა. ნაციონალიზმი გაღვივებებს იწყებს, ქართველების ეთნიკურ ნიადაგზე ჩაგვრას „ზამბარის ეფექტი“ ჰქონდა. მაშინ, როცა პოლიტიკურ ველზე უსუსურობა სუფევდა, ფეხბურთი ქართველთა საბრძოლო ასპარეზად იქცა. ცნობილი გამოთქმა „აგერ ბურთი და მოედანი“, პირდაპირი და ირიბი მნიშვნელობით იდეალურად შეესაბამებოდა ქართველთა მდგომარეობას. იმ დროს, როცა საბჭოთა ხელისუფლება ყველა სახის პროტესტს ფესვებშივე კლავდა, სტალიონი წარმოადგენდა ერთადერთ ადგილს, სადაც 80 ათასამდე ადამიანი იკრიბებოდა და ხმამაღლა გამოხატავდა შინაგან ბრძოლას და ავლენდა ეროვნული ერთიანობის ნიშნებს. სტალიონზე ქართველები თავისუფლდებოდნენ საბჭოთა ლოზუნგებისგან, სტალიონი ქართველთა შეკრების ერთადერთი საჯარო სივრცე იყო.

იყო თუ არა ეს ნაციონალიზმი? ცნობილი პოლიტიკის მეცნიერი და ისტორიკოსი ბენედიქტ ანდერსონი ნაციონალიზმს წარმოსახვით საზოგადოებას უწოდებს. მისი მოსაზრება დიდწილად შეესაბამება კიდევაც ჩვენს სამსჯელო თემას. საფეხბურთო

კლუბები წარმოსახვით საზოგადოებებს წარმოადგენენ ყველგან, სადაც შიდა საკლუბო ჩემპიონატია განვითარებული თავისი დაძაბულობებითა და კონკურენციით. საბჭოთა კავშირი ამის ძალიან კარგი მაგალითია. როგორც უკვე ვახსენე, ფეხბურთმა საბჭოთა მოქალაქეები წარმოსახვით საზოგადოებებად დაშალა. გაჩნდა მოსკოვის კლუბების საზოგადოებები თავისი გერბით, სტადიონით, გულშემატკივრებით, მითებით და ა.შ. მაშინ რატომ არ ვუწოდებთ მოსკოვური კლუბების საზოგადოებას ნაციონალისტურს? რა განასხვავებს თბილისის „დინამოს“ მოსკოვის „სპარტაკის“ წარმოსახვითი საზოგადოებისგან?

თბილისის „დინამო“ ერთი შეხედვით სხვა საბჭოთა კლუბების მსგავს ატრიბუტებს ატარებდა, მაგრამ ამ ყველაფერს დაემატა ეროვნულ ნიადაგზე არსებული პოლიტიკური შევიწროება, საკუთარი ისტორია, ტრადიცია, ენა, კულტურა, განსხვავებული მენტალიტეტი და მივიღეთ ძლიერი მუხტით აღტკინებული საზოგადოება ნაციონალური ტენდენციებით. სანამ მოსკოვიდან თბილისის „დინამოს“ და ზოგადად ქართველების ეთნიკურ ნიადაგზე ჩავვრთავთ არ დაიწყებოდა, მანამდე ეს გუნდიც ისეთივე წარმოსახვით საზოგადოებას წარმოადგენდა, როგორც მოსკოვის „სპარტაკი“ იყო.

ყველაფერმა ამან მოიტანა 1964 წელს თბილისის „დინამოს“ პირველი ჩემპიონობა საბჭოთა კავშირის ლიგაში. ქართველთა ტრიუმფს არ დააყოვნა ქართულმა მუსიკამ, ანსამბლ „ორეროს“ შესრულებით- „ჩვენი ოქროს ბიჭები“, რომელიც გამოირჩევა იმ დროისთვის უჩვეულო პატრიოტული ტექსტით(იხ. დანართი N.2)

მოცემული სიმღერის ტექსტი ზუსტად და მკაფიოდ გადმოგვცემს იმდროინდელი ქართველი გულშემატკივრის პატრიოტულ დამოკიდებულებას ფეხბურთისადმი. მასში არცერთხელ არ არის ნახსენები რაიმე სოციალურ-კომუნისტური ფრაზა ან სიტყვა და პირიქით, ის ეთნიკური თემის ზედმიწევნითი წამოწევაა, რაც საბჭოთა დღის წესრიგში ნამდვილად უჩვეულოა.

აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ცივი ომის პერიოდია და მიმდინარეობს ბრძოლა საერთაშორისო ასპარეზზე აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის, რომელიც მნიშვნელოვნად ისახება სპორტულ ტურნირებში. თუკი აშშ აფრო-ამერიკელ ათლეტებს წარმოაჩენდა საერთაშორისო ტურნირებზე, საბჭოთა კავშირისთვის მრავალეთნიკურობა იყო მთავარი მიღწევა. ამრიგად, ქართველი ათლეტები ნებისით თუ უნებლიეთ მსოფლიო დიპლომატიის ქარცეცხლში მნიშვნელოვანი ფიგურები აღმოჩნდნენ. მიუხედავად ამისა, „საფეხბურთო მოედანზე ქართულმა ეროვნულმა ხასიათმა და საბჭოთა კავშირის მრავალეთნიკურობამ სხვა მნიშვნელობები შეიძინა, ეს კი ყოველთვის ვერ ერგებოდა ოფიციალურ იდეოლოგიას. ქართველ ფეხბურთელთა დიდებული გამარჯვებები, საბოლოო ჯამში, აღიქმებოდა



ეროვნულ ტრიუმფად და არა – საბჭოთა კავშირის მიღწევად“ (რედ. მანია, 2016)

„წარმომიდგენია რა ხდება ახლა თბილისში! ზეიმობს საქართველოს დედაქალაქი! ზეიმობს მთელი ჩვენი ქვეყანა!..“- ეს იყო სიტყვები, რომელიც ლეგენდარულმა ქართველმა მსახიობმა და სპორტულმა კომენტატორმა წარმოთქვა 1981 წლის თბილისის „დინამოს“ მიერ მოგებული „თასების მფლობელთა თასის“ ფინალის შემდეგ. ეს სიტყვები გაიხსენა „უეფამ“ , ყველაზე პრესტიჟულმა საფეხბურთო ტურნირმა. მათ მიერ გამოქვეყნებული სტატია წარმოგვიდგენს კომენტატორების ლეგენდარულ ფრაზებს, სადაც ერთ-ერთი კოტე მახარაძეს ზემოთხსენებული სიტყვებია (UEFA, 2020). სტატიაში განმარტულია, რომ ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ის დაიბარა საბჭოთა უშიშროებამ და მოსთხოვა განემარტა თუ რომელ ქვეყანას გულისხმობდა იგი. ეს ფრაზა თითქოს ადვოკატირება იყო იმ იდეისა, რაც წარმოადგენდა საქართველოს გამოყოფას სსრკ-დან.

„უეფა“ მართალს ამბობს, ეს ფრაზა ნამდვილად არ იყო ჰაერიდან მოტანილი, ეს უფრო იმპულსურ, ქვეცნობიერიდან ამოძახილ, ფროიდისეულ წამოცდენად უნდა მივიჩნიოთ. ჩვენი რეალური, დაფარული, ცნობიერიდან განდევნილი მისწრაფებები სწორედ ქვეცნობიერში ბუდობს და იმპულსური, ემოციური მომენტების დროს შეგვახსენებს თავს (კორინთელი 2022, 170). კოტე მახარაძის, ისევე როგორც ქართველთა უმრავლესობის სიხარულის რეალური მიზეზი კი იყო არა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო წარმატება არამედ ქართველთა ეროვნული ტრიუმფი. უამრავი ლექსების, სიმღერებისა თუ მოსაგონარი ამბების გარდა საინტერესოა დათო ტურაშვილის მოგონება, სადაც იხსენებს თავისი ისტორიის მასწავლებლის ნათქვამს თამაშის დღეს: „საქართველოს ისტორია არის უთანასწორო ბრძოლების თავგადასავალი და ქართველები ყოველთვის უმცირესობაში იყვნენ და ასე ებრძოდნენ მათზე გაცილებით მრავალრიცხოვან მტრებს და თუ დღეს თერთმეტი ქართველს მხოლოდ თერთმეტი გერმანელი დაუპირისპირდება, ჩვენი ფეხბურთელები აუცილებლად მოიგენებო“ (ციტირებულია კვლევაში: სამხარაძე 2017, 43-44) აქედან ზუსტად ჩანს ის ხედვა თუ როგორ უყურებდა ქართული საზოგადოება 1981 წლის ფინალს. ეს იყო იმდროინდელი საქართველოს ბრძოლის ველი და ისტორიული გამოცდა.

1990 წლის 30 მარტს საქართველოს ჩემპიონატის პირველი მატჩი გაიმართა, სადაც საქართველოს მომავალმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ „დინამოს“ სტადიონზე შეკრებილ გულშემატკივართა აუდიტორიას შემდეგი სიტყვებით მიმართა: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთს ! გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს ! “. ამ ფაქტიდან უკვე ძალიან კარგად იკვეთება ის კავშირი, რაც ქართულ ფეხბურთს ჰქონდა ეროვნულ იდენტობასთან.

ძალიან რთულია გაიხსენო შემთხვევა, როცა რომელიმე ქალაქის კლუბი აერთიანებდეს მთელ ქვეყანას და ეროვნულ ხასიათს აძლევდეს ისე მძაფრად როგორც ეს თბილისის „დინამოს“ შემთხვევაში მოხდა, მითუმეტეს იმ გარემოებაში, როცა ეს კლუბი არ ითვლებოდა ქართულ კლუბად, ისინი საბჭოთა კლუბის სახელით ასპარეზობდნენ. სტივენ ჯონსი აღნიშნავს (ციტირებულია კვლევაში: სამხარაძე, 2017) რომ საბჭოთა ქართული კლუბები უფრო ეროვნულები იყვნენ ვიდრე ზოგიერთი ევროპული ქვეყნის ეროვნული ნაკრები.

რა ხდება შემდგომ? საბჭოთა კავშირში იწყება მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძვრები, პარალელურად თბილისის „დინამო“ ტოვებს სსრკ-ს ჩემპიონატს, რაც ერთის მხრივ პოლიტიკური ნაბიჯი იყო ეროვნულობის გასაძლიერებლად, მაგრამ, ამან დიდი დარტყმა მიაყენა ქართულ ფეხბურთს. საქართველო მზად არ აღმოჩნდა საკუთარი ჩემპიონატის გაძლიერებისთვის არც ფინანსურად და განსაკუთრებით არც მენტალურად. ქართული საკლუბო ფეხბურთი ნაციონალიზმით იკვებებოდა, შემდგომ კი კვების წყაროს პრობლემები შეექმნა. თუკი აქამდე მათი ყოველი თამაში გარეშე მტერთან ბრძოლის ველად აღიქმებოდა, ხოლო თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრები მთელ საქართველოს მოიცავდნენ, მოგვიანებით ისე გამოვიდა, რომ „დინამოელებს“ საკუთარი გულშემატკივრების წინააღმდეგ თამაში უწევდათ. ცნობილია, რომ მოცემული მიზეზების გამო საბჭოთა ჩემპიონატიდან გამოსვლა გააკრიტიკეს ლეგენდარულმა ქართველმა ფეხბურთელებმა დავით ყიფიანმა და ვლადიმერ გუცაევმა (კობალაძე, 2022)

სტატიაში მკვეთრად გამოჩნდა ქართული ფეხბურთისა და ნაციონალიზმის ურთიერთმაცოცხლებელი კავშირი. ასევე ქართული ფეხბურთის დენაციონალური საწყისი და მოგვიანებითი ტრანსფორმაცია ეროვნული იდენტობისკენ. ნათლად ჩანს საბჭოთა ხელისუფლების გაუცნობიერებელი როლი საქართველოში ფეხბურთისა და რეაქციული ნაციონალიზმის განვითარებაში. ბოლოს კი, სახეზე გვაქვს თბილისის „დინამოს“ კვლავინდებური დენაციონალიზაცია და ქართული ფეხბურთის დეკადანსი.

## გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. ანდერსონი, ბენედიქტ. 2003. წარმოსახვითი საზოგადოებანი- მოსაზრებები ნაციონალიზმის წარმოშობისა და გავრცელების შესახებ. თბილისი: „ენა და კულტურა“.
2. კობალაძე, გ. (2022, 20 დეკემბერი). საბჭოთა ფეხბურთი- ნათელი ფერები მუქ ფონზე. იხ.: <https://www.radiotavisupleba.ge/a/საბჭოთა-ფეხბურთი-ნათელი-ფერები-მუქ-ფონზე/32185959.html> ბოლო ნახვა: 6/12/2023
3. კორინთელი, რევაზ. 2022. დინამიური ფსიქიატრია-სიდრმის ფსიქოლოგიაზე დაფუძნებული ფსიქიატრიისა და ფსიქოთერაპიის შესახებ. თბილისი: „აზროვნების აკადემია“.
4. მიქავა, ბ. 2018. გაუმარჯოს დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთს! გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! ზვიად გამსახურდია. ხელმისაწვდომია: [https://www.youtube.com/watch?v=xGueMADezc8&ab\\_channel=BesoMikava](https://www.youtube.com/watch?v=xGueMADezc8&ab_channel=BesoMikava) ბოლო ნახვა: 2/8/2024
5. სამხარაძე, ნინო. 2017. ფეხბურთი და ნაციონალიზმი საქართველოში 1960-1980იან წლებში. თბილისი.
6. სამხარაძე, ნ. (2021, 18 ნოემბერი). ოქროს ბიჭები და 1964 წლის ჩემპიონობა - როგორი იყო ბრძოლა საბჭოთა პირველობისთვის. ხელმისაწვდომია: <https://europop.ge/article/39867-okros-bichebi-da-1964-clis-chempionoba-rogori-iqobrdzola-sabchota-pirvelobistvis> ბოლო ნახვა: 6/12/2023
7. სკოტი, ერიკ რ. 2016 & მანია, ესმა. 2016. ფეხბურთის ოსტატურობა და საიდუმლო პოლიცია: ქართული ფეხბურთი მრავალეთნიკურ საბჭოთა იმპერიაში. თბილისი: „ინფრომაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)“ ხელმისაწვდომია: [https://www.idfi.ge/archive/index.php?cat=read\\_topic&lang=ka&topic=151](https://www.idfi.ge/archive/index.php?cat=read_topic&lang=ka&topic=151) ბოლო ნახვა: 6/12/2023
8. საქართველოს დაბადება. 2023. ვლადიმერ გუცაევის ისტორია- „საქართველოს დაბადება“. ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=qSHqEI33kcl> ბოლო ნახვა: 2/8/2024.
9. Erick, R Scott. 2016. Georgian Football. Published in <https://soundcloud.com/cwihp/episode-8-georgian-football?in=cwihp/sets/sport-in-the-cold-war> Last seen: 6/12/2023
10. UEFA. (2020, April 21). Mic drop moments: commentators' greatest hits. Published in <https://www.uefa.com/uefachampionsleague/news/0253-0d7f7c4e710e-9952bf777dbc1000--mic-drop-moments/> Last seen: 6/12/2023

**ენობრივი მსაზღვრელის მნიშვნელობა საბჭოთა ეპოქაში  
ქართული იდენტობისთვის (1978 წლის 14 აპრილის მაგალითზე)**

წინამდებარე სტატიაში საუბარია საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში 1978 წელს ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვასთან დაკავშირებულ მოვლენებზე. ეს გამოწვეული იყო, კონსტიტუციიდან იმ საკანონმდებლო მუხლის ამოღებით, რომელიც ქართულს სახელმწიფო ენის სტატუსს ანიჭებდა. როგორც მოგვეხსენება, წარსულში და დღესაც, ქართული ენა, ჩვენი ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია. აღნიშნული ქმედებით კი საბჭოთა ტოტალიტარული სისტემა ისწრაფვოდა რუსიფიკაციის პოლიტიკის გატარებისა და ეროვნული იდენტობის წართმევისკენ. მათი საბოლოო მიზანი საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბება იყო, რომელსაც ერთი საერთო ენა უნდა ჰქონოდა. ეს ენა რაღა თქმა უნდა რუსული უნდა ყოფილიყო. საერთო ერთეულებისთვის კი ეროვნულ-რუსულ ორენოვნებას უნდა შეემზადებინა საფუძველი. ქართული საზოგადოების კონსოლიდაციის წყალობით მათში ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებით, შესაძლებელი გახდა ქართული ენის დაცვა და ასევე სტიმული მიეცა ეროვნული მოძრაობის ახალი ტალღის წამოწყებას. ჩემი სურვილია, სტატიის მკითხველთან ერთად, კიდევ ერთხელ თვალი მივადევნოთ, 45 წლის წინ მიმდინარე მოვლენებს და რიგ ეპიზოდებს განსხვავებულად შევხედოთ, გავაკეთოთ ახალი ინტერპრეტაცია და ახლებური ანალიზი, რაშიც დაგვეხმარება, ენის რაობის ახსნა. გერმანელი ქართველოლოგის, ვინფრიდ ბოედერის, შეფასება, იმასთან დაკავშირებით, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისთვის მშობლიურ ენას ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში. აგრეთვე ვნახავთ, როგორ ესახებოდა, თავის დროზე ენობრივი საკითხის გადაჭრა ვლადიმერ ულიანოვს „ლენინს“, როგორი იყო სახელმწიფო ენის ფორმულირება, სხვა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველო, თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანაა, გვაქვს დედაენის დღე, 14 აპრილი, აგრეთვე, დავუდგით ძეგლი, ამ მართლაც ეროვნულ საუნჯეს, თითქოს სათანადოდ, მაინც ვერ ვაფასებთ და ვუფრთხილდებით ქართულ ენას, რომელმაც დიდი ქართველები გამოიარა, სხვა კულტურულ ენებთან ჭიდილში და მოაღწია ჩვენამდე.

რადგან ქართული იდენტობის ჩამოყალიბება არის პროცესი, რომელიც იწყება უძველეს პერიოდში და გრძელდება დღემდე, მის შესასწავლად სხვადასხვა ტიპის წყაროების გამოყენება არის შესაძლებელი, მაგრამ წყაროს ტიპის არჩევანს, პირველ რიგში საკვლევ პერიოდის ქრონოლოგიური ჩარჩო განაპირობებს. ვეხებით რა ქართული ერთობის, იდენტობის მოდერნულ პერიოდს, აღნიშნულის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბეჭდურ მედიას, სამეცნიერო თემატიკით დაწერილ წიგნებსა და სტატიებს, ცნობილ საზოგადო თუ პოლიტიკურ მოღვაწეთა მემუარებს. ამ ტიპის წყაროებში აღწერილია ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის იდეები, შეხედულებები, მათი დამოკიდებულება. ასევე გადმოცემულია საზოგადოების აზრი და ჩართულობა. აქედან გამომდინარე, სწორედ ასეთ წყაროებზე გავაკეთებთ, ძირითად აქცენტს.

როგორც მოგვეხსენება, ადამიანის არსებობა დაკავშირებულია საზოგადოებრივ საქმიანობასთან. აღნიშნული კი წარმოუდგენელია ადამიანებს შორის კომუნიკაციის გარეშე. კომუნიკაციის უმთავრესი საშუალება გახლავთ ენა, რომელიც წამყვან როლს ასრულებს ჩვენი გამოცდილების, ემოციებისა და განცდების გამოსახვასა და ტრანსფორმირებაში. როდესაც ამა თუ იმ ენაზე ვსაუბრობთ, აშკარაა, რომ ენა არ არის მხოლოდ სიტყვების მარაგი, უპირველეს ყოვლისა, ენა არის ამ ენაზე მოსაუბრე ადამიანების კულტურული ტრადიციები და მათი ისტორიული მეხსიერება, რაც უფრო ხელშესახებია.

ჩვენ ერთგვარად ენაში უნდა დავინახოთ გზა, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია, შევადწინოთ ერის მენტალობაში. ამის შემდეგ კი ვუღრმავდებით უძველესი ადამიანების წარმოდგენებს მსოფლიოს, საზოგადოებისა და საკუთარი თავის შესახებ. წინა საუკუნეების გამოძახილი, ენობრივი კუთხით შემონახულია გამონათქვამებში, კულტურულ სიმბოლოებში, ანდაზებში, მეტაფორებში, ფრაზეოლოგიზმებში და ა.შ.

„ქართული ერთობისათვის ენის მაკონსოლიდებელ იმპულსს კარგად აჩვენებს უახლოესი წარსული: 1978 წელს საბჭოთა იმპერიის ფარგლებში მყოფი ქართველობის მძლავრი საპროტესტო გამოსვლა უკავშირდება სწორედ ენას და მის სახელმწიფოებრივ სტატუსს. ქართული ენა იქცა ქართული ერთობის უმთავრეს, შემაკავშირებელ ფაქტორად. ქართული ლინგვისტური ნაციონალიზმის თვალსაჩინოებად დასავლელი მკვლევრები აფიქსირებენ არაერთ ფაქტს და მიუთითებენ, რომ თანამედროვე ქართველებს ახასიათებთ სრულიად განსაკუთრებული დამოკიდებულება ენისადმი“ (ჩხარტიშვილი, მანია 2018: 4).

თანამედროვე დასავლელ ქართველოლოგთა შორის, გამორჩეული ადგილი უკავია ცნობილ გერმანელ ენათმეცნიერს, ოლდენბურგის უნივერსიტეტის პროფესორ ვინფრიდ

ბოედერს. განსაკუთრებით დასაფასებელია მისი ღვაწლი იმ მხრივ, რომ დღეს უკვე 86 წლის ბოედერმა, თავისი ცხოვრების ნახევარზე მეტი მიუძღვნა ქართულ ენობრივ სინამდვილეს და დაგვიტოვა უამრავი გამოკვლევა ქართველური ენების სტრუქტურის და ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებზე. რომელთაგან შეგვიძლია აღვნიშნოთ: „ძველი ქართული ანბანის ანალიზი“; „ქართველური ენების წოდებითის შესახებ“; „ქართული და მონათესავე ენები ევროპის საზღვართან“; „ენა და ვინაობა ქართველთა ისტორიაში“; „ფიქრები ქართული ენის წარსულსა და აწმყოზე“ და ა.შ.

ვფიქრობ, საინტერესოა 2002 წელს ქართველი პოეტის, ფილოლოგიის დოქტორის, პროფესორ ცირა ბარბაქაძის ინტერვიუ ვინფრიდ ბოედერთან, სადაც გერმანელი ქართველოლოგი საუბრობს იმაზე, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისთვის მშობლიურ ენას. ყურადღებას ამახვილებს გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, დაწერილ ერთ დეტალზე: „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამნი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“. ბოედერის აზრით, სწორედ აქ ჩანს, რომ ქართულ ენას პრობლემა გაუჩნდა, რადგან სხვა შემთხვევაში ქართველები ენაზე საუბარს არ დაიწყებდნენ. შესაბამისად, ენა ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძვლის მნიშვნელოვანი ნიშანი ყოფილა. გერმანელი ქართველოლოგის მსჯელობა ნამდვილად არ არის აზრს მოკლებული, მითუმეტეს იმის ფონზე, რომ იმ პერიოდში, ქართულ პოლიტიკურ დღის წესრიგს, ბიზანტიის იმპერია განსაზღვრავდა. ყველა იმპერიას კი თავისი იმპერიალისტური ზრახვები ამოძრავებს. იმ დროს საქართველო არ იყო გაერთიანებული და სამეფო-სამთავროებად განხლდათ დაყოფილი, თუმცა აღნიშნულს ხელი არ შეუშლია, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ დაწერამდე, ერთი საუკუნით ადრე, IX საუკუნისათვის ბერძნული დამწერლობა მთელი საქართველოს მასშტაბით ქართულით შეცვლილიყო. პოლიტიკურად ერთიანი საქართველოს წარმოშობამდე კი ქართული სამოციქულო ეკლესია გაერთიანებულიყო. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ გიორგი მერჩულეს ეს წინადადება ემსახურება იმის გამოკვეთას, რომ საქართველო მარტო ქართლი კი არ არის, არამედ საქართველოა ის ტერიტორიებიც, სადაც ღვთისმსახურება ქართულ ენაზე მიმდინარეობს, რაც ერთგვარად, მიანიშნებს იმაზე, რომ გაერთიანების წინაპირობები, დასკვნით ფაზაში შედის. ბუნებრივია, ეს არ შედიოდა გარეშე ძალის გეგმებში და სავარაუდოდ ბერძნული ენის და კულტურის წინა პლანზე წამოწევით ცდილობდა, დაეთრგუნა ქართველების ეროვნული თვითშეგნება.

ბოედერმა აგრეთვე შეისწავლა, მე-17 საუკუნეში ქართულად თარგმნილი წიგნები. „მათ არა მხოლოდ პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდათ (მაგ. მედიცინის წიგნი), არამედ

ქართველები დაინტერესებული იყვნენ ქართულ ენაზე წიგნების არსებობით, რადგან წიგნი მაინც განათლებისთვისაა დანიშნული“ (ბარბაქაძე 2011). მშობლიურ ენაზე განათლების მიღება, ზრდის ხალხში წიგნიერების და კულტურის დონეს, აფაქიზებს ზნეობას, აღვივებს პატრიოტულ გრძნობებს და ნერგავს უკეთესი მომავლის რწმენას.

ერის ცხოვრებაში ენის როლის უფრო კარგად გააზრებაში დაგვეხმარება ვინფრიდ ბოედერის სტატია: „ფიქრები ქართული ენის წარსულსა და აწმყოზე“, სადაც ავტორი ამბობს: „იმისათვის, რომ ენა ვინაობის მიმცემად მოგვევლინოს ცნობიერებაში, განსაკუთრებული ისტორიული პირობებია საჭირო. მაგრამ ისიც უდავოა, რომ საკუთარი ენა ვინაობის დადგენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა: ის ყოველთვის ხელთ გვაქვს და უმეტეს შემთხვევაში, ადვილად შეიცნობა „განსხვავებულად“. ის თვით უმცირეს სოციალურ ჯგუფებსაც კი განასხვავებს და მის გამოყენებას შეუძლია უფაქიზესი ნიუანსებით მოახდინოს ერთობის გრძნობის აღძვრა“ (ბოედერი 2005: 53).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომელიც მოდერნიზებულ რუსულ იმპერიას წარმოადგენდა, ენობრივ პოლიტიკას ორი ძირითადი მიმართულებით ატარებდა. ერთი მხრივ, ოფიციალურად აღიარებდა მოკავშირე რესპუბლიკების ნაწილში, მათ ეროვნულ ენებს სახელმწიფო ენად, რასაც გარკვეულ ეტაპზე პოლიტიკური და იდეოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა საქმის ისე წარმოსაჩენად თითქოს საბჭოთა კავშირში გაერთიანებული ერები ინარჩუნებდნენ თავიანთ თვითმყოფადობას და უზრუნველყოფილი იყო სრული ენობრივი თანასწორობა, ხოლო მეორე მხრივ, საკავშირო ხელისუფლების ორგანოების სამუშაო ენას ფაქტობრივად რუსული წარმოადგენდა. ამასთანავე, რუსული ენა განიხილებოდა, როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში მცხოვრებ ხალხთა შორის ურთიერთობის ენა.

ამგვარი ენობრივი პოლიტიკის გავლენით ჩამოყალიბდა იმდროინდელი საკანონმდებლო აქტებიც. რუსული ენა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის არც ერთი კონსტიტუციით (1924, 1927, 1937, 1978 წწ.) სახელმწიფო ენად არ იყო აღიარებული, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკებში, მაგალითად საქართველოში, ქართული ენა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ოთხივე კონსტიტუციით (1922, 1927, 1937, 1978 წწ.) აღიარებული იყო, როგორც სახელმწიფო ენა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსულ ენას კონსტიტუციით სახელმწიფო ენის სტატუსი არ ჰქონია მინიჭებული, აღნიშნული სრულებითაც არ ნიშნავდა მისი უფლებების შეზღუდვას. საბჭოთა კავშირში, რუსული ენა ისედაც სარგებლობდა დიდი პრივილეგიებით, რადგან ბუნებრივია, როდესაც გარკვეული სახელმწიფოს ენა (მითუმეტეს დიდი სახელმწიფოსი), ამ შემთხვევაში რუსეთის, მოქცეული არ არის საზღვრებში, სხვა პატარა ერთა ენის შეზღუდვის

აღბათობაც მეტია. სწორედ ამ მიზეზით არ იცნობდა სახელმწიფო ენის ცნებას, არც რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია და არც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საერთო საკავშირო კონსტიტუცია. სხვათაშორის, თავის დროზე, კონსტიტუციაში სახელმწიფო ენის განსაზღვრის წინააღმდეგი, თავად „ამხანაგი“ ვლადიმერ ულიანოვი „ლენინი“ იყო, რადგან მისი აზრით, აღნიშნული იქნებოდა ძალდატანება არარუს ერებზე, მაგრამ ლენინმა ისიც, კარგად იცოდა, რომ რუსული ენით, მაინც შეიზღუდებოდა სხვა ერების ენობრივი უფლებები. ამის დასტურად შეგვიძლია, მისი სიტყვები მოვიშველიოთ: „ასიათასობით ადამიანი გადაადგილდება რუსეთის ერთი ბოლოდან მეორეში, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ითქვიფება. ვინც თავისი ცხოვრებისა და სამუშაო პირობების გამო საჭიროებს რუსული ენის ცოდნას, ის ისედაც ისწავლის მას ჯოხის გარეშე. ძალდატანება კი მხოლოდ გაართულებს რუსული ენის შეღწევას სხვა ნაციონალურ ჯგუფებში“ (ლენინი 1973: 293). მაშ, რა შეიცვალა, მე-20 საუკუნის 70-იან წლებში?! თვისობრივად, არც არაფერი, უბრალოდ კრემლის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ, ირწმუნა მითი, „საბჭოთა იმპერიის ძლიერების და ურღვეობის შესახებ“. აქედან გამომდინარე, მათ მიიჩნიეს, რომ საჭირო მომენტი იყო, საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში შემავალი ხალხების, ასიმილაციისათვის. ამას მოწმობს 1971 წლის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კომუნისტური პარტიის 24-ე ყრილობაზე წარმოთქმული „ამხანაგ“ ბრეჟნევის სიტყვიდან ამონარიდი: „ჩვენს ქვეყანაში წარმოიშვა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა – საბჭოთა ხალხი. ამ თეორიულმა და პრაქტიკულმა დებულებამ დააყენა რუსული ენის – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხთა ურთიერთობის ენის როლის შემდგომი ამალღების საკითხი“.

პროფესორი დიმიტრი შველიძე აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებით ფიქრობს, რომ „ეს იყო სრულიად შეუნიღბავი რუსიფიკატორული შოვინისტური დირექტივა, რომელიც მრავალრიცხოვანი რუსი ხალხის წიაღში სხვა მცირერიცხოვანი, მათ შორის – ქართველი ხალხის შერწყმა-გათქვეფას ქადაგებდა. კომუნიზმის მშენებელი „საბჭოთა ხალხის“ ერთადერთი და ბუნებრივი სახელმწიფო ენა რომ რუსული უნდა ყოფილიყო, ამის შესახებ დავაც კი გაჭირდებოდა. ისედაც პრიორიტეტული რუსული ენის შემდგომი განსაკუთრებულობის ფონზე, სხვა ენების, კერძოდ – ქართული ენის, ფუნქციონირება თანდათანობით შევიწროვდებოდა, შეიზღუდებოდა და ბუნებრივი კვდომის გზით განვითარდებოდა“ (შველიძე 2018: 415). ძნელია, რომ არ დავეთანხმოთ სახელმძღვანელო მენიერის მოსაზრებას.

იმისათვის რომ რუსული ენა იურიდიულად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების



კავშირის სახელმწიფო ენად გამოცხადებულიყო და მის ოფიციალურ გამოყენებას მოკავშირე რესპუბლიკებში სამართლებრივი საფუძველი ჰქონოდა, კრემლის იდეოლოგებმა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1977 წლის ახალ კონსტიტუციაში თავი აარიდეს სახელმწიფო ენის განსაზღვრის საკითხს. სამაგიეროდ იმ მოკავშირე რესპუბლიკებს, სადაც ენას სახელმწიფო სტატუსი ჰქონდა, მოსთხოვეს, ახალ კონსტიტუციებში ადგილობრივი ნაციონალური ენების სახელმწიფოებრივი სტატუსი აღარ გაეთვალისწინებინათ. თუ ეს ჩანაფიქრი წარმატებით შესრულდებოდა, მაშინ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციაში შეიტანდნენ დამატებას რუსული ენის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ და მთელს საბჭოეთში ეს ენა უკვე იურიდიულად ერთადერთი სახელმწიფო ენა იქნებოდა.

ამ გეგმის განხორციელებას, 1978 წელს შეუდგნენ. მაგალითად, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, 1937 წლის კონსტიტუციისაგან განსხვავებით, სადაც გარკვევით იყო ნათქვამი, რომ „საქართველოს სსრ სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“ (156-ე მუხლი), 1978 წლის 24 მარტს საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნებულ, გაზეთ კომუნისტის 70-ე ნომერში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ახალი კონსტიტუციის პროექტში ქართული ენა საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ენად უკვე აღარ იყო მოხსენიებული.

1978 წელს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტიდან ამოიღეს მუხლი სახელმწიფო ენის სტატუსის შესახებ და გაჩნდა ახალი 75-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, რუსულ ენასა და სხვა ენებს, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობდა, თანაბარი უფლებები მიენიჭა. 75-ე მუხლი ასე იყო ფორმულირებული:

„საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის.

საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა ამ ორგანოსა და დაწესებულებაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული, აგრეთვე სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს.

რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“ (საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია 1978: 2).

პროექტის ამ ნორმაში ყურადსაღები იყო ორი პრინციპული ხასიათის სიახლე. 1) ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი გაუქმებული იყო, საქართველოს სახელმწიფო ენას კონსტიტუცია აღარ ადგენდა. 2) პირველად საქართველოს

კონსტიტუციაში ქართული ენის თანაბარი სტატუსი ენიჭებოდა რუსულ ენას.

სახელმწიფო ენის სტატუსი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, სამ რესპუბლიკაში არსებობდა: საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. აქედან გამომდინარე 1978 წლის ახალი კონსტიტუციით, ქართულთან ერთად სახელმწიფო ენის სტატუსი უნდა ჩამორთმეოდა სომხურს და აზერბაიჯანულსაც. შესაბამისად სახელმწიფო ენის ფუნქცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში, მხოლოდ რუსულს უნდა შეესრულებინა.

„ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“, ენასთან მიმართებით დაწერილ განმარტებებში, მხოლოდ ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებს აქვთ განსაზღვრული სტატუსი, მაგ. „ქართული ენა, საქართველოს სსრ სახელმწიფო ენა“ (ძიძიგური 1986: 475, ტ.10); „სომხური ენა, სომხეთის სსრ, სახელმწიფო ენა“ (რობაქიძე 1985: 472, ტ.9); „აზერბაიჯანული ენა, აზერბ. სსრ სახელმწ. ენა“ (ჯანგიძე 1975: 203, ტ.1). სხვა არცერთი საბჭოთა რესპუბლიკის, ენის განმარტებაში, არ ვხვდებით სტატუსს – სახელმწიფო ენა.

დამატებითი არგუმენტაციისათვის, დაგვეხმარება სომხეთის და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კონსტიტუციები, რომლებიც 1978 წლამდე იყო მიღებული.

1939-1969 წლების, სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ვკითხულობთ: „მუხლი 119. სომხეთის სსრ სახელმწიფო ენა არის სომხური“ (სომხეთის სსრ კონსტიტუცია 1939-1969: 26).

რაც შეეხება აზერბაიჯანულ ენას, მას სახელმწიფო ენის სტატუსი 1957 წელს მიანიჭეს. რის შედეგადაც 1957 წლის კონსტიტუციაში, ვხვდებით ასეთ ჩანაწერს: „მუხლი 151. აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო ენა არის აზერბაიჯანული ენა“ (აზერბაიჯანის სსრ კონსტიტუცია 1957: 31).

ამ შემთხვევაშიც გავიმეორებ და ვიტყვი, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სხვა ქვეყნებში, გარდა საქართველოსი, სომხეთისა და აზერბაიჯანისა, კონსტიტუციურად, ენის სტატუსი, როგორც – სახელმწიფო ენა, განსაზღვრული არ ყოფილა. ერთადერთ გამონაკლისად შეგვიძლია, მივიჩნიოთ თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1928 და 1936 წლების ადრეული კონსტიტუციები, სადაც თურქმენული სახელმწიფო ენად იყო აღიარებული, მაგრამ არა დამოუკიდებლად, არამედ რუსულ ენასთან ერთად. „მუხლი 18. თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენებად ითვლება თურქმენული და რუსული“ (თურქმენეთის სსრ კონსტიტუცია 1928: 10). „მუხლი 23. თსსრ სახელმწიფო ენებად დგინდება თურქმენული და რუსული“ (თურქმენეთის სსრ კონსტიტუცია 1936: 9). სხვა

რესპუბლიკების კონსტიტუციებში, უბრალოდ მითითებული იყო, რომ კანონები, განკარგულებები და ა.შ. ქვეყნდებოდა მათი რესპუბლიკის ენაზე და რუსულ ენაზე. მაგ. ლიეტუვის სსრ-ში ლიეტუვურსა და რუსულზე, მოლდავეთის სსრ-ში მოლდავურსა და რუსულზე და ა.შ.

აქვე, საკითხის უფრო ღრმად გასააზრებლად და იმის ანალიზისთვის, თუ როგორ მუშაობდა საბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდის მანქანა, უნდა მოვიშველიოთ, გაზეთ კომუნისტის 1978 წლის 23 მარტის 69-ე ნომერი, სადაც პირველ გვერდზე სათაურით: „კონსტიტუციების პროექტების შესახებ“, განხილულია ყაზახეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკებში მიმდინარე პროცესები, ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით:

„ბაქოში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატის, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, აზერბაიჯანის სსრ კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის თავჯდომარის გ. ა. ალიევის თავმჯდომარეობით გაიმართა რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის სხდომა.

კომისიამ განიხილა და ძირითადად მოიწონა პროექტი და მიიღო გადაწყვეტილება აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შეიტანოს წინადადება, რომ აზერბაიჯანის სსრ კონსტიტუციის პროექტი გამოქვეყნდეს რესპუბლიკის საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.“

21 მარტს სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის საკითხი. მოხსენება გააკეთა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ი. ს. დემირჭიანმა.

სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ძირითადად მოიწონა საკონსტიტუციო კომისიის მიერ წარმოდგენილი კონსტიტუციის პროექტი და გადაწყვიტა გაიტანოს იგი რესპუბლიკაში საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. მიღებულია ბრძანებულება, რომ აპრილში მოწვეულ იქნეს სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესია.“ (კონსტიტუციის პროექტის შესახებ 1978: 1)

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფო ენის სტატუსი საბჭოთა კავშირში სულ სამ რესპუბლიკაში, საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში არსებობდა, ვფიქრობ ნათელია, რომ გაზეთის აღნიშნულ ნომერში მოყვანილი ამიერკავკასიის ერებში მიმდინარე ანალოგიურ პროცესებთან დაკავშირებული მაგალითი მიმართული და გამიზნული იყო ქართული საზოგადოების ფართო ნაწილისკენ, რათა მათ დაენახათ, რომ

ახალი კონსტიტუციის პროექტში უჩვეულო, სახეცვლილი არაფერია და სომხეთსა და აზერბაიჯანში, პროცესი მშვიდად მივა სასურველ შედეგამდე.

აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა და სახელმწიფო ენის სტატუსის შენარჩუნებამ, დადებითად იმოქმედა სომხეთის და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებზეც, რადგან მათაც მოახერხეს თავიანთ კონსტიტუციებში, სახელმწიფო ენის სტატუსის, ფორმულირების შენარჩუნება.

მეტი თვალსაჩინოებისათვის, კარგი იქნება, გავეცნოთ გასული საუკუნის 80-იანი წლების საზოგადოების შეხედულებებს და აზრს. კონსტიტუციის განხილვები მოეწყო, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ენათმეცნიერების ინსტიტუტში, მწერალთა კავშირში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ლიტერატურის მუზეუმში. რუსული ენის რეალური სტატუსი ამ დისკუსიის დროსაც გამოიკვეთა. საზოგადოების ნაწილი შეგუებული იყო არსებულ მდგომარეობას. პროექტის განხილვისას ცკ-ში გამართულ სხდომაზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა თქვა: „ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ჩვენი სახელმწიფო ენა არის რუსული და უხერხულიც კი არის სახელმწიფო ენად ქართული მოვითხოვოთ. ჩვენი კონსტიტუციის თანახმად არავინ გვიკრძალავს ქართულად ლაპარაკს და ეს უდიდესი მიღწევაა. [...] ჩვენში უკვე ყველა განათლებულმა ადამიანმა იცის რუსული და სხვა სახელმწიფო ენა არ გვჭირდება“ (ბაქრაძე 2005: 457,458).

ქართული ენის სტატუსთან დაკავშირებით, პირველმა ვინც აიმაღლა ხმა 75-ე მუხლის წინააღმდეგ, აკაკი ბაქრაძე იყო. ამ მოღვაწეს ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა მაშინდელ საზოგადოებაზე, სტუდენტ-ახალგაზრდებზე. ეს ადამიანები აკაკი ბაქრაძეს უსმენდნენ და მის აზრს ითვალისწინებდნენ.

1978 წლის 23 მარტს საქართველოს კპ ცკ-ში პროპაგანდის განყოფილების გამგის გიორგი ბედინეიშვილის თათბირს ესწრებოდნენ მიწვეული სტუმრები, მათ შორის აკაკი ბაქრაძეც, რომელმაც აღნიშნულ თათბირზე თქვა : „ამგვარ ცვლილებას ქართველი საზოგადოება დადებითად არ შეხვდება. ჩვენი ხალხი არ დაუშვებს ქართული ენის კონსტიტუციურ შეურაცხყოფას. ამან შეიძლება ძალიან ცუდი ნაყოფი გამოიღოს. ამიტომ უმჯობესია ადვალდინოთ ის, რაც ეწერა ძველ კონსტიტუციაში, და ამოვიღოთ ეს საექვო 75-ე მუხლი“ (ბაქრაძე 2005: 454).

ქართული ენისთვის სახელმწიფოებრივი სტატუსის წართმევის მიზეზად მთავრობის მხრიდან თანასწორუფლებიანობის დაცვა სახელდება. საქართველოს კპ ცკ-ის პროპაგანდის განყოფილების გამგის, გ. ბედინეიშვილის, განცხადებით, „[...] სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციებში არ ყოფილა მუხლი სახელმწიფო ენის

შესახებ. ამიტომ ყველა რესპუბლიკა ერთნაირ მდგომარეობაში რომ იყოს, გადაწყვიტეს ის პუნქტი, სადაც სახელმწიფო ენაზეა ლაპარაკი, ამოეღოთ“ (ბაქრაძე 2005: 454).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის პროფესორი რევაზ სირაძე, საქართველოს სსრ საკონსტიტუციო კომისიის წევრებს წერდა:

„საქართველოს სსრ კონსტიტუციის განსახილველ პროექტში არაა აღნიშნული, რომ ქართული ენა არის საქართველოს სსრ სახელმწიფოებრივი ენა, რაც მოუთმენლად უნდა ჩაითვალოს.

არასწორია დაკანონება იმისა, რომ რესპუბლიკის ეროვნული ენა არ იყოს მიჩნეული სახელმწიფო ენად.

ამიტომ კონსტიტუციის სათანადო მუხლში აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო ენაა ქართული ენა“ (სირაძე 2018: 435).

ბუნებრივია, აკაკი ბაქრაძის და რევაზ სირაძის მოსაზრებები, ქართულ პრესას არ დაუბეჭდავს, რადგან საწინააღმდეგო აზრს, ცენზურა გასაქანს არ აძლევდა. კონსტიტუციის, 75-ე მუხლის განხილვის დროს, მხოლოდ დადებითი შეფასებები ქვეყნდებოდა:

„კონსტიტუციის პროექტის 75-ე მუხლი სახელმწიფოსაგან მოითხოვს ბეჯითად ზრუნვას ჩვენი უდიდესი განძის, ჩვენი დედაენის ყოველმხრივი განვითარებისათვის. პროექტი აკანონებს ქართული ენის ფართო, შეუზღუდავი სარგებლობის უფლებას საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. [...]. მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიული ცხოვრების მანძილზე ქართველობა სამაგალითო ჰუმანურობასა და შემწყნარებლობას იჩენდა ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები თუ დროებით შემოხიზნული სხვა ხალხების შვილების მიმართ, არ აკლებდა მათ მფარველობასა და კეთილდღეობისათვის ზრუნვას. საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტიც თავიანთი ენებით შეუზღუდავი სარგებლობის უფლებას აძლევს აქ მცხოვრებ ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლებს. გულით ვიწონებთ სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტს“ (ბარამიძე 1978: 3).

ქართული საბჭოთა პერიოდული გამოცემები, ყველაფერს, ისე წარმოაჩენდნენ, როგორც ტოტალიტარული რეჟიმისთვის იყო მისაღები. ამის კარგი მაგალითია, 1978 წ. 31 მარტს, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული სტატია: „ქართველ მწერალთა ხმა“, რომელშიც ეწერა: „ამ დღეებში რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდა საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი. რესპუბლიკის მშრომელები ფართოდ განიხილავენ ახალ პროექტს, გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს და წინადადებებს. [...]. ახალი

კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებას მიეძღვნა მწერალთა კავშირში გამართული მიტინგი, რომელიც გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა გიორგი ჟორჟოლიანმა. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ: საქართველოს მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, პოეტი მორის ფოცხიშვილი, მწერლები: იონა ვაკელი, რევაზ ჯაფარიძე, ნოდარ წულეისკირი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნები ნოდარ დუმბაძე და ჯანსუღ ჩარკვიანი. „მწერლებმა აღნიშნეს ის საყოველთაო აღმავლობა, რაც კონსტიტუციის ახალი პროექტის გამოქვეყნებამ გამოიწვია. გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებანი და სურვილები“. ახალი კონსტიტუციის პროექტი განმსჭვალულია ადამიანზე ზრუნვით, რაც მწერლობას ავალებს კიდევ უფრო დრმად ჩასწვდეს თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს, გვიჩვენოს საბჭოთა ადამიანის სულიერი სიმდიდრე და სილამაზე, მისი შემოქმედებითი შრომა სამშობლოს საკეთილდღეოდ, მისი პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი“ (ქართველ მწერალთა ხმა 1978: 1).

ამ სტატიით აღშფოთებული ნოდარ წულეისკირი წერდა: „შეიძლება კალმის წვერმა ამაზე მეტი სიცრუე დაწეროს? - პარტიიდან წავალ, თუ ამ კონსტიტუციას მიიღებენ-მეთქი! - აი, რა ვთქვი მე ამ მიტინგზე“ (წულეისკირი 1989: 8).

რადგან, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა საზოგადოების აზრი ახალი კონსტიტუციის 75-ე მუხლთან დაკავშირებით, 1978 წლის 14 აპრილს თბილისში მოეწყო ხალხმრავალი დემონსტრაციები. მოქალაქეები, რომელთა უმეტესობაც მაშინდელი სტუდენტი-ახალგაზრდები იყვნენ, ინტელიგენციის ბევრ წარმომადგენელთან და სხვა უფროსი თუ უმცროსი თაობის ქართველებთან ერთად, აპროტესტებდნენ კომუნისტური პარტიის მცდელობას, დედაენასთან დაკავშირებული, კონსტიტუციის მუხლის შესაძლო შეცვლის გამო.

ყველაზე მეტად აქტიურობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის და ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტები, რომლებსაც შემდეგ უკვე შეურთდნენ ახალგაზრდები სხვა ინსტიტუტებიდან. მათ დარაზმვაში, როგორც ზევით უკვე მოგახსენეთ, დიდი როლი ითამაშა აკაკი ბაქრაძის მოწოდებებმა. საინტერესოა, რომ სტუდენტებს თავიდან ასაკოვანი ადამიანები, გამვლელები, მოუწოდებდნენ, შეჩერებისკენ. უხსნიდნენ თუ როგორი საშიში შეიძლებოდა ყოფილიყო მათთვის ეს ყველაფერი, მაგრამ შემდეგ უკვე თავადვე უერთდებოდნენ აქციას.

14 აპრილი, შემთხვევით შერჩეული თარიღი არ ყოფილა. ამ დღეს განიხილებოდა კონსტიტუციის პროექტი და უნდა მომხდარიყო მისი დამტკიცება.

პირველი არხის ტელეოპერატორის, გურამ გაფრინდაშვილის მოგონებებში ამ დღესთან დაკავშირებით ვკითხულობთ:

„14 აპრილს დილით ადრე, წავედი მთავრობის სასახლეში (ახლანდელი პარლამენტის შენობაში), მაშინ ამიერკავკასიის სამხედრო ჯარების მთავარი ოლქი მდებარეობდა თამარაშვილის (ყოფილი გურამიშვილის) ქუჩაზე. მე იმავე ქუჩაზე ვცხოვრობდი, დილით აქ ჯარისკაცები არ შემიმჩნევია, მაგრამ, როდესაც მთავრობის სასახლესთან მივედი, დავინახე ტანკები ჩიტაძის ქუჩაზე და პირველი საშუალო სკოლის (ახლანდელი გიმნაზიის) მხარეს. მინდა აღვნიშნო, რომ იმდენად ხშირად გვიწევდა სამთავრობო სხდომებზე მუშაობა, თითქმის ყველა მათგანს ვიცნობდით, ისინიც გვცნობდნენ, ამიტომ ძალიან უშუალო და თბილი დამოკიდებულება გვქონდა. დიმილით ვესალმებოდით ერთმანეთს. 14 აპრილს კი ასე არ მომხდარა. შეიმჩნეოდა დაძაბულობა მისაღმებამდე კი. ეს უარყოფითი მუხტი ყველას გადაგვედო (გაფრინდაშვილი 2018: 75).

1978 წლის 14 აპრილს, განვითარებული მოვლენების თვითმხილველი გახლავთ, ისტორიკოსი თამარ ჩხეიძე, რომელიც მაშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი იყო. იგი თვლის, რომ „კაგებეს“, ქაოტურმა მოქმედებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საყოველთაო ინფორმირებულობის გაზრდას, რადგან მათმა მოწოდებებმა: „გარეთ ცხვირი არ გაყოთ“, ძალაუვნებურად იმ მასასაც მიაწოდა ინფორმაცია, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ხდებოდა, რომელიც სხვა მხრივ ინფორმირებული არ იყო. „სკოლების ადმინისტრაციას აფრთხილებდნენ, რომ არავინ არ წასულიყო დემონსტრაციაზე, ბავშვებს კარებებს უკეტავდნენ, რომ შენობიდან არ გასულიყვნენ. სხვადასხვა დაწესებულების წარმომადგენლებს უკრძალავდნენ შენობის დატოვებას, უნივერსიტეტში კი საერთოდ ისტერიული მდგომარეობა იყო. ეს ატმოსფერო ხელს უწყობდა ინფორმაციის გავრცელებას. მათმა აკრძალვებმა და გაფრთხილებებმა უკუშედეგი გამოიღო: მაგალითად, სკოლის მოსწავლეები ფანჯრებიდანაც ხტებოდნენ და უერთდებოდნენ დემონსტრაციას“ (ჩხეიძე 2018: 236,237).

ქართველი ხალხის ერთობამ, მათმა ეროვნულმა კონსოლიდაციამ, მოახერხა ის, რომ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა, ედუარდ შევარდნაძემ, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომაზე განაცხადა: „დავტოვოთ, შევინარჩუნოთ, ფორმულირება, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო ენად ქართული ენის გამოცხადებას“.

იმ დროს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი, ნოდარ გრიგალაშვილი, აღნიშნულთან დაკავშირებით იხსენებს: „ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს წაიშლება ის მომენტი 1978 წლის 14 აპრილისა, როდესაც რუსთაველის გამზირზე მდუმარედ მდგომ, სმენაგამახვილებულ, თვალებში

ნადვლჩასახლებულ ზღვა ხალხს უცებ ჩაესმა: „ქართული ენა რჩება საქართველოს სახელმწიფო ენად“. თითქოს მახრობელი დაბრუნდაო დიდგორის ბრძოლიდან, სადაც ჩვენი ერის ყოფნა–არყოფნის საკითხი წყდებოდა“(გრიგალაშვილი 2018: 103).

მართალია, ქართულ საბჭოთა პრესას არაფერი დაუწერია 14 აპრილის გამოსვლაზე, რაც ლოგიკურია, რადგან ასეთი ფაქტების გახმაურება, ტოტალიტარული რეჟიმის სიძლიერეზე, ნეგატიურად აისახება. მაგრამ საინტერესოა ის, თუ რა ინფორმაციას გვაწვდის პრესა, 1978 წლის 14 აპრილის შემდეგ, ქართული ენის საკითხის, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციაში განსაზღვრის თაობაზე. 21 აპრილის, „ლიტერატურული საქართველოს ნომერში“, უკვე დადებითადაა შეფასებული ის ფაქტი, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა, არის ქართული და აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ყველა დონეს იხმარს მისი განვითარებისათვის.

„ [...] ახლა რაც შეეხება ქართულ ენას. მე-19 საუკუნეში დაჩაგრულ, შევიწროვებულ და ფეხქვეშ გათელილ ქართულ ენას დიდმა ოქტომბერმა დაუბრუნა კანონიერი უფლებები, აღადგინა იგი, უკეთ, რომ ვთქვათ, აღუდგინა ბუნებით მიცემული უფლება სიცოცხლისა და გამოაცხადა სახელმწიფო ენად. [...] ახალი კონსტიტუციის პროექტში აღნიშნულია, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა და რომ რესპუბლიკა ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას ქართული ენის ყოველი დონისძიებით განვითარებისათვის. [...] თავისთავად ცხადია, საბჭოური ცხოვრების წესის შესაბამისად, ჩვენი ქართული ინტერნაციონალური ტრადიციის შესაბამისად, ჩვენ უდიდესი პატივისცემით უნდა მოვეპყროთ მოძმე ხალხთა ენებს, მათ შორის, დიდი რუსი ხალხის ენას, ლენინის და პუშკინის ენას“(ნატროშვილი 1978: 2).

ორი აზრი არ არის, რომ ცენზურის ნებართვის გარეშე ამ სტატიას დღის სინათლე ვერ ეღირსებოდა, შესაბამისად უნდა დავასკვნათ, რომ კრემლში იძულებულნი იყვნენ, შეგუებოდნენ მოცემულ ვითარებას და უკან დაეხიათ.

საბჭოთა პრესისგან განსხვავებით, 1978 წლის 14 აპრილს, განვითარებულმა მოვლენებმა, გამოხმაურება ჰპოვა ამერიკულ პრესაში. 1978 წლის 14 აპრილის მოვლენებს, „ნიუ-იორკ თაიმსმა“ („New York Times“), 15 აპრილს, მიუძღვნა სტატია: „საბჭოთა ქართველები ქუჩაში გამოვიდნენ სახელმწიფო ენის დასაცავად“: „ამერიკელები გაოცებულები არიან ამ ფაქტით. ეს ხდება იმ დროს, როდესაც შეზღუდულია სიტყვის თავისუფლება, როცა საშიშროებაა სამხედრო მანქანის ამოქმედებისა. ერთ-ერთი რესპოდენტი, დემონსტრაციის მონაწილე დაუფარავად ამბობს ინტერვიუში, რომ ღმერთს მადლობას შესწირავს, თუ მომიტინგეებს არ ესვრიან“(ბაქანიძე 2018: 407). სტატიის ავტორი, ქრეიგ ვითნი, ქართული ენის საკითხთან დაკავშირებით, 18 აპრილსაც აქვეყნებს,



სტატიას, სათაურით: „საბჭოთა ქართველებმა გაიმარჯვეს ენის საკითხში“ და ყურადღებას ამახვილებს, 14 აპრილს, ორი ამერიკელი კონგრესმენის, რობერტ მაკკეის და ერიკ რეიმენის საქართველოში ჩამოსვლაზე: „ისინი პირდაპირ ქუჩაში ესაუბრებოდნენ პროტესტანტებს. მათი თქმით, საპროტესტო გამოსვლებში მონაწილეობას, ძირითადად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები იღებდნენ“. არ უნდა გამოგვრჩეს სტატიის არც ის ნაწილი, სადაც საუბარია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ელუარდ შევარდნაძესა და სტუდენტებს შორის გამართულ დიალოგზე: „შვილებო, რა გინდათ, რატომ აკეთებთ ამას? დემონსტრანტებმა კი წინა რიგებიდან ასე უპასუხეს: „ჩვენ არ ვართ შენი შვილები! სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნუ ეცდებით ასეთი „მამაშვილური“ საუბრით ჩვენი გულის მოგებას. უმჯობესია კონსტიტუციაში აღდგეს ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსი, აგრძნობინეს სტუდენტებმა ხელისუფლებას“ (ბაქანიძე 2018: 408).

როდესაც 1978 წლის 14 აპრილს განვიხილავთ, აუცილებლად უნდა შევავსოთ, განვითარებულ პროცესებში, საბჭოთა საქართველოს მაშინდელი ლიდერის, ელუარდ შევარდნაძის როლი, როგორც მოვლენების მსვლელობისას, აგრეთვე ქართველი ერის სასიკეთოდ დასრულების საქმეში. აქვე გეტყვით, რომ ჩემს მიზანს არ წარმოადგენს „ამხანაგ“ შევარდნაძის, უმიზეზო კრიტიკა ან ქება, არამედ მსურს ფაქტების საფუძველზე (რაც მყარი აქსიომაა) და ჩემი თვალთახედვით (ადამიანი მაინც სუბიექტია და უტოპიად მიიჩნევა, წარსულში მომხდარ ამბებზე, სრული ჭეშმარიტებით საუბარი) გაგიზიაროთ, ის თუ როგორ ვხედავ, იმ პერიოდის მოვლენებში ქვეყნის მეთაურის როლს. მეტი კონკრეტიკისთვის დავძენ: შევარდნაძეს განვიხილავთ მხოლოდ როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს.

მით უფრო საინტერესოა ეს საკითხი იქიდან გამომდინარე, რომ დღემდე ორად იყოფა საზოგადოების აზრი, იმასთან დაკავშირებით თუ ვინ მიუთითა ქართველ ხალხს პირველად კონსტიტუციის ახალ პროექტში ენის სახელმწიფო სტატუსის მოსალოდნელი გაუქმების შესახებ. ერთნი ამას ელუარდ შევარდნაძეს მიაწერენ, მეორენი კი ქართულ დისიდენტურ მოძრაობას. თავშივე აღვნიშნავ, რომ 1978 წლის მოვლენები უნდა განვიხილოთ, როგორც პროცესი. ამ პროცესში შევარდნაძის როლის უგულვებელყოფა არაფრით არ შეიძლება, მაგრამ მისი როლი დადებითად უნდა შეფასდეს, განვითარებული მოვლენების დასკვნით ეტაპზე, როდესაც მისი გონივრული გადაწყვეტილების წყალობით, ქვეყანამ თავიდან აიცილა აქციის სისხლისღვრით დასრულების საშიშროება(სადაც პირველ რიგში საფრთხის ქვეშ იყო საქართველოს მომავალი თაობა) და შეინარჩუნა ენის

საკითხში კონსტიტუციის ძველი ფორმულირება. რაც შეეხება საწყის ეტაპზე მის ინტერესს, იმის თაობაზე, რომ აღნიშნული განმარტებულიყო, ეს არ მიმაჩნია სწორად და ყოველგვარ აზრს მოკლებული მგონია. საკითხს აქ მაღალი თანამდებობის საბჭოთა ფუნქციონერის თვალისა და უნდა შევხედოთ და ისე გავაანალიზოთ.

აღნიშნულის გააზრება დავიწყეთ, გაზეთ კომუნისტის 1978 წლის 23 მარტის ნომერში დაბეჭდილი სტატიის, ნაწყვეტით, სადაც ვკითხულობთ: „22 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის. საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარის ამხ. ე. ა. შვარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის სხდომა. [...] კომისიამ ძირითადად მოიწონა შეტანილი წინადადებანი და მიიღო გადაწყვეტილება განსახილველად წარუდგინოს ისინი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს“ (საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელ კომისიაში 1978: 1).

როგორც ვხედავთ, შვარდნაძე იყო საქართველოს სსრ კონსტიტუციის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარე. ბუნებრივია, მან კარგად იცოდა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა ახალი კონსტიტუციის პროექტი, რაც თქვა კიდევ მოგვიანებით თავის მიერ დაწერილ მემუარებში: „1978 წლის კონსტიტუციის მთავარი მიზანი იყო, შეუქცევადი გაეხადა საერთო სახალხო საბჭოთა სახელმწიფოს ფორმირება, ერთიანი ენობრივი (რა თქმა უნდა, რუსული) სივრცით, ერთი მენტალიტეტით. მოკლედ, ეს იყო გზა ეროვნულობის დაკარგვისკენ, გარუსებისკენ“ (შვარდნაძე 2018: 84).

საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელობის და მითუმეტეს შვარდნაძის ინტერესებში, სახელმწიფო ენის სტატუსის გაუქმების განმარტება, რომ არ შედიოდა, ამაზე მეტყველებს ისიც, რომ რესპუბლიკის კონსტიტუციის განსახილველად გამოყვეს მცირე დრო, კერძოდ სამი კვირა. აგრეთვე ის ქაოტური მოქმედებები, რაც ტოტალიტარული სისტემის მხრიდან, თან ახლდა აღნიშნულს: „24 მარტს დილის გაზეთებში დაიბეჭდა საქართველოს სსრ-ს ახალი კონსტიტუციის პროექტი. იმავე საღამოს გაზეთებმა, რომლებიც 6-7 საათზე იყიდება, გამოაქვეყნეს ანგარიშები თუ როგორ ერთხმად მოიწონეს კონსტიტუციის პროექტი თბილისის ხორცკომბინატსა და სტალინის სახელობის ელმავალ შემკეთებელ ქარხანაში. ამ სპექტაკლის მომწყობთ ისიც კი დაავიწყდათ, რომ რადგან მუშები ამ დღესაც ისევე მუშაობენ, როგორც სხვა დღეებში, დროის უქონლობის გამო ვერ მოახერხებდნენ არამცთუ წაკითხულზე დაფიქრებას, არამედ მის წაკითხვასაც კი. [...]. შემთხვევითი ხალხით კრების ნაუცბათევად მოწყობა თუ სხვა საათზე დანიშვნა და სხვაზე ჩატარება... ჩატარება არა საერთო კრებისა, არამედ განყოფილებებში, ლაბორატორიებში,

კათედრებზე თუ საამქროებში. ხალხის დაქსაქსვა, წინასწარ მომზადება გამომსვლელების კრებათა ოქმების ფალსიფიცირება თუ გადამალვა, ყოველი ღონისძიებით თავზე მოხვევა ოფიციალური აზრისა – იყო გეგმაზომიერი, მოფიქრებული და შორს გამიზნული პოლიტიკა“(ბაქრაძე 2006: 32,33).

ედუარდ შევარდნაძეს ჰქონდა კარგი პოლიტიკური ალღო, ხშირ შემთხვევაში სწორად აფასებდა სიტუაციას და ამ დროს რისკზე წასვლასაც არ ერიდებოდა, ოღონდ სიტუაციის მის სასარგებლოდ დასრულების ალბათობა „101%“ უნდა ყოფილიყო. მაგრამ კონკრეტულად 1978 წელს მას არ შეეძლო წინ აღდგომოდა მოსკოვის გადაწყვეტილებას, რადგან ეს უკვე სცდებოდა მის კომპეტენციას. თან მეორე ფაქტორიც არის, ალბათ თავისი პიროვნებიდან გამომდინარე ედუარდ შევარდნაძე ცკ-ს მდივნობისას, მიუხედავად მისი ქართველობისა, ვერ ვიტყვით, რომ პროქართულად განწყობილი კაცი იყო, მის პატრიოტულ სენტიმენტებსა და ეროვნულ თვითშეგნებაზე საუბარი ხომ საერთოდ ზედმეტია (ამ მხრივ იგივე, ვასილ მჭავანაძე, გარკვეულ საკითხებთან მიმართებით, გაცილებით მაღლა იდგა). იგი დამყოლი პარტიული ფუნქციონერი გახლდათ, რომელიც მოსკოვს მხოლოდ იმ შემთხვევაში „აწყენინებდა“, თუ თავისი ხალხის ფართო მასებისგან ექნებოდა ზურგი მყარად გამაგრებული, თუმცა ისეც არ უნდა გავიგოთ, თითქოს ხალხის გამო აკეთებდა ამ ყველაფერს, სრულიადაც არა. ჩემი ღრმა დაკვირვებით, ხალხი მისთვის იყო საშუალება. ალბათ დაგებადებათ კითხვა: რისი საშუალება?! პასუხი მარტივია, – მიზნამდე მისვლის საშუალება, თავისი პოზიციების, კიდეც უფრო მეტად გამყარების საშუალება... იგი კლასიკური გაგებით პოლიტიკოსი იყო და თან არა მარტო პოლიტიკოსი, არამედ კარიერისტი პოლიტიკოსი, რომელიც პიროვნული წინსვლისთვის ყველაფერზე იყო წამსვლელი. სხვათაშორის აღნიშნული პოლიტიკაში დასაძრახი ნამდვილად არ არის, თუ კონკურენტები „ბინძური წესებით გეთამაშებიან“, (მითუფრო ქართულ რეალობაში, სადაც ვინც ეროვნული საქმის გაკეთებას გადაწყვეტს და პოლიტიკურ დღის წესრიგს არ მიჰყვება, ყველას ჩვენი, ქართველების ხელით ვკლავთ) რადგან საზოგადოებრივი მოღვაწეობის აღნიშნულ ასპარეზზე, ძნელად თუ იპოვი მეგობარს, მითუმეტეს რაც უფრო მაღლა მიდიხარ... აქ გყავს თანამოაზრე-პარტნიორები („ამხანაგები“), რომლებსაც რიგ შემთხვევებში საჭირო მომენტში თუ არ გაწირავ, შესაძლოა, აქეთ მოგისროლონ „პოლიტიკურ სანაგვეზე“. შევარდნაძე კი მსგავს პოლიტიკურ თამაშებში საბჭოთა კავშირის დროს ყოველთვის მოგებული რჩებოდა, რაზეც მისი მრავალფეროვანი და თანამდებობრივად მზარდი, პოლიტიკური კარიერა მეტყველებს.

საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს პროფესორი ემზარ ჯგერენაია, რომელიც ცნობილი გერმანელი სოციოლოგის, მაქს ვებერის, ორი კონცეპტის: მრწამსის ეთიკისა და

პასუხისმგებლობის ეთიკის მიხედვით, ცდილობს, შეაფასოს შევარდნაძის პოლიტიკური მოღვაწეობა. მრწამსის ეთიკის მიმდევარი პოლიტიკოსისთვის მთავარი პრინციპია: „სამყარო რომც დაინგრეს, ჩემი ღირებულებები უნდა განხორციელდეს“. მათ რიცხვს შეგვიძლია მივაკუთვნოთ, ჯიროლამო სავონაროლა ან ადოლფ ჰიტლერი. ასეთი პოლიტიკოსები დიდწილად კარგავენ რეალობის აღქმის უნარს და პოლიტიკურ კარიერას კრახით ასრულებენ. რაც შეეხება, პასუხისმგებლობის ეთიკის მიმდევარ პოლიტიკოსს: „ის ყოველთვის აანალიზებს საჭადრაკო დაფაზე ფიგურების განლაგებას. მისი მთავარი კითხვებია: რა შეიძლება მოყვეს ჩემს ქმედებას? როგორ მოიქცევიან სხვები, თუ მე ამ ნაბიჯს გადავდგამ? ჩემი ქმედება ზიანს ხომ არ მოუტანს სხვებს? მაგრამ არა! ეღუარდ შევარდნაძე სინამდვილეში პრაგმატიკოსი და ეთიკებისაგან თავისუფალი ადამიანი იყო. მას არ ჰქონდა „უკვდავი ცოდნა“, არ ცნობდა უკვდავ სახელებს, მისი ღმერთი იყო დრო, ხოლო მისი დევიზი – „ახლა ასეა საჭირო“! ძალაუფლების თეორიტიკოსთა „ჭკუის სწავლებანი“ (თუკი მათი არსებობის შესახებ საერთოდაც იცოდა) მას უსათუოდ ირონიულს თუ არა, მოწყალე ღიმილს მაინც მოჰგვრიდა; ღიმილს, რომელიც მილიარდებს აქვს ხოლმე, როცა ეკონომიკის პროფესორის ლექციას ისმენს“ (ჯგერენაია 2017: 12).

უშუალოდ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის ცვლილებისას ენის საკითხთან მიმართებაში, საწყის ეტაპზე ის არ შეეწინააღმდეგებოდა ტოტალიტარული რეჟიმის იდეოლოგიებს, მაგრამ თავისი პოლიტიკური აღდგომის წყალობით კი გააფრთხილებდა იმის თაობაზე, თუ რა წინააღმდეგობები შეიძლებოდა, გამოეწვია ქართული ენის სტატუსის გაუქმების მცდელობას რესპუბლიკის მოქალაქეებში, რითაც საჭირო მომენტისათვის, როგორც იტყვიან, „სიტყვა წინ ექნებოდა!“

საბოლოოდ იმის თქმა მინდა, რომ ეღუარდ შევარდნაძემ ქვეყანაში განვითარებული პროცესი ზუსტად შეაფასა და ხალხის ნება–სურვილი სათავისოდ გამოიყენა, რამაც საშუალება მისცა კრემლის დირექტივები შეეცვალა, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად რაც უნდა ითქვას, გახლავთ ის, რომ 1978 წლის 14 აპრილს ყველაფრის მშვიდობიანად და უსისხლოდ დასრულებაში ლომის წვლილი ეღუარდ შევარდნაძეს მიუძღვის. ამის უგულვებელყოფას, არ დანახვას და დაუფასებლობას, ისტორიული მეცნიერება არ გვაპატიებს. თანაც იმის ფონზე, რომ მისი სწორი ქმედებით, საბოლოოდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის იდეოლოგიების გარდა, ყველა გამარჯვებული დარჩა, პირველ რიგში, ჩვენი ქვეყანა და ამ ქვეყნის მომავალი, ახალგაზრდობა.

ერთიც უნდა ვთქვათ, რომ შევარდნაძემ ძალიან კარგად იცოდა ახალგაზრდებთან მიდგომა. მიუხედავად, რიგ საკითხებზე კატეგორიულობისა, ცხარე კამათისა, იგი ყოველთვის ინტერესდებოდა და ისმენდა მათ მოსაზრებებს. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ

ის კარგად იაზრებდა და ათვისებდა, მომავალი თაობის როლს და მნიშვნელობას, როგორც თავისი პოზიციის სიმყარისთვის, ასევე ქვეყნის წინსვლისთვის. დაე მისგან მრავალს ესწავლოს საქართველოს უახლესი ისტორიის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში, განურჩევლად პარტიული კუთვნილებისა, ახალგაზრდებთან მიდგომა, ოღონდ არა პირადი ინტერესებისთვის, არამედ საქართველოს უკეთესი და ნათელი ხვალისთვის. „ბოლოს ვთქვი, რომ ცენტრალური ბიუროს წევრებმა ვითაობირეთ (არავითარი თათბირი არ ყოფილა) და მივიღეთ გადაწყვეტილება: ქართული ენა ინარჩუნებს სახელმწიფო ენის სტატუსს. [...]. ცეკას მღივნებმა, სოლიკო ხაბეიშვილმა და ჯუმბერ პატიაშვილმა, გამოიტანეს მიკროფონი და დადგეს უზენაესი საბჭოს აივანზე. გამოვედი და ყველას მივმართე: შვილებო, ნუ ღელავთ, ყველაფერი კარგად არის, ჩვენ ავიღებთ პასუხისმგებლობა ჩვენს თავზე. კონსტიტუციის ეს მუხლი იქნება ისეთივე, როგორიც ადრე იყო. დედაენა გადარჩა! მას სახელმწიფო სტატუსი ექნება!“ (შევარდნაძე 2018: 91)

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკითხის ჩემულის ხედვა რომ უფრო გასაგები იყოს, მინდა აღვნიშნო ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. ქართველები 1978 წელს იცავდნენ ორ უმნიშვნელოვანეს ღირებულებას: ერთი ეს არის თვითიდენტობა, რომლის დაკარგვაც ნიშნავს საკუთარი თავის დაკარგვას და მეორე, აზროვნების თავისუფლების დაცვა, იმიტომ რომ ენის პრობლემა აზროვნების პრობლემაცაა. თუკი ჩვენ არ ვგრძნობთ თავს ქართველებად, ვერ ვმეტყველებთ და ვაზროვნებთ საკუთარ ენაზე, ბუნებრივია, ეს არის დასასრულის დასაწყისი. აღნიშნულმა გარემოებამ შესაძლოა, ერი მიიყვანოს სავალალო შედეგამდე, რაც გამოიხატება მის ასიმილირებაში სხვა ერთან და საბოლოოდ გაქრობაში.

გაუთვისებდა და ბევრმა შესაძლოა, ყურადღება არ მიაქციოს, ერის განვითარებაში ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა უშუალოდ ენასთან დაკავშირებული მეტყველება და აზროვნება, მაგრამ, აქ უნდა გავიხსენოთ, ძვ.წ. I საუკუნეში მოღვაწე, რომაელი პოლიტიკოსი და მოაზროვნე, მარკუს ტულიუს ციცერონი, რომელსაც ეკუთვნის გამოთქმა: „იცხოვრო, ნიშნავს იაზროვნო“.

„ენაში დალექილია ხალხის კოლექტიური გამოცდილება. იგი ნაციონალური მსოფლხედვის გამოხატულებაა. ეროვნულ მიმართებათა უფაქიზესი გამა, უკიდუგანო სამყაროს დამტევია. ის, რაც ენით არ გამოთქმულა, ადამიანური ცნობიერებისთვის არარსებელია ან დაკარგული, მარადი წყვდიადით მოცული. ენა არის სამყაროს ცნობიერებაში არსებობის ფორმა. „ენობრივი საზრისი“ უკავშირდება „ერის საზრისს“ (სონდულაშვილი 2012: 5).

ენა სოციალური ფენომენია, რადგან სოციალური ურთიერთობების გარეთ მისი

დაუფლება შეუძლებელია. ადამიანს დაბადებიდანვე არ აქვს მეტყველების ნიჭი. პატარა ბავშვი ხომ ლაპარაკს მხოლოდ მაშინ იწყებს, როცა ახერხებს ისწავლოს იმ ფონეტიკური ბგერების გამეორება, რომლებსაც გარშემომყოფები გამოსცემენ და აზროვნების უნარის წყალობით მათ სწორ მნიშვნელობას ანიჭებს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ასეთი აზრიც გამოვთქვათ, ენა გამოსატავს ერის იდენტობას. როდესაც ერს ენას ართმევენ, მას ართმევენ ამ იდენტობის გამოსატავის შესაძლებლობას.

დასკვნის სახით აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ 1978 წლის 14 აპრილი იქცა სიმბოლურ თარიღად. როდესაც ვსაუბრობთ 14 აპრილის მნიშვნელობაზე, ყველაზე მთავარი არის ის, რომ ამ დღემ ხელი შეუწყო ეროვნული მოძრაობის აღმავლობას, რაც ასეთი მნიშვნელოვანი იყო ქართული ერთობის სამომავლო განვითარებისათვის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. თოთხმეტმა აპრილმა გააცოცხლა და გააღვივა ის განმათავისუფლებელი მუხტი, რომელიც არსებობდა მაშინ. ამის წყალობით კი მივედით იქამდე, რომ საქართველო გახდა დამოუკიდებელი ქვეყანა, და ამ დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე, 1990 წლის 12 აპრილს, 14 აპრილი გამოაცხადეს დედაენის დღედ. ეს თარიღი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ის არის ერთადერთი გამოსვლა საბჭოთა საქართველოს ისტორიაში, რომელიც არ დასრულებულა მსხვერპლით. ხალხმა საოცარი ერთსულოვნება აჩვენა და ეს ყოველთვის ანგარიშგასაწევი ფაქტორი იყო, მათ შორის საბჭოთა კავშირშიც კი.

აღნიშნული სტატიის მიზანია სტუდენტ-ახალგაზრდობასა და ისტორიული თემატიკით დაინტერესებულ საზოგადოების ფართო წრეს დაანახოს, თუ როგორ მოხერხდა გასული საუკუნის 70-იან წლებში, ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, ქართველი ერის კონსოლიდაციის წყალობით მშობლიური ენის სტატუსის შენარჩუნება. მიუხედავად იმისა, რომ დღეს გვაქვს „დედა ენის“ დღე, 14 აპრილი, ასევე ძეგლი, რომელიც დაჟუდგით ამ მართლაც ეროვნულ საუნჯეს, თითქოს სათანადოდ ვერ ვაფასებთ და ვუფრთხილდებით, ქართული ენის სახით იმას, რაც ერის თვითმყოფადობის ნიშანი და საზომია.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ენაში უსარგებლო, უცხოურ სიტყვებს ვიყენებთ, რომელთა შესატყვისი ქართულ ენაში დიდი ხანია არსებობს, მაგრამ ჩვენ ხომ საზოგადოებაში „თავის გამოსაჩენად“ და „შთაბეჭდილების მოსახდენად“, უპირატესად უცხოური სიტყვების გამოყენება მიგვაჩნია?!

რა თქმა უნდა, ენა ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება და მდიდრდება ახალი სიტყვებით, მითუფრო ქართულ რეალობაში, სადაც კარგად მოგვეხსენება, რომ ჩვენი კულტურა ახლოს იყო ბერძნულ-რომაულ და

სპარსულ კულტურებთან. აქედან გამომდინარე, ქართულში შემორჩენილია ამ ენებიდან შემოსული სიტყვები და ეს ერთგვარად ბუნებრივ პროცესად შეგვიძლია, ჩავთვალოთ. დღესაც, ენა, რომ გამდიდრდეს და განვითარება განაგრძოს, აუცილებელია, საერთაშორისო სიტყვების სესხება და შემოტანა, თუმცა საჭიროა ზომიერება და არავითარ შემთხვევაში გადაჭარბება. როდესაც შენს ენაშიც მოგეპოვება უცხოური სიტყვის შესატყვისი, ესეიგი აუცილებელი არ არის ბარბარიზმებით ვისარგებლოთ!

საქართველოს და ქართველი ხალხის ისტორია მუდმივი ბრძოლაა, ახლო თუ შორეული მეზობლის, მეგობრების თუ მტრების, პოლიტიკურ–კულტურულ და ეკონომიკურ გავლენასთან, რაც, რა თქმა უნდა ერის, ყოფა–ცხოვრებაზეც აისახებოდა. დღესაც, მიუხედავად, 21-ე საუკუნისა, უფრო საჭიროა, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება, რომელიც ქართულმა საზოგადოებამ თავდაუზოგავი და შეუპოვარი ფიზიკურ–იდეოლოგიური ბრძოლით მოახერხა. გავიხსენოთ, რას გვეუბნებოდა ილია ჭავჭავაძე: „სამი დვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა–პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრება, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“. ქართული ენა ყოველთვის იყო, არის და მომავალშიც იქნება ქართული საზოგადოების საყრდენი. ამიტომ მეტად უნდა დავაფასოთ, გავუფრთხილდეთ და გავათვითცნობიეროთ ის ფენომენი, რასაც ქართული ენა ჰქვია.

## გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. **აზერბაიჯანის სსრ კონსტიტუცია 1957:** Конституция (основной закон) Азербайджанской Советской Социалистической Республики, Баку, 1957 ხელმისაწვდომია <https://constitution.garant.ru/> ბოლოს დამოწმებულია 29.11.2023
2. **ბარამიძე 1978:** ალ. ბარამიძე, საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი, „ცისკარი“, №4, 4.04.1978. გვ.3;
3. **ბარბაქაძე 2011:** ცირა ბარბაქაძე, ვინფრიდ ბოედერი და ცირა ბარბაქაძე (დიალოგი, 2002 წელი, „ჩვენი მწერლობა“) 2011. ხელმისაწვდომია <https://semioticsjournal.wordpress.com/2011/03/26/ვინფრიდ-ბოედერი-და-ცირა-ბ-2/> ბოლოს დამოწმებულია 29.11.2023
4. **ბაქანიძე 2018:** ანა ბაქანიძე. 1978 წლის 14 აპრილი, ზეპირი ისტორიები და სხვა მასალები, ტექსტები ჩაიწერა და წიგნი გამოსაცემად მოამზადა ანა ბაქანიძემ, თბილისი, არტანუჯი.
5. **ბაქრაძე 2005:** აკაკი ბაქრაძე, თხზულება, ტომი IV, „ნეკერი“, „ლომისი“, თბილისი, 2005;
6. **ბაქრაძე 2006:** აკაკი ბაქრაძე, 14 აპრილის ქრონიკა, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, №8, თბილისი, 14.04.2006. გვ. 32-36;
7. **ბოედერი 2005:** ვინფრიდ ბოედერი, ფიქრები ქართული ენის წარსულსა და აწმყოზე, გერმანულიდან თარგმნა რეზო კვიციანი, საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე, თბილისი, 2005, არეტი, გვ.53-60;
8. **გაფრინდაშვილი 2018:** გურამ გაფრინდაშვილი, 1978 წლის 14 აპრილი, ზეპირი ისტორიები და სხვა მასალები, ტექსტები ჩაიწერა და წიგნი გამოსაცემად მოამზადა ანა ბაქანიძემ, თბილისი, არტანუჯი, გვ. 73-77;
9. **გრიგალაშვილი 2018:** ნოდარ გრიგალაშვილი, 1978 წლის 14 აპრილი, ზეპირი ისტორიები და სხვა მასალები, ტექსტები ჩაიწერა და წიგნი გამოსაცემად მოამზადა ანა ბაქანიძემ, თბილისი, არტანუჯი, გვ.103-106;
10. **თურქმენეთის სსრ კონსტიტუცია 1928:** Конституция (основной закон) Туркменской Советской Социалистической Республики, 1928. ხელმისაწვდომია <https://constitution.garant.ru/> ბოლოს დამოწმებულია 29.11.2023
11. **თურქმენეთის სსრ კონსტიტუცია 1936:** Конституция (основной закон) Туркменской Советской Социалистической Республики, 1936. ხელმისაწვდომია <https://constitution.garant.ru/> ბოლოს დამოწმებულია 29.11.2023
12. **კონსტიტუციის პროექტის შესახებ 1978:** კონსტიტუციის პროექტის შესახებ, გაზეთი „კომუნისტი“ №69, 23.03.1978 გვ.1;
13. **ლენინი 1973:** Полное собрание сочинений В. И. Ленина, 5-е издание, т. 24, Москва, Издательство политической литературы, 1973.
14. **ნატროშვილი 1978:** გიორგი ნატროშვილი, სიტყვა ახალ კონსტიტუციაზე, „ლიტერატურული საქართველო“, №17, 21.04.1978. გვ.2;
15. **რობაქიძე 1985:** მ. რობაქიძე, სომხური ენა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი IX, მთავარი რედაქტორი ირაკლი აბაშიძე, თბილისი, მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 1985;
16. **საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია 1978:** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია, გაზეთი „კომუნისტი“ №70, 24.03.1978 გვ. 1-4;
17. **საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელ კომისიაში 1978:** საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელ კომისიაში, გაზეთი „კომუნისტი“ №69, 23.03.1978 გვ.1;
18. **სომხეთის სსრ კონსტიტუცია 1939-1969:** Конституция (основной закон) Армянской Советской Социалистической Республики, Ереван, 1939-1969. ხელმისაწვდომია <https://constitution.garant.ru/> ბოლოს დამოწმებულია 29.11.2023



19. **სონდულაშვილი 2012:** ავთანდილ სონდულაშვილი, ქართული ენა და ეროვნული უმცირესობა, თბილისი, უნივერსალი.
20. **ქართველ მწერალთა ხმა 1978:** ქართველ მწერალთა ხმა, „ლიტერატურული საქართველო“, №14, 31.03.1978. გვ.1;
21. **შევარდნაძე 2018:** ელუარდ შევარდნაძე, ფიქრი წარსულსა და მომავალზე, მემუარები, მეორე გამოცემა, თბილისი 2018;
22. **შველიძე 2018:** დიმიტრი შველიძე, 1978 წლის 14 აპრილის დღე საქართველოს ისტორიაში, გვ.415-428, 1978 წლის 14 აპრილი, ზეპირი ისტორიები და სხვა მასალები, ტექსტები ჩაიწერა და წიგნი გამოსაცემად მოამზადა ანა ბაქანიძემ, თბილისი, არტანუჯი, გვ.415-428;
23. **ჩხარტიშვილი მანია 2018:** მარიამ ჩხარტიშვილი, ქეთევან მანია. ქართული იდენტობის ენობრივი მარკერი პრემოდერნულ ხანაში და ნაციონალური კონსოლიდაციის ეპოქაში, 2018. ხელმისაწვდომია [https://www.researchgate.net/publication/325386413 Linguistic Marker of Georgian Identity in Pre-modern Era and Time of National Consolidation kartuli identobis lingvisturi markeri premodern ul xanashi da nacionaluri konsolidaciis epogashiin Georgian s](https://www.researchgate.net/publication/325386413_Linguistic_Marker_of_Georgian_Identity_in_Pre-modern_Era_and_Time_of_National_Consolidation_kartuli_identobis_lingvisturi_markeri_premodern_ul_xanashi_da_nacionaluri_konsolidaciis_epogashiin_Georgian_s) ბოლოს დამოწმებულია 29.11.2023 ;
24. **ჩხეიძე 2018:** თამარ ჩხეიძე, 1978 წლის 14 აპრილი, ზეპირი ისტორიები და სხვა მასალები, ტექსტები ჩაიწერა და წიგნი გამოსაცემად მოამზადა ანა ბაქანიძემ, თბილისი, არტანუჯი გვ.243-241;
25. **ძიძიგური 1986:** შ. ძიძიგური, ქართული ენა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი X, მთავარი რედაქტორი ირაკლი აბაშიძე, თბილისი, მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 1986;
26. **წულეისკირი 1989:** ნოდარ წულეისკირი, დადგენილება №427 ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ, „ლიტერატურული საქართველო“, №35, 1.09.1989, თბილისი, გვ.8;
27. **ჯანგიძე 1975:** ვ. ჯანგიძე, აზერბაიჯანული ენა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი I, მთავარი რედაქტორი ირაკლი აბაშიძე, თბილისი, სპეციალური სამეცნიერო რედაქცია, 1975;
28. **ჯგერენაია 2017:** ემზარ ჯგერენაია, ZON POLITIKON – შტრიხები ელუარდ შევარდნაძის პორტრეტისათვის, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები ტ.VII, მიმართვები, ინტერვიუები, იდეის ავტორები: პროფ. ემზარ ჯგერენაია, დოქ. დორის ფოგლი, თბილისი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა; გვ.9-23.

## **ნინო კარანაია**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

### **სალომე სულაკაური**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## **საშემსრულებლო ხელოვნება ცივი ომის ეპოქაში: აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის დაპირისპირების ერთ-ერთი ინსტრუმენტი**

ცივი ომის ეპოქის იდეოლოგიური დაპირისპირების ფონზე, საშემსრულებლო ხელოვნება იქცა დინამიკურ ასპარეზად, სადაც დაპირისპირებული მხარეები ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ თავიანთი კულტურული უპირატესობა და გავლენა. ბროდვეის სცენიდან დაწყებული მოსკოვის დიდ თეატრამდე არტისტები უნებლიე ელჩები გახდნენ, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით ავრცელებდნენ პოლიტიკურ ნარატივებს. ხელოვნების ეს ფორმა კი, გახდა არა მხოლოდ კულტურული იდენტობის გამონათქვამი, არამედ სტრატეგიული ინსტრუმენტი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გეოპოლიტიკურ საჭადრაკო თამაშში.

საშემსრულებლო ხელოვნება, როგორც წესი, არ ასოცირდება დიპლომატიასთან, თუმცა დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის იყო ცივი ომის დროს კულტურული გაცვლის ძირითადი ფორმა, რადგან საშემსრულებლო ხელოვნება არ ეყრდნობა სალაპარაკო ენას, ამიტომ მისი ადვილად გაგება მრავალრიცხოვანი საერთაშორისო აუდიტორიისთვის არის შესაძლებელი. შესაბამისად, ის შეიძლება იყოს კულტურული ფასეულობების, შეტყობინებებისა და ზოგჯერ - პროპაგანდის გავრცელების ფარული საშუალება. თუ ცივი ომის განხილვისას თვალთახედვაში მივიღებთ კულტურულ გაცვლას, ჩვენ დავინახავთ ხელოვნების ამ ფორმის ძალას მოქმედებაში: პროპაგანდისთვის თუ უბრალოდ ძალაუფლებისა და უპირატესობის დემონსტრირებისთვის. ეს სტატია განიხილავს იმ რთულ გზებს, რომელთა საშუალებით საშემსრულებლო ხელოვნება გარდაიქმნა სტრატეგიულ ინსტრუმენტად, რომელიც იძლეოდა პოლიტიკური მანევრირების შესაძლებლობას, რამაც საბოლოოდ ჩამოაყალიბა ცივი ომის ეპოქის კულტურული მეტოქეობის ჩარჩოები.

აღნიშნული საკითხის კვლევისთვის გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: მეორეული ლიტერატურული წყაროების ანალიზი, ექსპერტული ინტერვიუ და კონტენტ-ანალიზი. ძირითადი საკვლევი კითხვა ჩამოვყალიბეთ შემდეგნაირად: რა როლი შეასრულა საშემსრულებლო ხელოვნებამ, კერძოდ: ბალეტმა და თეატრმა, ცივი ომის პერიოდის დიპლომატიური პოლიტიკის წარმოებაში?

მსოფლიომ მრავალგვარი კრიზისი გადაიტანა, იყო მსოფლიო ომებიც და „დიდი დეპრესიაც“. გარდა ამისა, ტექნოლოგია და კულტურა მუდმივად ვითარდებოდა და სამყარო ნელ-ნელა განიცდიდა გლობალიზაციას. ცხადია, ამ მოვლენების ეფექტები დღესაც იგრძნობა.

ცივი ომისთვის დამახასიათებელი მშფოთვარე გარემოს შესაბამისად, ხელოვნებამ გლობალურ დონეზე განიცადა ერთგვარი რევოლუცია. ამ ეპოქის ხელოვნებაში დომინირებდა მიმდინარეობები, როგორებიცაა: მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი და მათი სხვა განშტოებები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ექსპერიმენტი, ინოვაცია და აბსტრაქცია მხატვრულ დღის წესრიგში პირველ ადგილს იკავებდა (McEvelley, 2006). ცივი ომის დროს უმეტესი ტექნოლოგიური რევოლუციების მსგავსად, ხელოვნების რევოლუციაც ასევე გახდა პოლიტიკის წარმოების ინსტრუმენტი. მხატვრული მოძრაობების მრავალფეროვნებასთან ერთად, ისინი, ასევე, კულტურულ-პოლიტიკური კონტექსტს დაექვემდებარა და საბოლოოდ, სხვადასხვა მხატვრული დადგმა პოლიტიკური შეტყობინებების ფიქსირებულ არხებად იქცა. ხელოვნება თავისთავად წარმოადგენდა პოლიტიკურ იდეოლოგიას, ებრძოდა საპირისპირო შეხედულებებს და განასახიერებდა საფრთხეებს. მაგალითად, ამერიკული მუსიკის ჟანრები, როგორიცაა ჯაზი და როკ-ენ-როლი, საბჭოთა კავშირში კრიტიკისა და გამოხატვის საგანი გახლდათ. მეორე მხრივ, CIA ხელს უწყობდა ამერიკული აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის განვითარებას საბჭოთა რეალიზმის გავლენის ჩასახშობად. ასევე, როგორც ავსტრალიის ეროვნული უნივერსიტეტის კულტურის, ისტორიისა და ენის სკოლის თანამშრომელი, ლეონიდ პეტროვი იხსენებს ABC News-ისთვის მიცემულ ინტერვიუში, ჩაიკოვსკის კომპოზიცია „გედების ტბა“ საბჭოთა პერიოდში ტელევიზიასა და რადიოში გამოყენებული იყო ხოლმე მნიშვნელოვანი მოვლენების დროს, მაგალითად, ქვეყნის ლიდერების გარდაცვალების შემდეგ, სანამ ინფორმაციას ოფიციალურად გამოაცხადებდნენ. პეტროვის თქმით, „ეს იყო პოლიტიკური არასტაბილურობის, ხელმძღვანელობის პოტენციური ცვლილების ნიშანი“.

ჯაზისა და როკ-ენ-როლისგან განსხვავებით, საინტერესოა, რომ საშემსრულებლო ხელოვნება არ წარმოადგენდა კრიტიკის მძაფრ საგანს. ცხადია, ამან განაპირობა ის, რომ

ცეკვა გახდა საერთაშორისო დაპირისპირების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ორ ქვეყანაში სულ სხვანაირად განვითარდა და მიუხედავად არსებული დაძაბულობისა, ის მაინც საკმაოდ თავისუფლად შემოდის და გადიოდა “ექსპორტზე”.

ცივი ომის დაწყებამდე წლების განმავლობაში იცვლებოდა საშემსრულებლო ხელოვნება. "თანამედროვე" მოცეკვავეებმა შექმნეს ცეკვის ახალი სკოლა, უარყვეს ბალეტის პრინციპები, წესები და ტექნიკა. ეს მოცეკვავეები და ქორეოგრაფები განსაკუთრებით დასავლეთში განვითარდნენ. თანამედროვე ცეკვა იყო რაღაც ახალი და სრულიად ამაღლებული, რომელიც გამოირჩეოდა ახალი ქვეყანების სიმრავლით. თუმცა, ბალეტს არ დაუტოვებია საშემსრულებლო ხელოვნების არეალი. ორივე ქვეყანაში ბალეტი გამოცოხლდა. სერგეი დიაგილევი, რომელიც ცნობილია Rite of Spring<sup>1</sup> ქორეოგრაფიის შექვეითით, ექსპერიმენტებს ატარებდა მუსიკის, დროისა და თემების ირგვლივ. დიაგილევს შემოქმედებამ ხელახლა განსაზღვრა ბალეტი და შთააგონა ბევრი, მათ შორის ჯორჯ ბალანჩინი. 1935 წელს, საბჭოთა კავშირში დაბადებულმა ჯორჯ ბალანჩინმა ნიუ-იორკის ბალეტში დაიწყო ჟანრული ნორმების დარღვევა, რითაც ხელახლა განსაზღვრა ბალეტი და მისი პრინციპები ამერიკაში (Williamson, 2022).

ამავდროულად, თანამედროვე ცეკვის ბევრი ქორეოგრაფი, როგორებიც იყვნენ: აისედორა ლუნკანი, კეტრინ დანჰემი და მარტა გრემი, მთლიანად შორდებოდნენ ბალეტს. ბალეტთან შედარებით, თანამედროვე ცეკვა იყო უფრო აბსტრაქტული, თავისუფალი. დასავლელ მოცეკვავეებს სჯეროდათ, რომ ბალეტი ზღუდავდა მოცეკვავის სხეულს და მთლიან გამომეტყველებას.

აღსანიშნავია, რომ შეერთებული შტატები იყო თანამედროვე ცეკვის სამყაროს ცენტრი, ხოლო საბჭოთა კავშირი - საბალეტო სამყაროს ცენტრი. საბჭოთა ცეკვის ფორმები ძირითადად წარმოიშვა ბალეტიდან და ხალხური ცეკვებიდან (მათ შორის, აღსანიშნავია სუნიშვილების წარმატებული მოღვაწეობა) მაგრამ ამერიკული თანამედროვე ცეკვა განვითარდა ბალეტის პრინციპების დარღვევით. შესაბამისად, ორივე მხარეს სწამდა, რომ მათი მხარე უპირატესი იყო.

თანამედროვე ცეკვისა და ბალეტის საპირისპირო ჟანრებშიც კი, ცივი ომის დროს აქტუალური იყო თანამშრომლობის საკითხი. ქორეოგრაფები, როგორებიც არიან

---

<sup>1</sup> იგორ სტრავინსკის ბალეტი და საორკესტრო საკონცერტო ნაწარმოები, რომელიც დაიწერა სერგეი დიაგილევს დასისტვის. გამოირჩევა მუსიკისა და ქორეოგრაფიის ავანგარდულობით და ერთ-ერთ ყველაზე რევოლუციურ ნაწარმოებად ითვლება. სცენარი აღწერს სხვადასხვა რიტუალს, რომელიც გაზაფხულის დადგომის აღნიშვნას უკავშირდება, რის შემდეგაც ახალგაზრდა გოგონას მსხვერპლად შესაწირად ირჩევენ და იგი ცეკვით იკლავს თავს.

აისედორა ღუნკანი და ჯორჯ ბალანჩინი, მუშაობდნენ ან თანამშრომლობდნენ საბჭოთა მხატვრებთან. ღუნკანმა კი საჯაროდ თავი კომუნისტად გამოაცხადა (Williamson, 2022). გავრცელებული ინფორმაციით, ბალეტმაისტერი სერგეი დიაგილევი თანამედროვე კომუნისტმა ქორეოგრაფმა აისედორა ღუნკანმა შთააგონა. მიუხედავად იმისა, რომ მძვინვარებდა კონკურენცია, რა თქმა უნდა, საფუძველი ჩაეყარა თანამშრომლობას ამ ორ მხარეს შორის. ცივ ომში გადასვლისას ეს დინამიკა ცენტრალური გახდა.

ცივი ომის დაწყებიდან დაახლოებით ათი წლის შემდეგ, მოცეკვავეებმა „დიპლომატებად“ გამოვიდნენ ასპარეზზე. 1958 წლის ლეისი-ზარუბინის შეთანხმებით<sup>1</sup>, აშშ და საბჭოთა კავშირი შეთანხმდნენ კულტურულ და საგანმანათლებლო გაცვლებზე. მაშინვე იგორ მოისევის ცეკვის ჯგუფმა აშშ-ში გამართა ტური (Richmond, Yale, 2003). სანაცვლოდ, აშშ-მ გაგზავნა ამერიკული ბალეტის თეატრი საბჭოთა კავშირში. ცხადია, ეს ორი ტური მხოლოდ დასაწყისი იყო.

დროის გასვლასთან ერთად, კულტურული დიპლომატია ცეკვის საშუალებით გაგრძელდა. ცივი ომის დასაწყისიდან ბერლინის კედლის დანგრევამდე მოცეკვავეები გამოდიოდნენ მოწინააღმდეგის მიწაზე და აღსანიშნავია, რომ ბევრი ამერიკული კომპანია და ქორეოგრაფი, მათ შორის ხოსე ლიმონი, ელვინ ეილი და მარტა გრემი <sup>2</sup>გამოდიოდნენ საბჭოთა კავშირში. კერძოდ, რა იყო მათი მიზანი? ცხადია, მათ სურდათ საერთაშორისო საზოგადოებისთვის ეჩვენებინათ აშშ-ის მხატვრული და კულტურული უპირატესობა. .

საბჭოთა კავშირმაც გააგზავნა აშშ-ში მოცეკვავეები. მოისევის საცეკვაო კომპანია ხშირად ატარებდა ტურებს აშშ-ში და ასრულებდა ხალხურ ცეკვებს. ისინი გამოდიოდნენ

---

<sup>1</sup> ლეისი-ზარუბინის შეთანხმება, ასევე ცნობილი როგორც შეთანხმება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირის შორის კულტურულ, ტექნიკურ და საგანმანათლებლო სფეროებში გაცვლის შესახებ იყო ორმხრივი შეთანხმება სხვადასხვა სფეროში, მათ შორის კინოს, ცეკვის, მუსიკის, ტურიზმის, ტექნოლოგიების, მეცნიერების, მედიცინისა და სამეცნიერო კვლევების გაცვლაზე. შეთანხმებას ხელი მოეწერა 1958 წლის 27 იანვარს ვაშინგტონში მოლაპარაკებით. უილიამ ს.ბ. ლეისი, აშშ-ს პრეზიდენტის სპეციალური თანამშემწე აღმოსავლეთ-დასავლეთის გაცვლის საკითხებში და გეორგი ზარუბინი, საბჭოთა კავშირის ელჩი შეერთებულ შტატებში.

<sup>2</sup> მარტა გრემი იყო ის მთავარი პირი დასავლეთის ბანაკიდან, რომელიც ცეკვავდა და მოგზაურობდა საზღვარგარეთ მთავრობის მხარდაჭერით მთელი ცივი ომის განმავლობაში. იგი გამოდიოდა აზიისა და ევროპის რამდენიმე ადგილას, მათ შორის აღმოსავლეთ ბერლინშიც კი. სამხრეთ ვიეტნამის დედაქალაქ საიგონში (დღევანდელი ქ. ჰოშიმინი) გრემმა შეასრულა თავისი ორიგინალური ნამუშევარი “აპალაჩის გაზაფხული” ერთი წლით ადრე, ვიდრე ჩრდილოეთ ვიეტნამი ქალაქში შეიჭრებოდა.

ნიუ-იორკში, მონრეალში, ტორონტოში, დეტროიტში, ჩიკაგოში, ლოს-ანჯელესში და სხვა (Victoria Anne, 2013). მოსკოვის დიდი თეატრის ბალეტმა ასევე მოიარა აშშ და დასავლეთის ერთ-ერთი ცენტრი - ლონდონი. მიუხედავად იმდროინდელი კულტურული ტაბუებისა, საშუალო ამერიკელი და საბჭოთა მოქალაქეები ერთმანეთს ცეკვის საშუალებით მაინც უკავშირდებოდნენ და მრავალი თვალსაზრისით, საშემსრულებლო ხელოვნება, ამ შემთხვევაში - ბალეტი, ის იშვიათი მანსი იყო, შეეწყიტათ მცირედით რკინის ფარდის მიღმა.

იმ მიზეზით, რომ საბჭოთა კავშირი და აშშ შესრულების სხვადასხვა ტექნიკას იყენებდა, ორივე მათგანის შესრულებას განსხვავებული ესთეტიკა ჰქონდა. საბჭოთა ბალეტი, მაგალითად, უპირატესობას ანიჭებდა კლასიკური ბალეტის ტექნიკას, სიძლიერესა და ესთეტიკურ ორგანიზებულობას; ამერიკული თანამედროვე ცეკვა კი ყურადღებას ამახვილებდა თავისუფალ მოძრაობასა და სოციალური ბუნების ცეკვაზე.

აღნიშნული განსხვავების გარდა, ამ ორს შორის ცვალებადი იყო თემატიკაც; საბჭოთა ბალეტი უმეტესად ხაზს უსვამდა წყობას, ხაზოვან ნარატივსა და საბჭოთა კავშირის მულტიკულტურალიზმს. შეერთებულ შტატებში კი ქორეოგრაფები ყურადღებას აქცევდნენ აბსტრაქციასა და ემოციურ გამოცდილებას. ამრიგად, კულტურული ღირებულებების გაზიარება და ინტერპრეტაცია ხდებოდა ესთეტიკის საშუალებით; მიიჩნეოდა, რომ თანამედროვე ცეკვის თავისუფალი მოძრაობა ასახიერებდა აშშ-ს თავისუფლებას, ხოლო საბჭოთა მოცეკვავეების ვირტუოზულობა და მულტიკულტურალიზმი კოლექტივიზმის ფესვებს.

უფრო მეტიც, ეს კულტურული ფასეულობები განზრახ ვრცელდებოდა თავიანთი კონცეფციისა და სიუჟეტის მიხედვით. ეს ერთგვარად ცივი ომის სპეციფიკიდანაც გამომდინარეობდა, რადგან ორივე მხარე ცდილობდა თავისი პოლიტიკური იდეოლოგიის გავრცელებას სხვადასხვა ხერხებით. ამერიკაში გასტროლებისას მოსკოვის დიდი თეატრის ბალეტმა შეასრულა „სპარტაკი“ - ბალეტი მონების აჯანყების შესახებ. ეს ბალეტი შეერთებულ შტატებში რასობრივი უთანასწორობის პარალელად შეიძლება ჩათვლილიყო და ცხადია, კომუნისტური იდეების გამტარებელი გახლდათ (SEARCY, 2016). უფრო კონკრეტულად - სპარტაკი წარმოადგენდა ერთგვალ ალეგორიას პროლეტარული რევოლუციისა, ისევე, როგორც მარქსისტული და კომუნისტური იდეოლოგიის ცენტრალურ რგოლს.

საპირისპირო პროპაგანდის მატარებელი გახლდათ მარტა გრემის „აპალაჩური გაზაფხული“, რომელიც ასახავს საზღვარზე მცხოვრებ წყვილს. ამერიკის სასაზღვრო ტერიტორიის გარომანტიკულების მცდელობისას კი „აპალაჩის გაზაფხული“ გამოხატავდა

თავდაჯერებულობას, მძაფრ ინდივიდუალიზმსა და ამერიკულ სიმტკიცეს. სამხრეთ ვიეტნამში პრემიერის დროს, ამერიკელებს არც ისე სახარბიელო რეპუტაცია ჰქონდათ, ადგილობრივები მათ ზარმაცებად აღიქვამდნენ. „აპალაჩის გაზაფხული“ დაეხმარა ქვეყანას, მისი მოსახლეობა მტკიცე პიონერებად აღექვა. (Williamson, 2022).

ორივე ქვეყანაში სპექტაკლების ესთეტიკური ღირებულებები და შინაარსი მაყურებლისა და კრიტიკოსების მიერ თავისუფლად და ზოგჯერ არასწორად იქნა ინტერპრეტირებული. მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლები ხშირად პროპაგანდის არხებს წარმოადგენდა, განზრახული შეტყობინებები ვერ აღწევდა ხოლმე საზოგადოებამდე. სამაგიეროდ, სპექტაკლებმა ჭეშმარიტად დადებითი გავლენა იქონია საზღვარგარეთ მცხოვრებ ადამიანებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ნაწილობრივ გასვლითი ტურების მიზანს უპირატესობის წარმოჩენა წარმოადგენდა, შესრულების დროს ძირითადად ეს არ ჩანდა. მოცეკვავეებს, ქორეოგრაფებსა და მაყურებელს განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ. ზოგიერთი შესრულება აღქმული და გაგებული იყო მოსახლეობის მიერ, ზოგიერთი კი არა. ამას ძირითადად განაპირობებდა მაყურებლის ინტერესი სცენის ან (რკინის) ფარდის მიღმა მცხოვრები ხალხით.

ისინი დაბნეულები, გაოცებულები და გულწრფელად დაინტერესებულნი იყვნენ. ამერიკელები აღფრთოვანებულნი იყვნენ საბჭოთა მოცეკვავეების ნამდვილ ადამიანებად დანახვით, მსგავსი რეაქცია ჰქონდა საბჭოთა კავშირის მოსახლეობასაც. ცივი ომის საშემსრულებლო ტურები მართლაც დაეხმარა დაძაბულობის განმუხტვას, რაც განპირობებული იყო მეტწილად ბირთვული აპოკალიფსი რისკით. ეს გვახსენებს არა მხოლოდ დიპლომატიის ძალას, არამედ ხელოვნების ძალას დიპლომატიაში. თეატრი განდა ბალეტის გარდა საშემსრულებლო ხელოვნების ერთ-ერთი ქვეყანრი, რომლის განხილვაც მნიშვნელოვანია აღნიშნული სტატიის ფარგლებში. ცივი ომის დროს საბჭოთა კავშირმაც და შეერთებულმა შტატებმაც აღიარეს კულტურის ძალა, მათ შორის თეატრის, როგორც მათი პოლიტიკური იდეოლოგიების გავრცელების, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და საერთაშორისო აღქმებზე გავლენის მოხდენის საშუალება. ისინი თეატრს სხვადასხვა დანიშნულებისთვის იყენებდნენ:

**ა) საბჭოთა კავშირი:**

1917 წლის ოქტომბერში ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლიდან მალევე, რუსეთის თეატრები ნაციონალიზებულად გამოაცხადეს და განათლების კომისარიატს დაუქვემდებარეს (Telberg, 1942). საბჭოთა კავშირს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო კულტურული მემკვიდრეობა გააჩნდა მოსკოვის დიდი თეატრის სახით. ამით საბჭოთა

კავშირმა მიიპყრო მრავალი ადამიანის ყურადღება მთელ მსოფლიოში. სპექტაკლები სრულდებოდა უზარმაზარ სადღესასწაულო დარბაზებში, რომლებიც მაყურებლების დიდ რაოდენობას იტევდა, დარბაზები კი მთლიანად ივსებოდა (Croft, 1962).

თავად შემსრულებლებიც სარგებლობდნენ უპირატესობებით, ისინი მოგზაურობდნენ მსოფლიოს გარშემო, იღებდნენ მაღალ ჰონორარებსა და ცხოვრობდნენ მდიდრულ ბინებში, რომლებიც ჯილდოდ გადაეცემოდათ. მაგრამ ცხადია, ამ ყველაფერს ჰქონდა წინაპირობა - სპექტაკლებს უნდა განესახიერებინა საბჭოთა ლიდერებისა და რეჟიმის საჭიროებები. ის არტისტები, რომლებიც მისდევდნენ =“რეჟიმის ღირეექტივებს“ განსაკუთრებული აღიარებით სარგებლობდნენ (Zickel, 1989).

არსებობის დასაწყისიდანვე საბჭოთა მთავრობამ ჩამოაყალიბა შეხედულება, რომ თეატრი უპირველეს ყოვლისა არ იყო განტვირთვის საშუალება, არამედ მას გააჩნდა სოციალური რეკონსტრუქციის ძალა. საბჭოთა ხელისუფლების აზრით, თეატრი უფრო მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე არსებული სოციალური პირობების ასახვის საშუალება - ის უნდა ყოფილიყო მთავარი ძალა ამ პირობების ფორმირებაში. დრამატულ წარმოდგენებს არ უნდა გამოეხატათ მხოლოდ ადამიანური ემოციები - მათი მიზანი უნდა ყოფილიყო ამ ემოციების შეცვლა სასურველი საბჭოთა მიზნების შესაბამისად (Telberg, 1942).

1942 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში მკვლევარი ინა ტელბერგი წერდა, რომ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ის უყურებდა, თუ როგორ გამოიყენებოდა თეატრი საბჭოთა კავშირში პარტიული ხაზისა და საბჭოთა პოლიტიკის გასატარებლად. რევოლუციის ადრეული წლებისთვის დამახასიათებელმა ძველი რეჟიმის სატირებმა ადგილი დაუთმო სპექტაკლებს, რომლებიც ეხებოდა ხუთწლიანი გეგმების სხვადასხვა ეტაპებს, ღალატის სასამართლო პროცესებს, ანტიფაშისტურ შეხედულებებსა და ისტორიულ პიესებს, რომლებიც აღიდებდნენ რუსეთის არმიას. 1942 წლიდან ყველა თეატრის ბაზისი ომი გახდა. საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმიდან ორი თვის განმავლობაში, ყველა თეატრი “დრამატულ ბრიგადად” გადაიქცა. ისინი კომუნისტური პარტიის ოფიციალურ ყოველდღიურ გაზეთ “პრავდას” ემსახურებოდნენ, რომელიც დრამატურებსა და რეჟისორებს “თეატრული ფრონტის სრული მობილიზაციისკენ” მოუწოდებდა, რათა შეექმნათ ანტიფაშისტური პიესები და განსაკუთრებული ყურადღება გაეახვილებინათ საბჭოთა მოქალაქეების “გმირულ” საქციელზე. (Telberg, 1942)

საბჭოთა კავშირი თეატრს იყენებდა საკუთარი პროპაგანდის გასავრცელებლად და სოციალისტური რეალიზმის მოტივებითაც. საბჭოთა თეატრი მჭიდროდ კონტროლდებოდა სახელმწიფოს მიერ, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ თეატრალურ



დადგმებში დაცული უნდა ყოფილიყო პრინციპები, რომელიც ადიდებდა სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეალებს. სახელმწიფო აქტიურად აფინანსებდა და მხარს უჭერდა თეატრებს, რომლების კომუნისტური იდეოლოგიის შესაბამის საქმიანობას აწარმოებდა, ადიდებდა საბჭოთა კავშირისა და მისი ლიდერების მიღწევებს.

თეატრმა შესაძლოა ვერ შეცვალოს პოლიტიკური მოვლენების მიმართულება, მაგრამ მას შეუძლია საზოგადოებრივი ყურადღების მიქცევა და გავლენის მოხდენა მათ იმ განწყობაზე, რომლის ფარგლებშიც პოლიტიკოსებს უწევთ მოქმედება. საბჭოთა ხელისუფლება ყურადღებით აკვირდებოდა სცენარებს, რათა დარწმუნებულიყო, რომ ისინი ასახავდნენ სოციალისტური იდეოლოგიის შინაარსს. განსაკუთრებულ ცენზურასა და დევნას განიცდიდნენ არაკონფორმისტი და დისიდენტი ხელოვანები. რის გამოც ბევრ დრამატურგსა და მსახიობს უწევდა საკუთარი შემოქმედების შეზღუდვა სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული/დადგენილი ჩარჩოების ქვეშ. (Elsom, 1992)

## **ბ) აშშ:**

ამერიკულ თეატრალურ წარმოდგენებს რაც შეეხება, ისინი საბჭოთა კავშირშიც საკმაოდ პოპულარული იყო. კონკრეტული საქმე რომ განვიხილოთ, ამერიკულმა წარმოდგენებმა, როგორცაა „პორგი და ბესი“, აღაფრთოვანა საბჭოთა მაყურებელი. „პორგი და ბესი“ უნდა აღვნიშნოთ, რომ წარმოდგენაა, რომლის მთავარ როლებს აფრო-ამერიკელი წარმომბოძის ადამიანები თამაშობენ.

ცხადია, აშშ-ის მხრიდან კულტურული დიპლომატიის მიზანი ნათელი იყო. 1956 წლის შუა პერიოდისთვის, ცივი ომის დაძაბულობისას, აშშ-ს სურდა ინდივიდუალიზმისა და თავისუფლების ხელშეწყობა, აზროვნების თავისუფლების სტიმულირება. ნიშანდობლივია, რომ საერთაშორისო თეატრალური წარმოდგენები იმართებოდა მხოლოდ არაოფიციალური სახსრებითა და არაფორმალური ძალისხმევით. შესაბამისად, აშშ-ის პრეზიდენტმა ლუაიტ ეიზენჰაუერმა 1954 წელს კონგრესს მოსთხოვა 5 მილიონი დოლარი საერთაშორისო კულტურულ აქტივობებში აშშ-ის მონაწილეობის მხარდასაჭერად. მან გამოაცხადა, რომ ამგვარად, ისინი მოახერხებდნენ "ამერიკის შეერთებული შტატების ერთგულების დემონსტრირებას მშვიდობისა და ადამიანთა კეთილდღეობისადმი და გაანეიტრალებდნენ მსოფლიო კომუნისტურ პროპაგანდას".

“პორგისა და ბესის” წარმოდგენა გასაოცრად ეფექტური ინსტრუმენტი გახდა ამ პოლიტიკური მიზნის მიღწევისას. რატომ? ამ წარმოდგენის ბევრი მსახიობი ძირითადად

არა-თეთრკანიანი ან ნეიტრალური ქვეყნიდან იყო წარმომავლობით. ეს კი შემთხვევითი ნამდვილად არ ყოფილა. (Monod, 2001).

არა-თეთრკანიანი ადამიანების ამგვარ წარმატებას განაპირობებდა აშშ-ს ცივი ომის კულტურული დიპლომატია, კერძოდ, ის არაპროპორციულად ეყრდნობოდა აფროამერიკულ ხელოვანებს, რაც მათ სიჭარბეს გულისხმობდა. ისტორიკოსმა მერი დუძიაკმა აღნიშნა: „სხვა ერებს და განსაკუთრებით არათეთრკანიან ხალხებს რათა ეწამათ დემოკრატია, შეერთებულ შტატებს უნდა დაერწმუნებინა ისინი, რომ ამერიკული დემოკრატია არ იყო თეთრკანიანთა უზენაესობის (white supremacy) სინონიმი.“ სწორედ თეთრკანიანთა უზენაესობისა და დემოკრატიის შორის არსებული ურთიერთობით ჩამოყალიბდა აშშ-ს ეროვნული იდენტობა (Balme, Davis, Cole, 2017). ამჯერად, შეერთებულ შტატებს სურდა დემოკრატიის ახლებურად წარმოჩენა, რასიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგობის ასპექტში. ნარატივის ცვლილება (თეთრკანიანთა უზენაესობიდან ტოლერანტობამდე) შეუცვლელ ინსტრუმენტად იქცა ამერიკის დიპლომატიურ არსენალში.

ამრიგად, შეერთებული შტატები ცდილობდა წარმოეჩინა დემოკრატია, როგორც ძლიერი ძალა, რომელიც წინააღმდეგობას უწევს შეუმწყნარებლობას, რასიზმს და კოლონიალიზმს. ერი მიზნად ისახავდა დაერწმუნებინა გლობალური საზოგადოება, განსაკუთრებით ისინი, ვინც სკეპტიკურად იყო განწყობილი ამერიკის განზრახვების მიმართ, რომ დემოკრატია ჭეშმარიტად ერთგული იყო ინკლუზიურობისა და თავისუფლების. ამ მიზნის მისაღწევად კი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ინკლუზიური თეატრალური წარმოდგენებიც მაგალითად, ზემოთხსენებული “პორგი და ბესი”, რომელიც გამოკვეთდა ამერიკის შემწყნარებლურობას.

საბოლოო ჯამში, მოცემული სტატიებისა და კვლევების ანალიზისა და ინტერვიუს ჩატარების შემდეგ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საშემსრულებლო ხელოვნება მართლაც გამოიყენებოდა ცივი ომის დაძაბულ პირობებში დაპირისპირების ერთ-ერთ ინსტრუმენტად და დიპლომატიურ იარაღად. დაპირისპირებული ბანაკები განსხვავებულად, თუმცა მაინც ცდილობდნენ თავიანთი გავლენის გავრცელებას გლობალურ ასპარეზზე და ამას აკეთებდნენ არა მხოლოდ საერთაშორისო სისტემაში, არამედ აქტიურად იყენებდნენ შიდა პოლიტიკის წარმოებაშიც, რომელიც ძალიან ფართო საკითხია და ცხადია, ცალკეულ კვლევას საჭიროებს. თუმცადა, მაინც აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა ბალეტზე, როგორც პოლიტიკურ სიმბოლოზე. რაც შეეხება აშშ-ს, საშემსრულებლო ხელოვნება გლობალურ დონეზე წარმოადგენდა ამ ქვეყნის ღირებულებებს, როგორცაა თავისუფლება და

თანასწორობა, რაც გამოიხატებოდა ინკლუზიურობითა და შესრულების სპეციფიკური სტილით. ამერიკა ძირითადად იყენებდა საშემსრულებლო ხელოვნებას, რათა ებრძოლა საბჭოთა პროპაგანდისტული ნარატივის წინააღმდეგ ცივი ომის პერიოდში.

### გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. McEvilley, T. (2006). Modernism, Post-Modernism, and the End of Art. *New England Review (1990-)*, 27(1), 129–148. <http://www.jstor.org/stable/40244793>
2. Richmond, Yale (2003). *Cultural Exchange and the Cold War: Raising the Iron Curtain*. Penn State Press.
3. Hallinan, Victoria Anne (2013). *Cold War cultural exchange and the Moiseyev Dance Company: American perception of Soviet peoples*
4. SEARCY, A. (2016). The Recomposition of Aram Khachaturian's *Spartacus* at the Bolshoi Theater, 1958–1968. *The Journal of Musicology*, 33(3), 362–400. <https://www.jstor.org/stable/26414240>
5. Balme, C., & Szymanski-Düll, B. (Eds.). (2017). *Theatre, Globalization and the Cold War* (Series editors: C. Balme, T. Davis, C. Cole). Publisher.
6. Monod, D. (2001). Disguise, Containment and the “Porgy and Bess” Revival of 1952-1956. *Journal of American Studies*, 35(2), 275–312. <http://www.jstor.org/stable/27556968>
7. Telberg, I. (1942). Theatre in the Soviet Union. *The Ohio Valley Sociologist*, 14(4), 2–4. <http://www.jstor.org/stable/44645410>
8. Elsom, J. (1992) *Cold War Theatre*. Routledge Revivals (6-9) <https://www.routledge.com/Cold-War-Theatre-Routledge-Revivals/Elsom/p/book/9781138839038?fbclid=IwAR2YYjBQQwrNLbsuva5rqkUOK2N-Cw3n56B8Y7tx2-PRcEMLWgwREQQdbj8>
9. Croft, C. (2009). Ballet Nations: The New York City Ballet's 1962 US State Department-Sponsored Tour of the Soviet Union. *Theatre Journal*, 61(3), 421–442. <http://www.jstor.org/stable/40587353>
10. გედების ტბა: პოლიტიკური სიმბოლო რუსეთის მედიასივრცეში. რადიო თავისუფლება, (2022)

## მარიამ ივანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## გიორგი ტყაბლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

### **„პანკი“, როგორც სუბკულტურა – „ხალხის ხმა“ 70-იანი წლების ბრიტანეთში და მისი ასახვა თანამედროვე ქართულ რეალობაში**

საზოგადოდ, ცნობილია, რომ მსოფლიო პოლიტიკის შესასწავლად საჭიროა როგორც პოლიტიკური, ისე არაპოლიტიკური ხედვების გათვალისწინება და მათი სათანადო ანალიზი (Nexon&Neumann, 2006). შესაბამისად, მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში, მუსიკა, როგორც აზრის გამოხატვის განსხვავებული საშუალება, ოდითგანვე დიდ როლს ასრულებდა პოლიტიკური პროცესების ფორმირებაში. ყოველივე ეს ნათლად ჩანს ისეთი დიდი მუსიკოსების ნაწარმოებებშიც, როგორებიცაა ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი და ჯუზეპე ვერდია, რადგან ისინი თავიანთი კომპოზიციებით ეხმიანებოდნენ ისეთ დიდ ისტორიულ მოვლენებს, როგორებიცაა საფრანგეთის დიდი რევოლუცია და იტალიის გაერთიანება. მათი საქმიანობის ბუნებრივ გაგრძელებად გვევლინება ჯაზის, ჰიპ-ჰოპის და მათ შორის, პანკის მუსიკალური მიმდინარეობები, რომლებიც მუსიკის საშუალებით აყალიბებდნენ და ავრცელებდნენ შეხედულებებს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ფერადკანიანთა დისკრიმინაცია, გენდერული უთანასწორობა, სიღარიბის საკითხები, ომი, განათლება, ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის აკარგინება და ა.შ. კერძოდ, ჰიპები თავიანთი გამოსვლებით ომის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ და მშვიდობის დამყარებას ითხოვდნენ.

აქვე უნდა ვახსენოთ ჯონ ლენონიც, რომელიც მათი თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლდათ. მისი იდეალისტური ხედვები და პაციფიზმისადმი მიდრეკილება თუნდაც მისი ყველაზე ცნობილი სიმღერიდან „Imagine“ ყველაზე ნათლად ჩანს, რაც შემდგომ საფუძვლად დაედო ჰიპების მოძრაობას. კენდრიკ ლამარის სიმღერა „Alright“ თანამედროვე ამერიკის შეერთებულ შტატებში რევოლუციისა და პროტესტის ჰიმნად იქცა მას შემდეგ, რაც შავკანიანმა პროტესტის გამომხატველმა სიმბოლურად შეასრულა იგი. და,

რა თქმა უნდა, 70-იანების პანკური მოძრაობა, რომლის ჩამოყალიბების საფუძველიც ბრიტანეთის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, სიღარიბე, უმუშევრობა და გაფიცვები გახდა. სწორედ ასეთ ნიადაგზე იწყო ჩამოყალიბება ამ მუსიკალურმა მიმდინარეობამ, რომელიც „უპირისპირდებოდა სხვა მუსიკალურ ჟანრებს, კლასობრივ სისტემას, საზოგადოებასა და საკუთარ თავსაც კი“ (Worley, 2017).

პანკი აკვანი დიდ ბრიტანეთში ბენდმა „Sex Pistols“-მა დაარწია, საკუთარი სადებიუტო ალბომით „Never mind the bollocks, here are the Sex Pistols“, რამაც იმაზე დიდი გავლენა მოახდინა მუსიკასა და იმდროინდელ ბრიტანულ კულტურაზე, ვიდრე ოდესმე იფიქრებდნენ. ეს ალბომი გახდა პანკის ოქროს სტანდარტი დროთა განმავლობაში. მისი შემსრულებლები არ ერიდებოდნენ ვულგარულობას, საკუთარი პოლიტიკური მესიჯების მკვეთრად გამოხატვას, რომელიც, ძირითადად, მემარცხენე ღირებულებებითა და ხშირად, ანარქიულობით გამოიხატებოდა. 1975 – 80 - იან წლებში აღორძინებული ეს მიმდინარეობა ხასიათდებოდა აგრესიული, ვულგარული და ექსპრესიული მელოდიით, პოლიტიკური, წინააღმდეგობრივი და პირდაპირი ტექსტებით და ექტრავაგანტული და ყველასგან განსხვავებული ჩაცმის სტილით. როგორც ტომ ტეილორი საკუთარ სტატიაში წერს, პანკური ჩაცმულობის ვულგარულობა და უცნაური შემოქმედება მაღალი საზოგადოებრივი ფენებისთვის და მეინტრიმული კულტურისთვის შეურაცხყოფისა და კულტურული შოკის მიყენებისკენ იყო მიმართული. მისივე აზრით, პანკი მთლიანად უნდა აღვიქვათ, როგორც რეაქცია არსებულ სოციალურ მდგომარეობაზე და არა როგორც აჯანყება მათ წინააღმდეგ (Taylor, 2023).

საქართველოში ორი ბენდი შეგვიძლია გამოვყოთ ასეთი გავლენით - ეს გახლავთ 90-იანების ლეგენდა, რობი კუხიანიძის ბენდი „Outsider“ და „SKAZZ“, რომელიც უფრო თანამედროვე გახლავთ. მათ კომპოზიციებში აშკარად იკვეთება 70-იანების ისეთი ბენდების გავლენა, როგორებიცაა: The Clash, Sex Pistols, Velvet Underground, Ramones და სხვები, რომლებმაც არა მარტო ბრიტანეთზე, არამედ მთელ მსოფლიოზე მოახდინეს უდიდესი გავლენა, არა მარტო მუსიკალურად, არამედ აზრობრივადაც. Outsider-ის ალბომი „Inside“ ძალიან ჰგავს ზემოთ აღნიშნულ ბენდებს იმ მოკლე სიმღერებით, ვულგარულობითა და პირდაპირობით, რაც ქართველი აუდიტორიისთვის უცხო და შოკისმომგვრელი იყო. მან პოპულარობა ქუთაისში მოიპოვა, სადაც მას დღემდე პოზიტიურად მოიხსენებენ რეალურ ცხოვრებაშიც და იუთუბის კომენტარებშიც. SKAZZ კი დღევანდელობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს, 5 ახალგაზრდიდან 3 მაინც უსმენს მათ შემოქმედებას, და მათი კონცერტები კი ყოველთვის დიდი, გავსებული აუდიტორიებითა და ენერგიული მაყურებლით გამოირჩევა. სწორედ ამიტომ, პანკის

იდეოლოგიური ხედვები, საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე, პოულობს პოპულარობას ქართველ საზოგადოებაში, განსაკუთრებით, ახალგაზრდებში.

კვლევის ჩატარებისას გამოვიყენეთ თვისებრივი მეთოდები. კერძოდ, შემთხვევის შესწავლა (Case Study), რომლის გამოყენებითაც კონტექსტური ცოდნის საფუძველზე დეტალურად შევისწავლეთ ბრიტანეთში 1970-იან წლებში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური მოვლენები, რაც შემდგომ გახდა მოძრაობის ჩასახვის მიზეზი. ნარატიული ანალიზის გზით დავამუშავეთ პანკ-არტისტების სიმღერის ტექსტები, რომელთა საფუძველზეც დავადგინეთ, თუ რა მესიჯ ბოქსი ჰქონდა ყოველი ბენდის თითოეულ სიმღერას, რა პრობლემებს ეხებოდა ისინი და როგორ აწვდიდნენ თავიანთ პროდუქტს ფართო აუდიტორიას.

კვლევის თეორიულ ჩარჩოდ გამოვიყენებთ “ფრანკფურტის ფილოსოფიური სკოლის” ცნობილი წარმომადგენლის, თეოდორ ადორნოს კონცეფციას პოპულარული მუსიკის შესახებ, რომელშიც საგულისხმოდაა განსაზღვრული პოპმუსიკის არსი და ყურადღება გამახვილებულია ისეთ ასპექტებზე, რომლებიც მუსიკალური პროდუქციის პოპულარობას განაპირობებს. ადორნოს მოსაზრებით, პოპულარული სიმღერების მასობრიობა განპირობებულია სამი მიზეზით: პირველი, ეს გახლავთ „სტანდარტების კრისტალიზების“ პრობლემა, რომელიც გულისხმობს, რომ მუსიკალური ნაშრომის წარმატებულობის შემთხვევაში იგი გამოყენებულია კომერციული მიზნებით. ადორნოს აზრით, „სასიმღერო ჰიტების სტანდარტიზება მომხმარებელს იმით ინარჩუნებს, რომ, ასე ვთქვათ, მანამდე არსებულს ასმენინებს. ფსევდოინდივიდუალიზება, თავის მხრივ, მსმენელების შესანარჩუნებლად მათ ავიწყებს იმას, რომ რასაც ახლა უსმენენ, უკვე მოსმენილი, ანუ „უკვე გადახარშული“ აქვთ (სთორი, ციტირებულია შამილიძვილთან, 2017-2018). მეორე მიზეზად ადორნო ასახელებს „მასის ადამიანის“ მოთხოვნილებას, მისი განტვირთვის აუცილებლობასთან და რეალობისგან გაქცევის საშუალებასთან. რაც შეეხება მესამე მიზეზს, ეს გახლავთ „სოციალური დუღაბის“ სახელით ცნობილი ფენომენი და ყურადღება გამახვილებულია პოპმუსიკაზე, როგორც სოციო-ფსიქოლოგიურად მოქმედ ფაქტორზე. კვლევაში ასევე გამოვიყენებთ ჰენრი ჯენკინსის თეორიას „თანამონაწილეობის კულტურის“ („პარტიციპატორული კულტურის“) შესახებ. მასვე ეკუთვნის ტერმინი “ფანატთა კულტურა”. ჯენკინსის მიხედვით, თანამონაწილეობის კულტურა ავითარებს მონაწილეობისა და კოლაბორაციის ახალ ფორმებს და ეს ცდება ძალაუფლების მოპოვების ტრადიციულ გაგებას, სადაც ერი-სახელმწიფო თამაშობს უმთავრეს როლს (ჯენკინსი, 2006). თანამედროვე ტექნოლოგიურმა განვითარებამ და გლობალიზაციის პროცესმა

მანამდე არსებული ბარიერები დაარღვია და კულტურა გლობალურ მასშტაბებში მოაქცია, რამაც მათი მნიშვნელობა და ძალა გაზარდა გლობალურ არენაზე. სწორედ ამიტომ ადნიშნული თეორია კვლევისთვის აუცილებელია, რათა უკეთ დავადგინოთ, თუ რა გავლენა მოახდინა პოპულარულმა პანკ კულტურამ გლობალურ არენაზე, უფრო კონკრეტულად კი, თანამედროვე ქართულ რეალობაზე.

კონკრეტული კვლევისთვის პანკის მიმდინარეობის არჩევა მნიშვნელოვანი გახლდათ, რადგან ეს მიმდინარეობა სარკისებურად ირეკლავს იმ პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ პრობლემებს, რომლებიც არსებობდა და არსებობს საზოგადოებაში. აგრეთვე, პანკი, როგორც მიმდინარეობა, იმდენად გავლენიანი აღმოჩნდა მსოფლიო ისტორიისთვის, მათ შორის ქართული მუსიკის განვითარებისთვის, რომ იგი გახდა თანამედროვე ქართული საზოგადოების მენტალიტეტის მასაზრდოებელი ფაქტორი. ბოლოს, კვლევის ჩატარება ამ თემატიკაზე ფუნდამენტურია, რადგან ის პრობლემები, რომლებსაც პანკი ეხება როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში, კვლავაც ინარჩუნებს აქტუალურობას და იქცევა ფართო მასების ყურადღებას.

ვიდრე უშუალოდ დამუშავებულ ლიტერატურას მიმოვიხილავდეთ, აუცილებელია ითქვას, რომ მსგავს თემატიკაზე ქართული წყაროების დეფიციტია. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ასეთი სახის კვლევის ჩატარება.

ქართული ლიტერატურის ნაკლებობის მიუხედავად, მრავლადაა უცხოური წყაროები სამეცნიერო სტატიების, ინტერვიუებისა და მუსიკალური ფორუმების სახით, რომელთაც უშუალოდ ფანები ასაზრდოებენ. ვინაიდან ჩვენი კვლევა მხოლოდ ბრიტანეთის მაგალითს მოიცავს საჭიროდ მივიჩინეთ კონტექსტური ცოდნის მოშველიება და ისეთი აკადემიური წყაროების მოძიება, რომლებიც კონკრეტულად ბრიტანეთის 70-იანი წლების ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებას ასახავდა.

სხვადასხვა წყაროს მიხედვით, ადნიშნულ პერიოდში ბრიტანეთი განიცდიდა ეკონომიკურ კრიზისს, რასაც ამტკიცებდა უმუშევრობის მაღალი დონე და გაფიცვების რაოდენობის პროგრესული მატება. მეტი დაკონკრეტებისთვის, უმუშევრობის დონე 1974-85 წლებს შორის, ისეთი ტრადიციული ინდუსტრიების, როგორცაა რკინის, ფოლადის, ქსოვილებისა და გემთმშენებლობის სფეროში დასაქმებულთა პროცენტული მაჩვენებელი 64-დან 28%-მდე დაეცა (Taylor, 2023). შესაბამისად, შექმნილმა მძიმე ვითარებამ, უმომავლობის განცდამ და მთავრობისადმი უნდობლობამ ერთ კუნძულზე მოიყარა თავი და მძიმე მეტალის ბენდის „Black Sabbath“-ისეული განკითხვის დღედ მოუვლინა ბრიტანულ მაღალ საზოგადოებას (War Pigs, 1970). 1976 წლის 30 აგვისტოს, ვესტ-ინდოეთის კულტურის საზეიმო ღონისძიება შავკანიანებზე თავდასხმასა და 250-ზე მეტი პირის

დაშავებაში გადაიზარდა. აღნიშნული მოვლენა, კაროლის აღნიშვნით, 1974-85 წლის ბრიტანეთის ეკონომიკური და სოციალური სიტუაციის ნათელი გამოვლინებაა, როდესაც ახალგაზრდების უმუშევრობის საკითხი გაცილებით სენსიტიურად აღიქვა საზოგადოებამ, ვიდრე ამას მოელოდნენ. მისივე აზრით, აღნიშნული თარიღი უნიკალური მოვლენაა, რადგან ქუჩის დაპირისპირებები, ძალადობა და ხულიგნური აქტები იყო ის ფაქტორები, რაც ბრიტანეთში პანკების მოძრაობას თან გასდევდა (Caroll, 2018). ამ მოვლენებს მოჰყვა ბენდი Clash-ისგან სადებიუტო სინგლის გამოშვება „White Riot“, რომელიც აპროტესტებდა რასიზმს ბრიტანელი პოლიციელების მხრიდან. ვინაიდან და რადგანაც ამ კონცერტს აჯანყებად მიიჩნევდნენ, ვოკალისტმა ჯო სტრამერმა ამიტომაც უწოდა სიმღერას „White Riot“, რათა გამოეხატა პროტესტი მოვლენების შესახებ და დაეწყო საკუთარი, თეთრი აჯანყება. ამ სიმღერაში აპროტესტებენ იმდროინდელ განათლების სისტემას, რომელიც ხალხს ამზადებდა ქარხნის მუშახელობისთვის, ხოლო შაკვანიან ხალხს კი, ესეც არ ერგებოდათ. საქმე ისაა, რომ ამის გაპროტესტებისას, შაკვანიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ქვებისა და აგურების დაშენას არ ერიდებოდნენ (White Riot, 1977). სიმღერაში ასევე აღნიშნულია ხალხის მორჩილება, თუ როგორ გადაიქცა ერთ დროს მეომარი, შეუპოვარი ხალხი მთავრობის ცხვრებად. საბოლოოდ კი საუბრობენ იმ პრობლემაზე, რომლის აქტუალობაც, დღესდღეისობით, სცდება ბრიტანეთის საზღვრებს: „All the power's in the hands, of the people rich enough to buy it, while we walk the street, too chicken to even try it“ (White Riot, 1977). მდიდარი ხალხის კონტროლი და გავლენა უბრალო საშუალო კლასზე. ამ სიმღერამ ბენდს დიდი რეპუტაცია და პოპულარობა მოუტანა დიდებასთან ერთად, ამის შემდეგ დაიწყო აქტიური მოღვაწეობა და თავიანთი კარიერით ბრიტანულ ახალგაზრდობაზე (და დღევანდელ მსოფლიოზე) წარუშლელი კვალი დატოვეს. მას მოჰყვა პანკისტვის, შეიძლება ითქვას, ყველაზე გავლენიანი ბენდის „Sex Pistols“-ის სიმღერა „God Save the Queen“, რომელშიც „ინგლისურ ოცნებას მომავალი არ აქვს“ (God Save the Queen, 1977). ეს სიმღერა გამოსვლისთანავე დაიბლოკა ვულგარული ენის, ტექსტისა და საზოგადოების აღქმის გამო. აღნიშნული კომპოზიცია ბრიტანული ჰიმნიდანაა აღებული, სადაც მომღერლები მონარქიულ მმართველობას „ფაშისტურ რეჟიმს უწოდებს“. სიმღერა შეიცავს აშკარად ნიჰილისტურ ელემენტებს. ამასთან ერთად, მისი გამოშვება დედოფლის იუბილეს დაემთხვა, რაზეც ბენდის წევრები ინტერვიუში ამბობდნენ, რომ არც კი იცოდნენ ამის შესახებ (Mazierska & Rigg, 2022).

ჯონი როტენმა, რომელიც ბენდის ფრონტმენი და სიმღერის ავტორი გახლავთ, ვულგარული ტექსტს შესახებ განაცხადა: „არ დაგვიწერია „God Save the Queen“ იმიტომ, რომ ინგლისელები გვძულდა. ასეთი სიმღერა იმიტომ დავწერეთ, რომ ისინი გვიყვარს და



გული გვერევა, როცა ვხედავთ თუ როგორ ეპყრობა მთავრობა მათ“. ამ სიტყვებმა და მსოფლმხედველობამ შეიძლება „თერგდალეულებიც“ კი გაგვახსნოს გარკვეულ ჭრილში. მოცემული სიმღერა ელვისებური სისწრაფით გავრცელდა საზოგადოებაში და წარმოუდგენელი გავლენა მოახდინა მათ მობილიზებაზე საერთო სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემის წინააღმდეგ, რამაც საბოლოო ჯამში, სიტუაცია 1979 წელს მეორე ტალღამდე მიიყვანა. აღსანიშნავია ისიც, რომ სიმღერის ბუნების გამო პროდიუსერები ლონდონის პაბის წინ სამართებელით დაჭრეს. ამ მოვლენებმა ასახვა ჰპოვა ლიტერატურაშიც, რომელიც პანკს განმარტავს როგორც კულტურული ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართულ მუშათა კლასს (Taylor, 2023). საბოლოო ჯამში, კომპოზიცია გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სიმღერა მუსიკის ინდუსტრიასა და იმდროინდელ ბრიტანეთში და იგი დღემდე უდიდეს კვალს ტოვებს ბრიტანელების აზროვნებასა და ყოველდღიურობაზე. როგორც სოფოკლემ თქვა, შეგიძლია მოკლა კაცი, მაგრამ არა იდეა.

კიდევ ერთი ბენდი, რომელიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს პანკის გავლენიან წარმომადგენლებს შორის, არის Joy Division და მისი სრული ალბომი, „Unknown Pleasures“, რომელიც გამოშვებიდან მალევე საკულტო კლასიკად იქცა. ბენდის შექმნის ისტორია დევიდ ბოუისა და Sex Pistols-ს უკავშირდება, აქაც კი ვხედავთ Sex Pistols-ის გავლენას, თუ როგორ შეძლო ერთი ლეგენდის შესრულებამ მეორე ლეგენდის დაბადება. ბრიტანელი ახალგაზრდების მიერ 3 კვირაში, სხვებისთვის გამორთმეული ინსტრუმენტებით შექმნილი ალბომი საკმაოდ ღრმა, ემოციური პროექტია, რომელიც სასოწარკვეთილებას, დეპრესიასა და მრავალ სხვა თემას ეხება, ისინი კი იმდროინდელი შავ-თეთრი ბრიტანეთის ყოველდღიურობაში სუფევდა (Devereux, Power & Dillane). შესაბამისად, მათივე პრობლემების გამო გახდა ბენდი ალბომინად საკმაოდ პოპულარული, რაზეც ფილმიც კი გადაიღეს, რომელიც საუკეთესო ბიოგრაფიულ ფილმად ითვლება.

რასაკვირველია, ნებისმიერ პოპულარულ მუსიკალურ მიმდინარეობას აქვს საკუთარი სუბკულტურა, მორალური ღირებულებები თუ ჩაცმის სტილი, თუმცა პანკი ამათგან ყველაზე გამორჩეულად ითვლებოდა. რევოლუციური, ექსტრავაგანტული, ანტაგონიზმით სავსე, ინტელექტუალური, მაგრამ არა აკადემიური, სოციუმის ნორმების წინააღმდეგ მიმართული - ეს ის ტერმინებია, რომლებითაც დახასიათებულია პანკის მოძრაობა სხვადასხვა აკადემიურ წყაროებში (Mazierska & Rigg, 2022). პანკის მიმდინარეობის მუსიკალური ბენდები გახლდათ ხმა ახალგაზრდობისა, რომელიც აქტიურად გამოხატავდნენ პროტესტს ეკონომიკური მდგომარეობის, ხელისუფლებისა და ელიტიზმის წინააღმდეგ. გამოხატავდნენ არა მარტო გამოსვლებით, არამედ ჩაცმის

სტილით, რომელიც, როგორც აღნიშნულია, პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა 1970-იან წლების ბრიტანეთში ფესვადგმულ კონსერვატიზმს (Ingram, 2022) და აღქმული იყო როგორც „ანტი-მოდა“ (Taylor, 2023). თუმცა, მხოლოდ უცნაური ვარცხნილობა, ჯაჭვის აქსესუარები, ნაცისტური ამონაქარგები და სვირინგები არ იყო დამახასიათებელი ელემენტები პანკური მოძრაობისთვის. მიმდინარეობისათვის ძალადობას ინსტრუმენტალური დატვირთვა ჰქონდა, რადგან სწორედ მისი საშუალებით პანკმა ძალაუფლება მოიპოვა და ძალადობა წარმოჩინდა არა როგორც რეაქცია არსებულ მდგომარეობაზე, არამედ როგორც გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან (Carrol, 2018). საბოლოო ჯამში, შექმნილმა მოძრაობამ, მეორე ტალღამ და მუსიკალური მიმდინარეობის აღორძინებამ გაგრძელება რამდენიმე გეზით სვლაში (კერძოდ, ანარქო-პანკი, ქუჩური პანკი და გოთ-პანკი) და, შესაბამისად, ახალი მოძრაობების ჩამოყალიბებაში ჰპოვა (Mazierska & Rigg, 2022). ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მოძრაობის არსებობას მრავალმხრივი, ეფექტიანი შედეგი მოჰყვა საზოგადოებისთვის.

განხილული ნაშრომების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მკვლევრები დეტალურად განიხილავენ პანკური მოძრაობის ჩამოყალიბების ისტორიას, იმ მდგომარეობას, რამაც მათ ნაბიჯების გადადგმისკენ უბიძგა და იმ შედეგს, რომელიც უშუალოდ ბრიტანეთში აისახა მოძრაობის რამდენიმე ტალღის შედეგად. თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, იქონია თუ არა პანკური მოძრაობის მოქმედებებმა რაიმე სახის ზეგავლენა სხვა ქვეყნებში იმავე სახის მიმდინარეობის განვითარებაზე და რაში გამოიხატა ყოველივე ეს. შესაბამისად, რთულია აღნიშნული მოვლენების უფრო ფართო რეტროსპექტივით დანახვა. სწორედ ამიტომ, ბრიტანული პანკური მოძრაობის - როგორც ინსპირაციის წყაროს - ქართულ ნარატივებში მიმოხილვა მნიშვნელოვან ღირებულებას იძენს, ვინაიდან გრძელვადიანი შედეგების სხვადასხვა ქვეყანაში ასახვა მოცემულ საკითხს მნიშვნელოვან ასპექტს სძენს.

საქართველოში პანკსცენა გვიან, 1980-იან წლებში გააქტიურდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქუთაისში არსებული „ნიღბების კლუბი“, სადაც ხშირად გამოდიოდა რობი კუხიანიძე თავის ბენდთან, „OUTSIDER“-თან ერთად, რომელიც უდავოდ ყველაზე გავლენიანი ბენდი გახლდათ საქართველოში. „OUTSIDER“ არ გახლავთ უბრალოდ მუსიკოსთა ერთობა, რომლებიც სცენაზე გამოდიოდნენ და ვულგარული ტექსტებით ცდილობდნენ ყურადღების მიქცევას. ეს იყო ბენდი, რომელიც ჩვენი მამების თაობის პრობლემებზე ღიად საუბრობდა სცენისა და მუსიკის საშუალებით. სწორედ ისე, როგორც Talking Heads-მა დაიწყო მოღვაწეობა CBGB-დან, OUTSIDER-მა კი - „ნიღბების კლუბიდან“. როგორც თვითონ რობი ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში, მისი ყველაზე დიდი ინსპირაციის

წყარო იყო რუსი ანდერგრაუნდ ლეგენდა პიოტრ მამონოვი, რომელიც ისევე გახსნილად საუბრობდა საზოგადოების პრობლემებზე, როგორც რობი თავის მუსიკაში (ნიკო ნერგაძე vs რობი კუხიანიძე, 2022). Outsider-მა მალევე შტურმით მოიცვა დასავლეთ საქართველო. ბენდმა საქართველოს მასშტაბით წარმატება მოიპოვა თბილისის კონცერტზე - მარგარიტას ფესტივალზე, როცა „გაიმარჯვეს“, რის შემდეგაც ყველა ამ ბენდზე საუბრობდა. რასაკვირველია, ამას თავისი მიზეზიც ჰქონდა, რობის ტექსტებში პირდაპირობა იგრძნობა. შესაძლებელია პარალელის გავლება Sex Pistols-ის სტილთან. ვულგარულობა, პირდაპირობა, სკეპტიკური და ნიჰილისტური დამოკიდებულება სახელმწიფოს მიმართ - ეს ის მახასიათებლებია, რომლებიც უკანასკნელ ორ ბენდს აერთიანებთ. მაგალითად, სიმღერა „მძღნერი“ არის ფაქტობრივად “God Save the Queen”-ისგან ინსპირირებული სიმღერა, ორივე მათგანში იკვეთება საერთო ხასიათი და მესიჯ ბოქსი. ორივე კომპოზიციაშია საზოგადოების გამოღვიძების მცდელობა („თქვენ, თქვენ, თქვენ გაიღვიძეთ!!“ და „There is no future in England’s dreaming“). საბოლოო ჯამში, ამან ჩაუდგა სული შემდგომ მრავალი პანკ-ბენდის წარმოშობას საქართველოში. ზემოხსენებული „მარგარიტას“ ფესტივალის შემდგომ დაიწყო პანკ მუსიკის შექმნა უკვე თბილისშიც. შედეგად, პანკ-კულტურა არა მარტო დასავლეთ საქართველოში, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელდა და იქცა თვითგამოხატვის ინსტრუმენტად, ტკივილისა და პრობლემების გამხმომავნებელი პლატფორმად. ეს დღემდე ასე გრძელდება.

დღესდღეობით, მრავალი პანკ-ბენდი გააქტიურდა ქართულ ასპარეზზე. ამჯერად ჩვენი განხილვის საგნად შეგვიძლია SKAZZ მოვიყვანოთ. ისევ და ისევ ბენდი, რომელიც ქუთაისიდან წარმოიშვა და მთელი თბილისი მოიცვა თავისი სიმღერით „მდევარი“. ამ კომპოზიციით ბენდმა უზომოდ დიდი პოპულარობა მოიპოვა. მათ „ლაივებზე“ უზარმაზარი რიგებია, რაც მათ მუსიკაზე მოთხოვნას უსვამს ხაზს. მათი პირდაპირი ინსპირაცია (როგორც თვითონ ამბობდნენ) გახდა Outsider-ის ლეგენდარული ალბომი Inside. როგორც ირკვევა, თვითონ რობი კუხიანიძემაც კი დააკვალაინა ისინი და ყველანაირად დაეხმარა მათ გეზის აღებაში (ნიკო ნერგაძე vs Skazz, 2023). მათი მუსიკის ინსპირაცია ჩვენი გარემოებიდან, ყოველდღიურობიდან მოდის. ისინი მღერიან იმის შესახებ, რასაც ხედავენ, რაც აქტუალურია. „მარშუტკის“ მძღლოები, გამყიდველები, მენაგვეები გავლენას არა მარტო თავიანთ, არამედ ჩვენს ცხოვრებაზეც ახდენენ გავლენას და მათი მუსიკა, როგორც თვითონ ამბობენ, არის საშუალება და მცდელობა, ხელი გაუწოდონ ამ ადამიანებს და შეძლებისდაგვარად გააქდერონ მათი ყოველდღიური პრობლემები. ეს ყველაფერი მათ ტექსტებში, ყოველდღიურობაში და მელოდიაშიც კი გამოიკვეთება. აგრეთვე, შეუძლებელია შეუმჩნავლად დარჩეს Joy Division-ის გავლენა, რაც იკვეთება მელანქოლიურ,

დეპრესიულ და სევდით მოცულ ტექსტებში. კერძოდ, სიმღერაში „Kurota“ საუბარია სულის სევდაზე, სევდიან ფიქრებსა და მარტოობაზე და ჩანს აშკარა თანხვედრა ბრიტანული პანკური ბენდის ცნობილ კომპოზიციასთან - „Delusion“ („ჩემს მისამართს სევდით ნანახს სინანულის მაქვს სული“ და „I've got the spirit, lose the feeling“). დღევანდელ ახალგაზრდობაზე (და არამართ ახალგაზრდობაზე) დიდი გავლენა იქონია ამ მუსიკებმა, ამიტომაცაა ამდენი პროტესტი, უკმაყოფილება და ჟინი, შეიცვალოს ყველაფერი უკეთესობისკენ.

რომ შევაჯამოთ, თანამედროვე ქართულ რეალობაში 70-იანების ბრიტანული პანკის გავლენა დღევანდელი ქართველი პანკ-შემსრულებლების ყოველი სიმღერის სტროფში ჩანს. კერძოდ, ქართველ პანკ-არტისტებს ახასიათებთ სათქმელის გადმოცემის ის პირდაპირი, ვულგარული, სასოწარკვეთილი და ნიჰილისტური ხასიათი, რომლის ფესვებიც ბრიტანეთშია. შესაბამისად, პანკის, როგორც სუბკულტურის საშუალებით, თანამედროვე საქართველოში წინა პლანზე გამოდის ის პრობლემები, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდება და მუსიკა არის ის ფაქტორი, რომელიც ხალხს თვალს უხელს და აიძულებს მათ, შესაბამისად იმოქმედონ. ქართული პანკ-ბენდების აქტიური პოპულარიზაცია კი მხოლოდ და მხოლოდ იმის მანიშნებელია, რომ მათ რეპერტუარებში წამოჭრილი პრობლემები საკმაოდ აქტუალურია საზოგადოებისათვის.

მსჯელობის შედეგად, შესაძლებელია დავასკვნათ, თუ როგორ გამოიწვია ერთი ფესტივალის დარბევამ ახალი ჟანრის შექმნა, რამაც საფუძველი ჩაუყარა რევოლუციონერი ახალგაზრდების თაობის წარმოშობას. ამასთან ერთად, შეცვალა მოდაც (Vivienne Westwood-ის ტანსაცმელი, რომელიც ცნობილი ბენდისთვის - „Exploited“ ამზადებდა ტანსაცმელს და Sex Pistols-თანაც თანამშრომლობდა). ფაქტობრივად, პანკურმა მოდამ პირველად აითვისა ჯინსის შარვლები, ტყავის მოსაცმელი, რაც შემდგომში, ზუსტად ამ ასოციაციის გამო, უამრავ სკოლასა და ინსტიტუციაში შეზღუდვების დაწესება გამოიწვია. პანკმა უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიო კულტურასა და ისტორიაზე. იგი მეტია, ვიდრე უბრალოდ, მუსიკის ჟანრი და გაბრაზებული თინეიჯერების ერთობა. ესაა ხალხის ხმა, რომელიც ფართოდ აქტუალურ პრობლემებს და მათ წინააღმდეგ ილაშქრებს. აქედან გამომდინარე, ბრიტანეთში ჩასახულმა სუბკულტურამ უდიდესი გავლენა მოახდინა ლოკალურ დონეზე, ქვეყნის შიგნით, ხოლო გლობალურ დონეზე - მთელ მსოფლიოზე, რაც ჩვენს ქვეყანას, საქართველოსაც შეეხო. მეოცე საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული, დღევანდელ ქართულ რეალობაში პანკი ჩამოყალიბდა ქართველი არტისტების თვითგამოხატვის თავისებურ ფორმად, რომელიც იკვეთებოდა როგორც მუსიკის მელოდიასა და მუსიკ-ბოქსებში, ისე მუსიკოსთა გარეგნობასა და ჩაცმულობაში.

## გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. Jenkins H. Convergence Culture: Where Old and New Media Collide. L.: N. Y.: New York University Press, 2006.
2. Mazierska, Ewa, Rigg, Tony, What it really meant to be punk in Britain, June 27, 2007, The Conversation <https://theconversation.com/what-it-really-meant-to-be-punk-in-britain-185729?fbclid=IwAR1KqIK1JOL1BgJ6uSwSBAAxoQZcF9SY54EfsNBFSgs2I48VKurk7XXcqaI>
3. Nexon, Daniel H and Neuman, Iver B, Harry Potter and International Relations, 2006 Rowman&Littlefield Publishers, Inc.
4. Ingram, Simon, What was punk – and why did it scare people so much? July 1, 2022, National Geographic [https://www.nationalgeographic.co.uk/history-and-civilisation/2022/07/what-was-punk-and-why-did-it-scare-people-so-much?fbclid=IwAR2hJcMHWtd2MjNo0XY9t6B\\_OU4KEdq6Hgpzonmf66noI4Zk8h3YoZwmBko](https://www.nationalgeographic.co.uk/history-and-civilisation/2022/07/what-was-punk-and-why-did-it-scare-people-so-much?fbclid=IwAR2hJcMHWtd2MjNo0XY9t6B_OU4KEdq6Hgpzonmf66noI4Zk8h3YoZwmBko)
5. Taylor, Tom, In what ways was punk a rebellion against the social conditions of the 1970s? Bristorian [https://www.thebristorian.co.uk/essays/1970s-rebellion-punk?fbclid=IwAR0r4wYpT7iTggF\\_T7EFIYBvBAVkgquV30nuS7-iKSJbN5nIEaN3NsyQXfi](https://www.thebristorian.co.uk/essays/1970s-rebellion-punk?fbclid=IwAR0r4wYpT7iTggF_T7EFIYBvBAVkgquV30nuS7-iKSJbN5nIEaN3NsyQXfi)
6. Worley, Matthew, Punk, Politics and Youth Culture, 1976-1984, 2017 [https://unireadinghistory.com/punk-politics-and-youth-culture/?fbclid=IwAR1\\_QTA5I2XLxYtVriE4a8M2tm87dDHajINfo4hBGxleo4zPrqSL1Ar1EIo](https://unireadinghistory.com/punk-politics-and-youth-culture/?fbclid=IwAR1_QTA5I2XLxYtVriE4a8M2tm87dDHajINfo4hBGxleo4zPrqSL1Ar1EIo)
7. Andrew H. Carroll, « 'Running Riot': Violence and British Punk Communities, 1975-1984 », Criminocorpus [En ligne], 11 | 2018, mis en ligne le 01 février 2019, consulté le 12 décembre 2023. URL : <http://journals.openedition.org/criminocorpus/5657> ; DOI : <https://doi.org/10.4000/criminocorpus.5657>
8. Savage, J. (2023, November 12). punk. Encyclopedia Britannica. <https://www.britannica.com/art/punk>
9. Devereux, Eoin, Power, Martin J. and Dillane, Aileen, Joy Division's influences and enduring cultural legacy, The Irish Times, December 14, 2018 <https://www.irishtimes.com/culture/books/joy-division-s-influences-and-enduring-cultural-legacy-1.3729068>
10. ნერგაძე, ნიკო, (2022, 29 ოქტომბერი), ნიკო ნერგაძე vs რობი კუხიანიძე [https://www.youtube.com/watch?v=VuvPrEfUz5k&t=279s&ab\\_channel=%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90](https://www.youtube.com/watch?v=VuvPrEfUz5k&t=279s&ab_channel=%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90)
11. ნერგაძე, ნიკო, (2023, 28 მაისი), ნიკო ნერგაძე vs Skazz [https://www.youtube.com/watch?v=HTwbhlis6\\_U&t=46s&ab\\_channel=%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90](https://www.youtube.com/watch?v=HTwbhlis6_U&t=46s&ab_channel=%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90)
12. შამილიშვილი, მანანა, პოპმუსიკის პოლიტიკა და პოლიტიკური მუსიკის ძირითადი გზავნილები, 124-141, კრიტიკა 12-13, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2017-2018.

## **ელგუჯა მაზმიშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## **ელდარ მამისთვალიშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

### **რასობრივი სეგრეგაცია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და როდეზიაში - შედარებითი ანალიზი**

მსოფლიოს ისტორიაში მრავალი სახელმწიფო არსებულა, რომლებიც თავიანთი საშინაო პოლიტიკით ადამიანთა კონკრეტული ჯგუფის წინააღმდეგ, მათ შესავიწროებლად მიზანმიმართულ ნაბიჯებს დგამდნენ. ამ სახელმწიფოთა ხელისუფლებები ასეთ პოლიტიკას ძალიან დიდი შემართებით უდგებოდნენ და რაც ყველაზე მთავარია რიგ შემთხვევებში უსასტიკესი მეთოდებითაც ადასრულებდნენ მას. ზემოხსენებული სახის დისკრიმინაციის განმხორციელებელი ქვეყნებისა და ხელისუფლებების მაგალითები მსოფლიოს ისტორიაში მრავალია, თუმცა მათგან ორის გამორჩევა განსაკუთრებით მნიშვნელოვნად და რელევანტურად ჩავთავლეთ - ესენი არიან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა აპართეიდის პერიოდში და როდეზია. ჩვენი მიზანია ამ სტატიაში წარმოგიდგინოთ ორივე თავიანთი საშინაო პოლიტიკით, არსებობითა და აღსასრულით (სამხრეთ აფრიკაში ეს ბედი რეჟიმმა გაიზიარა) და შემოგთავაზოთ ამ ორი შემთხვევის შედარებითი ანალიზი, რადგან ორივე სახელმწიფო თავიანთი პოლიტიკური სისტემებით, შიდა პოლიტიკით, ამ ყოველივეს განმაპირობებელი მიზეზებითა და საკუთარი სამომავლო მიზნებით ერთმანეთთან ძალიან ახლოს დგანან.

როგორც ბევრი სხვა საკითხი, საჭიროა ამ ორი სახელმწიფოს ისტორიული სათავეების შესახებ საუბარი. ხშირ შემთხვევაში მოცემული სახელმწიფოების მსგავსი ქვეყნები გარკვეულ სახეს მეცხრამეტე საუკუნეში იღებენ. ორივე სახელმწიფო მდებარეობდა სამხრეთ აფრიკის რეგიონში. სამხრეთ აფრიკას აქვს ზღვაზე გასასვლელი, როდესაც როდეზიის ტერიტორია კონტინენტის სიღრმეშია. სწორედ ამიტომ ჰქონდა სამხრეთ აფრიკას შედარებით უფრო ხანგრძლივი კოლონიური ისტორია. მის ტერიტორიაზე კოლონიალიზმი ჯერ კიდევ XVII საუკუნეში შემოვიდა ჰოლანდიელების თაოსნობით. სწორედ ჰოლანდიელების შემოსვლა გახდა მიზეზი აფრიკის სამხრეთში ბურების

ჩამოყალიბებისა (ისინი ჰოლანდიელი ახალმოსახლეების შთამომავლები იყვნენ, თუმცა ცალკეულ ხალხად ჩამოყალიბდნენ ახალ მიწაზე, საკუთარი ენით, რომელსაც აფრიკაანსი ეწოდება), რომლებმაც სამხრეთ აფრიკის რეგიონის ისტორიულ განვითარებაზე უდიდესი გავლენა იქონიეს. სწორედ ისინი იყვნენ სხვადასხვა ეთნიკური კონფლიქტის ერთ-ერთი მთავარი მონაწილენიცა და ინიციატორებიც კი, რომლებიც მიმდინარეობდა ევროპელ იმიგრირებულ მოსახლეობასა და ადგილობრივ აფრიკელ ეთნოსებს შორის. თუმცა მალე ევროპელებიდან ერთ-ერთი სახელმწიფო ცალკეულ, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აქტორად იქცა რეგიონში - ეს დიდი ბრიტანეთი იყო. ბრიტანელთა მიერ ამ რეგიონში ნაპოლეონის ომების პერიოდებიდან ფეხის მოკიდების შემდეგ, რაც გამოიხატა კეიპ-ტაუნის კოლონიის დაკავებით, იწყება მათი საბოლოო დამკვიდრება რეგიონში. ამას ემატება ბურების მიერ ჩამოყალიბებული სახელმწიფოების, ორანჟის თავისუფალი სახელმწიფოსა და ტრანსვაალის, დაკავება (რომლებიც დიდმა ბრიტანეთმა ბურებთან ორი სისხლისმღვრელი ომის გადახდის შემდეგ მოახერხა საბოლოოდ, XIX საუკუნის მიწურულს), რომლებიც გააერთიანეს კეიპ-ტაუნის კოლონიასთან და საბოლოოდ ჩამოაყალიბეს სამხრეთ აფრიკის კავშირი, რომელიც ჯერ ნომინალურად იყო დამოუკიდებელი, ხოლო შემდეგ, 1931 წლიდან, იგი სრულიად სუვერენული სახელმწიფო გახდა (თუმცა უნდა ითქვას, რომ იგი ინარჩუნებდა დომინიონის სტატუსს 1961 წლამდე).

სამხრეთ აფრიკის კავშირის ტერიტორიაზე მიმდინარე ამ მოვლენებმა გზა გაუხსნა დიდ ბრიტანეთს გაგრძელებინა თავისი ექსპანსია სამხრეთ აფრიკის რეგიონის უფრო ცენტრალური მხარეებისკენ. სწორედ ამ დროს მივდივართ სესილი როდსის სამხრეთ აფრიკის კომპანიასთან, რომელმაც თანამედროვე ზამბიისა და ზიმბაბვეს ტერიტორიები თავად დაიკავა (ამ ტერიტორიას კოლექტიურად ეწოდა როდეზია, ხოლო თავად სახელმწიფო როდეზია, რომელზეც უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ, სამხრეთ როდეზიის სახელით იყო ცნობილი), თუმცა ამ დაკავებას მშვიდობიანად არ ჩაუვლია და მრავალწლიანი ომები გახდა საჭირო ადგილობრივ ნდებელესა და შონას ტომებთან ამ ყოველივეს წარმატებით გახორციელების მიზნით. 1922 წელს დიდმა ბრიტანეთმა დაამტკიცა სამხრეთ როდეზიის ანექსირება, ხოლო შემდეგ წელს იგი ავტონომიის მქონე კოლონიად გამოაცხადა თავისივე პირველი კონსტიტუციით. საბოლოოდ, სახელმწიფომ, რომელსაც სახელად როდეზია ეწოდა, დამოუკიდებლობა 1965 წელს უნილატერალური დეკლარაციით (UDI) გამოაცხადა. ამ ორი სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი იყო ტიპური კოლონიური მმართველობა კოლონიურ პერიოდში, კერძოდ, ხელისუფლების სადავეები და ეკონომიკური წარმოების მნიშვნელოვანი სფეროები, მადაროები, მიწები და ა.შ. თეთრკანიანი უმცირესობის ხელში იყო მოქცეული, რამაც შესაბამისი პოლიტიკის

ჩამოყალიბებასა და წარმოებას უბიძგა ორივე ზემოთ ხსენებულ სახელმწიფოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. რაც შეეხება თითოეულ შემთხვევას, თავიდან გვსურს ორივე სახელმწიფოს განხილვა ცალ-ცალკე, რათა მათი შედარება უფრო გაგვიმარტივდეს. დავიწყით სამხრეთ აფრიკით.

როგორც უკვე ზემოთ ვახსენეთ, სამხრეთ აფრიკა ჩამოყალიბდა კეიპ-ტაუნის, ტრანსვაალისა და ორანჟის თავისუფალი სახელმწიფოს გაერთიანებით, რომელმაც სრული დამოუკიდებლობა 1931 წელს მოიპოვა. ეს იყო სახელმწიფო, სადაც რასობრივი დისბალანსი ნათელი იყო: უმრავლესობას წარმოადგენდა შავკანიანი მოსახლეობა, თუმცა ასევე წარმოდგენილნი იყვნენ საგრძნობი რაოდენობა აზიელების (მეტწილად ინდოელებისა), შერეულებისა<sup>1</sup> და თეთრკანიანების, რომელთა შორისაც ეს უკანასკნელნი ქვეყანაში 4:1 თანაფორმობით იყვნენ წარმოდგენილნი ყველა დანარჩენთან შედარებით (the Journal of Politics, 1960). თუმცა, კოლონიური გადმონამთის სახით აქ ძალაუფლებასა და ეკონომიკურად გაბატონებულ პოზიციას სწორედ თეთრკანიანები ფლობდნენ. ისინი იყვნენ ეკონომიკური ბირთვის წარმომადგენლები ქვეყანაში, თუმცა ამ თეთრებს ერთიანობა აკლდათ კოლონიური პერიოდიდან მოყოლებული. თეთრებში ძირითად ორ ჯგუფს წარმოადგენდნენ ბრიტანელი ახლმოსახლეების შთამომავლები და ბურები. რადგან ამ ორ ხალხს დაპირისპირების მრავალწლიანი ისტორია ჰქონდათ, საჭირო იყო მათთვის რაიმე ეთნიკურ კუთვნილებაზე მეტი, რაც იქნებოდა მათი დომინანტური პოზიციის შენარჩუნების წინაპირობა და ამავდროულად ამ ორ მოქიშპე ხალხს შორის ერთიანობის განმაპირობებელი. „საბედნიეროდ“, მათ მოახერხეს ასეთი იდენტობის მოძებნა - ეს სწორედ მათი კანის ფერი იყო. სწორედ ამ და სხვა მრავალი მიზეზის გამო 1948 წელს სამხრეთ აფრიკის მთავრობამ, ნაციონალისტურმა პარტიამ, ოფიციალურად მიიღო „აპართეიდის“ პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა „სხვადასხვა რასობრივი ჯგუფის ცალ-ცალკე განვითარებას... მოიცავდა თანაბარი განვითარების ტემპებისადმი მოწოდებებსა და კულტურული გამოხატვის თავისუფლებას“ (South African History Online, 2016).

თუმცა ეს ასე არ მოხდა. ეს პოლიტიკა არათუ გამოყოფდა ერთმანეთისგან ჯგუფებს, არამედ მათ უთანასწორო განვითარებას უწყობდა ხელს. ცხადია, რომელი ჯგუფის სასარგებლოდ მოქმედებდა სისტემა. 1948 წლის ამ კანონს განსაკუთრებულს ის ფაქტი ხდიდა, რომ იგი წარმოადგენდა რასიზმის ისეთ ფორმას, რომელიც კანონმდებლობით იყო

---

<sup>1</sup> იგულისხმება შავკანიანთა, აზიელთა და თეთრკანიანთა შერეული ქორწინებების შედეგად ჩამოყალიბებული ახალი ჯგუფი, რომელიც ცალსახად არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილს არ ეკუთვნოდა.



განმტკიცებული და არ წარმოადგენდა მხოლოდ ხელისუფლების ოფიციალურ პოლიტიკას. სამწუხაროდ, ეს სისტემა მრავალ სხვა აქტსაც მოიცავდა, რომელიც მისი არსებობის მანძილზე იქნა მიღებული, კერძოდ, 1950 წლის „მოსახლეობის სარეგისტრაციო აქტის“<sup>1</sup> მიღება ემსახურებოდა სამხრეთ აფრიკის მოსახლეობის კლასიფიკაციას: პიროვნება ან იყო თეთრი, ან ბანტუ (შავი), ან აზიელი (ინდოელი, პაკისტანელი), ან ფერადი (იგულისხმება შერეული) (Britannica, 2023), 1950 წლის „ჯგუფურ არეალთა აქტით“<sup>2</sup> კი ურბანულ არეალებში მკაცრად გამოყოფილი რასობრივი კუთვნილებით განსაზღვრული სივრცეები შეიქმნა და იგი თეთრებისთვის გაცემული სივრცეებიდან არათეთრთა გაძევებას ითვალისწინებდა. ეს უკანასკნელი აქტი 1954 და 1955 წლებში გამოცემულ აქტებთან ერთად „მიწის აქტების“<sup>3</sup> სახელითაა ცნობილი, რომლის მიხედვითაც გაგრძელდა მიწის მიტაცების პოლიტიკა, მსგავსად 1913 და 1936 წლებისა, რომლის შედეგადაც ქვეყანაში მიწების 80 პროცენტი თეთრი უმცირესობის ხელში აღმოჩნდა. ამას უფრო დიდი შეურაცხყოფა და შევიწროება მოჰყვა თეთრების მხრიდან. 1959 წელს „ბანტუელთა თვითმმართველობის წახალისების აქტით“<sup>4</sup> ბანტუებისთვის ფაქტობრივი რეზერვაციები შეიქმნა, რათა მათ „ხელი არ შეეშალათ“ თეთრთა ყოველდღიური ცხოვრებისთვის. თუმცა არათეთრებს მაინც უწევდათ გადაადგილება თეთრების ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ურბანულ არელებში. ამისთვის მათ ავტორიზებული დოკუმენტაცია სჭირდებოდათ. ბანტუებს მოქალაქეობაც კი ჩამოერთვათ და გადაეცათ შესაბამისი ბანტუსტანის<sup>5</sup> მოქალაქეობა „ბანტუების სამშობლოთა მოქალაქეობის აქტით“<sup>6</sup> 1970 წელს.

საგანმანათლებლო სეგრეგაცია კიდევ უფრო მძიმე იყო. „ბანტუთა საგანმანათლებლო აქტითა“<sup>7</sup> (1953) და „უნივერსიტეტის განათლების აქტის დამატებით“<sup>8</sup> (1959) არათეთრთა მიღება აიკრძალა უნივერსიტეტებში. ასევე აიკრძალა შერეული ქორწინებები 1949 წლის „შერეულ ქორწინებათა აკრძალვის აქტით“<sup>9</sup>, ხოლო ნებისმიერი წინააღმდეგობის ჩასახშობად მიიღეს 1950 წლის „კომუნიზმის ჩახშობის აქტი“<sup>10</sup>, რაც

<sup>1</sup> Population Registration Act.

<sup>2</sup> Group Areas Act.

<sup>3</sup> Land Acts.

<sup>4</sup> Promotion of Bantu Self-Government Act.

<sup>5</sup> ბანტუებისთვის შექმნილი პოლიტიკური ერთეულები ეთნიკური და ლინგვისტური დაყოფის მიხედვით.

<sup>6</sup> Bantu Homelands Citizenship Act.

<sup>7</sup> Bantu Education Act.

<sup>8</sup> The Extension of University Education Act.

<sup>9</sup> The Prohibition of Mixed Marriages Act.

<sup>10</sup> The Suppression of Communism Act.

მთავრობას საშუალებას აძლევდა ნებისმიერი ძალის გამოყენებას „კომუნისტური“ საფრთხის თავიდან ასაცილებლად. მიიღეს დამატებით სხვა მრავალი აქტი, თუმცა მათი ჩამოთვლა კიდევ ცალკეულ თემად შეიძლება იქნეს წარმოდგენილი მისი მნიშვნელობისა და მოცულობის გათვალისწინებით.

ამ ყველაფრის მიუხედავად ეს ყოველივე უპასუხოდ არ მიდიოდა. ყველა არათეთრი რასის წარმომადგენელი ამას დიდ წინააღმდეგობას უწევდა (AAM Archives Committee, 2023), განსაკუთრებით ბანტუები, თუმცა ამ წინააღმდეგობას სასტიკად ახშობდა სახელმწიფო. 1960 წლის შარპევილის ხოცვა-ჟლეტა<sup>1</sup> ამის ნათელი მაგალითია. ამდაგვარმა სვლებმა სამხრეთ აფრიკას შეურყია საერთაშორისო რეპუტაცია. გაეროსთვის რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად იქცა, რაც 1963 წლის ყველანაირი ფორმის რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის დეკლარაციაში აისახა (United Nations, 2023). გაეროს სანქციებთან დაკავშირებულ ინიციატივებს 80-იანებში აშშ-ც შეუერთდა და 1986 წლის „ანტიაპართეიდის აქტით“ ბევრმა მულტინაციონალურმა კომპანიამ დატოვა სამხრეთ აფრიკა (Office of the Historian, 2023). ამ სანქციებს სხვა სახელმწიფოებიც შეუერთდნენ, რამაც დიდი გავლენა იქონია რეჟიმის მდგრადობაზე და საბოლოოდ გამოიწვია ის, რაც მოხდა კიდევ 1993-1994 წლებში, რაც გამოიხატა აპართეიდის დასასრულითა და ნელსონ მანდელას გაპრეზიდენტებით, ხელისუფლების სადავეების თეთრთა ხელში არსებული მონოპოლიისადმი წერტილის დასმით.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შემდეგ უნდა შევხვთ როდუზიას, რომელიც ზამბიას, ბოცვანასა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას შორის იყო მოქცეული (McDougal and Reisman, 2017). როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მსგავსად, სეგრეგაციული სისტემა მოქმედებდა როდუზიაშიც. აქაც პოლიტიკური ძალაუფლება მოქცეული იყო თეთრი უმცირესობის ხელში, რომელთა რაოდენობაც, 1969 წლის მონაცემებით, 228000-252000 იყო, მაშინ, როცა არათეთრი მოსახლეობის რაოდენობა (ფერადები, ანუ შერეულები, აზიელები და აფრიკელები) 4824000-მდე იყო (CIA, 2001).

---

<sup>1</sup> 1960 წლის 21 მარტს შარპევილში გაიმართა ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური საპროტესტო აქცია აპართეიდის წინააღმდეგ სამხრეთ აფრიკის ისტორიაში. პროტესტის მიზეზი გახდა ე.წ. „კანონი დაშვების შესახებ“ (Pass Law), რომლის მიხედვითაც ყველა არათეთრს აკრძალულ სივრცეებში ყოფნისას თან უნდა ჰქონოდათ მათი იქ ყოფნის ნებადართულობის დამამტკიცებელი საბუთები. აქციაში მონაწილეობდა 20000-მდე ადამიანი. აქციის მონაწილეები შარპევილის პოლიციის შენობასთან შეიკრიბნენ. ოფიციალური ცნობით, დემონსტრანტთა ნაწილის ძალადობრივი ქმედებების საფუძველზე (რითაც გაამართლეს მოწყობილი სასაკლავო) პოლიციამ აქციის მონაწილეებს ცეცხლი გაუხსნა. 69 ადამიანი დაიღუპა, 180 დაშავდა, მათ რიგებში კი 50-მდე ქალი და ბავშვი იყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ როდუზიის დამოუკიდებლობა არ გამოცხადებულა გაერთიანებული სამეფოს თანხმობით, როგორც ეს ხდებოდა სხვა კოლონიების შემთხვევაში. ბრიტანეთის ხელისუფლება არ სცნობდა როდუზიის დამოუკიდებლობას, თუმცა არც იმის რესურსები ჰქონდა, რომ საკუთარი ძალაუფლება აღედგინა ამ ტერიტორიაზე.

II მსოფლიო ომის შემდეგ სამყარო დეკოლონიზაციის აქტიურ ფაზაზე გადავიდა, მსოფლიოში გაძლიერდა პოლიტიკური უფლებებისა და რასობრივი სეგრეგაციის წინააღმდეგობის მხარდამჭერი ტენდენციები. თუმცა ამ პროცესში ე.წ. „მესამე სამყაროს“ სახელმწიფოების დიდ ნაწილში, რომლებსაც დამოუკიდებლობა სულ ახალი მოპოვებული ჰქონდათ, ძალაუფლებას ხელში იგდებენ ავტორიტარული და დიქტატორული რეჟიმები. ანალოგიური ვითარება იყო როდუზიაშიც, თუმცა განსხვავება ისაა, რომ ამ ქვეყანამ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სამხრეთ აფრიკული მმართველობის მოდელი გაიზიარა - სეგრეგაციის გზას დაადგა. დეკოლონიზაციის პროცესის შემყურე თეთრკანიანები, რომლებიც მეტ-წილად ამ ტერიტორიაზე მიწებისა და ეკონომიკური სფეროს უდიდესი ნაწილის მფლობელები იყვნენ, გადაწყვიტეს, არ დაეთმოთ არც ის, რასაც იყვნენ დაპატრონებულნი და არც ამ შექნილი რესურსებით უზრუნველყოფილი ძალაუფლება. რადგან სეგრეგაციული სახელმწიფოს არსებობას არ დაუშვებდა დიდი ბრიტანეთი, რისი მაჩვენებელიცაა მის მიერ ინიცირებული 1961 წლის კონსტიტუცია<sup>1</sup>, როდუზიის დამოუკიდებლობის თვითნებური გამოცხადება თეთრებისთვის სასურველი სახელმწიფოს შექმნის ერთადერთ გზას წარმოადგენდა, რადგან იცოდნენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და თანამეგობრობა მას არ აღიარებდნენ (Schmidt, 2023). სწორედ ასეც მოხდა და 1965 წელს დამოუკიდებლობის უნილატერალური დეკლარაციით (UDI) როდუზიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა პრემიერ მინისტრი იან სმიტით სათავეში. მის მიზანს წარმოადგენდა უმრავლესობის მმართველობის აღკვეთა ქვეყანაში, რაც თეთრთა დომინანტურ პოზიციას უქმნიდა საფრთხეს და თეთრთა უმცირესობის მმართველობის შენარჩუნება ზემოხსენებული მიზნის გასახორციელებლად.

როდუზიული მმართველობის სისტემა ემყარებოდა რასობრივ სეგრეგაციას და

---

<sup>1</sup> კონსტიტუცია ითვალისწინებდა საპარლამენტო სისტემის შექმნას, 65-ადგილიანი პარლამენტით. იგი ითვალისწინებდა ამომრჩეველთა A და B კატეგორიებად დაყოფას. განსხვავება მათ შორის ის იყო, რომ B კატეგორიისთვის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად დაბალი კვალიფიკაცია საკმარისი იყო. მთლიანობაში სულ იყო A კატეგორიის 50 საარჩევნო ოლქი და B კატეგორიის უფრო დიდი 15 საარჩევნო ოლქი. იმისდა მიუხედავად, რომ სისტემა თეორიულ დონეზე რასობრივი მოტივებით არ იყო შექმნილი, მაინც ნათლად ჩანდა პრაქტიკაში A კატეგორიის „თეთრობა“ და B კატეგორიის „სიშავე“.

მკვეთრად მიჯნავდა თეთრკანიან და არათეთრ მოსახლეობას. როდუზიის სახელმწიფოს არსებობის პირველ ხანებშივე შეიმჩნეოდა ზიმბაბველთა<sup>1</sup> სურვილი, შეცვლილიყო ძველი კოლონიური სისტემა და ქვეყანა ჩამოყალიბებულიყო დემოკრატიული მმართველობის მქონე სახელმწიფოდ, სადაც თეთრკანიან უმცირესობას კი არ ექნებოდა მართვის სადავეები, არამედ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის მიერ არჩეულ ხელისუფლებას. შესაბამისად, თეთრ ელიტას უნდა ეზრუნა არსებული სისტემის შენარჩუნებასა და ისეთი სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებაზე, რომლებიც დაიცავდნენ მათ და აღკვეთდნენ ადგილობრივების გამოსვლებს საკუთარი უფლებების დასაცავად. ეს ყოველივე კი ახალი საერთაშორისო ნორმების უხეშ დარღვევას წარმოადგენდა. ამიტომ, როდუზიაში მიმდინარე მოვლენების კვალდაკვალ გააქტიურდა გაერო-ც. უშიშროების საბჭოზე გადაწყდა, რომ შეწყდებოდა როდუზიის რეჟიმისთვის იარაღისა და ინდუსტრიული წარმოებისთვის საჭირო რესურსების მიწოდება. ბევრი ამახვილებდა ყურადღებას გაერთიანებული სამეფოს ფაქტორზე, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ არ აღიარებდა როდუზიის სახელმწიფოებრიობას, არც ამ რეჟიმის საწინააღმდეგოდ ახორციელებდა რაიმე ქმედებას. რეალურად, დიდი ბრიტანეთი პატივს სცემდა იქ მცხოვრებ თეთრკანიან მოსახლეობას, იმის გამო, რომ დიდი ნაწილი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წასული ბრიტანელი ემიგრანტი იყო. აშშ-მა მხარი დაუჭირა უმრავლესობის მმართველობას როდუზიაში და დაგმო ბრიტანეთის უმოქმედობა (Britannica, 2023). მეზობელი აფრიკული სახელმწიფოებიც პროტესტს გამოთქვამდნენ როდუზიაში არსებული სიტუაციის გამო და მოუწოდებდნენ გაერო-სა და ბრიტანეთს, ემოქმედათ შესაბამისად და დაემყარებინათ ისეთივე წესრიგი, რომელიც ყველა სუვერენული ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი.

თუმცა როდუზიას მოკავშირეებიც ჰყავდა. რამდენიმე მათგანი გაეროს წევრი იყო. მას განსაკუთრებით მხარს უჭერდნენ სამხრეთ აფრიკა და იმ დროს პორტუგალიის კოლონია მოზამბიკი, რომლებიც ახორციელებდნენ როდუზიასთან ვაჭრობას და ხელს უწყობდნენ ამ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის დასტაბილურებას. 1969 წელს რეფერენდუმის საფუძველზე მიღებული კონსტიტუციის მიხედვით, 1948 წლის აპართეიდის მსგავსად, კანონის სახე მიიღო სისტემურმა სეგრეგაციამ (კონსტიტუციას „თეთრი კაცის წესდება“ ეწოდა) და საბოლოოდ ჩანშობილ იქნა დემოკრატიული მმართველობის დამყარების ნებისმიერი შესაძლებლობა (Hull, 1976). როდუზიის სახელმწიფოს შექმნამდეც არსებობდა პოლიტიკური ერთობები და ბლოკები, რომელთა მიზანსაც ზიმბაბვეს დამოუკიდებლობა

---

<sup>1</sup> ტერმინი „ზიმბაბველი“ ეკუთვნის მაიკლ მავემას. იგი წარმოადგენდა როდუზიაში მცხოვრებ არათეთრთა (რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა შავი იყო) იდენტობის განმსაზღვრელ თვითსახელს, რომელიც იყო წინააღმდეგობის სიმბოლო, ხოლო შემდეგ ქვეყნისა და მისი ერის სახელადაც იქცა.

და კოლონიალური ტიპის მმართველობის დასრულება წარმოადგენდა. რეჟიმის ზეობისას მთავარ ძალებს „ერთიანი აფრიკული ეროვნული საბჭო“<sup>1</sup> და „ზიმბაბვეს აფრიკული ერთობის კავშირი“<sup>2</sup> წარმოადგენდა. იმისდა მიუხედავად, რომ როდუზიის თეთრი მოსახლეობა შეკავშირებული იყო და სამხედრო, საპოლიციო ძალების აღჭურვილობითა და კვალიფიკაციით გამოირჩეოდნენ, ისინი მაინც უმცირესობას წარმოადგენდნენ ქვეყანაში. მონაცემები გვიჩვენებს, რომ ჯერ კიდევ 1975 წლისთვის როდუზიის შესაძლებლობებსა და გასახორციელებელ ოპერაციებს შორის დიდი დისბალანსი ფიქსირდებოდა (Ellert and Anderson, 2020). ამ ყველაფრის გამომწვევ მიზეზებში შედის არამარტო მათი მცირერიცხოვნება, არამედ საერთაშორისო დაგმობა, სანქციები, ემბარგოები, მიმდინარე „ბუჩქის ომი“ პარტიზანებთან და სხვა ამდაგვარი პროცესები, რომელთა ზემოქმედების შედეგად 1979 წელს საბოლოოდ დაესვა წერტილი იან სმიტის თაოსნობით ჩამოყალიბებულ სეგრეგაციონალისტურ სახელმწიფოს, რომელსაც როდუზია ეწოდებოდა.

უნდა ითქვას, ორივე სახელმწიფო დაფუძნებული იყო რასობრივი სეგრეგაციის საფუძველზე შექმნილ სისტემაზე, რომელიც ცდილობდა სტატუს-კვოს შენარჩუნებას ნებისმიერ ფასად. იმისდა მიუხედავად, რომ ეს და სხვა მსგავსი მოტივები საერთო იყო ამ სახელმწიფოთათვის, გარკვეულწილად ისინი განსხვავდებოდნენ არა მარტო ისტორიით, რომელმაც ამ მდგომარეობამდე მიიყვანა ისინი, არამედ რეჟიმისა და მათთან დაკავშირებული კონფლიქტების სპეციფიკით.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ეკონომიკურად უფრო დიდ ძალას წარმოადგენდა არა მხოლოდ იმის გამო, რომ ფართობით უფრო დიდი სახელმწიფო იყო და ამასთანავე წიაღისეული რესურსების უფრო დიდი მარაგი გააჩნდა (თუმცა არც როდუზია ჩამორჩებოდა ამ თვალსაზრისით მას), არამედ იმის გამოც, რომ, როგორც ვახსენეთ, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას ჰქონდა ზღვაზე გასასვლელი. როდუზიისთვის ერთ-ერთი უმთავრესი უარყოფითი ფაქტორი ეს იყო. სწორედ ამის გამო იგი ეკონომიკური თვალსაზრისით ძალიან იყო დამოკიდებული მეზობელ მოზამბიკსა და სამხრეთ აფრიკაზე. იგივე მდგომარეობაში იყო სამდინარო ტრანსპორტის თვალსაზრისითაც, რადგან მდინარე ლიმპოპო სამხრეთ აფრიკაში იწყება და მოზამბიკის გავლის შემდეგ, ხოლო მდინარე ზამბეზი და სავა ასევე მოზამბიკის გავლის შემდეგ უერთდება ოკეანეს, რაც დამატებით დაბრკოლებებს ქმნიდა სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარებისთვის.

<sup>1</sup> United African National Congress (UANC).

<sup>2</sup> Zimbabwe African National Union (ZANU), შემდეგ სახელწოდებას დაემატა „პატრიოტული ფრონტი“ და გარდაიქმნა შემდეგი სახით - Zimbabwe African National Union – Patriotic Front.

უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ორივე სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენდა იყო თეთრთა ადამიანური რესურსის სიმწირე და მათი სიმცირე ქვეყნის მოსახლეობაში. შესაბამის მოცულობას შესაბამისი შედეგები მოჰყვა თითოეულ სახელმწიფოში, კერძოდ, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, სადაც მოსახლეობის 20% თეთრ რასას ეკუთვნოდა, რეჟიმი სტაბილური იყო. მიუხედავად 1990 წლისთვის ხვედრითი წილის 13%-მდე შემცირებისა (Chimere-dan, 1992) რეჟიმმა რამდენიმე წლით მაინც შეინარჩუნა სტატუს-კვო, თუმცა როდესაც ამ მხრივ მსგავს სახარბიელო მდგომარეობაში არ იყო. ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა არათეთრკანიანი იყო. სწორედ ამის გამო თეთრებს მუდმივი ომის მდგომარეობაში ცხოვრება უწევდათ ადგილობრივებთან, პროცესს, რომელსაც „ბუჩქის ომის“ სახელით ვიცნობთ. მართალია, რომ როდესაც სამხედრო ნაწილები მაღალკვალიფიციური და კარგად შეიარაღებულნი იყვნენ, თუმცა ეს საკმარისი არ იყო, რადგან პარტიზანული ომის დროს ეს უპირატესობა ნაკლებად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რაოდენობრივად 20-ჯერ მეტია შენი მოწინააღმდეგე. მსგავსი მაგალითები მრავლადაა მსოფლიო ისტორიაში, რომელთა შორის განსაკუთრებით ცნობილნი ნაპოლეონის ნახევარკუნძულის ომი, ვიეტნამისა და ავღანეთის ომებია.

რაოდენობრივ სხვაობაზე უფრო გადამწყვეტი კი ამ ორი სახელმწიფოსთვის სანქციები იყო, თუმცა ეს განსაკუთრებით მძიმე როდესაც ადმოჩნდა. სამხრეთ აფრიკას შეეძლო ბანტუებისა და სხვა არათეთრი მოსახლეობის ექსპლუატაცია და მათი საშუალებით ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება (თუმცა ამ წინსვლის მიღწევა საერთაშორისო სანქციების პირობებში ძალიან რთული იყო). ამას თან ერთვის ისიც, რომ სამხრეთ აფრიკა საერთაშორისო ასპარეზზე სუვერენულ სახელმწიფოდ იყო აღიარებული, მათ შორის ყოფილი კოლონიური ზედამხედველის, დიდი ბრიტანეთის, მიერ და სანქციებიც რეჟიმის წინააღმდეგ მხოლოდ 1960-იანი წლებიდან გახდა ინტენსიური, მაშინ როდესაც როდესაც არსებობა ეჭვქვეშ იდგა დამოუკიდებლობის თვითგამოცხადების გამო, იყო დიპლომატიურ იზოლაციაში და სანქციებიც, იქნებოდა ეს ეკონომიკური ემბარგო თუ ბლოკადა, მას შექმნისთანავე დაუწესდა. სწორედ ამ ყველაფრის გამო იყო, რომ 60-იან წლებში ქვეყნის ეკონომიკა სერიოზულად შეირყა და იმისდა მიუხედავად, რომ მოახერხა გარკვეული ეკონომიკური ზრდა 70-იანებში, მისი დღეები მაინც დათვლილი იყო. ამ შედარებითი ანალიზის შედეგად გვაქვს შესაძლებლობა ვთქვათ, რომ ზემოთ ხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით თითოეული სახელმწიფოს აღსასრული მხოლოდ დროის საქმე იყო და მომავალში აუცილებლად მოხდებოდა ეს, თუმცა ხელმისაწვდომ რესურსთა მოცულობა, იქნება ეს ადამიანური თუ მატერიალური, მაინც აძლევს სახელმწიფოსა თუ

რეჟიმს სიცოცხლის გახანგრძლივების საშუალებას, რაც გახდა კიდევ მიზეზი იმისა, თუ რატომ დაეცა ჯერ როდუზია და შემდეგ აპართეიდი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

მნიშვნელობა არ აქვს სახელმწიფოსა თუ რეჟიმს, დისკრიმინაციული პოლიტიკა ყოველთვის მსგავსი სახისა და მიზნების მქონეა ნებისმიერ შემთხვევაში. განსხვავება მხოლოდ საშუალებებშია. ჩვენს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში კარგად გამოჩნდა, რომ ამ სახელმწიფოთა, რეჟიმთა მახასიათებლები გარკვეულწილად ჰგავდნენ ერთმანეთს, მიზანიც საერთო ჰქონდათ, თუმცა განსხვავებები შესაძლებლობებში, მოცულობაში, არსებობისას მათ წინაშე არსებულ გამოწვევათა და საერთაშორისო ასპარეზზე მოპოვებულ ვალიდურობაში ამ ორს მაინც მკვეთრად განსხვავებულს ხდის. ამისდა მიუხედავად, ასევე უნდა გვქონდეს იმედიც იმისა, რომ ნებისმიერი სახის სირთულე ყოველთვის, ოდესღაც, მაინც დასრულდება. არც რიგით ზიმბაბველს ეგონა, რომ მათ ოდესმე შეეძლებოდათ იან სმიტის რეჟიმის დამხობა, არც ბანტუსტანების სისტემის ვერც ერთ წევრს წარმოედგინა, რომ აპართეიდი არათუ დასრულდებოდა, არამედ ამას შაკანნიანი პრეზიდენტის ხელისუფლების სათავეში მოსვლა მოჰყვებოდა. თუმცა, ეს ყოველივე შესაძლებელი გახდა. დიახ, მართალია, რომ ამ სახელმწიფოებს მრავალი პრობლემა დღემდე გააჩნიათ. განსაკუთრებით ზიმბაბვეს, რომელსაც მუგაბეს დიქტატურამ დიდი დიდი დაასვა, სამხრეთ აფრიკა კი დღემდე იბრძვის ეკონომიკური სიდუხჭირისა და კორუფციის წინააღმდეგ, თუმცა მნიშვნელოვანი ისაა, რომ ამ სახელმწიფოთა მოსახლეობამ მოახერხა გათავისუფლება და იმ რეჟიმთათვის წერტილის დასმა, რომლებიც მათ ოცნებისა და იმედის საშუალებასაც კი უზღუდავდა. თუმცა, სწორედ ოცნება და იმედი იქნება ის იარაღი, რომლითაც ეს ქვეყნები შეძლებენ მათი მდგომარეობის გამოსწორებასა და უკეთესი მომავლის შენებას.

## გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. Aaron, M., & Mutiti, B. (n.d.). Rhodesia and Her Four Discriminatory Constitutions. Retrieved July 7, 2024, from [https://journals.co.za/doi/pdf/10.10520/AJA00020117\\_159](https://journals.co.za/doi/pdf/10.10520/AJA00020117_159)
2. A brutal state of affairs: The rise and fall of Rhodesia – ACCORD. (2021, January 19). ACCORD. <https://www.accord.org.za/ajcr-issues/a-brutal-state-of-affairs-the-rise-and-fall-of-rhodesia/>
3. A history of Apartheid in South Africa | South African History Online. (2016). Sahistory.org.za. <https://www.sahistory.org.za/article/history-apartheid-south-africa>
4. Britannica, T. Editors of Encyclopaedia (2023, November 5). apartheid. Encyclopedia Britannica. <https://www.britannica.com/topic/apartheid>
5. Chimere-dan O. (1992). Apartheid and demography in South Africa. *Etude de la population africaine = African population studies*, (7), 26–36. <https://doi.org/10.11564/7-0-419>
6. CIA (Declassified on 17<sup>th</sup> May, 2001). Rhodesia Handbook. <https://www.cia.gov/readingroom/docs/CIA-RDP79-00891A000700060001-0.pdf>
7. Directorate of Intelligence (Declassified on 19<sup>th</sup> of April, 2006) Intelligence Memorandum – Rhodesia: Economic Progress Despite Sanctions. <https://www.cia.gov/readingroom/docs/CIA-RDP85T00875R001700040044-8.pdf>
8. Hull, R. W. (1976). The Conflict in Rhodesia. *Current History*, 71(421), 149–185. <http://www.jstor.org/stable/45314270>
9. McDougal, M. S., & W. Michael Reisman. (1968). Rhodesia and the United Nations: The Lawfulness of International Concern. *American Journal of International Law*, 62(1), 1–19. <https://doi.org/10.2307/2197519>
10. Milestones: 1989–1992 - Office of the Historian. (2023). State.gov. <https://history.state.gov/milestones/1989-1992/apartheid>
11. Nations, U. (2023). The Struggle against Apartheid: Lessons for Today's World | United Nations. United Nations; United Nations. <https://www.un.org/en/chronicle/article/struggle-against-apartheid-lessons-todays-world>
12. Sanger, C. William, Bradley, . Kenneth and Ingham, Kenneth (2023, December 11). Zimbabwe. Encyclopedia Britannica. <https://www.britannica.com/place/Zimbabwe>
13. Schmidt, E. (2023, October 30). Rhodesia's History Is a Lesson in the Difference Between Talking About Equality and Really Supporting It. *TIME*; Time. <https://time.com/6324696/rhodesia-minority-rule/>
14. Super User. (2023). Apartheid - Learn all about the history of Apartheid. Aamarchives.org. <https://www.aamarchives.org/history/apartheid.html>
15. Tiryakian, E. A. (1960). Apartheid and Politics in South Africa. *The Journal of Politics*, 22(4), 682–697. <https://doi.org/10.2307/2126928>



## 1992-1993 წლების აფხაზეთის ომი და საერთაშორისო მედია

მსოფლიო ისტორიაში მომხდარი ომებისა და კონფლიქტების კვლევისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო გამოხმაურებას და მედიის მიერ ამ თემის ირგვლივ მწვავე საკითხების გაშუქებას. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით საინტერესოა განვიხილოთ 1992-1993 წლების აფხაზეთის ომისა და საერთაშორისო მედიის ურთიერთმიმართება – თუ რა გამოხმაურება მოჰყვა ამ კონფლიქტს საერთაშორისო დონეზე და როგორ მოხდა მისი გაშუქება საზოგადოებაში უცხოური მედიის მხრიდან.

მოცემული საკითხის კვლევისათვის საინტერესოა განვიხილოთ სხვადასხვა მედიაპლატფორმებზე განთავსებული ნაშრომები, რომლებიც აღწერს 1992-1993 წლების აფხაზეთის ომს. ერთ-ერთი ასეთია „New York Times“-ის გაზეთში 1992 წლის 8 ოქტომბერს გამოქვეყნებული სტატია, „აფხაზეთი: პატარა ომი, დიდი რისკი“ (“Abkhazia: Small War, Big Risk”). აღსანიშნავია, რომ მოცემულ სტატიაში არაერთი ფაქტობრივი უზუსტობა ვლინდება. უპირველეს ყოვლისა, სტატიაში აფხაზები მოხსენიებულნი არიან, როგორც „თურქულენოვანი, ძირითადად მუსლიმური ჯგუფი“<sup>1</sup>, რაც ფაქტობრივი სიცრუეა და არ შეესაბამება სიმართლეს. გარდა ამისა, საყურადღებოა თავად სტატიის პათოსი და ტონიც, რომელშიც წერია: „საქართველო, რომელიც რუსეთს ადანაშაულებს ამ მუსულმანურ სახალხო ლაშქართან თანამშრომლობაში, ითხოვს ყველა რუსული სამხედრო ნაწილის გაყვანას“<sup>2</sup>. მოცემული წინადადების კონსტრუქციის მიხედვით, ერთი მხრივ, რუსეთს თითქოსდა „ადანაშაულებენ“ იმაში, რაც არ ჩაუდენია, მეორე მხრივ კი, აფხაზები გამოყვანილნი არიან რუსეთთან კოლაბორაციაში მყოფ მუსლიმურ ძალად. რასაკვირველია, სიცრუეა წინადადების ორივე ნაწილი, ვინაიდან რუსეთი იყო რეალური აგრესორი ძალა და არა მხოლოდ „ბრალდებული მხარე“, ხოლო აფხაზთა უმრავლესი ნაწილი სულაც არ შეადგენდა თურქული წარმოშობის მუსლიმურ ძალას.

საგულისხმოა ასევე Reuters-ის მიერ 1992 წლის 27 აგვისტოს გამოქვეყნებული სტატია, „მასობრივი მსხვერპლი საქართველოს ბრძოლაში“ (“Dozens Die in Georgia Battle”). პირველ

<sup>1</sup> „Native Abkhazians – a Turkic-speaking, mostly Muslim group – came under Georgian rule a millennium ago.“

<sup>2</sup> „Georgia, accusing Russia of collaboration with these Muslim militias, now demands the withdrawal of all Russian military units.“

რიგში, მოცემულ ნაშრომში ყურადღებას იქცევს თავად სტატიის სათაური, რომელშიც არც კი არის ნახსენები აგრესორი ძალა, რომელმაც განაპირობა ომის დაწყება. მეტიც, კონფლიქტი მოხსენიებულია „ბრძოლად“, რაც, სათაურის მიხედვით, ერთი შეხედვით, მკითხველს სამოქალაქო ომის შთაბეჭდილებას უქმნის, თუმცადა სინამდვილეში ეს კონფლიქტი გასცდა ბრძოლის ჩარჩოებს, ვინაიდან ეს ომი იყო მიზანმიმართული პროვოკაციის შედეგი აგრესორი რუსეთის მხრიდან, რომელმაც წააქეზა აფხაზური სეპარატისტული ძალები და გააღვივა შუღლი ქართველებსა და აფხაზებს შორის. აღსანიშნავია ისიც, რომ სტატიაში გვხვდება ნაწყვეტი განცხადებიდან – „აფხაზეთის კონფლიქტი შეიძლება გადაიზარდოს გრძელვადიან სისხლიან ომში, რომელიც მოიცავს საქართველოს და მთელ რეგიონს“<sup>1</sup>.

საინტერესოა ამ მედიაპლატფორმაზე 1992 წლის 15 აგვისტოს განთავსებული Reuters-ის კიდევ ერთი სტატია, „ქართული ჯარები ებრძვიან რეგიონის სეპარატისტებს“ (“Georgian Troops Fight A Region’s Separatists”). სტატიაში ნახსენებია, რომ დაიღუპა სულ მცირე ხუთი ქართველი და განადგურდა მათი რამდენიმე ტანკი შავი ზღვის კურორტის რამდენიმე რაიონში საბრძოლო მოქმედებების შედეგად. თუმცადა, რაც ყველაზე შესამჩნევია, არის ის, რომ მთელ სტატიაში ნახსენებიც კი არ არის რუსეთი. ამ შემთხვევაში მედიაში არა მხოლოდ უგულვებლყოფილია რუსეთის, როგორც აგრესორის როლი, არამედ ის არც კი იკვეთება როგორც აქტორი – კონფლიქტი წარმოდგენილია ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის დაპირისპირებად, რომელსაც მოჰყვა დიდი მსხვერპლი. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს უცხოური მედიის მხრიდან ფაქტების დამახინჯების შემთხვევით მცდელობაზე, რომელიც ნებისით თუ უნებლიეთ რუსული ნარატივის წისქვილზე ასხამს წყალს.

აღსანიშნავია ბრიტანული პრესის მასალებიც. The Scotsman-ის მიერ 1998 წლის 16 ივნისს გამოქვეყნებული სტატია ცხადყოფს, რომ აფხაზეთის ომი არ გაშუქებულა ისეთი ინტენსივობითა და სიმწვავეთ, როგორც ის სინამდვილეში იყო. ეს დასტურდება მის სათაურშივე – „კონფლიქტი, რომელიც მსოფლიომ უყურადღებოდ დატოვა“ (“Conflict that the world has ignored”). სტატიაში განსაკუთრებით საყურადღებოა ერთი წინადადება: „შემთხვევით, რამდენიმე ყველაზე სისხლიანი ბრძოლა იუგოსლავიის ომებში დაემთხვა თავდაპირველ კონფლიქტს საქართველოსა და აფხაზეთს შორის 1992-1993 წლებში“<sup>2</sup>. რასაკვირველია, მთავარი უზუსტობა და მწვავე შეცდომაა სიტყვათა მიმართება „კონფლიქტი საქართველოსა და აფხაზეთს შორის“. საქართველო იმთავითვე მოიცავს

<sup>1</sup> "The Abkhazian conflict can grow into a long-term bloody war that will engulf Georgia and the entire region."

<sup>2</sup> "By chance, some of the bloodiest fighting in the Yugoslavian wars coincided with the original conflict between Georgia and Abkhazia between 1992 and 1993."

აფხაზეთს, ვინაიდან კუთხე ისტორიულად არის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული ნაწილი. ამ შემთხვევაში ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებული დაპირისპირება მცდარად არის ჩამოყალიბებული და კიდევ ერთხელ, სრულიად უგულებელყოფილია რუსეთის, როგორც მთავარი აგრესორისა და პროვოკატორის როლი ამ კონფლიქტში. როგორც ვხედავთ, უცხოურ მედიაში საკმაოდ აქტუალური იყო ამ ომის მსგავსი ტენდენციით გაშუქება, რაც უმთავრესად, დიდი ალბათობით, ინფორმაციული ვაკუუმის ბრალი უნდა ყოფილიყო. მეტიც, იმას, რომ აფხაზეთის ომი არ ყოფილა მწვავე განხილვის საგანი და არ გაშუქებულა აქტუალურად საერთაშორისო მედია სივრცეში ადასტურებს კიდევ ერთი ფრაზა მოცემული სტატიიდან: „ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ ძალიან ცოტამ იცის საქართველოს შესახებ, რომ აღარაფერი ვთქვათ აფხაზეთის შესახებ. სახელის დაბალი ცნობადობა ნიშნავს დაბალ საინფორმაციო ღირებულებას და, შესაბამისად, მედიის დაბალ ზეწოლას პოლიტიკოსებზე მოქმედებისკენ“<sup>1</sup>.

საინტერესოა კიდევ ერთი სტატია, Irish Independent-ის მიერ 1993 წლის 20 მარტს გამოქვეყნებული „ომის შიში საქართველოში რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ“ (“War fears in Georgia after missile downs Russian plane”). სტატიაში აღნიშნულია: „საქართველომ დაადანაშაულა რუსული ჯარები აფხაზეთში სეპარატისტთა მხარდაჭერაში, რომლებმაც უკან დაიხიეს ამ კვირაში რეგიონის დედაქალაქის, სოხუმის ალების მცდელობის შემდეგ. მაგრამ რუსეთი ამბობს, რომ მისი ძალები ნეიტრალურია კონფლიქტში, რომელსაც აგვისტოდან რამდენიმე ასეული ადამიანი ემსხვერპლა“<sup>2</sup>. საინტერესოა, რომ ბრიტანული და ირლანდიური მედიაც, ამერიკულის მსგავსად, როგორც უკვე ერთ-ერთ ზემოხსენებულ ნაშრომში გამოვლინდა, რუსეთს არ გამოკვეთს მკაფიო აგრესორად და მას მხოლოდ „საქართველოს მხრიდან ბრალდებულად“ მიიჩნევს, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ საერთაშორისო მედიაში ძალიან მწირი იყო რეალურად ზუსტი და ავთენტური ცნობები ამ ომის შესახებ, რაც იწვევდა ინფორმაციის ნაკლებობასა და მისინტერპრეტაციას.

უნდა აღინიშნოს ასევე Belfast News-Letter-ის 1992 წლის 2 სექტემბრის სტატია, „ჯარისკაცები იღუპებიან დაბომბვის შედეგად“ (“Soldiers die in missile attack”). მოცემულ ნაშრომში ნახსენებია შემდეგი წინადადება: „ინციდენტმა ხაზი გაუსვა იმ საფრთხეს, რომ

---

<sup>1</sup> „Very few people outside the former Soviet Union know anything about Georgia, let alone Abkhazia. Low name recognition means low news value, and thus low media pressure on politicians to act.”

<sup>2</sup> “Georgia has accused Russian troops in Abkhazia of backing separatists who were driven back after trying to storm the regional capital Sukhumi this week. But Russia says its forces are neutral in the conflict, which has killed several hundred people since August.”

რუსული ძალები, რომლებიც მოწინააღმდეგე ეთნიკურ ჯგუფებს შორის შეტაკებაში აღმოჩნდნენ, შეიძლება ჩათრეულ იყვნენ ომში, რომელშიც დაახლოებით 130 ადამიანი დაიღუპა სამ კვირაზე ნაკლებ დროში<sup>1</sup>. ბუნებრივია, ეს წინადადება აშკარა რუსული ნარატივის ნაწილია, რომელიც დასავლურ მედიაში იმ დროს გაღვივებული ინფორმაციის ნაკლებობისა და დუბინფორმაციის ზეიმის გამო ჩამოყალიბდა. პირველ რიგში, რუსეთი არ ყოფილა ქართველებსა და აფხაზებს შორის შეტაკებაში თითქოსდა „შემთხვევით“ აღმოჩენილი მხარე, რუსეთი იყო რეალური აგრესორი ძალა, რომელმაც არა მხოლოდ გააღვივა, არამედ თავადვე ჩაუყარა საფუძველი ამ ეთნიკურ კონფლიქტს. შესაბამისად, მისი მოხსენიება „დაპირისპირებაში ჩათრეულ ძალად“ სხვა არაფერია თუ არა მიზანმიმართული რუსული პროპაგანდის ნაწილი, რომელმაც, ინფორმაციული ვაკუუმისა და ფაქტების დაუზუსტებლობის გამო, უნებლიეთ დასავლურ მედიაშიც მოიკიდა ფეხი.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, თუ როგორ შექდებოდა მედიაში ამ პერიოდში საქართველოს ხელისუფლების ქმედებები თუ განცხადებები. მაგალითად, საგულისხმოა The Scotsman-ის მიერ 1993 წლის 26 ივლისს გამოქვეყნებული სტატია, „შევარდნაძე მიესალმება საქართველოს შეთანხმებას აფხაზ მემბოხებთან“ (“Shevardnadze hails Georgia truce with Abkhazia rebels”), რომელიც ეხება იმდროინდელი სახელმწიფო საბჭოს ლიდერის, ედუარდ შევარდნაძის პოზიციას ომთან დაკავშირებით. სტატიაში ციტირებულია შევარდნაძის სიტყვები: „ომის დასასრული ჩემს ქვეყანაში უკვე ისედაც გამარჯვებაა“<sup>2</sup>. მოცემული ფრაზა კარგად გამოხატავს იმდროინდელი ხელისუფლების შემართების საკმაოდ დაბალ დონესა და მოქმედების ტემპს.

გარდა ამისა, საინტერესოა ამერიკელი ჟურნალისტის, სერჟ შემმანის 1992 წლის 5 ოქტომბრის სტატია New York Times-ის გაზეთში, „საქართველოში მოსალოდნელი დაპირისპირება მშვიდობის მცდელობებს ემუქრება“ (“Looming Confrontation in Georgia Threatens Peace Efforts”), რომელშიც ციტირებულია ედუარდ შევარდნაძის სიტყვები: „მოვლენები ისე ვითარდება, რომ ბევრი რამ არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რას გავაკეთებ“<sup>3</sup>. ვფიქრობ, მოცემული ფრაზა მკაფიოდ გამოკვეთს საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების ლიდერის უიმედო, მოტივაციადაკარგულ და სასოწარკვეთილ განწყობილებას აფხაზეთის ომის მიმართ. შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ უცხოურ მედიაპლატფორმებზე მრავლობს სტატიები, რომლებშიც იკვეთება ჩვენი

<sup>1</sup> The incident highlighted the danger that Russian forces, caught in the crossfire between rival ethnic groups, could get dragged into a war in which about 130 people have been killed in less than three weeks.

<sup>2</sup> „The end of the war in my own country is already a victory“.

<sup>3</sup> "Events are developing in such a way that not much depends on what I do."

ქვეყნის მაშინდელი ხელისუფლების შედარებით პასიური, ნიჰილისტური და იმედდაკარგული დამოკიდებულება არსებული კონფლიქტისადმი.

ამგვარად, მოცემული სტატიების გაანალიზების საფუძველზე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ომი საერთაშორისო მედიაში არ გაშუქებულა აქტიურად როგორც რუსეთის მხრიდან აგრესია და რუსეთი არ მოხსენიებულა მთავარ „აგრესორად“. ამას რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს, თუმცაღა ერთ-ერთი მთავარი, შეიძლება ითქვას, იყო რეგიონალური უსაფრთხოების საკითხი. რუსეთი ამტკიცებდა, რომ მისი ჩართულობა კონფლიქტში განპირობებული იყო რეგიონული უსაფრთხოების საკითხით. სამხრეთ კავკასიაში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის არსებობა და რეგიონში არასტაბილურობის პოტენციური რუსეთის ჩართულობის მიზეზად ხშირად დასახელდა, რაც, რუსეთის ქმედების მხარდამჭერებისა და პროპაგანდისტების მტკიცებით, იყო არა აგრესიული, არამედ თავდაცვითი ნაბიჯი. გარდა ამისა, დასრულებული ცივი ომის პირობებში, რუსეთის ხელისუფლებასთან დაახლოების ფონზე, დასავლეთის პოლიტიკური ლიდერებისთვისაც არ იყო მისაღები რუსეთის ღიად დადანაშაულება მეზობელი ქვეყნისადმი აგრესიაში.

მეორე მხრივ, როგორც უკვე აღვნიშნე, დასავლურ მედიაში შეინიშნებოდა ცნობიერების ნაკლებობა ამ ისტორიული კონფლიქტის სწორ გაგებასთან დაკავშირებით, რაც გამოწვეული იყო ფაქტების უცოდინრობით და არასწორი ინტერპრეტაციით. ამასთან ერთად, იმ დროისათვის საზოგადოებაში საკმაოდ გავრცელებული „პატარა ერების მსხვერპლად მიჩნევის“ ტენდენცია ხელს უშლიდა რუსეთის აგრესორად წარმოჩენას და პრორუსული ნარატივის გაღვივების ფონზე მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო მედიის მიერ ამბების ნაკლებად და არასწორად გაშუქებაში გარკვეული როლი მიუძღვის საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების შედარებით პასიურ პოზიციასაც, რაც მკაფიოდ გამოიხატა ზემოთ განხილული უცხოური სტატიების მაგალითზეც.

ამდენად, მოცემული მედია მასალის გაანალიზების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ 1992-1993 წლის აფხაზეთის ომის დროს საქართველომ ვერ მოახერხა საინფორმაციო ომის მოგება და სწორი, ზუსტი ისტორიული ფაქტების გაშუქებით საკუთარი სიტყვის გატანა საერთაშორისო ასპარეზზე. დღევანდელი გადმოსახედიდან, თუკი აფხაზეთის ომისადმი მედია გამოხმაურებას შევადარებთ 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის გაშუქებას, რომ არაფერი ვთქვათ ამჟამად მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომზე, ნათლად ჩანს, რომ დღეს რუსეთი დაუფარავად, მთელი სიცხადით ვლინდება აგრესორ ძალად, რომელიც ლახავს სხვა ქვეყნების სუვერენიტეტს. ამის საფუძველზე, ვფიქრობ, 1992-1993 წლებში

აფხაზეთის ომსაც მსგავსად აქტიური გამოხმაურება და მედიის მხრიდან მწვავე რეაგირება რომ მოჰყოლოდა, საქართველო უკეთ შეძლებდა საკუთარი სიმართლის დამტკიცებას საერთაშორისო ასპარეზზე და საინფორმაციო ომის მოგებას.

### **გამოყენებული ლიტერატურის სია:**

1. "Abkhazia: Small War, Big Risk", The New York Times, October 8, 1992, Section A, p. 34.  
<https://www.nytimes.com/1992/10/08/opinion/abkhazia-small-war-big-risk.html?searchResultPosition=1>
2. "Dozens Die in Georgia Battle", by Reuters, The New York Times, August 27, 1992, Section A, p. 12.  
<https://www.nytimes.com/1992/08/27/world/dozens-die-in-georgia-battle.html?searchResultPosition=2>
3. "Georgian Troops Fight A Region's Separatists", by Reuters, The New York Times, August 15, 1992, Section 1, p. 3.  
<https://www.nytimes.com/1992/08/15/world/georgian-troops-fight-a-region-s-separatists.html?searchResultPosition=5>
4. "Conflict that the world has ignored", The Scotsman, 16 June 1998, p. 17.  
<https://www.britishnewspaperarchive.co.uk/viewer/bl/0000540/19980616/174/0017>
5. "War fears in Georgia after missile downs Russian plane", Irish Independent, 20 March 1993, p. 9.  
<https://www.britishnewspaperarchive.co.uk/viewer/bl/0001715/19930320/142/0009>
6. "Soldiers die in missile attack", Belfast News-Letter, 2 September 1992, p. 2.  
<https://www.britishnewspaperarchive.co.uk/viewer/bl/0005119/19920902/007/0002>
7. "Shevardnadze hails Georgia truce with Abkhazia rebels", The Scotsman, 26 July 1993, p. 7.  
<https://www.britishnewspaperarchive.co.uk/viewer/bl/0000540/19930726/105/0007>
8. "Looming Confrontation in Georgia Threatens Peace Efforts", by Serge Schmemmann, The New York Times, October 5, 1992, Section A, p. 3.  
<https://www.nytimes.com/1992/10/05/world/looming-confrontation-in-georgia-threatens-peace-efforts.html?searchResultPosition=9>

## **ანანო არველაძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## **მარიამ დოლიაშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

### **შვედეთის პარტიული და საზოგადოებრივი ევროსკეპტიციზმი**

არავინ დაობს, რომ ევროკავშირის ადგილი მსოფლიო პოლიტიკის ფორმირებაში დიდია. ის, როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიკური და დიპლომატიური ძალა ცდილობს მსოფლიოში კონფლიქტების მოგვარებას, მშვიდობასა და მულტილატერალიზმს შეუწყოს ხელი. თუმცა, რაც დრო გადის, ევროკავშირში მიმდინარე პროცესები სულ უფრო კომპლექსური ხდება. განსაკუთრებით კი - ევროსკეპტიკური შეხედულებების გავრცელების ფონზე.

ევროსკეპტიციზმი, როგორც ფენომენი, შეიძლება ითქვას, რომ უკვე დიდი ხანია რაც არსებობს; მაგალითად, ჯერ კიდევ 1954 წელს საფრანგეთში, როდესაც ევროკავშირიც არ არსებობდა, არამედ მისი წინამორბედი „ევროპის ეკონომიკური გაერთიანება“, „ევრატომი“ და „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება“ იყო, ფედერალური ევროპის იდეის წინააღმდეგ კოალიციას კრავენ ნაციონალისტები და კომუნისტები, ორი საპირისპირო ფრთა. თუმცა, დროთა განმავლობაში, ევროსკეპტიციზმი მარგინალურიდან მეინსტრიმულ ფენომენად იქცა. ეს პროცესი რამდენიმე მოვლენამ განაპირობა, უპირველესად კი - 1992 წელს მასტრიხის ხელშეკრულებამ. მასტრიხის ხელშეკრულების მიხედვით, უკვე ოფიციალურად შეიქმნა ევროკავშირი - ორგანიზაცია, რომელიც უკვე არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკურიცაა, რაც პოლიტიკური ელიტისთვისა და საზოგადოების ნაწილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ამას ემატება 2004 წლის აღმოსავლეთის გაფართოება და ორგანიზაციაში ყოფილი სოციალისტური ბანაკის წევრი ქვეყნების მიღება, რაც ახალი წევრების განვითარებისთვის ე.წ „ძველი ევროპის მხრიდან“ დამატებითი თანხების გამოყოფას გულისხმობდა. ასევე თავს იჩენდა მიგრაციის პრობლემები და სოციო-კულტურული მიუღებლობა. 2009 წლის ევროზონისა და 2015 წლის მიგრანტთა კრიზისების სიტუაციას უფრო მეტად ამძიმებს, ხოლო 2016 წელს „ბრექსიტის“ დროს საკითხის მნიშვნელობა უკვე კულმინაციას აღწევს. დღეს, თითქმის ყველა

ევროკავშირის წევრი ქვეყნის პარლამენტში მოიძებნება ევროსკეპტიკურად განწყობილი პარტია, ზოგიერთ მათგანში - ისინი ყველაზე დიდი მხარდაჭერით სარგებლობენ. (ტაბატაძე, 2023)

აქედან გამომდინარე, მივიჩნევთ, რომ აუცილებელია ევროსკეპტიკური განწყობების შესწავლა ცალკეულ ქვეყნებში (განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოსაც სურს იყოს ორგანიზაციის წევრი). ამ შემთხვევაში, არჩევანი შევაჩერეთ შვედეთზე, ერთი შეხედვით ჩუმ, თუმცა ერთ-ერთ ძალიან ევროსკეპტიკურ ქვეყანაზე.

შვედეთში ევროსკეპტიკური განწყობების ზრდაზე ყურადღების გამახვილება აუცილებელია, რადგან:

- ❖ ევროსკეპტიკურად განწყობილი შვედეთი გავლენას ახდენს თავად ევროპულ პროექტზე. ევროკავშირის პოლიტიკის ფორმირებაში შვედეთს, როგორც ძველი ევროპის ნაწილს, დიდი მნიშვნელობა აქვს. შესაბამისად, შვედეთში ევროსკეპტიციზმის მასშტაბების ზრდა პირდაპირ აისახება ევროკავშირის სტაბილურობაზე;

- ❖ ევროსკეპტიციზმი მთელს ევროპაში ფეხს იკიდებს. შვედეთში ევროსკეპტიკური განწყობების ზრდამ და მსგავსად განწყობილი პოლიტიკური პარტიების წარმატებამ შესაძლოა იმპულსი მისცეს სხვა ქვეყნებს (განსაკუთრებით - ნორდიკულ რეგიონში), იყვნენ ასევე ევროსკეპტიკურები. ყოველივე ეს კი ევროპულ ინტეგრაციას უქმნის საფრთხეს;

- ❖ მიგრანტთა კრიზისისა და აღმოსავლეთის გაფართოებით გამოხატული ევროსკეპტიციზმი ხელს შეუშლის ორგანიზაციის შემდგომ გაფართოებებს, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება უშუალოდ ჩვენზეც, როგორც ევროკავშირში გაწევრიანების მსურველ ქვეყანაზეც.

კვლევის მიზანია წარმოვაჩინოთ, თუ რა ახასიათებს შვედურ ევროსკეპტიციზმს, რა არის მისი გამომწვევი მიზეზები და არის თუ არა კორელაციაში შვედური საზოგადოებრივი და პარტიული ევროსკეპტიციზმი.

ევროპული პოლიტიკის მუდმივად განვითარებად ლანდშაფტში შვედეთის ადგილი მნიშვნელოვანია. ქვეყანა საპარლამენტო მონარქიაა. მას საკანონმდებლო დონეზე წარმოადგენს ერთპალატიანი პარლამენტი - რიქსდაგი, რომელსაც ირჩევენ ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ პროპორციული სისტემით. პარლამენტში სულ 349 ადგილია. ბოლო საპარლამენტო არჩევნები შვედეთში 2022 წლის 11 სექტემბერს ჩატარდა, სადაც ხმების ყველაზე დიდი რაოდენობა (30.33%) მიიღო შვედეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ. თუმცა, მას მთავრობაში წარმომადგენელი არ ეყოლება. სამთავრობო კოალიცია შეკრეს ქრისტიან-დემოკრატებმა, ლიბერალური პარტიისა და ზომიერების პარტიის




წარმომადგენლებმა. საბოლოო ჯამში, მანდატების მიხედვით, დღეს ასე გამოიყურება რიქსდაგი (ფიგურა. 1 და 2) (Sweden — National parliament voting intention, 2023):

ფიგურა 1

წყარო: <https://www.politico.eu/europe-poll-of-polls/sweden/>

პარტიის სახელწოდება	იდეოლოგია	პოლიტიკური პოზიცია	2022 წლის შედეგები	
			ხმების რაოდენობა (%)	მანდატები
შვედეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია	სოციალ-დემოკრატია	მემარცხენე-ცენტრიზმი	30.33%	107
შვედი დემოკრატები	მემარჯვენე პოპულიზმი	მემარჯვენეობა, ულტრამემარჯვენეობა	20.54%	73
„ზომიერი“ პარტია	ლიბერალური კონსერვატიზმი	მემარჯვენე-ცენტრიზმი	19.10%	68
მემარცხენე პარტია	სოციალიზმი	მემარცხენეობა	6.75%	24
ცენტრისტუ	ლიბერალი	ცენტრიზმი,	6.7	24



ლი პარტია	ზმი	მემარჯვენე-ცენტრიზმი	1%	
ქრისტიან- დემოკრატები	ქრისტიან- დემოკრატია	მემარჯვენე- ცენტრიზმი, მემარჯვენეობა	5.3 4%	19
მწვანეთა პარტია	მწვანე პოლიტიკა	მემარცხენე- ცენტრიზმი	5.0 8%	18
ლიბერალე ბი	კონსერვატი ული ლიბერალიზმი	მემარჯვენე- ცენტრიზმი	4.6 1%	16

ფიგურა 2

წყარო: <https://www.riksdagen.se/en/members-and-parties/>


1995 წლიდან ქვეყანა ევროკავშირის წევრია და თავის შეაქვს წვლილი ორგანიზაციის განვითარებაში. გაწევრიანების პერიოდისთვის, შვედი მოსახლეობის დამოკიდებულება ევროკავშირისადმი დადებითი იყო, რასაც მოწმობს კიდევ 1994 წლის რეფერენდუმის შედეგები, რის საფუძველზეც შვედეთი გაწევრიანდა ევროკავშირში. თუმცა ეს არ ყოფილა აბსოლუტური მხარდაჭერა: მოსახლეობის 47% ორგანიზაციის წევრობის წინააღმდეგი იყო (Swedes Vote in Referendum To Join the European Union, 1994). ასე რომ, ამ პერიოდიდანვე მოსახლეობის დიდი ნაწილი, შეიძლება ითქვას, უკვე ევროსკეპტიკურად იყო განწყობილი. თუმცა, შვედური ევროსკეპტიციზმის აკვანი პირველად 1998 წელს დაირწა, როდესაც მემარცხენე პარტიამ არჩევნებში მესამე ადგილი დაიკავა და დიდი როლი ითამაშა კოალიციური მთავრობის ფორმირებაში. უკვე მიგრანტთა და ევროზონის კრიზისების შემდეგ ევროსკეპტიციზმი შვედურ საზოგადოებაში პოლიტიკურ მეინსტრიმად იქცა, რაც აისახა საპარლამენტო შემადგენლობაზეც.

### პარტიული და საზოგადოებრივი ევროსკეპტიციზმი

#### ულტრა-მემარცხენე/მემარჯვენე პარტიები

შვედეთის პარტიულ ევროსკეპტიციზმს მეტწილად ორი პარტია განაპირობებს: „მემარცხენე პარტია“ და მემარჯვენე „შვედი დემოკრატები.“ მაშინ, როდესაც უკანასკნელი დღეს ყველაზე გავლენიანი ევროსკეპტიკური ძალაა შვედეთში, მემარცხენეთა რეიტინგი კლებულობს, ვინაიდან ისინი სულ უფრო ნაკლებად ჰპასუხობენ ამომრჩეველთა


მოთხოვნებს. აღსანიშნავია, მემარცხენე პარტია (2003წ.) იყო ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე შვედეთის „ევროზონაში“ შესვლის. ისინი ითხოვდნენ რეფერენდუმს, შედეგად მოსახლეობის 55.9%-მა „შვედური კრონის“ შენარჩუნება არჩია. აგრეთვე, პარტიის ლიდერი იონას სიომტედტი არ უჭერდა მხარს 2013 წელს დაწყებული „ტრანსატლანტიკური სავაჭრო და საინვესტიციო (TTIP)“ სისტემის შექმნას ევროკავშირისა და აშშ-ს ეკონომიკური დაახლოების თაობაზე, 2016 წელს კი TTIP-ის შექმნაზე არსებული საუბარი შეწყდა (Mundus-Internatioanal.29Nov.2016).



ფიგურა 3

წყარო: <https://www.jstor.org/stable/45084400>

1998 წლის არჩევნების შემდგომ მემარცხენე პარტიის მხარდამჭერთა რაოდენობამ იკლო, მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ შვედეთის პოლიტიკური ასპარეზი ევროენთუზიასტებს დარჩათ. ერთ დროს ხისტმა „შვედმა დემოკრატებმა“ ევროსკეპტიციზმი მარგინალური თეორიიდან მეინსტრიმად აქცია, რამაც, მათდა სასარგებლოდ, ასახვა შვედეთის ბოლო ოთხ საპარლამენტო არჩევნებში პოვა. გარდა ამისა, 2022 წელს სამთავრობო კოალიციის ფორმირებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის. მათი მზარდი რეიტინგი ეროვნულ სუვერენიტეტზე და მიგრაციულ პოლიტიკაზე დაყრდნობილ პროგრამას უკავშირდება, რაც მათი ლიდერის, ჯიმი აკესონის საარჩევნო სლოგანშიც კარგად ჩანს: „შვეინარჩუნოთ შვედეთი შვედებით“ (Monde, 2022).



ფიგურა 4

წყარო: <https://www.politico.eu/europe-poll-of-polls/sweden/>


**„შვედი დემოკრატების“ რიტორიკა და საზოგადოებრივი ევროსკეპტიციზმი,  
როგორც 2015 წლის მიგრანტთა კრიზისის პასუხი**

„შვედი დემოკრატები“ უმთავრესად ევროკავშირის ლიბერალურ საიმიგრაციო პოლიტიკას აკრიტიკებენ, მიაჩნიათ, რომ იგი შვედეთში კრიმინალის ზრდასა და მრავალკულტურული საზოგადოების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. პარტიის ლიდერი ჯიმი აკესონი შექმნილ ვითარებას მსგავსად აღიქვამს: „კრიმინალი მიგრანტები, რომლებიც სარგებლობენ ორმაგი მოქალაქეობით, ანადგურებენ შვედთა რეპუტაციას (EuropeanConservative.Oct.11.2023).“ აკესონი მთავარ საიმიგრაციო პრობლემად ქვეყანაში მუსლიმთა შემოსვლას ასახელებდა, რაც 2011 წლის „არაბული გაზაფხულიდან“ დაიწყო და გაგრძელდა 2015–2016 წლების მიგრანტთა კრიზისამდე. მსგავსი რიტორიკით ის და მისი პარტია „ისლამოფობიაში“ დაადანაშაულებს, მისი შეხედულებები ნაცისტურ იდეალებს დაუახლოვეს (თანაც, თავდაპირველად „შვედი დემოკრატები“ ნეო–ნაცისტურ ძალად აღიქმებოდა). თუმცა, აკესონის პარტია არ არის ერთადერთი, რომელიც მუსლიმთა განუწყვეტლივ შემოდინებას ეწინააღმდეგება. „ქრისტიან–დემოკრატები“ ახლანდელი სამთავრობო კოალიციის წევრნი არიან და მიაჩნიათ, რომ მუსლიმებს საჯარო ადგილებში არ უნდა ჰქონდეთ ლოცვის შესაძლებლობა. გარდა ამისა, ორივე ამ პარტიას ახასიათებს მულტიკულტურალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.


ფიგურა 5

წყარო: <https://www.scb.se/en/finding-statistics/statistics-by-subject-area/democracy/general-elections/general-elections-results/>

ზოგადად ნორდიკულ ქვეყნებში ბოლო ათ წელში საგრძნობლად შემცირდა მიგრანტების მიღება. მთავარ მიზეზებად მათი რთულად ინტეგრირება, ცხოვრების დონისა და ეკონომიკური წყობის გაუარესების ტენდენცია სახელდება. (Bilefsky, 2016).



2021 წლისთვის შვედეთი ხდება ყველაზე თავშეკავებული ქვეყანა იმიგრაციის კუთხით (იხილეთ ფიგურა 6). (Zandt, 2022)



ფიგურა 6

წყარო: <https://www.statista.com/chart/27073/countries-with-the-highest-share-of-respondents-seeing-immigration-as-an-important-issue/>


შვედი მოსახლეობის დამოკიდებულება ჩანს ულტრამემარჯვენე პარტიათათვის ხმის მიცემის ზრდასა და ევროკავშირთან დამოკიდებულებაში. თუმცა, როგორ მივიდა შვედეთი ამ მდგომარეობამდე?


2015 წლის მიგრანტთა კრიზისმა გაზარდა ანტი-ევროპულ, ულტრამემარჯვენე/მემარცხენე პარტიათა მხარდაჭერა. შვედეთში აღნიშნულმა ასახვა პოვა 2016 წელს, როდესაც მიგრანტთა რაოდენობამ 163000 ადამიანს მიაღწია (*Sweden: Immigration 2022, 2023*).

ფიგურა 7

წყარო: <https://www.statista.com/statistics/523293/immigration-to-sweden/>

ჩვენს მიერ შედგენილ გრაფიკებში ცხადად ჩანს კავშირი შვედების მიერ ულტრამემარჯვენე პარტიათა (კონკრეტულად შვედი დემოკრატების) მხარდაჭერის ზრდასა და მიგრანტების რაოდენობის მატებასთან (იხილეთ ფიგურა 7 და 8). მაგ: შვედ დემოკრატებს ყველაზე მეტი მხარდამჭერი მოემატათ 2014 წლის არჩევნებიდან 2016 წლის 9 იანვრის ჩათვლით - 9 პროცენტი, (*POLITICO Poll of Polls — Swedish Polls, Trends and Election News for Sweden – POLITICO, n.d.*), სწორედ ამ დროის შუალედში მიიღო შვედეთმა ყველაზე მეტი მიგრანტიც.





ფიგურა 8

წყარო: <https://www.politico.eu/europe-poll-of-polls/sweden/>






























2015 წლის ევრობარომეტრი გვიჩვენებს, რომ ევროკავშირის დონეზე შვედეთის მოსახლეობის თითქმის ნახევარი აღიქვამს მიგრაციას ყველაზე მწვავე პრობლემად (ფიგურა 9).

მიუხედავად არსებული დამოკიდებულებისა, კითხვაზე „ეწეება თუ არა უკეთესი მომავალი ქვეყანას ევროკავშირის გარეთ?“ ( ფიგურა 10) - შვედეთის მოსახლეობის უმრავლესობა არ ეთანხმება (European Union, 2015, T84) - აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შვედეთის მოსახლეობა არ ეთანხმება ევროკავშირის მიერ გატარებულ პოლიტიკურ კურსს სხვადასხვა საკითხებთან მიმართებით, თუმცა ევროკავშირი მათთვის უფრო მეტ სარგებელთან ასოცირდება ვიდრე პრობლემასთან, ამიტომაც არ სურთ ევროკავშირიდან გამოსვლა. მეგვიძლია ვთქვათ, რომ შვედეთის მოსახლეობა რეჟიმის სკეპტიკოსებია.

QA5 A votre avis, quels sont les deux problèmes les plus importants auxquels doit faire face l'UE actuellement ? (ROTATION – MAX. 2 REPOSES)

QA5 What do you think are the two most important issues facing the EU at the moment? (ROTATE – MAX. 2 ANSWERS)

QA5 Was sind Ihrer Meinung nach die beiden wichtigsten Probleme, denen die EU derzeit gegenübersteht? (ROTIEREN - MAX. 2 NENNUNGEN)

	%	L'immigration		Les retraites/ les pensions		L'environnement		L'approvisionnement en énergie		Le changement climatique		Autre (SP.)		Aucun (SP.)		NSP	
		Immigration		Pensions		The environment		Energy supply		Climate change		Other (SP.)		None (SP.)		DK	
		Einwanderung		Renten		Umwelt		Energieversorgung		Klimawandel		Sonstige (SP.)		Nichts davon (SP.)		WN	
		EB	Diff. EB	EB	Diff. EB	EB	Diff. EB	EB	Diff. EB	EB	Diff. EB	EB	Diff. EB	EB	Diff. EB	EB	Diff. EB
		83.3	82.3	83.3	82.3	83.3	82.3	83.3	82.3	83.3	82.3	83.3	82.3	83.3	82.3	83.3	82.3
 EU 28		38	14	4	0	5	-1	4	-2	6	-1	2	0	1	0	6	-1
 BE		39	18	9	-1	7	-1	4	-6	6	-4	1	0	0	0	3	0
 BG		37	2	2	0	6	2	8	-2	6	1	1	0	1	0	15	0
 CZ		44	18	3	-4	5	-1	3	-4	4	-1	0	-1	0	-1	3	-2
 DK		50	18	1	1	8	-6	3	-2	14	-11	5	0	0	-1	2	1
 DE		55	18	2	-1	4	-2	4	-3	7	-1	2	1	0	0	3	0
 EE		54	30	3	0	3	-1	5	-14	1	-1	2	-1	1	1	6	-5
 IE		23	11	3	1	6	1	5	-2	7	-2	1	0	0	0	7	-1
 EL		27	9	2	0	4	2	2	-3	2	0	2	-2	1	1	1	-1
 ES		25	14	3	0	3	1	4	0	3	-1	3	0	1	0	11	2
 FR		34	14	4	1	8	-1	4	-1	7	-2	2	0	0	0	5	0
 HR		22	11	4	0	3	0	4	-5	5	-5	1	-1	0	0	4	-4
 IT		43	14	6	2	4	0	3	-1	3	0	1	0	0	-1	2	0
 CY		20	8	1	0	1	-2	1	1	1	0	1	0	1	0	7	-1
 LV		38	14	4	0	2	-2	4	-9	4	1	2	0	1	0	8	0
 LT		31	11	2	-1	2	0	5	-7	8	1	2	0	0	-2	9	-1
 LU		45	22	3	-1	5	0	3	-4	5	-2	2	-1	0	-1	0	-2
 HU		43	25	5	-2	4	-1	8	-2	7	1	1	0	0	-4	3	0
 MT		65	19	3	0	5	-2	3	-6	5	-5	0	-2	0	-1	8	3
 NL		49	28	1	-1	4	-1	3	-3	5	0	3	-2	0	0	1	0
 AT		37	15	4	1	8	0	3	-2	7	-2	2	0	0	0	0	-1
 PL		24	9	7	0	3	-4	5	-8	6	-1	1	0	1	0	9	-2
 PT		16	10	6	-1	1	-1	2	0	3	0	3	2	1	1	12	-3
 RO		21	6	5	-2	7	3	8	1	7	3	2	1	1	0	11	-3
 SI		31	16	2	0	4	-1	5	-2	5	-4	4	0	0	0	6	1
 SK		35	24	6	2	4	-2	5	-8	6	0	2	1	0	-1	6	2
 FI		24	11	2	0	7	-1	7	-4	15	1	2	1	0	0	1	0
 SE		48	20	1	0	15	-7	6	-1	19	-9	3	1	0	0	1	0
 UK		36	3	2	0	3	0	4	-1	3	-1	1	-1	2	0	15	-1

ფიგურა 9

წყარო: 2015 წლის ევრობარომეტი - Public Opinion in the European Union -

<https://europa.eu/eurobarometer/surveys/detail/2099>



QA21a.5 Dans quelle mesure êtes-vous d'accord ou pas d'accord avec chacune des affirmations suivantes ?  
(NOTRE PAYS) pourrait mieux faire face au futur s'il/elle était en dehors de l'UE

QA21a.5 Please tell me to what extent you agree or disagree with each of the following statements.  
(OUR COUNTRY) could better face the future outside the EU

QA21a.5 Inwieweit stimmen Sie jeder der folgenden Aussagen zu oder nicht zu?  
(UNSER LAND) wäre besser für die Zukunft gerüstet, wenn es nicht Mitglied der EU wäre

%		Tout à fait d'accord		Plutôt d'accord		Plutôt pas d'accord		Pas du tout d'accord		NSP		Total 'D'accord'		Total 'Pas d'accord'	
		Totally agree		Tend to agree		Tend to disagree		Totally disagree		DK		Total 'Agree'		Total 'Disagree'	
		Stimme voll und ganz zu		Stimme eher zu		Stimme eher nicht zu		Stimme überhaupt nicht zu		WN		Gesamt 'Stimme zu'		Gesamt 'Stimme nicht zu'	
		EB	Diff. EB	EB	Diff. EB	EB	Diff. EB	EB	Diff. EB	EB	Diff. EB	EB	Diff. EB	EB	Diff. EB
		83.3	82.3	83.3	82.3	83.3	82.3	83.3	82.3	83.3	82.3	83.3	82.3	83.3	82.3
	EU 28	11	1	19	-1	30	1	28	-1	12	0	30	0	58	0
	BE	5	-1	20	0	38	0	27	-3	10	4	25	-1	65	-3
	BG	12	4	19	3	24	-1	27	-7	18	1	31	7	51	-8
	CZ	8	-1	22	-4	37	3	22	3	11	-1	30	-5	59	6
	DK	8	0	14	4	33	6	37	-11	8	1	22	4	70	-5
	DE	9	0	14	1	32	0	38	2	7	-3	23	1	70	2
	EE	6	2	13	1	28	-6	38	-3	15	6	19	3	66	-9
	IE	9	-2	19	2	29	3	34	-3	9	0	28	0	63	0
	EL	16	0	21	-3	34	5	21	-4	8	2	37	-3	55	1
	ES	9	3	17	3	25	1	35	-7	14	0	26	6	60	-6
	FR	8	-1	16	0	33	2	28	-4	15	3	24	-1	61	-2
	HR	9	1	28	0	30	-3	24	3	9	-1	37	1	54	0
	IT	12	1	23	-1	27	4	22	-2	16	-2	35	0	49	2
	CY	23	-2	25	1	19	-1	25	-1	8	3	48	-1	44	-2
	LV	12	1	16	0	32	-1	23	-3	17	3	28	1	55	-4
	LT	4	-1	14	2	36	2	38	-1	8	-2	18	1	74	1
	LU	8	4	16	8	30	-5	40	-5	6	-2	24	12	70	-10
	HU	11	2	23	2	24	-6	35	2	7	0	34	4	59	-4
	MT	4	-3	14	0	29	3	40	2	13	-2	18	-3	69	5
	NL	5	-2	11	0	34	-3	43	3	7	2	16	-2	77	0
	AT	15	1	25	4	30	-3	20	-3	10	1	40	5	50	-6
	PL	10	5	28	1	33	1	14	-7	15	0	38	6	47	-6
	PT	8	1	24	2	29	-3	27	-1	12	1	32	3	56	-4
	RO	13	3	22	2	26	0	26	-6	13	1	35	5	52	-6
	SI	22	1	25	-1	26	3	18	-3	9	0	47	0	44	0
	SK	6	0	19	-4	37	2	27	3	11	-1	25	-4	64	5
	FI	9	0	14	-6	33	-4	33	9	11	1	23	-6	66	5
	SE	11	1	18	1	27	-2	35	-1	9	1	29	2	62	-3
	UK	20	4	23	-3	26	-2	17	2	14	-1	43	1	43	0


ფიგურა 10

წყარო: 2015 წლის ევრობარომეტრი - Public Opinion in the European Union - <https://europa.eu/eurobarometer/surveys/detail/2099>

### 2018 წლის არჩევნები: პარტიული ევროსკეპტიციზმის ზრდადობა

2018 წელს გამართულ საყოველთაო არჩევნებში ორი კოალიცია ჩამოყალიბდა, პირველი კოალიცია იყო „წითელ-მწვანეები“ („სოციალ-დემოკრატები“, „მემარცხენე პარტია“; „მწვანეთა პარტია“). მეორე კოალიციაში - „ალიანსი,“ („ზომიერი“ პარტია, „ცენტრისტული პარტია“, „ქრისტიან-დემოკრატების“ პარტია“; „ლიბერალური“ პარტია).

არცერთ კოალიციას არ ეყო მანდატები სამთავრობო კოალიციის შესადგენად, ამიტომ მოუწიათ გაერთიანება „შვედ დემოკრატებთან“, ულტრამემარჯვენე პარტიასთან. 2018 წლიდან პარტია ღიად აკეთებდა განცხადებებს შვედეთის ევროკავშირიდან გამოსვლის შესახებ (Swexit), თუმცა იდეის სრულყოფა არ მოხერხდა. 2018 წლის არჩევნების შემდგომ, შვედეთის პრემიერ-მინისტრი სოციალ-დემოკრატების ლიდერი, სტეფან ლოფვენი გახდა, სოციალ-დემოკრატებმა მცირე კოალიცია შექმნეს მემარჯვენე-ცენტრისტ და ულტრამემარჯვენე პარტიებთან ერთად, რამაც უფრო გაზარდა პარტიული ევროსკეპტიციზმი (Dyvik, 2022). 2019 წელს შემდეგი მოცემულობა გამოიკვეთა: „ზომიერმა“ პარტიამ „შვედ დემოკრატებთან დაახლოება დაიწყო, უპირველესად, საერთო საიმიგრაციო პოლიტიკის ხარჯზე, რომლის მიხედვითაც, ევროკავშირის ლიბერალური საიმიგრაციო მოდელი უსარგებლოა, ხოლო საზღვრებზე კონტროლის გამკაცრება აუცილებელია.




ფიგურა 11

**მიგრანტები, დანაშაული და 2022 წლის წინასაარჩევნო პერიოდის პარტიული რიტორიკა:**

“შვედეთის ქალაქში 5 წლის ბიჭი და დედა დაჭრეს” - ეს იყო სტატია, რომელიც არჩევნების წინ გავრცელდა და ხაზი გაუსვა ბანდებთან დაკავშირებულ ძალადობის და სროლების შემთხვევების გაზრდილ რაოდენობას შვედეთში. ბრალდებული აღმოჩნდა თავშესაფრის მაძიებელი მიგრანტი (The Local Sweden, 2015).

ასევე აღსანიშნავია, რომ 2022 წელს 18 ით გაიზარდა მკვლელობათა რიცხვი შვედეთში 2021 წელთან შედარებით, რაც ყველაზე დიდი მატებაა (წლიდან წლამდე) ბოლო 10 წლის განმავლობაში (ფიგურა 12) (Dyvik, 2023).




ფიგურა 12

წყარო: <https://www.statista.com/statistics/1315108/number-fatal-shootings-sweden/>

მატება დაფიქსირებულია იმ არეალში, სადაც ყველაზე მეტი მიგრანტი მოსახლეობა ცხოვრობს. აღნიშნული ნარატივი კარგად გამოიყენა ულტრა-მემარჯვენე შვედი დემოკრატების პარტიამ, რომელმაც ეს მოვლენა ქვეყანაში იმიგრაციის მზარდ რაოდენობასთან დააკავშირა.

მიგრაციისა და მკვლელობების პრობლემა აისახა შვედეთის მოსახლეობის ზოგად ევროსკეპტიკურ დამოკიდებულებაშიც - კონკრეტულად: 2022 წლის ევრობარომეტრის მონაცემებით შვედეთის მოსახლეობის 76 პროცენტი/უმრავლესობა მხარს უჭერს ევროკავშირის საზღვრების დაცვის გაძლიერებას (ფიგურა 13) (European Commission, 2022, 80).

QB4.2 And what is your opinion on each of the following statements? Please tell for each statement, whether you are for it or against it.  
 (% - A reinforcement of EU external borders with more European border guards and coast guards)




ფიგურა 13

წყარო: Summer 2022 Eurobarometer: Europeans' Opinions about the European Union's priorities. - <https://europa.eu/eurobarometer/surveys/detail/2693>


### 2022 წლის არჩევნების შედეგები:

2022 წლის არჩევნებში, მემარჯვენე ბლოკმა კოალიცია კვლავ ულტრამემარჯვენე პარტიასთან შეკრა. Tido Agreement-ის საფუძველზე(მემარჯვენე ბლოკის შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი „ზომიერი“ პარტიის ლიდერი გახდებოდა, ხოლო ახალი სამთავრობო კოალიცია „შვედი დემოკრატების“ საიმიგრაციო პოლიტიკის გატარებას დაიწყებდა) დაკომპლექტდა სამთავრობო კოალიცია (Cdr.16Dec.2022). 2022 წლის არჩევნების შედეგად, მემარჯვენეთა ბლოკი (ზომიერი პარტია, ლიბერალური პარტია და ქრისტიან-დემოკრატები) შვედ დემოკრატებთან უმცირესობის კოალიციით მოვიდა მთავრობაში (176 მანდატი რიქსდაგში), პრემიერ-მინისტრად ზომიერი პარტიის ლიდერი, ულფ კრისტესონი დაინიშნა.



ფიგურა 14

„შვედი დემოკრატებისთვის“ მსგავსი მოცემულობა უდიდეს მიღწევად შეფასდა, ვინაიდან ახალ მთავრობას დაევალა საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრება, რასაც ულტრამემარჯვენე პარტია 2010 წლიდან ესწრაფოდა. შვედეთმა, ასევე, უარი განუცხადა თავშესაფრის მომთხოვნებს, 2022 წლის მონაცემებით, დაახლოებით 66% (6615) შვედეთის დახმარების მიღმა დარჩა, რასაც ისევ მთავრობის და განსაკუთრებით, შვედი დემოკრატების ანტი-საიმიგრაციო პოლიტიკაზე გავყავართ.



ფიგურა 15

წყარო - [https://www.statista.com/statistics/293350/asylum-grants-in-europe/?fbclid=IwAR2U\\_Wqg64Xy59RXjKloHA7tIKxL82nfCetGv7zvBiLmFSUqpdnSrNNqj2M](https://www.statista.com/statistics/293350/asylum-grants-in-europe/?fbclid=IwAR2U_Wqg64Xy59RXjKloHA7tIKxL82nfCetGv7zvBiLmFSUqpdnSrNNqj2M)

**2023 წელი: პარტიული და საზოგადოებრივი გამოწვევების გადაკვეთა:**

2023 წლის მაისში აკესონმა განაცხადა: „გერმანელ, პოლონელ და ფრანგ პოლიტიკოსებს არ აქვთ უფლება გადაწყვიტონ რომელი მანქანის ყიდვა შეგიძლია, არეგულირებდნენ საწვავის ფასს და მიგითითებდნენ რომელი ხე შეგიძლია მოჭრა შენს საკუთარ ტერიტორიაზე (Euroactive.May3.2023),“ რაც მიანიშნებს „შვედი დემოკრატების“ იდეაზე: „ევროკავშირი სტოკჰოლმის გარეშე“ (Swexit). სიახლე არაა ის ფაქტი, რომ შვედეთის ევროსკეპტიკური ძალები ევროკავშირს არადემოკრატიულ პოლიტიკურ წარმონაქმნად აღიქვამენ, თუმცა მნიშვნელოვანია, „შვედი დემოკრატების“ ევროსკეპტიკური წარმოდგენები ესადაგებოდეს საზოგადოებას.

